კულტურათა გზაჯვარედინი

შავი ზღვის რეგიონის ქვეყნები და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცვლილებები XIX-XX საუკუნეებში

მასწავლებლის წიგნი

ისტორიის მასწავლებელთა ასოციაციების ევროპული გაერთიანება EUROCLIO

კულტურათა გზაჯვარედინი

შავი ზღვის რეგიონის ქვეყნები და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცვლილებები XIX-XX საუკუნეებში

მასწავლებლის წიგნი

პროექტი განხორციელდა ევროპის კავშირის ფინანსური მხარდაჭერით
პროექტი განახორციელეს EUROCLIO-მ და მისმა პარტნიორებმა

2015

უაკ (UDC) 316.7

გამოცემა დააფინანსა ევროკავშირმა პროგრამის „ინვესტირება ადამიანებში“ (განვითარების სფეროში თანამშრომლობის საშუალებები) და აღმოსავლეთ პარტნიორობის ევროპული კულტურული პარტნიორობისა და კეთილმეზობლობის პროგრამის დახმარებით.

ეს სასწავლო-მეთოდური სახელმძღვანელო 2012-2015 წლებში შეიქმნა საერთაშორისო პროექტის „საერთო ისტორია. კულტურული დიალოგის“ ფარგლებში, როგორც ისტორიის მასწავლებელთა ასოციაციების ევროპული გაერთაიანება EUROCLIO-ს, ისტორიის მასწავლებლების სომხეთის ასოციაციის, ისტორიის მასწავლებელების საერთოუკრინული გაერთიანება „ნოვა დობას“, ისტორიის მასწავლებელთა საქართველოს ასოციაციის, ახალგაზრდა ისტორიკოსების მოლდოვას ასოციაციისა (ANTIM) და აზერბაიჯანის საზოგადოებრივი გაერთიანების თანამშრომლობის შედეგი.

დამხმარე სახელმძღვანელოზე მუშაობისას გამოყენებულია თავისუფლად ხელმისაწვდომი მასალები სახელმწიფო და პირადი არქივებიდან.

მთავარი რედაქტორი **იულია კუშნერიოვა**

რეცენზენტი **ვიმ ვან მეურსი**

პროექტის მენეჯმენტი: **სტივენ სტიგერსი, აისელ გოჯაევა**

გამოცემის შინაარსზე პასუხისმგებელია EUROCLIO და არ ასახავს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.

ISBN 978-966-322-454-1

© EUROCLIO, 2015
© ოლგა ბორისენკო, დიზაინი, 2015

პროექტზე მუშაობის ისტორია

სასწავლო-დამხმარე მასალა შეიქმნა აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინის სკოლებისა და უნივერსიტეტების პედაგოგთა და მეცნიერთათანამშრომლობის, EUROCLIO-ს ისტორიის მასწავლებელთა ასოციაციების ევროპული გაერთიანებისა და პროექტში მისი პარტნიორების მხარდაჭერის შედეგად.

ეს არის მაგალითი, რომ სხვადასხვა ერის წარმომადგენლებს შეუძლიათ, კულტურის სწავლებისა და სწავლის ინოვაციური მიდგომების დასანერგად, ერთად იღვაწონ.

წიგნის შექმნის პროცესი ადვილი არ ყოფილა. ის დღის სინათლეს ვერ იხილავდა, რომ არა რედაქტორების გუნდის, ავტორების, კოორდინატორების, დიზაინერებისა და მთარგმნელების ენთუზიაზმი, ასევე ევროკავშირის ფინანსური დახმარება. ამ წიგნის მომზადებაში მონაწილეობდა ასზე მეტი ადამიანი ოცზე მეტი ქვეყნიდან, რისთვისაც მათ მადლობას ვუხდით.

წიგნის შექმნის პროცესი მოიცავდა მოდულების რეცენზირებას, პილოტირებას, ტრენინგებსა და საბოლოო რედაქტირებას. გაკვეთილზე სასწავლო საქმიანობის მედოდიკა პროექტის მონაწილე ქვეყნების მასწავლებლებმა დაამუშავეს. მათ საკუთარ იდეებსა და გამოცდილებას უზიარებდნენ უცხოელი მენტორები და ტრენერები. ამის შედეგად ავტორები სწავლების ხარისხის ასამაღლებლად გაეცნენ სხვადასხვა მეთოდს, რომლებიც თავიანთ მასალებში გამოიყენეს.

პროექტისთვის რთული გამოცდა აღმოჩნდა მონაწილეების სამეტყველო ენის მრავალფეროვნება. საუკეთესო გადაწყვეტა აღმოჩნდა სამუშაო ენად რუსული ენის გამოყენება. ჩვენი გუნდის წევრებმა, რომლებიც თანაბრად ფლობდნენ როგორც რუსულ, ისე პროექტის მონაწილე ქვეყნების ენებს, შეამოწმეს თარგმანის სიზუსტე და ეროვნულ ენაზე და რუსულ ენაზე დაკაბადონებული წიგნები ერთმანეთს შეადარეს.

რა თქმა უნდა, ეს წიგნი მონაწილე ქვეყნების კულტურისა და ისტორიის ყველა ასპექტს ვერ მოიცავს, რომ აღარაფერი ვთქვათ, შავი ზღვის მთელ რეგიონზე. მოდულის ავტორები თემებს, წყაროებსა და მუშაობის მეთოდს თავად ირჩევდნენ. ისინი პასუხისმგებელები არიან მოდულის შინაარსსა და ინფორმაციის სიზუსტეზე. იმისთვის, რომ წიგნის მთლიანობა არ დარღვეულიყო და მასწავლებლებისა და მოსწავლეების მოთხოვნები დაეკმაყოფილებინა, რედაქტორთა ჯგუფმა დიდი სამუშაო ჩაატარა მასალის ადაპტაციისა და გამდიდრებისთვის.

გადაწყვეტილებამ, შექმნილიყო მასალა, რომლის გამოყენებაც პროექტის ყველა მონაწილე ქვეყანაში იქნებოდა შესაძლებელი, ხშირად მწვავე კამათს იწვევდა, განსაკუთრებით, ტერმინოლოგიის შესახებ. საკამათო სიტუაციაში შეთანხმების მისაღწევად მივმართავდით სპეციალისტებს, ვრთავდით ავტორებსა და რედაქტორებს.

დამხმარე მასალის საშუალებით სწავლების ორგანიზებისთვის შემუშავდა მეთოდური რეკომენდაციები, რათა მოსწავლეებმა შეძლონ კრიტიკული აზროვნება და, წყაროების მასალაზე დაყრდნობით, დამოუკიდებლად გამოიტანონ დასკვნები. ეს რეკომანდაციები საშუალებას იძლევა, მოსწავლეებმა ისწავლონ განსხვავებულად, ვიდრე ეს შესაძლებელია ტრადიციული სახელმძღვანელოებით. სწავლა რომ საინტერესო გახდეს, წიგნის სხვადასხვა მოდულში გამოყენებულია აქტიური სასწავლო მეთოდები. კიდევ უფრო მეტი მეთოდია მოცემული მასწავლებლის წიგნში.

იმედი გვაქვს, ეს დამხმარე სახელმძღვანელო მოსწავლეებს დაეხმარება, შეისწავლონ მრავალფეროვანი კულტურა და შეიძინონ ახალი უნარები; მასწავლებლებს კი ახალი მიდგომების გამოყენებას შთააგონებს, ხოლო სასწავლო პროცესს თანამედროვე მოსწავლისთვის აუცილებელი ახალი თემებით გაამდიდრებს.

გმადლობთ ამ წიგნის გამოყენებისთვის.

აისელ გოჯაევა და სტივენ სტიგერსი

პროექტის განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა ამ ადამიანების მონაწილეობის გარეშე:*

მთავარი რედქტორი: იულია კუშნერიოვა

გამომშვები რედაქტორი: ირინა კოსტიუკი

დიზაინერი: ოლგა ბორისენკო

საერთაშორისო რედაქტორები: ირინა კოსტიუკი, ძინტრა ლიეპინია და ელენე მეძმარიაშვილი

ეროვნული რედაქტორები: ფუად აგაევი, ალექსანდრა კოზოროგი, ბესიკ ლორთქიფანიძე, ნიკოლ მარგარიანი და პაველ ჩერბუშკა.

პროექტის მენეჯერები: აისელ გოჯაევა და სტივენ სტიგერსი.

ეროვნული კოორდინატორები: ქერიმ აბიდი, მხითარ გაბრიელიანი, პოლინა ვერბიცკაია, ტიმურ ლუკინი, სერჟიუ მუსტიაცე, აიკაზ ოგანესიანი, ოლგა პედან-სლეპუხინა, რაუფ რაჯაბოვი, ნანა ციხისთავი და ამირან ჯამაგიძე.

ავტორები: ვაგიფ აბასოვი, გულნარა აბიდი, ფუად აგაევი, აიდინ ასლანოვი, კარენ ბაირამიანი, ვერა ბალანი, ელისაბედ ბუცხრიკიძე, მხითარ გაბრიელიანი, ნატალია გოლოსოვა, ლუდმილა გურსკაია, პოლინა ვერბიცკაია, ვერა ვრაბიე, ანჟელა ზიამა, სამირა ისკენდეროვა, ლელა კაკაშვილი, ვარვარა კიპერი, ოლგა კოვალევსკაია, ალექსანდრა კოზოროგი, ბესიკ ლორთქიფანიძე, ლუდმილა მალესი, მიქაელ მალხასიანი, ნიკოლ მარგარიანი, ნატალია მარკუსი, ლუბა მელნიკი, მადონა მიქელაძე, ოქსანა მიხეევა, ნუგზარ მოლაშვილი, ანჟელა მუშენკო, როდიკა ნასტასი, გრანტ ოგანიანი, ეკატერინა ოდაჟიუ, აიკაზ ოჰანესიანი, ლილია ოჰანესიანი, ნარმინ რაჯაბოვა, ვერა სააკიანი, ლუჩია სავა, ნოდარ შოშიაშვილი, პაველ ჩერბუშკა, რუზანა ცატურიანი, ტატიანა ციგანუ, არტაკ ხაჩატრიანი, ამირან ჯამაგიძე, ოთარ ჯანელიძე და ნაზმინ ჯაფაროვა.

თანაავტორები: ფუად აგაევი, ალექსანდრა კოზოროგი და ოლგა პედან-სლეპუხინა.

თავიანთი მასლები მოგვაწოდეს: არზუ აბასოვმა და ლალი ფირცხალავამ.

მენტორები: ირინა კოსტიუკი, იულია კუშნერიოვა, მარე ოია, ოლგა პედან-სლეპუხინა, დინ სმარტი, ცირა ჩიკვაიძე და თამარა ეიდელმანი.

ტრენერები: სემიკ აკტეკინი, ირინა გოგონაია, ბოიანა დუიკოიჩ-ბლაგოევიჩი, ინეკე ველდჰიუის-მეესტერი, პოლინა ვერბიცკაია, იგორ იოვანოვიჩი, კეროლ კაპიცე, ოლგა კოვალევსკაია, ალექსანდრა კოზოროგი, ჰუსეინ კოკსალი, ირინა კოსტიუკი, იულია კუშნერიოვა, კლაუდია ლენცი, რიჩარდ მაკფანი, სედა მელკუმიანი, მადონა მიქელაძე, ოქსანა მიხეევა, მარე ოია, ოლგა პედან-სლეპუხინა, დინ სმარტი, გულსენ ტურალი, ბენი ქრისტენსენი, ცირა ჩიკვაიძე, ნანა ციხისთავი და ამირან ჯამაგიძე.

ლექსიკონის ავტორები: ფუად აგაევი, ალექსანდრა კოზოროგი, ბესიკ ლორთქიფანიძე, ნიკოლ მარგარიანი და პაველ ჩერბუშკა.

ნავიგატორი მოამზადეს:

აზერბაიჯანისთვის — ფაუად აგაევმა; **სომხეთისთვის** — ნიკოლ მარგარიანმა; **საქართველოსთვის** — ბესიკ ლორთქიფანიძემ; **მოლდოვასთვის** — პაველ ჩერბუშკამ; **უკრაინისთვის** — ალექსანდრა კოზოროგმა.

რუკები შეადგინეს: დიმიტრი ისაევმა (გვ. 30, 218), ალექსი კახნიაშვილმა და მანანა შეყილაძემ.

* გვარები მოცემულია ანბანური თანმიმდევრობით.

მთარგმნელები:

აზერბაიჯანულზე — ნაზმინ ჯაფაროვა, **სომხურზე** — მარინა ვარდანიანი, **ქართულზე** — მარიკა კვესელავა და მანანა ჩიგოგიძე, **მოლდოვურზე** — ლუბა პეტრენკო და პაველ ჩერბუშკა, **უკრაინულზე** — ოქსანა მიხეევა.

ეროვნულ ენებზე კორექტურა შეასრულეს:

აზერბაიჯანულზე — ფუად აგაევმა და რაუფ რაჯაბოვმა; **სომხურზე** — მხითარ გაბრიელიანმა, ნიკოლ მარგარიანმა და აიკაზ ოჰანესიანმა; **ქართულზე** — ბესიკ ლორთქიფანიძემ, ელენე მეძმარიაშვილმა და ნანა ციხისთავმა; **მოლდოვურზე** — პაველ ჩერბუშკამ; **უკრაინულზე** — ალექსანდრა კოზოროგმა და ირინა კოსტიუკმა.

რეცენზენტი: ვიმ ვან მეურსი

მმართველთა საბჭო: ალექსანდრა გნატიუკი, სტეფან ირიგი, ნინო კილურაძე, მატიას კლინგენბერგი, კეიტ ლაფამი, იოკე ვან დენ ლეეუ-როორდი, ოქტავიან ტიცუ.

ვიზუალური წყაროები მოგვაწოდეს: გურგენ ბაქშეციანმა, ანდრეი ვეიჩკომ, რიტა ვილერტმა, ალექსანდრ ვილჰელმმა, ტელმან იბრაგიმოვმა, მარიონ კოობმა, იაროსლავ კოჩერგინმა, ლუკაშ ჯეჯიჩ კროცმა, იური მეჩითოვმა, სეროი ოურიშიანმა, მონიკა პაკსიოვამ, გუენაი რაჟიმლიმ, რობერტ რანგემ, ბრიუს რიივმა, რუსლან სალიხოვმა, ოლეგ სიდორენკომ, დენის ტოპალმა, მარინა ფილიპოვამ, პაველ შუბერტმა, ქრისტინა ჩეჩეტომ.

EUROCLIO-ს სტაჟორ-ასისტენტები: პიტერ ბაეტენი, ირის დიიქსტერჰიუსი, გაი კოუნეტი, ივან მარკოვიჩი, სვენ მერსდოფი, ქრისტინა პოპესკუ, ფრანჩესკა სატიგნა.

ანგარიშებს ადგენდნენ: პატრიკ ბარკერი, ბლანდინ სმილანსკი.

ავტორების, თანაავტორების, კოორდინატორების, რედაქტორების, მენეჯერების, რუკების დიზაინერებისა და მასალების მომწოდებლების ბიოგრაფიული ცნობები მოცემულია წიგნის ბოლოს.

შინაარსი

შესავალი. წიგნის შექმნის ისტორია
აისელ გოჯაევა, სტივენ სტიგერსი 3

რატომ და როგორ გამოვიყენოთ სახელმძღვანელო
ირინა კოსტიუკი, იულია კუშნერიოვა, ძინტრა ლიეპინია, ელენე მეძმარიაშვილი 8

ნავიგატორი 12

დამხმარე სახელმძღვანელოს თემები საგნების სწავლებისას 12

ნაწილი I კულტურული მემკვიდრეობა 17

რაზე დუმს ქალწულის კოშკი
ფუად აგაევი, ნარმინ რაჯაბოვა 19

ქალაქი, როგორც მრავალფეროვნების სარკე
თბილისი და მისი მცხოვრებნი XIX საუკუნესა და XX საუკუნის დამდეგს
ბესიკ ლორთქიფანიძე, ნუგზარ მოლაშვილი 22

გერმანელი ახალმოსახლეები აზერბაიჯანში XIX საუკუნესა და XX-ის დასაწყისში
გულნარა აბიდი, აიდინ ასლანოვი 25

კულტურათა დიალოგი და კულტურული მემკვიდრეობა
პოლინა ვერბიცკაია 29

ეროვნული მემკვიდრეობის ადგილი მსოფლიო კულტურაში
აიკაზ ოჰანესიანი, გრანტ ოგანიანი 32

ამიერკავკასიის სემინარია
ფუად აგაევი, ალექსანდრა კოზოროგი 37

საკუთარი სახელები, როგორც საზოგადოების კულტურისა
და ისტორიის შესწავლის წყარო
ნიკოლ მარგარიანი 41

ისტორია და კულტურა მეხსიერებასა და ძეგლებში
კარენ ბაირამიანი, ლილია ოჰანესიანი 45

სერგო ფარაჯანოვის შემოქმედება ეპოქებისა და კულტურების გზაჯვარედინზე
ამირან ჯამაგიძე 49

იდენტურობა მრავალკულტურული საზოგადოების პირობებში
ოლგა კოვალევსკაია, ლუდმილა მალესი, ოქსანა მიხეევა 53

ნაწილი II კულტურა და პოლიტიკა 57

შობისა და ახალი წლის რთული ხვედრი XIX-XX საუკუნეებში
ელისაბედ ბუცხრიკიძე, ამირან ჯამაგიძე 59

დროთა დიალოგი ქუჩებისა და მოედნების სახელწოდებებში
ოთარ ჯანელიძე, ნოდარ შოშიაშვილი 67

როგორ გადაიქცა „დედაკაცი“ „ამხანაგად“
მადონა მიქელაძე 71

სტალინის ხსოვნა და ძეგლები
ლელა კაკაშვილი, ბესიკ ლორთქიფანიძე 75

მრავლისმეტყველი დუმილი: ძეგლი კულტურების გზაჯვარედინზე
ოქსანა მიხეევა, ოლგა კოვალევსკაია 79

გამოსახულება, სიტყვა და ბგერა
საბჭოთა კავშირის „ხალხთა მეგობრობის“ პროპაგანდაში
ნატალია მარკუსი, ოქსანა მიხეევა **82**

საბჭოთა ახალგაზრდობის კულტურათშორისი ურთიერთობები
ალექსანდრა კოზოროგი, ოლგა პედან-სლეპუხინა **86**

1 მაისი: გუშინ და დღეს
ვერა ბალანი, ლუჩია სავა **91**

ერთობა და მრავალფეროვნება
ვერა ვრაბიე, ლუბა მელნიკი **95**

საზოგადოების ძირითადი ფასეულობები და მათი ცვლილებები
როდიკა ბოლგარი **98**

ნაწილი III ოჯახი და ყოველდღიური ცხოვრება **101**

ტრადიციული ყოფა-ცხოვრების სიახლეები
ფუად აგაევი, ნარმინ რაჯაბოვა **103**

ბაქოს ნავთობი და კულტურა
სამირა ისკენდეროვა **106**

აზერბაიჯანელი ქალი ოჯახსა და საზოგადოებაში XX საუკუნის დამდეგს (ჟურნალ „მოლა ნასრედინის“ პუბლიკაციების მიხედვით)
ვაგიფ აბასოვი, ნაზმინ ჯაფაროვა **111**

კულტურების მრავალფეროვნება მშობლიური მხარის ისტორიაში
ვარვარა კიპერი, ეკატერინა ოდაჟიუ, ტატიანა ციგანუ **115**

ლიპოვანები წარსულსა და მომავალს შორის
ანჟელა ზიამა, ანჟელა მუშენკო **118**

შერეული (კულტურთშორისი) ქორწინება XX-XXI საუკუნეებში
ნატალია გოლოსოვა, ლუდმილა მალესი **121**

საზღვრისპირა ვაჭრობა და ეროვნებათშორისი კონტაქტები
მხითარ გაბრიელიანი **124**

თანამედროვე შრომითი მიგრაცია და მისი გავლენა საზოგადოებაზე
პაველ ჩერბუშკა **127**

შრომითი მიგრაცია და ოჯახი
რუზანა ცატურიანი, არტაკ ხაჩატრიანი **132**

თანამედროვე ქალაქი — კულტურული გზაჯვარედინი და სივრცე კულტურათა დიალოგისთვის
მიქაელ მალხასიანი, აიკაზ ოჰანესიანი, ვერა სააკიანი **136**

როგორ ვიმუშაოთ სხვადასხვა სახის ისტორიულ წყაროებზე
მადონა მიქელაძე, ოლგა პედან-სლეპუხინა **139**

როგორ გავხადოთ სწავლება აქტიური
მადონა მიქელაძე, ოლგა პედან-სლეპუხინა **145**

ინფორმაცია პროექტის მონაწილეთა შესახებ **156**

რისთვის და როგორ გამოვიყენოთ სახელმძღვანელო

ძვირფასო კოლეგებო,

თქვენ ხელში გიჭირავთ უნიკალური სასწავლო-მეთოდური სახელმძღვანელო რომელიც დიდმა საერთაშორისო გუნდმა მოამზადა. მისი წევრები გაერთიანდნენ ისტორიის მასწავლებელების ასოციაციების ევროპული გაერთიანების EUROCLIO-ს პროექტის „საერთო ისტორია. კულტურული დიალოგის“ ფარგლებში. მოცემული კრებული შეიცავს სასწავლო მასალას მოსწავლეებისთვის და მეთოდურ რეკომენდაციებს მასწავლებლებისთვის.

სახელმძღვანელო მიზნად ისახავს, შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების კულტურისა და მისი ტრანსფორმაციის შესახებ თემების საფუძველზე აჩვენოს, რა მნიშვნელობა აქვს კულტურულ, ისტორიულ და სამოქალაქო განათლებას. ამ ქვეყნებს არა მხოლოდ გეოგრაფია, არამედ საერთო წარსულის ცალკეული ეპიზოდებიც აერთიანებს. შესაბამისად, სახელმძღვანელოს სამი ნაწილი ეძღვნება კულტურული მემკვიდრეობის, კულტურისა და პოლიტიკის ურთიერთქმედების საკითხებს, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ურთიერთობების გავლენით ყოველდღიურ ცხოვრებასა და ოჯახურ ყოფაში მომხდარი ცვლილებების აქტუალურ პრობლემებს. სახელმძღვანელო მოიცავს XIX-XX საუკუნეებს, თუმცა ზოგჯერ, არაპირდაპირ, უფრო ადრეულ პერიოდებსაც ეხება და ასწლეულებით ადრე დაწყებულ პროცესებს შეისწავლის.

სახელმძღვანელოს თავისებურებები

სახელმძღვანელო **„კულტურათა გზაჯვარედინი“** აგრძელებს EUROCLIO-ს მიერ ისტორიის მასწავლებლების ეროვნულ ასოციაციებთან თანამშრომლობით შექმნილი სახელმძღვანელოების ტრადიციას. ამიტომ წიგნის შინაარსი შეიცავს არა ავტორისეულ, თხრობით ტექსტს, არამედ იყენებს სხვადასხვა ტიპის ისტორიულ წყაროებს. სახელმძღვანელოს მიზანია მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების, საკომუნიკაციო უნარების განვითარება, ცნობისმოყვარეობისა და წარსულზე კომპლექსური შეხედულების ჩამოყალიბება. სახელმძღვანელო არ გულისხმობს მოსწავლის მიერ მასალის დასწავლასა და უბრალო დამახსოვრებას. ცოდნის მიღება და უნარების ათვისება ხდება თემატურ ბლოკებში გაერთიანებულ წყაროებზე მუშაობისას, შემდეგ კი წყვილებსა და ჯგუფებში გამართული მსჯელობისას.

სახელმძღვანელოს სტრუქტურა

სახელმძღვანელო „კულტურათა გზაჯვარედინი. შავი ზღვის რეგიონის ქვეყნები და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცვლილებები XIX-XX საუკუნეებში“ ორი დამოუკიდებელი ნაწილისგან შედგება: სასწავლო მასალა მოსწავლეებთან კლასში სამუშაოდ და დამხმარე მასალა მასწავლებლებისთვის. ორივე სახელმძღვანელო დაყოფილია სამ-სამ ნაწილად: „კულტურული მემკვიდრეობა“, „კულტურა და პოლიტიკა“, „ოჯახი და ყოველდღიური ცხოვრება“. ყოველი ნაწილი იწყება მოსწავლეებისთვის განკუთვნილი მცირე შესავლით და იმ მოდულების საკვანძო კითხვების ჩამონათვალით, რომლებიც ამ ნაწილშია გაერთიანებული.

მოსწავლეთა სახელმძღვანელოს ახლავს განმარტებითი ლექსიკონი.

მასწავლებლებისთვის განკუთვნილ წიგნში შეტანილია მეთოდების აღწერა, სხვადასხვა სახის წყაროების ანალიზის წესები და ყოველ მოდულზე მუშაობის თანმიმდევრული რეკომენდაციები. ცალკეულ ქვეყანაში პროექტის მასალების წარმატებით გამოსაყენებლად სასწავლო პროგრამების მიხედვით შექმნილია ნავიგატორები.

მოსწავლის წიგნი

მოდულის სტრუქტურა

ყოველი მოდულის შინაარსს აერთიანებს **თემა და საკვანძო კითხვა**. **წყაროები** ისეა შერჩული, რომ მოსწავლეებმა მეცადინეობის ბოლოს საკვანძო კითხვაზე პასუხის გაცემა შეძლონ.

მოდულის შიგნით მასალა თავმოყრილია **თემატურ ბლოკებში.** ყოველი ბლოკი შეიცავს შინაარსის ფრაგმენტს ან მასალას პარალელური მუშაობისთვის ჯგუფებში. ავტორების მიერ მოცემული შინაარსის უკეთ გასაგებად და წყაროების ანალიზის გასაადვილებლად[1] ბლოკის შიგნით კითხვები და დავალებები დაჯგუფებულია კომპლექტებში.

კითხვები და დავალებები. მასალის ასე მიწოდებისას, კითხვები და დავალებები სისტემას ქმნის და შინაარსს ერთ ღერძზე აერთიანებს. კითხვები და დავალებები ერთმანეთისგან განსხვავებულია და მიზნად ისახავს: ინფორმაციის გაგებას, სხვადასხვა წყაროდან მიღებული ინფორმაციის შედარებას, დაფარული აზრის ძიებას, წყაროს ანალიზს, წყაროდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე საკუთარი თვალსაზრისის ჩამოყალიბებას და სხვ. დავალებების შესრულებისა და კითხვებზე პასუხების განხილვისას ავტორების მიერ გათვალისწინებულია სხვადასხვა *პედაგოგიური მეთოდი*: კასკადური შესწავლა — თანმიმდევრულად დასმული კითხვები, პარალელური შესწავლა საერთო და განსხვავებული დავალებებით, რომელთა შედეგად საკვანძო კითხვამდე მოსწავლეები ერთად მიდიან, ინტერაქტიული ტექნოლოგიების გამოყენება.[2]

სქოლიოები

ამ სახელმძღვანელოს მნიშვნელოვანი თავისებურებაა ინფორმაციის მიწოდებაა. მასწავლებლებმაც და მოსწავლეებმაც ყურადღება უნდა მიაქციონ, რა გულდასმითაა შედგენილი ბიბლიოგრაფიული სქოლიოები. მნიშვნელოვანია, მოსწავლეებმა იცოდნენ, რომ შესაძლოა, ნებისმიერი ინფორმაცია ამავე დროს ისტორიულ წყაროსაც წარმოადგენდეს. პროექტის ავტორების მოსაზრებით, სტანდარტის მიხედვით შედგენილმა ბიბლიოგრაფიულმა სქოლიოებმა, ნაბეჭდი გამოცემებისა და ინტერნეტრესურსის მითითებით, მოსწავლეებს საავტორო უფლებისადმი პატივისცემა უნდა გაუღვივოს. გარდა ამისა, მოსწავლეები თავად შეძლებენ წყაროებში მოცემული ინფორმაციის შემოწმებას.

ბიბლიოგრაფიული სქოლიოების გარდა, გვერდის ბოლოს მოცემულია ამა თუ იმ სიტყვის განმარტებები, რაც შინაარსის გაგებისა და ტექსტის ანალიზისთვის აუცილებელია. ალბათ, არ ღირს იმაზე ლაპარაკი, რომ თუ ზოგიერთი სქოლიო ერთი მოსწავლისთვის ნაცნობ ინფორმაციას შეიცავს, მეორისთვის არასაკმარისი შეიძლება აღმოჩნდეს. მასწავლებელი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მზად უნდა იყოს, ახსნას ის სიტყვები, რომლებიც კლასისთვის გაუგებერი დარჩა.

განმარტებითი ლექსიკონი

სხვადასხვა მოდულში არაერთხელ გამოყენებული სიტყვები, რომლებიც ფერით არის გამოყოფილი, განმარტებულია სახელმძღვანელოს ბოლოს დართულ ლექსიკონში.

---

[1] სხვადასხვა წყაროს ანალიზის წესები მოცემულია ნაწილში „როგორ ვიმუშაოთ სხვადასხვა სახის ისტორიულ წყაროებზე“. იხ. გვ. 129-134.

[2] ამ მეთოდების აღწერა იხ. ნაწილი„როგორ გავხადოთ გაკვეთილი უფრო აქტიური“. გვ. 135.

მასწავლებლის წიგნი

ნავიგატორი

ნავიგატორი მასწავლებელს ეხმარება განსაზღვროს, კონკრეტულად როდის, რომელი საგნისა და თემის შესწავლისას არის შესაძლებელი დამხმარე სახელმძღვანელოს მასალის გამოყენება. რუსულენოვან სახელმძღვანელოში მოცემულია ნავიგატორი ყველა მონაწილე ქვეყნისთვის, ეროვნულ გამოცემაში კი — მხოლოდ ადგილობრივი სასწავლო პროგრამის გათვალისწინებით.

ნავიგატორში დამხმარე სახელმძღვანელოს ყველა თემა გადანაწილებულია ცალკეული ქვეყნის სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ საზოგადოებრივ-ჰუმანიტარული სფეროს საგნებზე და მათ თემებზე. როგორც წესი, მითითებულია ეროვნული და მსოფლიო ისტორიის, საზოგადოებათმცოდნეობის ან სამოქალაქო აღზრდის, ხელოვნების კურსები; ასევე აღნიშნულია მასწავლებლის მიერ თემების კლასგარეშე მუშაობისას გამოყენების შესაძლებლობა.

მეთოდური რჩევები გაკვეთილების მიედვით

მასწავლებლის დამხმარე სახელმძღვანელოში ყოველი მოდულისთვის განკუთვნილი რეკომენდაციების პირველ გვერდზე მოცემულია *მოსწავლის დაახლოებითი ასაკი, მოდულის შესწავლისთვის საჭირო დრო, გაკვეთილის მიზანი და მასალის შესწავლის სავარაუდო სასწავლო შედეგები*. უნდა გაითვალისწინოთ, რომ მითითებულია სავარაუდო სასწავლო შედეგების სამი დონე მოსწავლეების ინდივიდუალური შემეცნებითი შესაძლებლობების მიხედვით: მთელი კლასისთვის, მოსწავლეების უმეტესობისთვის და მათთვის, ვინც მასალას ყველაზე ღრმად გაიაზრებს, ამა თუ იმ უნარს აითვისებს და სასწავლო ჩვევებს გამოამჟღავნებს. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ქვეყანას შეფასების საკუთარი პროცედურები და კრიტერიუმები აქვს, მასწავლებელმა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სწორედ ამ სავარაუდო გრადაციითა და დასახული სასწავლო შედეგებით უნდა იხელმძღვანელოს.

მასალის ათვისებისთვის საჭირო დრო წინასწარ არის გათვლილი, უმეტეს შემთხვევაში — მეტობით. მაგრამ მასწავლებელმა ინდივიდუალურად უნდა განსაზღვროს ყოველი კლასის, რომელიც ამ მოდულებს შეისწავლის, თავისებურებები და სასწავლო დრო მეცადინეობის სხვადასხვა ეტაპისთვის მათი გათვალისწინებით გამოყოს.

მეთოდურ რეკომენდაციებში ასევე მითითებულია საკლასო ოთახის *საორგანიაციო მომზადების თავისებურებები*, როცა დაგეგმილია ჯგუფური მუშაობა საერთო მსჯელობით, დისკუსია, ჯგუფური პრეზენტაცია და ა. შ.

მასწავლებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს დამატებითი წყაროების ჩამონათვალს, რათა კონკრეტულ თემასთან დაკავშირებით უფრო ღრმა ცოდნა მიიღოს. ვინაიდან პროექტის სამუშაო ენად არჩეულ იქნა რუსული, *რეკომენდებული ლიტერატურის* უმეტესობა რუსულ ენაზეა, თუმცა საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებელი შეძლებს, ყოველ მოცემულ თემაზე ინფორმაციის დამატებითი წყაროები ეროვნულ ან სხვა ენებზეც მოიძიოს.

თითქმის ყოველ მოდულზე მოცემულია ზოგადი რეკომენდაციები, რომლებიც მასწავლებელს შინაარსის აზრობრივ აქცენტებში ორიენტირების საშუალებას მისცემს.

მასწავლებელი ყურადღებით უნდა მოეკიდოს წინმსწრებ დავალებებსა და მოტივაციის შემქმნელ სავარჯიშოებს, რომლებიც მოსწავლეში თემისადმი ინტერესს აღვიძებს.

ზოგიერთი მოდულის ბოლოს დართულია საშინაო დავალებები, რომლებსაც დამატებითი სასწავლო დრო სჭირდება, ამიტომ მათზე მუშობას მასწვლებელი საკუთარი შეხედულების მიხედვით წყვეტს.

ნაწილი „როგორ ვიმუშაოთ სხვადასხვა სახის ისტორიულ წყაროებზე“

დამხმარე სახელმძღვანელოს ერთ-ერთი მთავარი მიზანია, მოსწავლეებს განუვითაროს უნარი, წყაროდან მიიღონ ინფორმაცია და მისი სანდოობა შეაფასონ, ასწავლოს ინფორმაციის ნაკადიდან არასანდო ცნობების გამოვლენის მარტივი ხერხების გამოყენება. ნაწილი „როგორ ვიმუშაოთ სხვადასხვა სახის ისტორიულ წყაროებზე“ შეიცავს სრულიად განსხვავებული სახის წყაროებზე მუშაობის ნიმუშებს: წერილობითი ტექსტებით დაწყებული, ვიზუალური წყაროებითა (ფოტო, კარიკატურა, პლაკატი, მხატვრული ტილო) და სტატისტიკით დამთავრებული.

მეთოდური რეკომენდაციები სწავლების ინტერაქტიური მეთოდების გამოყენებისთვის

კლასში მოქმედების თანმიმდევრული ალგორითმი განკუთვნილია იმ პედაგოგებისთვის, რომლებიც კლასის მენეჯმენტსა და სწავლების ინტერაქტიული ტექნოლოგიების გამოყენების ხერხებს წინასწარ გაეცნენ. ნაწილი „როგორ გავხადოთ გაკვეთილი უფრო აქტიური“ შეიცავს გამოყენებული მეთოდების დაწვრილებით აღწერას და მიზნად ისახავს, მასწავლებელს გაკვეთილზე მუშაობის ორგანიზებაში დაეხმაროს. მას შეუძლია „ყულაბიდან“ ის მეთოდი აირჩიოს, რომელსაც მიზნის მისაღწევად უფრო შედეგიანად მიიჩნევს.

ვიმედოვნებთ, თქვენც და თქვენი მოსწავლეებიც
სიამოვნებით იმუშავებთ პროექტის მასალებზე.
გისურვებთ წარმატებას!

რედაქტორები

ირინა კოსტიუკი, იულია კუშნერევა,
ძინტრა ლიეპინია, ელენე მეძმარიშვილი

მოდულის ნომერი	მოდულის სახელწოდება	ეროვნული პროგრამის თემები
		საქართველოს ისტორია, 9 კლ.
1	რაზე დუმს ქალწულის კოშკი	
2	ქალაქი, როგორც მრავალფეროვნების სარკე. თბილისი და მისი მოსახლეობა XIX ს-ში და XX ს-ის დასაწყისში	**9 კლასი.** საქართველოს კულტურა XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში
3	გერმანელი ახალმოსახლეები აზერბაიჯანში XIX საუკუნესა და XX საუკუნის დამდეგს	**9 კლასი.** ცვლილებები რუსეთის იმპერიის კოლონიალური მმართველობის სისტემაში
4	კულტურათა დიალოგი და კულტურული მემკვიდრეობა	**9 კლასი.** საქართველოს კულტურა XX საუკუნეში
5	ეროვნული მემკვიდრეობის ადგილი მსოფლიო კულტურაში (სომეხი ხალხის მიღწევების მაგალითზე)	
6	ამიერკავკასიის სემინარია	**9 კლასი.** ცვლილებები რუსეთის იმპერიის კოლონიალური მმართველობის სისტემაში
7	საკუთარი სახელები, როგორც საზოგადოების კულტურისა და ისტორიის შესწავლის წყარო	**9 კლასი.** სსრკ-ს დაშლა. დამოუკიდებელი საქართველო
8	ისტორია და კულტურა მეხსიერებასა და ძეგლებში	**9 კლასი.** ქართული კულტურა XX საუკუნეში
9	სერგო ფარაჯანოვის შემოქმედება ეპოქებისა და კულტურების გზაჯვარედინზე	**9 კლასი.** ქართული კულტურა XX საუკუნეში
10	იდენტობა მრავალკულტურული საზოგადოების პირობებში	
11	შობისა და ახალი წლის დღესასწაულების მძიმე ხვედრი XIX-XX საუკუნეებში	**9 კლასი.** საქართველო საბჭოთა იმპერიაში მსოფლიო ომებს შორის პერიოდში
12	დროთა დიალოგი ქუჩებისა და მოედნების სახელწოდებაში	**9 კლასი.** სსრკ-ს დაშლა. დამოუკიდებელი საქართველო
13	როგორ გადაიქცა „დედაკაცი“ „ამხანაგად“... ქალის სახე პოსტრევოლუციურ პერიოდში	**9 კლასი.** ქართული კულტურა XX საუკუნეში
14	სტალინის ხსოვნა და ძეგლები	**9 კლასი.** სსრკ-ს დაშლა. დამოუკიდებელი საქართველო
15	მრავლისმეტყველი დუმილი: ძეგლი კულტურების გზაჯვარედინზე	**9 კლასი.** ქართული კულტურა XX საუკუნეში

ეროვნული პროგრამის თემები		
მსოფლიო ისტორია და საქართველო, 11-12 კლ.	**სამოქალაქო აღზრდა, 9-10 კლ.**	**ასარჩევი საგნები**
11 კლასი. მუსლიმური კულტურა	**9 კლასი.** მრავალფეროვანი საქართველო და მრავალფეროვანი სამყარო	**10-12 კლასები.** მსოფლიო კულტურა. კულტურათა მრავალფეროვნება
12 კლასი. საზოგადოება და კულტურა XX საუკუნის პირველ ნახევარში	**9 კლასი.** მრავალფეროვანი საქართველო და მრავალფეროვანი სამყარო	**10-12 კლასები.** მსოფლიო კულტურა. კულტურათა მრავალფეროვნება
12 კლასი. იმპერიალიზმი და კოლონიალიზმი: საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში	**9 კლასი.** მრავალფეროვანი საქართველო და მრავალფეროვანი სამყარო	**10-12 კლასები.** მსოფლიო კულტურა. კულტურათა მრავალფეროვნება
12 კლასი. საზოგადოება და კულტურა XX საუკუნის პირველ ნახევარში	**9 კლასი.** მრავალფეროვანი საქართველო და მრავალფეროვანი სამყარო	**10-12 კლასები.** მსოფლიო კულტურა. კულტურის დინამიკა
12 კლასი. თანამედროვე საზოგადოება და კულტურა	**9 კლასი.** მრავალფეროვანი საქართველო და მრავალფეროვანი სამყარო	**10-12 კლასები.** მსოფლიო კულტურა. კულტურის დინამიკა
12 კლასი. იმპერიალიზმი და კოლონიალიზმი: საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში	**9 კლასი.** მრავალფეროვანი საქართველო და მრავალფეროვანი სამყარო	**10-12 კლასები.** მსოფლიო კულტურა. კულტურათა მრავალფეროვნება
12 კლასი. თანამედროვე საზოგადოება და კულტურა	**9 კლასი.** მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა	**11-12 კლასები.** სახელმწიფო და სამართალი. ადამიანი და სახელმწიფო
12 კლასი. თანამედროვე საზოგადოება და კულტურა	**9 კლასი.** სამართლიანი სამყარო და მშვიდობიანი თანაარსებობა	**10-12 კლასები.** მსოფლიო კულტურა. კულტურათა მრავალფეროვნება
12 კლასი. საქართველო სსრკ-ს შემადგენლობაში	**9 კლასი.** მრავალფეროვანი საქართველო და მრავალფეროვანი სამყარო	**10-12 კლასები.** კინოხელოვნება. 60-70-იანი წლები — მეამბოხე თაობის მოსვლა კინოში
	9 კლასი. მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა	**10-12 კლასები.** მსოფლიო კულტურა. კულტურათა მრავალფეროვნება
12 კლასი. საზოგადოება და კულტურა XX საუკუნის პირველ ნახევარში	**10 კლასი.** საზოგადოებრივი აზრი, საზოგადოებრივი გადაწყვეტილებები და მათი მიღების ფორმები	**11-12 კლასები.** სახელმწიფო და სამართალი. ადამიანი და სახელმწიფო
12 კლასი. საზოგადოება და კულტურა XX საუკუნის პირველ ნახევარში	**10 კლასი.** საზოგადოებრივი აზრი, საზოგადოებრივი გადაწყვეტილებები და მათი მიღების ფორმები	**11-12 კლასები.** სახელმწიფო და სამართალი. ადამიანი და სახელმწიფო
12 კლასი. საზოგადოება და კულტურა XX საუკუნის პირველ ნახევარში	**9 კლასი.** მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა	**10-12 კლასები.** ხელოვნების ისტორია. ხელოვნების აღქმა კონტექსტში
12 კლასი. ტოტალიტარიზმი მსოფლიოში. სტალინი და საბჭოთა საქართველო	**10 კლასი.** საზოგადოებრივი აზრი, საზოგადოებრივი გადაწყვეტილებები და მათი მიღების ფორმები	**11-12 კლასები.** სახელმწიფო და სამართალი. ადამიანი და სოციუმი
12 კლასი. საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში XX საუკუნის მეორე ნახევარში	**9 კლასი.** მრავალფეროვანი საქართველო და მრავალფეროვანი სამყარო	**10-12 კლასები.** ხელოვნების ისტორია. ხელოვნების აღქმა კონტექსტში

მოდულის ნომერი	მოდულის სახელწოდება	ეროვნული პროგრამის თემები
		საქართველოს ისტორია, 9 კლ.
16	გამოსახულება, სიტყვა და ბგერა საბჭოთა კავშირის „ხალხთა მეგობრობის“ პროპაგანდაში	**9 კლასი.** ქართული კულტურა XX საუკუნეში
17	საბჭოთა ახალგაზრდობის კულტურათშორისი ურთიერთობები	**9 კლასი.** სსრკ-ს დაშლა. დამოუკიდებელი საქართველო
18	1 მაისი: გუშინ და დღეს	**9 კლასი.** საქართველო სსრკ-ს შემადგენლობაში XX საუკუნის მეორე ნახევარში
19	ერთობა და მრავალფეროვნება	**9 კლასი.** სსრკ-ს დაშლა. დამოუკიდებელი საქართველო
20	საზოგადოების ძირითადი ფასეულობები და მათი ცვლილებები	**9 კლასი.** ქართული კულტურა XX საუკუნეში
21	ლიპოვანები წარსულსა და აწმყოს შორის	**9 კლასი.** ცვლილებები რუსეთის იმპერიის კოლონიალური მმართველობის სისტემაში
22	ტრადიციული ყოფა-ცხოვრების სიახლეები	**9 კლასი.** ცვლილებები რუსეთის იმპერიის კოლონიალური მმართველობის სისტემაში
23	ბაქოს ნავთობი და კულტურა	**9 კლასი.** ცვლილებები რუსეთის იმპერიის კოლონიალური მმართველობის სისტემაში
24	აზერბაიჯანელი ქალი ოჯახსა და საზოგადოებაში *(ჟურნალ „მოლა ნასრედინის“ პუბლიკაციების მიხედვით)*	**9 კლასი.** ცვლილებები რუსეთის იმპერიის კოლონიალური მმართველობის სისტემაში
25	კულტურების მრავალფეროვნება მშობლიური მხარის ისტორიაში	**9 კლასი.** ქართული კულტურა XX საუკუნეში
26	შერეული (კულტურათშორისი) ქორწინება XX-XXI საუკუნეებში	**9 კლასი.** სსრკ-ს დაშლა. დამოუკიდებელი საქართველო
27	საზღვრისპირა ვაჭრობა და ეროვნებათშორისი კონტაქტები	**9 კლასი.** სსრკ-ს დაშლა. დამოუკიდებელი საქართველო
28	თანამედროვე შრომითი მიგრაცია და მისი გავლენა საზოგადოებაზე	**9 კლასი.** სსრკ-ს დაშლა. დამოუკიდებელი საქართველო
29	შრომითი მიგრაცია და ოჯახი	**9 კლასი.** სსრკ-ს დაშლა. დამოუკიდებელი საქართველო
30	თანამედროვე ქალაქი — კულტურათა გზაჯვარედინი და სივრცე კულტურათა დიალოგისთვის	**9 კლასი.** სსრკ-ს დაშლა. დამოუკიდებელი საქართველო

ეროვნული პროგრამის თემები		
მსოფლიო ისტორია და საქართველო, 11-12 კლ.	**სამოქალაქო აღზრდა, 9-10 კლ.**	**ასარჩევი საგნები**
12 კლასი. საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში XX საუკუნის მეორე ნახევარში	**9 კლასი.** მრავალფეროვანი საქართველო და მრავალფეროვანი სამყარო	**10-12 კლასები.** მსოფლიო კულტურა. კულტურის დინამიკა
12 კლასი. საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში XX საუკუნის მეორე ნახევარში	**9 კლასი.** სამართლიანი სამყარო და მშვიდობიანი თანაარსებობა	**11-12 კლასები.** სახელმწიფო და სამართალი. ადამიანი და სოციუმი. ადამიანი და სახელმწიფო
12 კლასი. გარდაქმან, სსრკ-ს და „სოციალისტური ბანაკის“ დაშლა	**9 კლასი.** მრავალფეროვანი საქართველო და მრავალფეროვანი სამყარო	**10-12 კლასები.** მსოფლიო კულტურა. კულტურის დინამიკა
12 კლასი. თანამედროვე საზოგადოება და კულტურა	**9 კლასი.** მრავალფეროვანი საქართველო და მრავალფეროვანი სამყარო	**11-12 კლასები.** სახელმწიფო და სამართალი. მოქალაქეების უფლებები და მოვალეობები
12 კლასი. გარდაქმნა, სსრკ-ს და „სოციალისტური ბანაკის“ დაშლა	**9 კლასი.** სამართლიანი სამყარო და მშვიდობიანი თანაარსებობა	**10-12 კლასები.** მსოფლიო კულტურა. კულტურის მრავალფეროვნება
12 კლასი. თანამედროვე საზოგადოება და კულტურა	**9 კლასი.** მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა	**10-12 კლასები.** მსოფლიო კულტურა. კულტურის მრავალფეროვნება
12 კლასი. საზოგადოება და კულტურა XX საუკუნის პირველ ნახევარში	**9 კლასი.** მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა	**10-12 კლასები.** მსოფლიო კულტურა. კულტურის დინამიკა
12 კლასი. იმპერიალიზმი და კოლონიალიზმი: საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში	**9 კლასი.** მრავალფეროვანი საქართველო და მრავალფეროვანი სამყარო	**11-12. კლასები.** სახელმწიფო და სამართალი. ადამიანი და სახელმწიფო
12 კლასი. საზოგადოება და კულტურა XX საუკუნის პირველ ნახევარში	**9 კლასი.** თავისუფალი საზოგადოება და არჩევანი	**10-12 კლასები.** მსოფლიო კულტურა. კულტურის დიმანიკა. გენდერული საკითხები
12 კლასი. თანამედროვე საზოგადოება და კულტურა	9 კლასი. მრავალფეროვანი საქართველო და მრავალფეროვანი სამყარო	**10-12 კლასები**. მსოფლიო კულტურა. კულტურის მრავალფეროვნება
12 კლასი. თანამედროვე საზოგადოება და კულტურა	**9 კლასი.** მრავალფეროვანი საქართველო და მრავალფეროვანი სამყარო	**11-12 კლასები.** სახელმწიფო და სამართალი. ადამიანი და სოციუმი
12 კლასი. თანამედროვე საზოგადოება და კულტურა	**9 კლასი.** კონფლიქტის წარმოქმნა და მისი მოგვარების საშუალებები	**10-12 კლასები.** მსოფლო კულტურა. კულტურის მრავალფეროვნება
12 კლასი. თანამედროვე საზოგადოება და კულტურა	**9 კლასი.** შრომის ბაზარი და ტენდენციები	**11-12 კლასები.** სახელმწიფო და სამართალი. ადამიანი და სახელმწიფო
12 კლასი. თანამედროვე საზოგადოება და კულტურა	**9 კლასი.** შრომის ბაზარი და ტენდენციები	**11-12 კლასები.** სახელმწიფო და სამართალი. ადამიანი და სოციუმი
12 კლასი. თანამედროვე საზოგადოება და კულტურა	**9 კლასი.** მრავალფეროვანი საქართველო და მრავალფეროვანი სამყარო	**10-12 კლასები.** მსოფლიო კულტურა. კულტურათა მრავალფეროვნება

ნაკვეთი I

კულტურული მემკვიდრეობა





ნაკვეთის „კულტურული მემკვიდრეობა“ საკვანძო კითხვები:

- რატომ შეიძლება ერთი ხალხის კულტურული ძეგლი მსოფლიო მემკვიდრეობის ინტერესს წარმოადგენდეს?
- როგორ და რატომ იცვლება ქალაქის იერ-სახე?
- რა წვლილი შეიტანეს გერმანელმა კოლონისტებმა აზერბაიჯანის ეკონომიკურ და კულტურულ პალიტრაში?
- როგორ ამდიდრებს ეროვნული კულტურა მსოფლიო კულტურულ მემკვიდრეობას?
- როგორ არის წარმოდგენილი სხვადასხვა კულტურის ურთიერთქმედება საერთო კულტურულ მემკვიდრეობაში?
- რატომ გახდა ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარია კულტურული დიალოგის სიმბოლო?
- როგორ აისახება კულტურასა და საზოგადოებაში მომხდარი ცვლილებები საკუთარი სახელის არჩევანში?
- რა როლს ასრულებს ძეგლები ხალხის ისტორიისა და კულტურის შესწავლაში?
- როგორ აისახა სერგო ფარაჯანოვის შემოქმედებაში კულტურათა დიალოგი?
- რა სახის იდენტობა შეიძლება ჰქონდეს ცალკეულ ადამიანს ან ადამიანთა ჯგუფს და როგორვლინდება ის ჩვენს ყოველდღიურ ურთიერთობაში?

რაზე დუმს ქალწულის კოშკი

▶ რატომ შეიძლება ერთი ხალხის კულტურული ძეგლი მსოფლიო მემკვიდრეობის ინტერესს წარმოადგენდეს?

▶ მოსწავლეთა ასაკი	13-18 წელი
▶ გაკვეთილისათვის საჭირო დრო	90 წუთი
▶ გაკვეთილის მიზანი	კონკრეტული არქიტექტურული ძეგლის — ბაქოს ქალწულის კოშკის მაგალითზე აჩვენოთ მოწავლეებს, თუ რა გავლენას ახდენენ სხვადასხვა ერის წარმომადგენლები ეროვნულ და მსოფლიო მემკვიდრეობაში შესული კულტურული ძეგლის შექმნაზე.
▶ შემოთავაზება დამატებითი ინფორმაციის მისაღებად	**1.** Бретаницкий Л. С., Веймарн Б. В. Искусство Азербайджана IV–XVIII веков. — М.: Искусство, 1976. **2.** Исламов А. Раскрывая тайны Девичьей Башни, Часть I. — [ელექტრონული რესურსი] «News Az.». — ხელმისაწვდომია მისამართზე: http://www.1news.az/analytics/20101006120439420.html. **3.** Виртуальный тур по Девичьей Башне. — ხელმისაწვდომია მისამართზე: http://www.icherisheher.gov.az/virtual_tur/. **4.** Велиев С. Древний, древний Азербайджан. Тайны Девичьей Башни. Зороастрийцы — жители Баку? — [ელექტრონული რესურსი] Карабах в документах. — ხელმისაწვდომია მისამართზე: http://www.karabakh-doc.azerall.info/ru/azerpeople/ap043-3.php. **5.** Насибов Ф. Архитектурные особенности Девичьей Башни. Часть 1. — [ელექტრონული რესურსი] «Окно в Баку». — ხელმისაწვდომია მისამართზე: http://www.window2baku.com/devbashnya21.htm. **6.** Walled City of Baku with the Shirvanshah's Palace and Maiden Tower. — [ელექტრონული რესურსი] UNESCO World Heritage. — ხელმისაწვდომია მისამართზე: http://whc.unesco.org/en/list/958//.
გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი სავარაუდო შედეგები	
▶ ყველა მოსწავლე	შეძლებს ბაქოს ქალწულის კოშკის აღწერას და დაასახელოს მისი დანიშნულების ვერსიები.
▶ მოსწავლეთა უმრავლესობა	შეძლებს მოდულის წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ახსნას, თუ რა გავლენა მოახდინა სხვადასხვა ერმა ბაქოში ქალწულის კოშკის მშენებლობის პროცესზე და მოიყვანოს სხვადასხვა ერის კულტურული მემკვიდრეობის ერთიანობის მაგალითები.
▶ ზოგიერთი მოსწავლე	შეძლებს გაანალიზოს და შეაფასოს, თუ რამდენად არგუმენტირებულია მკვლევართა ისტორიული ვერსიები და გამოთქვას დასაბუთებული აზრი კულტურათა სინთეზისა და დიალოგის შესახებ ბაქოს ქალწულის კოშკის, როგორც მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მაგალითზე.

მასწავლებლის მომზადება გაკვეთილისათვის	მოსწავლეებთან ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობისათვის საჭირო მასალების საკმარისი რაოდენობა, მოდულების ვიზუალური მასალების კარგი ხარისხის გამრავლებული ფოტოები (შეძლებისამებრ აჩვენეთ ფოტოები ეკრანზე), ქაღალდის ფურცლები ჩანაწერებისათვის ან სამუშაო რვეულები.

სამოტივაციო სავარჯიშო *(10 წუთი)*

შეძლებისამებრ აჩვენეთ მოსწავლეებს ეკრანზე, თუ არა და დაურიგეთ 1-ლ — მე-4 წყაროებში მოცემული კარგი ხარისხის ფოტოები. ნუ აჩვენებთ სქოლიოებს, რომლებმაც შეიძლება უკარნახოს მოსწავლეებს, რომელ დროს ეკუთვნის გამოსახულება. სთხოვეთ უპასუხონ 1-ლ კითხვას და შეასრულონ მე-2დავალება. თუ გაუჭირდათ, დაეხმარეთ მოსწავლეებს — მიაქციეთ მათი ყურადღება, როგორ იცვლება კოშკის მახლობლად მდებარე ნაგებობათა არქიტექტურა. ჰკითხეთ, რას მოწმობს ქალაქის პეიზაჟში ისეთი ნაგებობის ხანგრძლივი არსებობა, როგორიცაა კოშკი. გამოაცხადეთ (ჯობს, დაფაზე ან ქაღალდის დიდ ფურცელზე დაწეროთ) გაკვეთილის თემა და საკვანძო კითხვა.

ნაბიჯი 1 *(25 წუთი)*

დაყავით მოსწავლეები რამდენიმე სამუშაო ჯგუფად (არაუმეტეს 4-5 კაცისა თითოეულში) და დაურიგეთ მეორე ბლოკის წყაროები. წაუკითხეთ მე-3 და მე-4დავალებები.. შესასრულებლად მიეცით 8-10 წუთი. შესთავაზეთ ჯგუფებს, გააცნონ დამსწრეთ მომზადებული მოთხრობა, ამასთან კენჭისყრით განსაზღვრეთ, ვინ იქნება პირველი. დანარჩენმა მოსწავლეებმა უნდა მოისმინონ და ***შემდეგ მხოლოდ შეავსონ*** მოთხრობა. ჯგუფური მოთხრობის დამთავრების შემდეგ შესთავაზეთ მოსწავლეებს დაწერონ დაფაზე ან ქაღლდის დიდ ფურცელზე პასუხი მე-4 კითხვაზე.

ნაბიჯი 2 *(25-30 წუთი)*

დაურიგეთ მოსწავლეებს მესამე ბლოკის წყაროები. შესთავაზეთ წყვილ-წყვილად უპასუხონ მე-5 — მე-7 კითხვებს(15 წუთი) და ჩაიწერონ პასუხები ქაღალდის ფურცლებზე ან სამუშაო რვეულებში. მუშაობის დროს დარწმუნდით, რომ მოსწავლეებს ესმით ტექსტებში გამოყენებული ყველა სიტყვა. საჭიროების შემთხვევაში აუხსენით უცნობი სიტყვები (მაგალითად, *ობსერვატორია, აკლდამა* და ა.შ.). დახაზეთ დაფაზე ან ქაღალდის დიდ ფურცელზე ტაბულა 7.

სთხოვეთ მოსწავლეებს, რიგრიგობით შეიტანონ ტაბულაში თითო-თითო ჩანაწერი. მთელ კლასთან ერთად განიხილეთ პასუხები მე-5 და მე-6 კითხვებზე,თან აუცილებლად იმსჯელეთ, თუ რამდენად დასაბუთებულია ეს პასუხები. მოსწავლეთა ყურადღება გაამახვილეთ იმაზე, რომ განსაჯონ, რამდენად არგუმენტირებულია მკვლევართა ვერსიები ქალწულის კოშკის დანიშნულების თაობაზე. გაითვალისწინეთ, რომ ეს რთული დავალებაა და ყველა მოსწავლე ვერ შეძლებს ამის ამომწურავად ახსნას.

მოაწყვეთ მე-8 კითხვის საერთო განხილვა. მიაქციეთ მოსწავლეთა ყურადღება იმას, რომ ნაგებობის წარმოშობისა და დანიშნულების სვადასხვა ვერსიის არსებობა მეტყველებს მის ხანგრძლივ ისტორიაზე და დიდ მნიშვნელობაზე, და რომ სხვადასხვა ერები, რომლებიც ცხოვრობდნენ კოშკის მახლობლად, მრავალი საუკუნის მანძილზე არა მარტო ტოვებდნენ თავიანთი გავლენის კვალს მის არქიტექტურულ იერ-სახეში, არამედ სხვადასხვაგვარადაც ხსნიდნენ მის როლსა და ფუნქციებს.

ნაბიჯი 3 *(20 წუთი)*

დაურიგეთ მცირერიცხოვან ჯგუფებს ან თითოეულ მოსწავლეს მეოთხე ბლოკის წყაროები. მიეცით მე-9 დავალება (7-10 წუთი). მოაწყეთ მე-9 და მე-10 კითხვების განხილვა. სტიმული მიეცით მოსწავლეებს, რათა გამოიყენონ მოდულის საკვანძო ცნებები: *კულტურული მემკვიდრეობა, ეროვნული საგანძური, კულტურული ურთიერთგავლენა, უნიკალურობა, კულტურათა დიალოგი და სინთეზი.*

დასკვნითი განხილვა*(15 წუთი)*

გაიმეორეთ მოდულის საკვანძო კითხვა. სთხოვეთ მოსწავლეებს, მცირერიცხოვან ჯგუფებად მოამზადონ ისეთი მოთხრობა ქალწულის კოშკის შესახებ, რომელიც პასუხს გასცემს მოდულის საკვანძო კითხვას და გამოდგება ექსკურსიის ჩასატარებლად. მოუსმინეთ ერთ-ორ მოსწავლეს შერჩევით და სთხოვეთ დანარჩენებს შეაფასონ მოთხრობა ***შემდეგი კრიტერიუმებით:****თანმიმდევრულობა, მოთხრობის სისრულე, მაგალითების მართებულობა.*

ქალაქი, როგორც მრავალფეროვნების სარკე. თბილისი და მისი მცხოვრებნი XIX საუკუნესა და XX საუკუნის დამდეგს

▶ როგორ და რატომ იცვლება ქალაქის იერ-სახე?

▶ მოსწავლეთა ასაკი	13-18 წელი
▶ გაკვეთილისათვის საჭირო დრო	90 წუთი
▶ გაკვეთილის მიზანი	ქ. თბილისის მაგალითზე შევასწავლოთ სოციალურ-კულტურული ცვლილებები საქალაქო ყოფაში.
▶ შემოთავაზება დამატებითი ინფორმაციის მისაღებად	**1.** Анчабаязе Ю. Д., Волкова Н. Г. Старый Тбилиси. Город и горожане в XIX веке. — М.: Наука, 1990. **2.** Исторические карты Тбилиси. — Электронный журнал: http://www.livejournal.com/. **3.** Старый Тбилиси (Тифлисъ) на полотнах 19 столетия. — [Электронный журнал] http://www.liveinternet.ru/users/anna_27/post183414594/. **4.** История Тбилиси. — [Электронный журнал] http://journeye.com/georgia/tbilisi/.
გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი სავარაუდო შედეგები	
▶ ყველა მოსწავლე	შეძლებს გამოიყენოს მოდულის ტექსტობრივი და ვიზუალური წყაროები XIX საუკუნისა და XX საუკუნის დამდეგის თბილისის აღსაწერად, დაადგინოს წყაროების სახეობანი და შეადაროს წყაროებში მოცემული ინფორმაცია.
▶ მოსწავლეთა უმრავლესობა	შეძლებს გააანალიზოს ქალაქის იერ-სახის ცვლილებათა მიზეზები და განსაზღვროს მათი კავშირი თბილისში სხვადასხვა დროს მცხოვრებ ხალხთა გავლენასთან და XIX საუკუნისა და XX საუკუნის დამდეგის მოდერნიზაციის პროცესებთან.
▶ ზოგიერთი მოსწავლე	შეძლებს ახსნას მოდულის დასახელება და წყაროების ანალიზის საფუძველზე მოიყვანოს ქალაქ თბილისში კულტურათა დიალოგის მაგალითები ისტორიულ პერსპექტივაში.
▶ მასწავლებლის მომზადება გაკვეთილისათვის	მოსწავლეებისათვის განკუთვნილი მასალების საკმარისი რაოდენობა, მოდულის ხარისხიანად დაბეჭდილი გამოსახულებანი. თუ არის პროექტორი — ეკრანზე გამოსახულების ჩვენების შესაძლებლობა.

საერთო შენიშვნები

ამ მოდულზე მუშაობისათვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გქონდეთ ყველა ვიზუალური წყაროს ხარისხიანად დაბეჭდილი ფერადი გამოსახულებანი.

1) შეგიძლიათ ასე წარმართოთ მუშაობა: თანმიმდევრულად მიჰყევით წყაროების შესწავლას ბლოკების მიხედვით მათში მოცემული კითხვებისა და დავალებების გამოყენებით. ასეთ შემთხვევაში სჯობს განხილვა მოაწყოთ წყაროების ყოველი კომპლექტის შესწავლის შემდეგ და დაფაზე ან ქაღალდის დიდ ფურცელზე ჩაწეროთ მოსწავლეების მიერ შემოთავაზებული საკვანძო სიტყვები და გამოთქმები. გაკვეთილის ბოლოს დაუბრუნდით საკვანძო კითხვას, ხოლო კითხვები 19-20 შესთავაზეთ მოსწავლეებს საშინაო დავალების სახით.

2) შეგიძლიათ გამოიყენოთ ჯგუფური მუშაობა ბლოკის მასალების პარალელური შესაწავლისათვის და შეადაროთ მოსწავლეთა მიერ გამოტანილი დასკვნები დაგეგმილი სასწავლო შედეგების მისაღწევად.

გაკვეთილის დასაწყისი *(5-7 წუთი)*

ჰკითხეთ მოსწავლეებს:

- *რა არის ქალაქი?*
- *რით განსხვავდებიან ქალაქები ერთმანეთისაგან და რა აქვთ მათ საერთო?*
- *შემდეგ შესთავაზეთ შეარჩიონ რაც შეიძლება მეტი სიტყვა, რომელიც იწვევს მათში ასოციაციას სიტყვასთან "ქალაქი".*

ნაბიჯი 1 *(10 წუთი)*

აჩვენეთ მოსწავლეებს წყაროები 1-4. მიაქციეთ მათი ყურადღება სურათებისა და გრავიურების შექმნის თარიღს და იმას, თუ რას ასახავენ მათი ავტორები XVIII საუკუნის დამლევისა და XIX საუკუნის პირველი ნახევრის თბილისში.

„გონებრივი იერიშის" მეთოდით განსაზღვრეთ საკვანძო სიტყვები ქალაქის იმ იერ-სახის ასაღწერად, რომელსაც, ბავშვების აზრით, ეს გამოსახულებები ქმნის. **მოსალოდნელი პასუხები:** *ციხე-სიმაგრე, გალავანი, მიხვეულ-მოხვეული ვიწრო ქუჩები, დახლართული, ეკლესიები, მინარეთები, კოშკები, ძველებური, მთიანი ქალაქი, ძნელად მისადგომი და ა.შ.*

ნაბიჯი 2 *(15-20 წუთი)*

შესთავაზეთ მოსწავლეებს გასაანალიზებლად ტექსტები 5-9. მიაქციეთ მათი ყურადღება ტექსტების ჟანრს — მოგზაურთა ჩანაწერები. მიაქციეთ მათი ყურადღება იმას, თუ რომელი ქვეყნებიდან არიან ჩამოსული მოგზაურები, და იმას, რომ ეს დამატებით მოწმობს ინტერესს მოგზაურობისადმი და მოგზაურის ჩანაწერებისადმი, როგორც ლიტერატურის განსაკუთრებული ჟანრისადმი, XIX საუკუნეში.

თუ მოსწავლეებს ჩამოყალიბებული აქვთ ჯგუფური მუშაობის უნარ-ჩვევები, შეგიძლიათ შექმნათ ჯგუფები 3-5 კაცის შემადგენლობით და სთხოვოთ გაეცნონ ტექსტების შენარჩევს და უპასუხონ კითხვებს 2 და 4. თუ მოსწავლეებს გაუჭირდათ პასუხის გაცემა კითხვაზე 3, უკარნახეთ, რომ მოგზაურები აქცევდნენ ყურადღებას იმას, რაც ძალიან განასხვავებდა თბილისს მათი ქალაქებისაგან და იმას, რაც თავიანთ ქვეყანას აგონებდა.

სთხოვეთ თითოეული ჯგუფის მოსწავლეებს შეავსონ გამოსახულებები 1-4-სათვის მოძიებული საკვანძო სიტყვების სია ახალი სიტყვებით, რომლებსაც იპოვიან ტექსტებში 5-9. სთხოვეთ ჯგუფებს მოამზადონ პასუხი კითხვებზე 5 და 6. განხილვის დროს

მოუსმინეთ მოსწავლეებს შევსების მეთოდით — ყოველი ჯგუფი ან ავსებს წინა ჯგუფის ინფორმაციას, ან საკუთარ განმარტებას იძლევა.

ნაბიჯი 3

შესთავაზეთ მთელ კლასს ფოტოები 10-3. სთხოვეთ წყვილ-წყვილად უპასუხონ სერია 7-ის კითხვებს. მოუსმინეთ მოსწავლეებს. ყველამ ერთად გადახედეთ ბლოკ 1-ის შესწავლისას მოსწავლეთა მიერ შემოთავაზებული საკვანძო სიტყვების სიას.

ნაბიჯი 4 *(15 წუთი)*

მუშაობა მეორე ბლოკზე, აქტიურობის სტიმულირების მიზნით, შეგიძლიათ წარმართოთ მეთოდით „დანომრილი მონაწილეები“: მოსწავლეების რაოდენობა ყოველ ჯგუფში თანაბარი უნდა იყოს და თითოეულს უნდა მიენიჭოს თავისი ნომერი — 1-დან 5-მდე (6-მდე). ჯგუფებში წყაროების შესწავლისა და კითხვებზე 10-12 პასუხების მომზადების შემდეგ მასწავლებელი ასახელებს ნებისმიერ ნომერს ყოველ ჯგუფში და სთხოვს მოსწავლეს ზეპირად უპასუხოს კითხვას.

შესთავაზეთ ყველა ჯგუფის წევრებს შეავსონ ახალი სიტყვებით ან გამოთქმებით საკვანძო სიტყვებისა და ცნებების სია, რომელიც უკვე ჩამოყალიბებულია პირველი ბლოკის საფუძველზე, მაგალითად: *ფაბრიკა-ქარხნები, სასტუმრო ბიზნესი, უცხოელები, სატელეგრაფო ხაზები, კავშირგაბმულობა, დასავლური მოდა, ევროპული ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, მსოფლიო სტანდარტები, რკინიგზები, ვაჭრობა და ა.შ.*

ნაბიჯი 5 *(10 წუთი)*

წყაროებთან 19-24 მუშაობის დროს შეახსენეთ (თუ ნასწავლი აქვთ ეს მასალა ისტორიის გაკვეთილებზე) ან მოკლედ მოუყევით მოსწავლეებს, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთის იმპერიაში ჩატარდა რეფორმები, რომელთა შედეგადაც ცვლილებები მოხდა სასამართლო, ფინანსურ სფეროებში, შეიცვალა ადგილობრივი თვითმმართველობის წესები და ა.შ. ამიტომ ახალ სასტუმროებთან ერთად თანდათან გაჩნდა სასამართლოს, ბანკების, თეატრების, მხატვართა საზოგადოებებისა და სხვა შენობები. ეკონომიკური კავშირებისა და კულტურული გაცვლის გაფართოებამ მოიტანა ის, რომ მიღებული გახდა უცხოელი არქიტექტორებისა და მხატვრების, აგრეთვე საკუთარი ხალხის იმ წარმომადგენლების მოწვევა, რომლებმაც განათლება რუსეთის იმპერიის დედაქალაქებსა და ევროპის ქვეყნების ქალაქებში მიიღეს. სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის არქიტექტორებისა და მხატვრების თანამშრომლობა ამ პერიოდში ჩვეულებრივი მოვლენა იყო. რუსული და უცხოური კაპიტალის შემოღწევა XIX საუკუნის მეორე ნახევარში ხელს უწყობს ქალაქის მოდერნიზაციას, ჩნდება უცხოური სამრეწველო კომპანიები, იცვლება არქიტექტურული სტილი, შენდება ახალი საზოგადოებრივი და სხვა ნაგებობანი, რომლებიც დღესაც ამშვენებენ ქალაქს: ისლამური სახლი, კავკასიის მეაბრეშუმეობის სადგური, საქალაქო სასამათლოს, თეატრისა და ფუნიკულორის შენობები, რუსული და ლუთეული ეკლესიები, სასტუმროები და საცხოვრებელი სახლები.

მთელ კლასთან ერთად განიხილეთ კითხვები 16 და 17. შესთავაზეთ მოსწავლეებს კიდევ ერთხელ მიაქციონ ყურადღება საკვანძო სიტყვების სიას, რომელიც ჩამოყალიბდა მთელი გაკვეთილის განმავლობაში.

ნაბიჯი 6 Итоговое обсуждение *(10 წუთი)*

მოაწყეთ საკვანძო კითხვის შემაჯამებელი განხილვა. დაუბრუნდით მოდულის სახელწოდებას და სთხოვეთ მოსწავლეებს ახსნან იგი. მიაქციეთ ყურადღება ცნებას „მრავალფეროვნება“. საჭიროების შემთხვევაში შეაფასეთ მოსწავლეთა საქმიანობა გაკვეთილის განმავლობაში ერთ-ერთი მისაწვდომი მეთოდიკის გამოყენებით.

გერმანელი ახალმოსახლეები აზერბაიჯანის ტერიტორიაზე XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში

▶ რა წვლილი შეიტანეს გერმანელმა კოლონისტებმა აზერბაიჯანის ეკონომიკურ და კულტურულ პალიტრაში?

▶ მოსწავლეთა ასაკი	14-16 წელი
▶ გაკვეთილისათვის საჭირო დრო	45-90 წუთი
▶ გაკვეთილის მიზანი	შეასწავლოთ მოსწავლეებს ცოდნა აზერბაიჯანში გერმანელთა დასახლებების ისტორია და ქვეყნის ეკონომიკურ და კულტურულ მრავალფეროვნებაში მათი წვლილი.
▶ შემოთავაზება დამატებითი ინფორმაციის მისაღებად	**1.** Ибрагимов Н. А. Немецкие страницы истории Азербайджана. Баку, 1995. **2.** Зейналова С. Немцы Кавказа. Баку, 2008. **3.** Т. Н. Чернова-Дёке. Немецкие поселения на периферии Российской империи. Кавказ: взгляд сквозь столетия (1818–1917). — М.: «МСНК-пресс», 2008. **4.** Сабир Алиев. О славных и трагических страницах жизни немцев-переселенцев в Азербайджане. Немецкие переселенцы в Азербайджане. **5.** Электронный журнал «Ваш партнер в Германии». **6.** Рауф Гусейн-заде. Немцы Азербайджана. — [Электронный ресурс] Координационный совет азербайджанской молодежи. Раздел Публикации. **7.** [ელექტრონული რესურსი] «Наш Баку. История Баку и бакинцев»: http://www.ourbaku.com.
გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი სავარაუდო შედეგები	
▶ ყველა მოსწავლე	დაასახელებს აზერბაიჯანში გერმანელთა კოლონიების გაჩენის მიზეზებს; შეძლებს მოიყვანოს ახალმოსახლეთა სამეუნეო ცხოვრების მაგალითები.
▶ მოსწავლეთა უმრავლესობა	შეძლებს ახსნას კავკასიაში სხვადასხვა ერის ჩასხლების რუსეთის იმპერიული პოლიტიკის არსი და ჩამოთვალოს აზერბაიჯანში გერმანელთა კოლონიების ეკონომიკური საქმიანობის თავისებურებანი.
▶ ზოგიერთი მოსწავლე	შეძლებს დაახასიათოს აზერბაიჯანში გერმანელ ახალმოსახლეთა თავისებურებანი და მათი წვლილი ქვეყნის კულტრულ და ეკონომიკურ ცხოვრებაში.
▶ მასწავლებლის მომზადება გაკვეთილისათვის	მოსწავლეებთან ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობისათვის საჭირო მასალების საკმარისი რაოდენობა.

სამოტივაციო სავარჯიშო *(2–3 წუთი)*

1. დაწერეთ დაფაზე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე დასახლებული პუნქტების სახელწოდებები.

გოიგოლი — ჰელენენდორფი;
თაუზი — ტრაუბენფელდი;
ირმაშლი — ეიჰენფელდი;
ჩინარლი — გეორგენფელდი;
შამქირი — ანენფელდი

2. განუმარტეთ მოსწავლეებს, რომ სიტყვები ***feld*** და ***dorf*** გერმანულად ითარგმნება შესაბამისად როგორც *მინდორი* და *სოფელი*. დაუსვით კითხვა 2.
3. დაასახელეთ გაკვეთილის თემა და საკვანძო კითხვა.

ნაბიჯი 1 *(20 წუთი)*

4. წაიკითხეთ მინი-ლექცია ისტორიულ ცნობაზე დაყრდნობით.
5. სთხოვეთ მოწაფეებს წყვილ-წყვილად გაეცნონ პირველი ბლოკის მასალებს. წყაროების 1-2, 3-7 შესწავლისა და კითხვებზე 3,4,5 მუშაობის შემდეგ სთხოვეთ მოსწავლეებს ჩამოთვალონ XIX საუკუნის პირველ ნახევარში აზერბაიჯანში გერმანელ ახალმოსახლეთა გაჩენის მიზეზები. მიაქციეთ მათი ყურადღება იმას, რომ გადმოსახლების პროცესის აღწერა არ შეიცავს აზრებაიჯანის ადგილობრივი მოსახლეობის პოზიციას, რომ ეს იყო რუსეთის მთავრობის სახელმწიფო პოლიტიკა ცენტრალური ხელისუფლების გავლენის განსამტკიცებლად. მიაქციეთ მოსწავლეთა ყურადღება წყარო 7-ს, რომელშიც განმარტებულია, თუ რატომ იყვნენ პირველი გერმანელი კოლონისტები სწორედ ვიურტენბერგიდან, და აზერბაიჯანში პირველ გერმანულ დასახლებათა დარქმევის მოტივები. მიაქციეთ მათი ყურადღება იმასაც, რომ გადმოსახლების პროცესები გერმანიაში გააქტიურდა ნაპოლეონის ომებისა და ვენის კონგრესის 1815 წლის გადაწყვეტილებების შემდეგ. გამოკითხეთ მოსწავლეები ახალი ინფორმაციის თანამიმდევრული დამატების მეთოდით და ჩაწერეთ მიზეზების მიღებული სია დაფაზე ან ქაღალდის დიდ ფურცელზე.

ნაბიჯი 2 *(30 წუთი)*

6. დაყავით მოსწავლეები ორ ჯგუფად. პირველს დაავალეთ შეისწავლოს წყაროები 6-7, მეორეს —წყარო 8. თუ ჯგუფები რაოდენობრივად დიდია, შექმენით ოთხი ჯგუფი, ორ-ორი თითოეული დავალების შესასრულებლად. სთხოვეთ მოსწავლეებს ინდივიდუალურად გაეცნონ წყაროებს, შემდეგ კი მოამზადონ ჯგუფური პასუხი დასმულ კითხვაზე. მიაქციეთ მოსაწვლეთა ყურადღება იმას, რომ მერვე წყაროში აღწერილია კავკასიაში გერმანელ ახალმოსახლეთა ყოფნის პირველი წლები და ამიტომ კანონზომიერია, რომ ახალ ადგილზე ისინი პირველ ხანებში განკერძოებულად ცხოვრობდნენ. ამასთან მიუთითეთ, რომ წყაროში 9 ნახსენებია „კეთილმეზობლური ურთიერთობა“. ფოტოების 10, 12 გაანალიზებისას მიაქციეთ მოსწავლეთა ყურადღება ქალებისა და ბავშვების გარეგნობას და მოუყევით[1] იმდროინდელი ტრადიციული აზერბაიჯანული ტანსაცმლის შესახებ. მოისმინეთ ჯგუფების პასუხები.

[1] შეძლებისდაგვარად იპოვეთ ასეთი ტანსაცმლის ნიმუშები და აჩვენეთ მოსწავლეებს შესადარებლად.

7. კლასში ფრონტალური კითხვების მეშვეობით მოსწავლეებს შეასრულებინეთ ბლოკ 2-ის დავალება 9-ის პირველი ნაწილი. სარეკლამო განცხადების გასაანალიზებლად ტექნიკური შესაძლებლობის ფარგლებში აჩვენეთ იგი მოსწავლეებს ეკრანზე (თანდართული ტექსტის გარეშე) ან მოამზადეთ ეს გამოსახულება წყვილ-წყვილად გაანალიზებისათვის საკმარისი რაოდენობის ცალკეულ ფურცლებზე. წყარო13-ის გაანალიზებისას თანამიმდევრულად დაუსვით მოსწავლეებს კითხვები:

- *რისი რეკლამაა?*
- *რომელი საწარმო უშვებს პროდუქციას? ვინ არიან საწარმოს მფლობელები?*
- *როდის შეიქმნა საწარმო?*
- *სად არის საწარმოს მთავარი სამმართველო?*
- *სად არის საწარმოს განყოფილებები (ფილიალები)? რას მოწმობს ეს?*
- *საწარმოს მფლობელთა რა საოციალურ სტატუსზე მეტყველებს მისი ასეთი რეკლამა?*

ქრისტოფორ ფორერის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიწოდებისას მოსწავლეთა ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ იგი მოხსენიებულია წყაროში 9.

დაუსვით მოსწავლეებს კითხვა: *„რა დამატებითი ინფორმაცია მიიღეთ აზერბაიჯანში გერმანელ კოლონისტთა სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების შესახებ?“* შერჩევითად მოისმინეთ მოსწავლეთა პასუხები.

იმსჯელეთ კითხვაზე 10. მასზე პასუხის გაცემის გასაადვილებლად შესთავაზეთ მოსწავლეებს დაუბრუნდნენ პირველი ბლოკის წყაროებს 3,4,5.

ნაბიჯი 3 *(25 წუთი)*

8. წარმართეთ მესამე ბლოკის მასალების შესწავლა დავალება 9-ის შესაბამისად. შესთავაზეთ მოსწავლეებს ბლოკი 1,2,3-ის მასალების მიხედვით დაწერონ ვითომ არსებული სახელმძღვანელოს ერთი გვერდი, ამასთან მიაქიეთ მათი ყურადღება იმას, რომ ამ ბლოკის თემის საილუსტრაციოდ უნდა აირჩიონ ბლოკ 3-ის მხოლოდ ერთი წყარო და დაასაბუთონ სწორედ ამ წყაროს გამოყენების მიზანშეწონილობა.

9. თუ დრო მოგრჩათ, შესთავაზეთ მოსწავლეებს წყვილ-წყვილად გაუცვალონ ერთმანეთს ნამუშევრები და შეაფასონ ერთმანეთის შედეგები შინაარსის გადმოცემის ლოგიკურობის, თანმიმდევრულობისა და სისრულის კრიტერიუმებით.

ნაბიჯი 4 დასკვნითი განხილვა *(10 წუთი)*

კითხვები 11,12-ის მიხედვით. მაგალითად, კითხვა 11-ის განხილვისას **მოსალოდნელია შემდეგი პასუხები:** *ბავშვების ცხოვრება და ოჯახური ტრადიციები, განათლება, კონტაქტები და ურთიერთობა ადგილობრივ მოსახლეობასთან, სოციალურ ფენებად დაშლა, ასიმილაციის პოლიტიკის არსებობა/არარსებობა, გამოჩენილი ადამიანები* და ა.შ. შეგიძლიათ მოაწყოთ მინი-კონკურსი „ვითომ ინტერვიუს“ საუკეთესო კითხვაზე.

დამატებითი ინფორმაცია

1) აზერბაიჯანში გერმანელთა თემისადმი მოსწავლეების ინტერესის გასაღრმავებლად შეგიძლიათ გამოიყენოთ შემდეგი ინფორმაცია და აჩვენოთ ფილმი შემდგომი განხილვით.

ბაქოში შედგა პრემიერა ფილმისა „ისე არ მოკვდე, რომ შური არ იძიო. წერილები წარსულიდან“. ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე *(http://www.trend.az/life/culture/2300679.html). ფილმი გადაღებულია აზერბაიჯანის კულტურისა და ტურიზმის სამინისტროს შეკვეთით ჯაფარ ჯაბარლის სახელობის კინოსტუდია „აზერბაიჯანფილმის“ მიერ აზერბაიჯანში, საქართველოსა და გერმანიაში. კინოსურათი მოგვითხრობს აზერბაიჯანში XIX საუკუნის დამდეგს გადმოსახლებულ გერმანელ კოლონისტებზე, მაგრამ ისტორია თითქოს წარსულიდან დღევანდელობაშია გადმოტანილი. სიუჟეტს ღრმა მორალური აზრი აქვს. იგი ეხება ტრაგიკულ მოვლენებს, რომლებიც გადაიტანა აზერბაიჯანის გერმანელმა მოსახლეობამ XX საუკუნეში.*

2) შეგიძლიათ აგრეთვე შესთავაზოთ მოსწავლეებს გაეცნონ Facebook-ში ორგანიზაციის «Konkordia – Исследовательский Центр. Helenendorf, Еленендорф» სოციალური კონტაქტების ჯგუფის ჩანაწერებს.

3) რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე გერმანელი ახალმოსახლეებისა და XIX-XX საუკუნეებში მათი ბედის შესახებ თემის შესწავლა შესაძლებელია გაგრძელდეს პროექტის მონაწილე ნებისმიერ ქვეყანაში, განსაკურებით უკრაინაში.

4) წყაროების შერჩევის ამგვარი ალგორითმი შეგიძლიათ გამოიყენოთ მუდმივ დასახლებათა დაარსებასთან დაკავშირებული მიგრაციის თემის შესასწავლად.

კულტურათა დიალოგი და კულტურული მემკვიდრეობა

▶ როგორ არის წარმოდგენილი სხვადასხვა კულტურის ურთიერთქმედება საერთო კულტურულ მემკვიდრეობაში?

▶ მოსწავლეთა ასაკი	14-18 წელი
▶ გაკვეთილისათვის საჭირო დრო	90 წუთი
▶ გაკვეთილის მიზანი	კონკრეტულ კულტურულ-ისტორიულ ძეგლებზე დაკვირვებითმოსწავლე გაიაზრებს „კულტურული მემკვიდრეობის“ მნიშვნელობასა და სხვადასხვა ხალხის კულტურათა ურთიერთზეგავლენას
▶ შემოთავაზება დამატებითი ინფორმაციის მისაღებად	**1.** World Heritage List. — [ელექტრონული რესურსი]. — ხელმისაწვდომია მისამართზე: http://whc.unesco.org/en/list. **2.** Відлуння віків: український пам’яткоохоронний інтернетресурс [ელექტრონული რესურსი]. — ხელმისაწვდომია მისამართზე: http://pamjatky.org.ua. **3.** Moldovenii. [ელექტრონული რესურსი]. — ხელმისაწვდომია მისამართზე: http://www.moldovenii.md/ru/section/470. **4.** Полуостров сокровищ. [ელექტრონული რესურსი]. — ხელმისაწვდომია მისამართზე: http://poluostrov-krym.com. **5.** Наш Баку. [ელექტრონული რესურსი]. — ხელმისაწვდომია მისამართზე: http://www.ourbaku.com.
გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი სავარაუდო შედეგები	
▶ ყველა მოსწავლე	მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის კონკრეტული ძეგლებისმაგალითზე გაეცნობა სხვადასხვა ხალხის კულტურათა ურთიერთზეგავლენას.
▶ მოსწავლეთა უმრავლესობა	დახვეწს წყაროებზე მუშაობის ჩვევას და შეძლებს თემატური გამოფენისთვის წყაროების შერჩევას
▶ ზოგიერთი მოსწავლე	კულტურული ურთიერთზეგავლენის თვალსაზრისით დაახასიათებს მოდულში წარმოდგენილ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს; გააანალიზებს ვიზუალურ და წერილობით წყაროებს.
▶ მასწავლებლის მომზადება გაკვეთილისათვის	ჯგუფური მუშაობისთვის მოამზადეთ საკლასო ინვენტარი, პრეზენტაციისთვის — ფლიპჩარტები, ასევე მარკერები, წებო და მაკრატელი.პრინტერზე ამობეჭდეთ გამოფენისთვის შერჩეული მასალა.

მეცადინეობის დასაწყისი *(10 წუთი)*

ჯგუფები მუშაობენ პირველი ბლოკის მასალაზე.

ნაბიჯი 1 *(5 წუთი)*

მოსწავლეები პასუხს სცემენ კითხვა 3-ს. თავდაპირველად მიზანშეწონილია განიხილოთ, როგორ და სად ვლინდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების პოლიკულტურული ხასიათი, რათა შემდგომში წყაროებზე დამოუკიდებელი მუშაობის დროს მოსწავლეებს გაუადვილდეთ კულტურული ზემოქმედების ფორმების და ზეგავლენის გარჩევა. განიხილეთ, რომ გავლენა შეიძლება გამოვლინდეს კულტურის სხვადასხვა დარგში (არქიტექტურა, ლიტერატურა, ფერწერა, მეცნიერება, კინო და ა. შ.) ანჰქონდეს სხვადასხვა ფორმა: პირდაპირი ნასესხობა; ნასესხები ფორმებისა და იდეების საფუძველზე ახლის შექმნა; ერთ კულტურაში შექმნილი ძეგლის სხვა კულტურებში ტრანსფორმაცია; ძეგლის რესტავრაცია, აღდგენა და შენარჩუნება; ერთი ეთნოსის მიერ მეორის კულტურაში შეტანილი წვლილი; შეიძლება უარყოფითი გავლენის მაგალითებიც არსებობდეს, მაგალითად, ძეგლის განადგურება ან მისი არამიზნობრივი გამოყენება და ა. შ.

ნაბიჯი 2 ამოცანის დასახვა *(5 წუთი)*

მოსწავლეებს გააცანით დავალება 4. აუხსენით (სასურველია მაგალითების მოშველიებით),რომ პოლიკულტურულობა არა მარტო ძეგლის შექნისას შეიძლება გამოვლინდეს, არამედ მის შემდგომ ბედშიც. მოსწავლეების მომავალი გამოფენა შეიძლება ასახავდეს კულტურის სხვადასხვა სფეროს ობიექტებს, ასევე კულტურათა ურთიერთგავლენის სიღრმეს, მათ შეიძლება აირჩიონ პრობლემის კონკრეტული ასპექტი(მაგ.: არქიტექტურა ან ამათუ იმ ეთნოსის დამსახურება მსოფლიო მემკვიდრეობის წინაშე). მოსწავლეებს შეუძლიათ წარმოადგინონ კულტურათა ურთიერთგავლენის შემცველი ნებისმიერი საკუთარი ვარიანტი და ფორმა. მოსწავლეების მთავარი მიზანია განსაზღვრონ გამოფენის კონცეფცია (იდეა), შეარჩიონ ობიექტები, სტენდის სახელწოდება და დიზაინი, 3 ძეგლის საფუძველზე წარმოადგინონ ამ ძეგლების შესახებ ინფორმაციით გამყარებული კონცეფცია.

წყაროების ანალიზისა და ობიექტების შერჩევის პროცესში მოსწავლეებს დაეხმარება წყაროების შემდეგ დასმული კითხვები.

შეგიძლიათმოდულში მოცემული ყველა ობიექტი განიხილოთ. შესაძლებლობის შემთხვევაში (თუ წყაროებს განხილვას წინასწარ საშინაო დავალებად მისცემთ ან კლასში გაქვთ შესაბამისი საცნობარო ლიტერატურა ან ინტერნეტით სარგებლობის საშუალება და სხვ.), დაავალეთ მოსწავლეებს, მოიძიონ დამატებითი ლიტერატურა წყაროებზე 2-7. შეაფასეთ კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების არჩევანი — სწორედ ობიექტების და არა წყაროების: კონკრეტული წყარო შეიძლება შეიცავდეს ინფორმაციას რამდენიმე ობიექტის შესახებ, ხოლო მასალაში ყოველი ობიექტის, მაგალითად, ლვოვის სომხური ეკლესიის შესახებ, გამოიყოს ინფორმაცია ცალკე ფრესკების და ცალკე შენობის შესახებ.

საგამოფენო სტენდზე საკუთარი კონცეფცია ფლიპჩარტზე შეიძლება წარმოადგინოთ.

ნაბიჯი 3 ობიექტების საგამოფენოდ მომზადება *(30 წუთი)*

მოსწავლეები შეისწავლიან მასალას და გამოფენისთვის ირჩევენ სამ ობიექტს. აყალიბებენ კონცეფციას (თუ დრო საკმარისი აქ გაქვთ, ეს სამუშაო საშინაო დავალებად მიეცით).

წყვილები გააერთიანეთ 4-6-კაციან 4-6 ჯგუფში. უკვე ჩატარებული მუშაობის საფუძველზე ჯგუფები საბოლოო კონცეფციას აყალიბებენ და ზეპირ პრეზენტაციას ამზადებენ.

ნაბიჯი 4 ჯგუფების წარმომადგენლები საკუთარ არჩევანს ასაბუთებენ *(25 წუთი)*

ინფორმაციის დასაზუსტებლად სხვა ჯგუფის წარმომადგენლებს შეუძლიათ კითხვების დასმა.

ნაბიჯი 5 პრეზენტაციის ანალიზი *(5 წუთი)*

რომელი პრეზენტაცია იყო უფრო დამაჯერებელი? რატომ?
განიხილეთ:

– *თქვენ მიერ შერჩეული ობიექტების კონცეფცია;*

– *თქვენი სტენდის სახელწოდება;*

– *ობიექტების შერჩევის პრინციპები;*

– *ჩვენებისთვის არჩეული ობიექტების უპირატესობები.*

მიზანშეწონილია გამოფენისთვის ობიექტების შერჩევისადმი განსხვავებული მიდგომების განხილვა: სხვადასხვა ეთნიკური კულტურის ურთიერთზეგავლენის ჩვენება; ურთიერთზეგავლენის წარმოჩენა კულტურის სხვადასხვადარგში, გავლენა ზედაპირულია თუ სიღრმისეული და ა. შ.

შემაჯამებელი განხილვა *(5 წუთი)*

როგორ არის წარმოდგენილი სხვადასხვა კულტურის ურთიერთქმედება საერთო კულტურულ მემკვიდრეობაში?

„გონებრივი იერიშის“ მეთოდის გამოყენებით მოსწავლეები კულტურული ურთიერთზეგავლენის სხვადასხავა ფორმის სიას შეადგენენ.

ეროვნული მემკვიდრეობის ადგილი მსოფლიო კულტურაში
(სომეხი ხალხის მიღწევების მაგალითზე)

▶ როგორ ამდიდრებს ეროვნული კულტურა მსოფლიო კულტურულ მემკვიდრეობას?

▶ მოსწავლეთა ასაკი	15-18 წელი
▶ გაკვეთილისათვის საჭირო დრო	45 წუთი
▶ გაკვეთილის მიზანი	მოსწავლეები გაიაზრებენ კულტურული მემკვიდრეობის როლს ეროვნული იდენტობის შენარჩუნებისა და მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის გამდიდრების საქმეში.
▶ შემოთავაზება დამატებითი ინფორმაციის მისაღებად	**1.** Гаюк И. Иллюстрированная энциклопедия Армянской культуры в Украине, Т. 1, Львов: Афиша, 2012. **2.** Традиции армян: Семья. Исторический очерк. — [ელექტრონული რესურსი]: http://www.hayadat.ru/
გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი სავარაუდო შედეგები	
▶ ყველა მოსწავლე	შეაფასებს სომხური კულტურული მემკვიდრეობის მრავალფეროვნებას.
▶ მოსწავლეთა უმრავლესობა	არგუმენტირებულად დასაბუთებს ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის როლს ეროვნული იდენტობის შენარჩუნების საქმეში და მის მნიშვნელობას მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობისათვის.
▶ ზოგიერთი მოსწავლე	გააანალიზებს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ფორმირების პროცესს და მის ადგილს თანამედროვე მსოფლიოში.
▶ მასწავლებლის მომზადება გაკვეთილისათვის	სთხოვეთ მოსწავლეებს მოიტანონ ერთი ფოტო ან ნივთი, რომელიცსომეხი ხალხისა და მისი კულტურისთვისაა დამახასიათებელი. მოტანილი მასალით მოამზადეთ მინი-გამოფენა, რომელსაც გაკვეთილის დაწყებამდე მოსწავლეები დაათვალიერებენ. მოამზადეთ: **1.** ფოტოების და ტექსტების 6 კომლექტი დასარიგებლად (იხ. ნაბიჯი 2); **2.** A4 ფორმატის ფურცელზე დახაზული 6 ცხრილი წყაროების და ფოტოების დასაჯგუფებლად, A1 ფორმატის საერთო ცხრილი (იხ. ნაბიჯი 2); **3.** 6 ფერის მარკერი.

მეცადინეობის დასაწყისი *(5 წუთი)*

მოსწავლეებს ეკრანზე ან წიგნში აჩვენეთ შარლ აზნავურის ფოტო (წყარო 1). შემდეგ ჰკითხეთ:

- *იცნობთ თუ არა ამ ადამიანს?*
- *ვინ არის? რა იცით მის შესახებ?*

თუ მას ვერავინ იცნობს, მოკლედ უამბეთ მის შესახებ.

ცნობილი ფრანგი მომღერალი, სომხური წარმოშობის კომპოზიტორი, მწერალი და მსახიობი შარლ აზნავური დაიბადა საფრანგეთში 1924 წელს. არის დაახლოებით 1000 სიმღერის ავტორიდა 100 მილიონზე მეტი მისი ფირფიტააგაყიდული, ითამაშა 60 ფილმში. 2009 წლიდან არის სომხეთის ელჩი შვეიცარიაში და ქვეყნის მუდმივი წარმომადგენელი იუნესკოში.

სთხოვეთ მოსწავლეებს გაეცნონ წყაროებს 2-4. დაუსვით კითხვები. პასუხების გაცემისას მოსწავლეები უნდა მივიდნენდასკვნამდე, რომ ეროვნულ იდენტურობას ეროვნული კულტურა, ტრადიციები და რელიგია განსაზღვრავს.

ბლოკი 1. მუშაობა გამოფენის მასალებზე

ნაბიჯი 1 გამოფენასთან დაკავშირებული კითხვები *(4 წუთი)*

დაათვალიერეთ თქვენ მიერ მოტანილი ფოტოებისა და ნივთების გამოფენა. მასწავლებელი დაფაზე წერს მოსწავლეების მიერ შერჩეულ საკვანძო სიტყვებს, რომლებიც კულტურული მემკვიდეობის მრავალფეროვნებაზე მეტყველებს.

ბლოკი 2. სომხური კულტურული მემკვიდრეობის მრავალფეროვნების მაგალითები.

ნაბიჯი 2 წყაროებზე მუშაობა *(12 წუთი)*

მოსწავლეები გაანაწილეთ ჯგუფებში და მიანიჭეთ მათ ნომერი 1-დან 6-მდე. მოსწავლეებს დაურიგეთ ფოტოები და წერილობითი წყაროები 5-28, ასევე ცხრილებიმათდასაჯგუფებლად. ყოველ ჯგუფს უნდა ჰქონდეს თითო ფერის მარკერი და A4 ფურცელზე ამობეჭდილი უბრალო ცხრილი.

A ხალხური შემოქმედება	**B** რელიგია	**C** ენა	**D** არქიტექტურა

E ხელოვნება	**F** ოჯახი	**G** ხალხური წეს-ჩვეულებები და ტრადიციები	**H** მუსიკა

A1 ფორმატის ფურცელზე მოამზადეთ შედეგების შემაჯამებელიცხრილი. სთხოვეთ მოსწავლეებს შეასრულონ დავალება 8.

წყაროებისა და ფოტოების დასაჯგუფებელი საერთო ცხრილი:

სომხური კულტურული მემკვიდრეობის მრავალფეროვნება

A ხალხური შემოქმედება						**B** რელიგია						**C** ენა						**D** არქიტექტურა					
ჯგუფები																							
1	2	3	4	5	6	1	2	3	4	5	6	1	2	3	4	5	6	1	2	3	4	5	6
E ხელოვნება						**F** ოჯახი						**G** ხალხური წეს-ჩვეულებები და ტრადიციები						**H** მუსიკა					
ჯგუფები																							
1	2	3	4	5	6	1	2	3	4	5	6	1	2	3	4	5	6	1	2	3	4	5	6

ჯგუფების წევრებს საკუთარ ცხრილებში გადააქვთ შედეგები. შემდეგ ყოველი ჯგუფის თითო წარმომადგენელი მიდის საერთო ცხრილთან და ჯგუფის ნომრის შესაბამის გრაფაში წერს დავალების შედეგს. მასწავლებელი კლასთან ერთად განიხილავს მუშაობის შედეგებს.

ნაბიჯი 3 ცხრილთან მუშაობის განხილვა *(12 წუთი)*

1. *დააკვირდით ცხრილს. ყველა ჯგუფის მუშაობის შედეგი ერთნაირია თუ არა?*
2. *რატომაა ჩაწერილი გრაფებში სხვადასხვა ნომერი?*
3. *დაფიქრდით, ხომ არ შეესაბამება რომელიმე წყარო ერთზე მეტ გრაფას? რატომ ფიქრობთ ასე?*
4. *ხომ არ იყო ჯგუფებში წინადადება, რომელიმე წყარო სხვა გრაფაში გადაგეტანათ? თუ „დიახ“, რომელში?*
5. *როგორ ფიქრობთ, ქმნის თუ არა თქვენ მიერ მოწყობილი გამოფენა და მოცემული წყაროები სრულყოფილ წარმოდგენას სომხურ კულტურულ მემკვიდრეობაზე? პასუხი დაასაბუთეთ..*
6. *შეარჩიეთ 1-2 კატეგორია, რომელიც, თქვენი აზრით, ყველაზე მეტად მოქმედებს ხალხის იდენტობაზე, და კიდევ 1-2, რომელიც მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.*

განხილვის შემდეგ მოსწავლეები მიდიან დასკვნამდე, რომ მსოფლიო მემკვიდრეობა ძალიან მრავალფეროვანია და მნიშვნელოვან როლს ასრულებს: ეხმარება ადამიანს თავისი იდენტობის განსაზღვრაში, ხალხებს კი — ეროვნული იდენტობის შენარჩუნებაში, გვაწვდის ინფორმაციას ხალხის ისტორიისა და განვითარების შესახებ. მეორე მხრივ, ეროვნული კულტურული მემკვიდრეობა მსოფლიო კულტურის განვითარებაზე ახდენს გავლენას და ამდიდრებს მას.

ბლოკი 3. სომხური კულტურული მემკვიდრეობის მრავალფეროვნების მაგალითები

ინფორმაცია მასწავლებლისთვის:

იუნესკოს მიერ კულტურული მემკვიდრეობის განსაზღვრება

იუნესკოს ამჟამინდელიკონვენცია „კულტურულ მემკვიდრეობად“ მიიჩნევს: ძეგლებს: არქიტექტურის, მონუმენტური სკულპტურისა და ფერწერის ნაწარმოებებს, არქეოლოგიური ხასიათის ელემენტებს ან სტრუქტურებს, წარწერებს, გამოქვაბულებს და ელემენტების ჯგუფებს, რომლებსაც ისტორიის, ხელოვნების ან მეცნიერების თვალსაზრისით თვალსაჩინო უნივერსალური ღირებულება აქვთ; ანსამბლებს: ცალკეულ ან გაერთიანებულ ნაგებობათა ჯგუფებს, რომელთა არქიტექტურას, ერთიანობას ან გარემოსთან კავშირს ისტორიის, ხელოვნების ან მეცნიერების თვალსაზრისით თვალსაჩინო უნივერსალური ღირებულება აქვს; ღირსშესანიშნავ ადგილებს: ადამიანის ქმნილებას ან ადამიანისა და ბუნების ერთობლივ ქმნილებას, აგრეთვე ზონებს, ღირსშესანიშნავი არქეოლოგიური ადგილების ჩათვლით, რომლებსაც ისტორიის, ესთეტიკის, ეთნოლოგიის ან ანთროპოლოგიის თვალსაზრისით თვალსაჩინო უნივერსალური ღირებულება აქვს.[1]

იუნესკოს არამატერიალური კულტურის მემკვიდრეობის ცნება

1. „არამატერიალური კულტურის მემკვიდრეობაში“ იგულისხმება წეს-ჩვეულებები, წარმოდგენისა დაგამოხატვის ფორმები, აგრეთვე მათთან დაკავშირებული ინსტრუმენტები და საგნები, არტეფაქტები და კულტურული სივრცეები, რომლებიც ერთობების, ჯგუფებისა და, ზოგიერთ შემთხვევაში, ცალკეული პირების მიერ მათი კულტურული მემკვიდრეობის ნაწილადაა აღიარებული. თაობიდან თაობაზე გადაცემული ასეთი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა ადამიანთა ერთობებისა და ჯგუფების მიერ მუდმივად ახლდებაისტორიული პროცესების განვითარების, გარემოსა დაბუნებასთან ურთიერთქმედების შესაბამისად და უყალიბებს მათ თვითმყოფადობისა და მემკვიდრეობითობის გრძნობას, რითაც ხელს უწყობს კულტურული მრავალფეროვნებისა და ადამიანის შემოქმედებისადმი პატივისცემას. მოცემული კონვენციის მიხედვით, მხედველობაში მიიღება მხოლოდ ის არამატერიალური კულტურურული მემკვიდრეობა, რომელიც შეესაბამება ადამიანის უფლებების საკითხში საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს, მოთხოვნებს სხვადასხვა ერთობებს, ჯგუფებსა და ცალკეულ ადამიანებს შორის ურთიერთპატივისცემის, აგრეთვე მდგრადი განვითარების შესახებ.

[1] Convention Concerning the Protection of the World Cultural and Natural Heritage. — [ელექტრონული რესურსი] http://whc.unesco.org/en/conventiontext/. — ხელმისაწვდომია მისამართზე: http://whc.unesco.org/archive/convention-ru.pdf.

2. „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა“, ზემოთ მოყვანილ პირველ პუნქტში განსაზღვრების შესაბამისად, გამოხატულია, კერძოდ, შემდეგ სფეროებში:

ა) არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიშნების მატარებელი ზეპირი ტრადიციები და მათი გამოხატვის ფორმები, ენის ჩათვლით;

ბ) საშემსრულებლო ხელოვნება;

გ) წეს-ჩვეულებები, ადათები, დღესასწაულები;

დ) ცოდნა ბუნებისა და სამყაროს შესახებ და მასთან დაკავშირებული ჩვეულებები;

ე) ტრადიციულ ხელოსნობასთან დაკავშირებული ცოდნა და უნარები.[1]

იუნესკოს პროგრამა „მსოფლიო მეხსიერება“ მოწოდებულია ხელი შეუწყოს მსოფლიო მემკვიდრეობის, საარქივო ფონდებისა და ბიბლიოთეკების კოლექციების ფასეული ობიექტების შენარჩუნებასა და ხელმისაწვდომობას. ეს მემკვიდრეობა ასახავს ენების, კულტურებისა და ხალხების მრავალფეროვნებას, სამყაროს და მის მეხსიერებას.[2]

ნაბიჯი 4 წყაროებზე მუშაობა *(5 წუთი)*

დავალება მთელი კლასისთვის: გაეცნონ წყაროებს 29-33. დაუსვით კითხვები 9-12.

შემაჯამებელი განხილვა *(7 წუთი)*

საკვანძო კითხვაზე პასუხის გაცემისას მოსწავლეები უნდა მივიდნენ დასკვნამდე, რომ ხალხის მიერშექმნილი კულტურული მემკვიდრეობა არა მარტო იდენტობისა და თვითმყოფადობის შენარჩუნების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, არამედ მსოფლიო კულტურის ნაწილიც. სომეხმა მხატვრებმა საყოველთაოდ ცნობილი შედევრებიშექმნეს. არქიტექტურისა და ხალხური შემოქმედების ძეგლების სანახავად სომხეთში ტურისტები მსოფლიოს ყველა კუთხიდან ჩადიან. კულტურული მემკვიდრეობა შთააგონებს ადამიანებსა და ხალხებს, ეხმარება მათ საერთო და მსგავსი ფასეულობების პოვნაში და ურთიერთგაგებაში.

შენიშვნა: თუ მოდულის მასალაზე მუშაობა სომხეთში არ მიმდინარეობს, გირჩევთ, ერთი გაკვეთილი მიუძღვნათ სომხურ, მეორე კი — ადგილობრივ მასალას. გამოფენა შეიძლება მოაწყოთ როგორც სომხეთის, ასევე თქვენი ქვეყნის იმ ძეგლებისა და კულტურული ელემენტების თემაზე, რომლებიც შეტანილია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში.

[2] Convention for the Safeguarding of the Intangible Cultural Heritage 2003. — [ელექტრონული რესურსი] http://portal.unesco.org/en/ev.php-URL_ID=17716&URL_DO=DO_TOPIC&URL_SECTION=201.html. — ხელმისაწვდომია მისამართზე: http://unesdoc.unesco.org/images/0013/001325/132540r.pdf.

[2] Память мира. Бюро ЮНЕСКО в Москве. — [ელექტრონული რესურსი] http://www.unesco.org/new/ru/moscow/communication-information; — ხელმისაწვდომია მისამართზე: http://www.unesco.org/new/ru/moscow/communication-information/memory-of-the-world/

ამიერკავკასიის სემინარია

▶ რატომ გახდა ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარია კულტურული დიალოგის სიმბოლო?

▶ მოსწავლეთა ასაკი	14-17 წელი
▶ გაკვეთილისათვის საჭირო დრო	45-90 წუთი
▶ გაკვეთილის მიზანი	ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიის მაგალითზე წარმოაჩინოთ განათლების როლი კავკასიაში კულტურული დიალოგის ჩამოყალიბებაში.
▶ შემოთავაზება დამატებითი ინფორმაციის მისაღებად	**1.** Гюльмамедов М. С. Благородная миссия просвещения. — Тбилиси: Б., 1990. **2.** Мехти-заде Земфира Мехти кызы. Жизнь и педагогическая деятельность А. О. Черняевского. — Баку: Маариф, 1983. **3.** Ахмедов Гусейн Мустафа оглы. История развития школьного образования в Азербайджане в XIX веке. — Баку: Элм, 1972. **4.** Ф.И.Сеидов «Горийская семинария и ее выпускники» — Баку., Маариф., 1988 г. **5.** Собри А. Радостная весть: Воспоминания. Перевод с азерб./ЛАз 1971. — №9. — С. 101–104. **6.** Е.Е.Хатаев. Школа и педагогическая мысль народов Северного Кавказа (втор. половина XIX в. — 1917) / Авторефер. диссерт. докт. пед. наук.— М., 1996.
გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი სავარაუდო შედეგები	
▶ ყველა მოსწავლე	გაეცნობა ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიის საქმიანობას.
▶ მოსწავლეთა უმრავლესობა	გაიაზრებს ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიის გავლენას კავკასიის ხალხთა კულტურულ განვითარებაზე.
▶ ზოგიერთი მოსწავლე	შეძლებს გაიაზროს, თუ როგორ შეიძლება განათლების სისტემამ სხვადასხვა ისტორიულ პირობებში გავლენა მოახდინოს ერებს შორის კულტურული დიალოგის ჩამოყალიბებაზე.
▶ მასწავლებლის მომზადება გაკვეთილისათვის	მოამზადეთ ინვენტარი, ქაღლდის დიდი ფურცლები და მარკერები ჯგუფური მუშაობისათვის „პოსტერი“ (თითო კომპლექტი — თითო ჯგუფს).

წინასწარი დავალება

რადგან მოდულის ტექსტი საკმაოდ დიდია, მიზანშეწონილია მოსწავლეებს წინასწარ მისცეთ საშინაო დავალება — წაიკითხონ მასალები და დაუფიქრდნენ კითხვებს. ამ შემთხვევაში მოსწავლეები კლასში ჯგუფ-ჯგუფად ან წყვილებად მუშაობის დროს უკვე შეძლებენ გააერთიანონ და შეადარონ საშინაო დავალების შედეგები. მუშაობის ასეთი ვარიანტის არჩევის შემთხვევაში მოდულის შესწავლა 45 წუთს მოითხოვს.

თუ გადაწყვეტთ, რომ მოსწავლეები მოდულის მასალას კლასში შეისწავლიან, საამისოდ 90 წუთი გამოყავით.

გაკვეთილის დასაწყისი *(1-5 წუთი)*

ჩაატარეთ მინი-ლექცია: საზოგადოების განვითარების დონეს განსაზღვრავს განათლების განვითრების დონე, განათლების განვითარების დონე კი ასახავს საზოგადოების მოთხოვნილებებს. განათლება აყალიბებს ადამიანს, როგორც პიროვნებას, საფუძველს უყრის მის მსოფლმხედველობას და ამგვარად უშუალო გავლენას ახდენს იმაზე, თუ რა მიმართულებით ვითარდება საზოგადოება. ასე ყალიბდება საზოგადოებრივ ფასეულობათა სისტემა, რომელიც, თავის მხრივ, განსაზღვრავს რელიგიური, ეროვნებათშორისი და კულტურათშორისი ურთიერთობის ტოლერანტულობის განვითარების დონეს. ამა თუ იმ პერიოდის განათლების სისტემის შესწავლისას საზოგადოების შესახებ ბევრი რამ შეიძლება გავიგოთ.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში კავკასიის მოდერნიზაციისპროცესები აყალიბებდა საზოგადოების სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ მოთხოვნილებებს, რამაც გამოიწვია რუსეთის იმპერიის ადმინისტრაციულ სისტემაში ინტეგრირება, 1860-1870-იანი წლების რეფორმების ჩატარება და კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარება. სწორედ ამ პროცესებმა მისცა ბიძგი განათლების სისტემის განვითარებას, რადგან მას უნდა უზრუნველეყო ამ ამოცანების გადასაჭრელად საჭირო კადრების მომზადება.

ამის შემდეგ გააცანით მოსწავლეებს გაკვეთილის თემა და საკვანძო კითხვა.

ნაბიჯი 1 *(20-40 წუთი)*

დაყავით მოსწავლეები ჯგუფებად ან წყვილებად. გაკვეთილის ამ ეტაპზე ყველა ჯგუფი თუ წყვილი მუშაობს პირველი ბლოკის წყაროებისა და კითხვების ერთნაირ კომპლექტზე. დაუსახეთ მოსწავლეებს ამოცანა — თანამიმდევრულად უპასუხონ კითხვებს და დაადგინონ, მოსახელობის რა კატეგორიებს შეეძლოთ განათლების მიღება ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიაში, იყო თუ არა სწავლების პირობები ყველასთვის ერთნაირი და როგორ განათლებას ღებულობდნენ .

თავდაპირველად მოსწავლეებმა უნდა უპასუხონ კითხვებს 1-3. მიაქციეთ მათი ყურადღება სემინარიაში შესასვლელად აუცილებელ მოთხოვნებს — განათლებას და ასაკს, შესთავაზეთ იმსჯელონ იმაზე, თუ რამდენად მიზანშეწონილია ეს კრიტერიუმები. მნიშვნელოვანი მომენტია, აგრეთვე, სხვადასხვა ეროვნების ბავშვთა სწავლების პირობებისა და იმის განხილვა, თუ რა ედო საფუძვლად ასეთ მიდგომას.

ინფორმაცია მასწავლებლისათვის წყარო 3-თან დაკავშირებით:

ერობები — ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევითი ორგანოები რუსეთის იმპერიაში, რომლებიც შემოღებული იყო 1864 წლის თვითმმართველობის ორგანოების რეფორმით. დეპუტატებად ირჩევდნენ მაზრის მიწათმფლობელების, ქალაქებში უძრავი ქონების მფლობელებისა და სოფლის თემების წარმომადგენლებს.

შესთავაზეთ მოსწავლეებს უპასუხონ კითხვას, თუ როგორი იყო წყაროში 3 ნახსენები ერობის შემადგენლობა ეროვნული და რელიგიური თვალსაზრისით და რატომ გამოყო ერობამ აღნიშნული თანხა სემინარიის თათრული განყოფილების გასახსნელად.

შემდეგ მოსწავლეებმა უნდა უპასუხონ კითხვებს 4-5.

მიაქციეთ მოსწავლეთა ყურადღება ენების სწავლებას (წყარო 5). სთხოვეთ დაუფიქრდნენ იმას, თუ რით ასაბუთებდნენ მომავალი მასწავლებლებისათვის რუსული ენის სწავლებას და იყო თუ არა შესაძლებელი მრავალეროვანი სკოლების პრობლემის სხვაგვარად გადაჭრა.

წყარო 6-ს დამატებით შეიძლება დაუსვათ კითხვა:

— რატომ გახდა სწორედ უშინსკის სახელმძღვანელო „როდნოე სლოვო“, და არა რომელიმე სხვა, ნიმუში ჩერნიავსკის სახელმძღვანელოსათვის „ვეტენ დილი“?

ინფორმაციას კ. უშინსკის მიერ შემოთავაზებული სწავლების ახალი მეთოდების შესახებ დაწვრილებით შეგიძლიათ გაცნოთ ელექრონულ რესურსზე: Звуковой метод К.Д.Ушинского (ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე http://lektsiopedia.org/lek-2357.html ან http://100pudov.com.ua/subject/62/26236?page=2).

შემდეგ მოსწავლეებმა უნდა უპასუხონ კითხვა 6-ს.

არსებობს სხვადასახვა დოკუმენტი განათლების შესახებ. სთხოვეთ მოსწავლეებს მოიყვანონ განათლების შესახებ თანამედროვე დოკუმენტების მაგალითები.

სავარაუდო პასუხები: *ნიშნების ფურცელი, მოწმობა, ატესტატი, დიპლომი და ა.შ.*

ჰკითხეთ მოსწავლეებს, რა ინფორმაციის მიღება შეიძლება ამ დოკუმენტებიდან.

სავარაუდო პასუხები: *ვის მიეცა ატესტატი, როდის არის გაცემული, სასწავლო დაწესებულების დასახელება, შესწავლილი საგნები, მიღებული ნიშნები, ვინ არის დირექტორი და ა.შ.*

შესთავაზეთ მოსწავლეებს გაეცნონ წყაროებს 10-11.

სთხოვეთ იპოვონ ინფორმაცია, რომელსაც არ შეიცავს თანამედროვე დოკუმენტები განათლების შესახებ და დაუფიქრდნენ, თუ რა მიზნით შეჰქონდათ ეს ინფორმაცია დოკუმენტში და რით შეიძლება ეს აიხსნებოდეს.

შემდეგ მოსწავლეები უპასუხებენ კითხვებს 7-9.

შეგიძლიათ აგრეთვე შესთავაზოთ მოსწავლეებს შეადარონ ეს ორი დოკუმენტი და გამოყონ წყაროებში საერთო და განსხვავებული, შეეცადონ ახსნან გამოვლენილი განსხვავების მიზეზები.

ინფორმაცია მასწავლებლისათვის წყაროებთან 10-11 დაკავშირებით:

ძირითადი განსხვავება: დოკუმენტების დასახელება (ატესტატი — მოწმობა), მშობლიური ენა (ქართული — თათრული), დამატებითი საგნები, გაცემის წელი.

გაკვეთილის ბოლოს შემაჯამებელი კითხვის განხილვისას მოსწავლეებმა სემინარიაში განათლების შინაარსი, სხვადასხვა ერისა და კულტურის წამრმომადგენელი პედაგოგების გავლენა, სემინარისტების ურთიერთობა უნდა დაუკავშირონ ცვლილებებს კავკასიის ხალხთა კულტურულ ცხოვრებაში.

ნაბიჯი 2 *(10-15 წუთი)*

მოსწავლეები თავ-თავიანთ ჯგუფებში ან წყვილებში რჩებიან. გაკვეთილის ამ ეტაპზე ყველა ჯგუფი თუ წყვილი მუშაობს მეორე ბლოკის წყაროებისა და კითხვების ერთნაირ კომპლექტზე. ახლა მათი ამოცანაა იხელმძღვანელონ კითხვებით და წყაროებზე დაყრდნობით განსაზღვრონ, რა მნიშვნელობა ენიჭებოდა ისლამის შესწავლას კავკასიის ტერიორიაზე და რატომ, აგრეთვე როგორ იყო ეს საკითხი წარმოდგენილი ამიერკავკასიის სემინარიაში.

წყარო 14-ზე მუშაობისას მოსწავლეთა ყურადღება მიაქციეთ განსხვავებას ასაკში, ჰკითხეთ, როგორ ფიქრობენ, ის წერილი რომ არა, რა შანსი ჰქონდა ამ ორ ადამიანს შეხვედროდა ერთმანეთს. მიაქციეთ მოსწავლეთა ყურადღება, რა ნივთები წაიღო თან შეხვედრაზე ალიბეკ კასიმოვმა და იყო თუ არა ეს შემთხვევითობა, და თუ არ იყო, რისთვის სჭირდებოდა ეს ნივთები.

სანამ კითხვაზე 10 დაიწყებდნენ მუშაობას, სთხოვეთ მოსწავლეებს დაუბრუნდნენ წყაროებს10-11 და იპოვონ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ წყდებოდა რელიგიის საკითხი ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიაში. შეგიძლიათ ჰკითხოთ მოსწავლეებს, რატომ არ სწავლობდა, მათი აზრით, საეკლესიო სიმღერას მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული ჰაჯიბეკოვი.

გაკვეთილის ბოლოს შემაჯამებელი კითხვის განხილვისას მოსწავლეებმა სემინარიაში საგანმანათლებლო პროცესი და საგანთა ჩამონათვალი, სხვადასხვა რელიგიების წამრმომადგენელი პედაგოგების გავლენა უნდა დაუკავშირონ კავკასიაში მულტირელიგიური გარემოს ჩამოყალიბებას, სადაც შენარჩუნებული იყო როგორც მართლმადიდებელი, ისე მუსლიმური რელიგია.

ნაბიჯი 3 *(10-20 წუთი)*

გაკვეთილის ამ ეტაპზე ყველა ჯგუფი თუ წყვილი მუშაობს მესამე ბლოკის წყაროებისა და კითხვების ერთნაირ კომპლექტზე. შეგიძლიათ განაგრძოთ მუშაობა ჯგუფების გარეშე. იხელმძღვანელეთ კითხვებით და წყაროების შინაარსით და წარმოაჩინეთ ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიის მუშაობის კონკრეტული შედგები — კავკასიის რეგიონში განათლების დონის მნიშვნელოვანი ამაღლება და მის განათლებულ მცხოვრებთა რაოდენობის მომატება, კავკასიის ხალხთა ეროვნული და კულტურული აღორძინების, რუსეთის იმპერიისა და მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის „ვარსკვლავთა“ მთელი პლეადის გამოშვება და სემინარიის დამთავრების შემდეგაც კი მის კურსდამთავრებულთა მეგობრული ურთიერთობა.

ნაბიჯი 4 შემაჯამებელი განხილვა *(4-10 წუთი)*

შემაჯამებელი განხილვა თავს მოუყრის ცოდნას სამხრეთ კავკასიის კულტურულ განვითარებასა და კულტურათა დიალოგზე, რომელშიც დიდი წვლილი ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიასაც მიუძღვის.

საკუთარი სახელები, როგორც საზოგადოების კულტურისა და ისტორიის შესწავლის წყარო

▶ როგორ აისახება კულტურასა და საზოგადოებაში მომხდარი ცვლილებები საკუთარი სახელის არჩევანში?

▶ საკვანძო სიტყვები და ცნებები:	**საკუთარი სახელი, საკუთარი სახელების შერჩევის მოტივები, კულტურა, პოლიტიკა, ტრადიციები**
▶ გაკვეთილისათვის საჭირო დრო	**90 წუთი**
▶ გაკვეთილის მიზანი	აჩვენოთ მოწავლეებს, რომ სახელის არჩევანი საზოგადოებაში მომხდარი სოციოკულტურული ცვლილებების შედეგია და რომ სახელის შესწავლა შეიძლება იყოს ისტორიისა და კულტურის შესწავლის წყარო.
▶ შემოთავაზება დამატებითი ინფორმაციის მისაღებად	**1.** Новиков В. А. Имя и общество. — М.: Наука, 1974. **2.** Системы личных имен у народов мира. сб.ст./отв.ред. М.В. Крюков. — М.: Наука, 1989. **3.** Vom Bruck G., Bodenhorn B. The Anthropology of Names and Naming, Cambridge University Press. — 2006. **4.** Меликян С. Г., Маргарян Н. М. Обряды родильного цикла и система личных имен // Армяне: сб.ст./отв.ред. Л.М. Варданян, Г.Г. Саркисян, А.Е. Тер-Саркисянц. — М.: Наука, 2012. — 342–352 с. **5.** [ელექტრონული რესურსი] «Наш Баку. История Баку и бакинцев». — ხელმისაწვდომია მისამართზე: http://www.ourbaku.com.
გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი სავარაუდო შედეგები	
▶ ყველა მოსწავლე	შეძლებს მოიყვანოს სახელების წარმოშობის მაგალითები, ახსნას, რა კავშირია ტრადიციებსა და საკუთარი სახელის შერჩევას შორის.
▶ მოსწავლეთა უმრავლესობა	შეძლებს დაასახელოს სახელის არჩევანის სხვადასხვა დროს მომხდარი ცვლილებები, მოიძიოს არგუმენტები დისკუსიისათვის სახელის შერჩევის დროს პირადისა და საზოგადოებრივის ბალანსის შესახებ.
▶ ზოგიერთი მოსწავლე	შეძლებს გააანალიზოს საკუთარი სახელების არჩევანზე საზოგადოებაში მომხდარი სოციოკულტურული ცვლილებების გავლენის ფაქტორები, ახსნას, რატომ არის სახელი ისტორიული წყარო.
▶ მასწავლებლის მომზადება გაკვეთილისათვის	უზრუნველყავით წინასწარი საშინაო დავლების შესრულება კითხვა 1-ის თანახმად — დაურიგეთ მოსწავლეებს სამუშაო ფურცლები 1 და 2. მოამზადეთ გაკვეთილის განმავლობაში ჯგუფური მუშაობისათვის საჭირო მასალების საკმარისი რაოდენობა A1 ზომის ქაღალდის ფურცლები, ადგილი მეთოდით „დაიკავე პოზიცია“ დისკუსიის მოსაწყობად. მეთოდის აღწერას იპოვით დამხმარე მეთოდიკური სახელმძღვანელოს შესაბამის ნაწილში.

საერთო რეკომენდაციები

რაკი მოდულის შესასწავლად გათვალისწინებულია 90 წუთი, შეგიძლიათ მოდული ორად გაყოთ.მოდულის მეორე ნაწილი ჯობს შეასწავლოთმოსწავლეებს, რომლებიც იცნობენ საბჭოთა პერიოდის ისტორიას. თუ გადაწყვეტთ რომ მოდულის პირველ ნაწილს დასჯრდებით, საჭიროა გამოყოთ 5-10 წუთი შემაჯამებელი განხილვის შემოკლებული ვარიანტისათვის.

თუკი საჭროდ და შესაძლებლად მიიჩნევთ თემის უფრო ფართოდ შესწავლას, შეგიძლიათ გამოიყენოთ სხვადასხვა ქვეყნის სტატისტიკური მონაცემები სახელების არჩევანის დროს უპირატესობათა შესახებ, მაგალითად:

Самые популярные имена у мальчиков — вновь Давид и Нарек. — [ელექტრონული რესურსი]: News.am http://news.am/rus/news. — ხელმისაწვდომია მისამართზე: http://news.am/rus/news/152331.html

В Азербайджане названы самые популярные имена новорожденных в январе 2013 г. — [ელექტრონული რესურსი]: Russian people www.russian.people.com.cn. — ხელმისაწვდომია მისამართზე: http://russian.people.com.cn/31519/8114631.html

Максим и Анастасия — самые популярные имена в Молдове в 2012. — [ელექტრონული რესურსი]: Noi md, Независимый информационный портал http://www.noi.md/ru/. — ხელმისაწვდომია მისამართზე: http://www.noi.md/ru/news_id/18307

[ელექტრონული რესურსი]: Новости Грузия http://newsgeorgia.ru/. — ხელმისაწვდომია მისამართზე: http://newsgeorgia.ru/society/20100712/213326932.html

Названы самые популярные в Украине имена в 2011 году. — [ელექტრონული რესურსი]: http://news.bigmir.net/. — ხელმისაწვდომია მისამართზე: http://news.bigmir.net/ukraine/533879-Nazvani-samie-popylyarnie-v-Ykraine-imena-v-2011-gody

გაკვეთილის დასაწყისი *(20 წუთი)*

1. **ვარიანტი ა.** გაკვეთილის დაწყებამდე მიეცით მოსწავლეებს საშინაო დავალება — ჩაატარონ სახელის, მისი მნიშვნელობისა და არჩევის მიზეზების მინი-გამოკვლევა. დაყავით მოსწავლეები სამ ჯგუფად: 1-ლი — თანატოლები და მათი სახელები, მე-2 — მშობლები და მათი თაობა, მე-3 — ბებიები და პაპები და მათი თაობა. ყოველი ჯგუფის ყოველი წევრი ამზადებს ინფორმაციას ერთი არჩეული სახელის შესახებ, ამასთან საჭიროების შემთხვევაში იყენებს ინფორმაციის დამატებით წყაროებს და ავსებს ტაბულას, რომელიც მოაქვს კლასში.

   ვარიანტი ბ. *(ეს ვარიანტი გამოიყენეთ, თუ კლასში ცოტა მოსწავლეა ან დარწმუნებული არა ხართ, რომ დაგროვილი ინფორმაცია საკმარისია კლასში შემდგომი ჯგუფური მუშაობისათვის).* სთხოვეთ მოსწავლეებს მოამზადონ სამი ცალკე ფურცელი შევსებული ტაბულით „სახელის მნიშვნელობა“, რომელთაგან ერთზე ჩაწერილია თანატოლის სახელი, მეორეზე — ერთ-ერთი მშობლის სახელი და მესამეზე ბებიის, პაპის ან მათი თაობის წარმომადგნელის სახელი.

სამუშაო ფურცელი 1. სახელის მნიშვნელობა

სახელი	სახელის მნიშვნელობა	ვინ დაარქვა ეს სახელი?	რატომ დაარქვეს ეს სახელი?

მაგალითად:

სახელი	სახელის მნიშვნელობა	ვინ დაარქვა ეს სახელი?	რატომ დაარქვეს ეს სახელი?
ფუადი	თათრულიდან „გული“	დედამ	პაპის პატივსაცემად, რომელსაც ძალიან კარგი ხასიათი ჰქონდა

2. გააცანით მოსწავლეებს გაკვეთილის თემა და მიზანი. ჩაატარეთ მინი-ლექცია (1-2 წუთი) ისტორიულ ცნობაზე დაყრდნობით.

3. ჩამოკიდეთ კედლებზე ან დადეთ მაგიდაზე მე-2 სამუშაო ფურცლის „სახელის არჩევის მოტივები“ ცალკეული ფრაგმენტები (ტაბულის სვეტები), მაგალითად:

მაგალითად:

სამუშაო ფურცელი 2ა	სამუშაო ფურცელი 2ბ	სამუშაო ფურცელი 2გ	სამუშაო ფურცელი 2დ
რელიგიური დანაწესები	ნათესავების პატივსაცემად	მოდა და პოპულარობა	სხვა მოტივები

სთხოვეთ მოწაფეებს გაერთიანდნენ ახალ ჯგუფებში იმისდა მიხედვით, თუ რა მიზეზითაა არჩეული სახელი მათ მიერ შინ მომზადებულ ტაბულაში(სამუაშო ფურცელი 1). უნდა გამოგივიდეთ ოთხი ჯგუფი, რომლებშიც მოსწავლეთა რაოდენობა შეიძლება სხვასხვა იყოს. შესთავაზეთ ახალი ჯგუფების წევრებს ჩაწერონ სახელები ფურცელზე და ახსნან, რატომ აირჩიეს სწორედ ეს ჯგუფი *(მაგალითად, რელიგიური დანაწესების ჯგუფი — წმინდანის პატივსაცემად და ა.შ., სხვა მოტივების ჯგუფი — პირადი ან საზოგადოებრივი ცხოვრების რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა).*

თუ ძალიან არათანაბარი რაოდენობის ჯგუფები გამოგივიდათ, გამოიყენეთ საშინაო დავალების ვარიანტი Bდა სთხოვეთ მოწავლეებს გაუზიარონ თავიანთი მინი-გამოკვლევის ინფორმაცია სხვა ჯგუფებს, რისთვისაც გადასცენ მათ სამუშაო ფურცლები 1 ორი სხვა სახელის შესახებ შევსებული იფნორმაციით. მიაქციეთ ყურადღება იმას, თუ რამდენია ყოველ ჯგუფში თანატოლების, მშობლების, ოჯახის უფროსი წევრების და სხვების მიერ დარქმეული სახელები.

4. სთხოვეთ ჯგუფების წარმომადგენლებს გააცნონ თანაკლასელებს განზოგადებული ინფორმაცია. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეთ და საჭიროების შემთხვევაში დახმარება გაუწიეთ ჯგუფს „სხვა მოტივები“. აქ შეიძლება სხვადასხვა მიზეზი იყოს, მაგალითად — მოეწონათ წიგნის ან ფილმის პერსონაჟის სახელი და სხვ.

ნაბიჯი 1 *(25 წუთი)*

5. სთხოვეთ მოწაფეებს მიუსხდნენ მერხებს. შესთავაზეთ გააანალიზონ პირველი ბლოკის წყაროები და უპასუხონ კითხვა 2-ს. მიაქციეთ მოსწავლეთა ყურადღება წყაროს ჟანრს (სახეობას). ნუ დაიშურებთ დროს ტექსტების 1-5 განხილვისა და კითხვებზე პასუხისათვის.
6. კითხვაზე 3 პასუხის გაცემის დროს სთხოვეთ მოსწავლეებს რვეულებში ჩაიწერონ სახელების არჩევანის მათ მიერ განსაზღვრული მიზეზები. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ დავალება 4-ის შესრულებას. სთხოვეთ მოსწავლეებს დაამატონ დიდ ფურცლებზე დახაზული ტაბულის *(სამუშაო ფურცელი 2)* ყოველი სვეტის ჩანაწერებს ის მიზეზები, რომლებიც თავდაპირველად არ დაასახელეს.სთხოვეთ დაასაბუთონ არჩევანი პირველი ბლოკის შესაბამისი წყაროების მითითებით.

ნაბიჯი 2 *(15 წუთი)*

7. მიაქციეთ ყურადღება **მეორე** ბლოკის სათაურს. ჰკითხეთ მოსწავლეებს, როგორ ესმით ეს სათაური. შესთავაზეთ შეისწავლონ წყაროები 6-10 და უპასუხონ კითხვებს 5-6. მიაქციეთ მოწავლეთა ყურადღება წყაროების 9-10 პერსონაჟების ასაკს და იმას, რა პერიოდში არქმევდნენ ბავშვებს ასეთ სახელებს (1920-1930-იან წლებში). სახელი იდეა — 1917 წლის რევოლუციის შემდეგ ახალის იდეების ხორცშესხმისა და ძველ სამყაროსთან კავშირის გაწყვეტის სამასოვროდ, ოქტიაბრინა — ბოლშევიკთა ოქტომბრის რევოლუციის სამახსოვროდ, პიატილეტკა („ხუთწლედი“) — ხუთლწლედების, სსრ კავშირში ეკონომიკის გეგმაზომიერი განვითარების პერიოდებისპროპაგანდისტული წარმატებების აღსანიშნავად. შემდეგ განაზოგადეთ წყაროების 6-10 ინფორმაცია.

ნაბიჯი 3 *(20 წუთი)*

8. შესთავაზეთ მოსწავლეებს წყვილებში გაეცნონ წყაროებს 11-14 და უპასუხონ კითხვებს 10-13. ჩაატარეთ კითხვა 10-ის ფრონტალური განხილვა. კარგად მომზადებულ კლასში შეიძლება უფრო ვრცლად იმსჯელოთ სახელწართმეული ადამიანის დეჰუმანიზაციაზე, როგორც ტოტალიტარული ხელისუფლების ისნტრუმენტზე.
9. მუშაობა წყაროებზე 15-16. ჩაატარეთ დისკუსია დავალება 13-ის შესასრულებლად მეთოდით „დაიკავე პოზიცია“ მასწავლებელთა მეთოდურ სახელმძღვანელოში მოცემული ინსტრუქციის შესაბამისად.

ნაბიჯი 4 შემაჯამებელი განხილვა *(10 წუთი)*

ჩაატარეთ ფრონტალური საუბარი საკვანძო კითხვისა და გაკვეთილის პროცესში შევსებული მე-2 ფურცლების ტაბულის გამოყენებით.

ისტორია და კულტურა მეხსიერებასა და ძეგლებში

▶ რა როლს ასრულებს ძეგლები ხალხის ისტორიისა და კულტურის შესწავლაში?

▶ მოსწავლეთა ასაკი	12-15 წელი
▶ გაკვეთილისათვის საჭირო დრო	45 წუთი
▶ გაკვეთილის მიზანი	მოსწავლეები გაიგებენ, რომ ძეგლები წარსულს აცოცხლებენ და საზოგადოებისთვის ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობა აქვთ.
▶ შემოთავაზება დამატებითი ინფორმაციის მისაღებად	**1.** წიგნები, სტატიები, მოდულში მითითებული ვებ-გვერდები **2.** ქ. ერევნის ძეგლები. — [ელექტრონული რესურსი]: https://www.yerevan.am/ru/monument/. **3.** ერევნის ძეგლები. — [ელექტრონული რესურსი]: hy.wikipedia.org/wiki/Երևանի_արձաններ.
გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი სავარაუდო შედეგები	
▶ ყველა მოსწავლე	აღწერს ძეგლებს და გადმოგვცემს ძირითად ინფორმაციას მათ შესახებ; ახსნის ადამიანებისთვის მათ მნიშვნელობას, ძეგლების სხვადასხვაგვარი აღქმის და შექმნის მიზეზებს.
▶ მოსწავლეთა უმრავლესობა	ახსნის ძეგლების სიმბოლურ დატვირთვას და იმას,რომ ძეგლის დეტალები ადამიანის მიერ ისტორიის ინტერპრეტაციაზე მეტყველებს.
▶ ზოგიერთი მოსწავლე	არგუმენტირებულად ახსნის, თუ როგორ ზემოქმედებას ახდენს საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებები ზოგიერთი ძეგლისადმი დამოკიდებულებაზე.
▶ მასწავლებლის მომზადება გაკვეთილისათვის	ამ მეთოდით შეგროვებული პასუხები ჩამოწერეთ დაფაზე ან ფლიპჩარტზე. მოსწავლეები პასუხებს სხვადასხვა ნიშნით აჯგუფებენ (მაგალითად: ისტორიული მოვლენები, ისტორიისა და კულტურის გამოჩენილი მოღვაწეები და ა. შ.).

გაკვეთილის დასაწყისი *(7 წუთი)*

მოსწავლეები 5 ჯგუფად გაანაწილეთ, თუმცა თავიდან მუშაობა მთელ კლასთან ფრონატლურად დაიწყეთ.

1. მოსწავლეებს შესთავაზეთ დააკვირდნენ წყარო 1-ს (სომხეთის გაქრისტიანებისადმი მიძღვნილი ძეგლის ფოტო) და უპასუხონ დასმულ კითხვებს.

ინფორმაცია მასწავლებლისთვის:

ძეგლი, რომლის ნაწილიც ფოტოზე ჩანს, მდებარეობს ეჩმიაძინის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე. ეჩმიაძინის მონასტერი არის სომხეთის ყველაზე მნიშვნელოვანი რელიგიური ობიექტი და შეტანილია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში. კომპლექსი მდებარეობს ქალაქ ვაგარშაპატში, ერევნიდან 30 კმ-ის დაშორებით. სამონასტრო კომპლექსში შედისსომეხთა პატრიარქის, კათალიკოსის რეზიდენცია, საკათედრო ტაძარი, კათალიკოსის სახლი, სატრაპეზო, სასტუმრო, თეოლოგიური სასწავლო დაწესებულებები (კერძოდ, სასულიერო აკადემია) და სხვ.

ეს ნაგებობა, ე. წ. „ღია საკურთხეველი“ ერთ-ერთი ყველაზე ახალია ტერიტორიაზე. იგი 2001 წელს აშენდა. მაშინ სომხეთის გაქრისტიანების 1 700 წელთან დაკავშირებით აქ ერთდროული წირვა ჩაატარეს სრულიად სომეხთა კათოლიკოსმა გარეგინმა და რომის პაპმა იოანე პავლე II-მ.

თაღზე ჩანან თრდატ III, რომლის მეფობისას 301 წელს ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა, და გრიგორ განმანათლებელი — სომხების განმანათლებელი და სომეხთა პირველი კათალიკოსი.

2. „გონებრივი იერიში“

მოსწავლეებს შესთავაზეთ, „გონებრივი იერიშის“ მეთოდით უპასუხონ კითხვაზე:

ვის და რას უძღვნის ხალხი ძეგლებს?

ამ მეთოდით შეგროვებული პასუხები ჩამოწერეთ დაფაზე ან ფლიპჩარტზე. მოსწავლეები პასუხებს სხვადასხვა ნიშნით აჯგუფებენ (მაგალითად: ისტორიული მოვლენები, ისტორიისა და კულტურის გამოჩენილი მოღვაწეები და ა. შ.).

ბლოკი 1. ისტორიისა და კულტურის ძეგლები

ნაბიჯი 1 მუშაობა ცნებაზე „ძეგლი“ *(5 წუთი)*

მოსწავლეებს შესთავაზეთ, შეასრულონ წყარო 2-სა და ისტორიულ ცნობასთან მოცემული დავალება, უპასუხონ მათ შემდეგდასმულ კითხვებს. აუხსენით, რომ გაკვეთილის განმავლობაში ყურადღების ცენტრში იქნება ძეგლები, რომლებიც კონკრეტულ ადამიანებს ეძღვნება.

ბლოკი 2. ვის და რისთვის უდგამენ ძეგლებს?

ნაბიჯი 2 წყაროებზე მუშაობა ჯგუფებში (5 დასარიგებელი ბარათი და 4 ფოტო მიწერილი ტექსტებით) *(13 წუთი: 10 – ჯგუფებში მსჯელობისთვის, 3 — პრეზენტაციისთვის)*

5 ჯგუფი ათვალიერებს ფურცლებს ფოტოებითა და მათზე მიწერილი ტექსტებით (წყაროები 3-42) და უპასუხებს კითხვებს. ჯგუფებიმოკლედ წარმოადგენენ შემდეგი კითხვის განხილვის შედეგებს:

ვის და რისთვის უდგამენ ძეგლებს?

განხილვის შედეგად მოსწავლეებს გამოაქვთ დასკვნა: წყაროების ყველა ფოტო და მიწერილი ტექსტი ეხება ძეგლებს, რომლებიც დაუდგეს კულტურის, მეცნიერების და საზოგადო მოღვაწეებს, რომლებმაც მსოფლიო ფასეულობები შექმნეს და ქვეყნისა და ხალხის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს.

ნაბიჯი 3 ისტორია და კულტურა მეხსიერებასა და ძეგლებში *(5 წუთი)*

მოსწავლეებს მიაწოდეთ მოკლე ინფორმაცია ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვის საერთაშორისო დღის შესახებ.

1983 წელს ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების საკითხში იუნესკოსთან არსებულმა საერთაშორისო საბჭოს ასამბლეამ (იკომოსი) 18 აპრილი დაადგინა ძეგლებისა და ისტორიული ადგილების საერთაშორისო დღედ, რათა საზოგადოების ყურადღება მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და შენარჩუნების საკითხებისთვის მიეპყრო:

დასვით კითხვები:

1. რატომ დააწესა იუნესკოსთან არსებულმა ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების საკითხთა საერთაშორისო საბჭოს ასამბლეამ ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და შენარჩუნებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო დღე?
2. შეგიძლიათ თუ არა დაასახელოთ მაგალითები, როდესაც ისტორიული მოღვაწეებისადმი მიძღვნილი ძეგლები აუღიათ? რატომ მოხდა ეს?
3. როგორ უნდა მოვექცეთ წარსული ეპოქების ძეგლებს, თუკი ამ მოვლენებისა და მოღვაწეებისადმი დამოკიდებულება ჩვენს დროში შეიცვალა და უარყოფითი გახდა?

ნაბიჯი 4 მეთოდი „აირჩიე პოზიცია“[1] *(15 წუთი)*

მოსწავლეებს შესათავაზეთ, დააკვირდნენ წყაროებს 44 და 45 და წაიკითხონ როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ინფორმაცია იმ ადამიანის შესახებ, ვისი ძეგლიც იქ იდგა (წყაროები 46 და 47).

კითხვა მსჯელობისთვის:

უნდა შევინარჩუნოთ თუ არა წარსულის ძეგლები, თუკი ძეგლში გამოსახული ადამიანებისა და მოვლენებისადმი დამოკიდებულება დღესდღეობით შეცვლილია და უარყოფითი გახდა?

[1] იხ. თავი „როგორ გავააქტიუროთ მუშობა“

საკლასო ოთახის სხვადასხვა კუთხეში გამოფინეთ წარწერიანი ფურცლები:

ა	იმპერიული და საბჭოთა წარსულის ძეგლები უნდა დაინგრეს და შევეცადოთ, ეს წარსული დავივიწყოთ.
ბ	ძეგლები, რომელთა მიმართ დამოკიდებულება ნეგატიურისკენ შეიცვალა, უნდა გადავიტანოთ მუზეუმში ან პარკში, როგორც წარსულის გაკვეთილების მაგალითები, რომლებიც აღარ უნდა განმეორდეს.
გ	ძეგლები, რომელთა მიმართ დამოკიდებულება შეიცვალა და უარყოფითი გახდა, უნდა დავტოვოთ ადგილზე და გავუკეთოთ სპეციალური საინფორმაციო ფირფიტები.
დ	მოიფიქრეთ პასუხის საკუთარი ვარიანტები.

მოსწავლეებს შესთავაზეთ, დაიკავონ ადგილი ერთ-ერთ ფურცელთან და თავიანთი არჩევანი დაასაბუთონ.

იმსჯელეთ შემდეგ საკითხებზე:

1. რას ასწავლიან, რას ახსენებენ ადამიანებს წარსულის ძეგლები?
2. რა სარგებლობა შეიძლება მოუტანოს ასეთმა ძეგლებმა ადამიანებსა და საზოგადოებას?
3. რას გვასწავლის ისტორია, რომელიც ხალხისთვის უარყოფით, არასასიამოვნო მოგონებებს შეიცავს? უნდა დავანგრიოთ თუ არა ძეგლები, რათა წარსულის ეს მონაკვეთი დავივიწყოთ?

მსჯელობის შედეგად მოსწავლეები უნდა მივიდნენ დასკვნამდე, რომ ისტორია უნდა აღვიქვათ მთლიანობაში და მისგან გაკვეთილები მივიღოთ, ამაში კი ძეგლები გვეხმარება.

ხაზი გაუსვით, რომ, გარდა ისტორიული კონტექსტისა, ძეგლებს მხატვრული ღირებულებაც აქვს, რომ ძეგლების მიმართ დამოკიდებულება მეტყველებს იმაზე, თუ რამდენად ცივილიზებულია საზოგადოება და რომ ცივილიზებულ საზოგადოებაში ვანდალიზმს ადგილი არ აქვს.

მოსწავლეების ყურადღება მიაქციეთ საკვანძო კითხვას:
რა როლს ასრულებს ძეგლები ხალხის ისტორიისა და კულტურის შესწავლაში?

სერგო ფარაჯანოვის შემოქმედება ეპოქებისა და კულტურათა გზაჯვარედინზე

▶ როგორ აისახა სერგო ფარაჯანოვის შემოქმედებაში კულტურათა დიალოგი?

▶ მოსწავლეთა ასაკი	16-18 წელი
▶ გაკვეთილისათვის საჭირო დრო	90 წუთი
▶ გაკვეთილის მიზანი	გააცნოთ მოსწავლეებს ს.ფარაჯანოვის შემოქმედება, აჩვენოთ მისი მრავალკულტურული ხასიათი.
▶ შემოთავაზება დამატებითი ინფორმაციის მისაღებად	**1.** Мечитов Ю. Сергей Параджанов хроника диалога. — Тбилиси, 2009. **2.** Экранный мир Сергея Параджанова. Сборник статей. Автор идеи и составитель Юрий Морозов. –К., 2013. **3.** Катанян Василий. Параджанов. Цена вечного праздника. — Нижний Новгород: Деком, 2001. **4.** Выставка цвета граната: коллажи Сергея Параджанова — Электронный вариант: http://www.interviewrussia.ru/art/vystavka-cveta-granata-kollazhi-sergeya-paradzhanova. **5.** Цвет граната: мир Параджанова в 23 главах. — [Электронный вариант] http://vozduh.afisha.ru/cinema/cvet-granata-mir-paradzhanova-v-23-glavah/ [ელექტრონული რესურსი] «Наш Баку. История Баку и бакинцев». — ხელმისაწვდომია მისამართზე: http://www.ourbaku.com. **6.** Параджанов С. Исповедь: Киносценарии. Письма / С. Параджанов. — СПб.: Азбука, 2001. **7.** Григорян Л. Параджанов. М. — 2011. **8.** Балаян Роман. Лучший фильм о Параджанове мог бы снять Кустурица. //Зеркало недели. Украина. — 11 октября 2013. — №37. — ხელმისაწვდომია მისამართზე: http://gazeta.zn.ua/CULTURE/roman-balayan-luchshiy-film-o-paradzhanove-mog-by-snyat-kusturica-_.html.
გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი სავარაუდო შედეგები	
▶ ყველა მოსწავლე	შეძლებს დაასახელოს სერგო ფარაჯანოვის ფილმები და ისაუბროს მის შემოქმედებაზე.
▶ მოსწავლეთა უმრავლესობა	შეძლებს მოიყვანოს ფარაჯანოვის შემოქმედებაში კულტურათა დიალოგისა და მისი მრავალმხრივობის მაგალითები, სრულყოფს ტექსტობრივი და ვიზუალური წყაროების ანალიზის უნარ-ჩვევებს.
▶ ზოგიერთი მოსწავლე	შეძლებს დაასაბუთოს, რა განაპირობებს ფარაჯანოვის შემოქმედების მრავალკულტურულ ხასიათს.
▶ მასწავლებლის მომზადება გაკვეთილისათვის	წინასწარ გაეცანით იუნესკოს კრიტერიუმებს. ჯგუფებში მუშაობისა და როლური თამაშისათვის მოამზადეთ საკლასო ოთახი, ყველა წყაროს, მათ შორის ფერადი გამოსახულებების, საჭირო რაოდენობის ასლები, ეკრანი მოდულის ვიზუალური წყაროების საჩვენებლად.

საერთო შენიშვნები

სერგო ფარაჯანოვისა და მისი შემოქმედებისადმი მიძღვნილი მოდული პროექტის — „ გაზიარებული ისტორია. კულტურათაშორისი დიალოგები“ — იდეის ამსახველი ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო მაგალითია. სწორედ ამ მოდულის მასალები იძლევა საშუალებას მთელი სისრულით იქნას შესწავლილი ეროვნული, ქალაქური, კლასიკური და მოდერნისტული, მატერიალური და სულიერი კულტურების დიალოგი და მრავალხმოვანება. ეს მოდული რთულია არა მარტო დიდი მოცულობის გამო, არამედ იმიტომაც, რომ შეფასებების უმრავლესობა ეხება ფილმებს, რომლებიც მოსწავლეებს არ უნახავთ. გარდა ამისა მაშინაც კი, თუ მასწავლებელი შეძლებს წინასწარ აჩვენოს მათ ეს ფილმები (მათი უმეტესობის ნახვა შეიძლება ჰოსტინგზე (ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე: https://www.youtube.com/?gl=UA&hl=ru), ყველა ფილმი მოითხოვს კომენტარს და მოსწავლეთა გარკვეულ მომზადებას მათ სანახავად. ფილმები საკმაოდ რთული სიუჟეტებით და სპეციფიკური კინემატოგრაფიული ხერხებით გამოირჩევა. მასწავლებელი მზად უნდა იყოს იმისათვის, რომ უპასუხოს შესაძლო კითხვებს სერგო ფარაჯანოვის ცხოვრებისა და შემოქმედების თაობაზე, ამიტომ რეკომენდებული ლიტერატურის შესწავლა ფრიად აქტუალურია. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია, რომ მოუმზადებელ მოსწავლეებს, რომლებსაც არა აქვთ მინიმალური ცოდნა მხატვრული კულტურისა და მისი გამომსახველობითი ხერხების შესახებ, გაუძნელდებათ ზოგიერთი წყაროს აღქმა. ასეთ შემთხვევაში მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა აუხსნას ტერმინების მნიშვნელობა და დაეხმაროს წყაროების ანალიზის დროს.

რა თქმა უნდა, მასწავლებელს შეუძლია შეარჩიოს შემოთავაზებული წყაროების მხოლოდ გარკვეული ნაწილი, მაგრამ ასეთ შემთხვევაში მზად უნდა იყოს იმისათვის, რომ მოსწავლეები სათანადოდ ვერ უპასუხებენ საკვანძო კითხვას ისევე, როგორც ავტორების მიერ შემოთავაზებულ დანარჩენ კითხვებს. ამიტომ ავტორები დაჟინებით მოითხოვენ ყოველი ბლოკის შიგნით შენარჩუნებული იყოს მასალების მწყობრი და ლოგიკური განლაგება, წყაროები თანმიმდევრულად შეისწავლებოდეს და გამოიყენებოდეს როლურ თამაშში „სამეცნიერო კონფერენცია სერგო ფარაჯანოვის შემოქმედების შესახებ“.

გაკვეთილის დასაწყისი *(5-10 წუთი)*

დაურიგეთ მოსწავლეებს წყარო 1-ის გამრავლებული ფოტო ან აჩვენეთ ფოტო ეკრანზე. ჰკითხეთ, იციან თუ არა, ვინ არის აღბეჭდილი ფოტოზე. დაურიგეთ ისტორიული ცნობა. შემდეგ დაუსვით კითხვები.

გააცანით მოსწავლეებს გაკვეთილის თემა და საკვანძო კითხვა.

ნაბიჯი 1 მოსამზადებელი ეტაპი *(35 წუთი)*

უთხარით მოსწავლეებს, რომ გაკვეთილი წარიმართება ხელოვნებათმცოდნეთა კონფერენციის სახით. კონფერენციის ამოცანაა იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის სიაში სერგო ფარაჯანოვის შემოქმედებითი მემკვიდრეობის შეტანის შესაძლებლობათა განხილვა.

დაყავით მოსწავლეები მცირერიცხოვან ჯგუფებად. აუხსენით, რომ მათი ამოცანაა შეისწავლონ სერგო ფარაჯანოვის შემოქმედებისადმი მიძღვნილი წყაროები და მოამზადონ მოხსენება პროექტის მონაწილე სხვადასხვა ქვეყნის ხელოვნებათმცოდნეთა „კონფერენციისათვის“. ყოველი ჯგუფი გააშუქებს შემოქმედების გარკვეულ ასპექტს, ამიტომ სასურველია, რომ ჩამოაყალიბონ და ცალკე ფურცელზე ჩაწერონ არგუმენტები იუნესკოს

სიაში ფარაჯანოვის კულტურული მემკვიდრეობის შეტანის სასარგებლოდ. "კონფერენციაზე" მოხსენებით შეიძლება გამოვიდეს ჯგუფის ერთი, ორი ან სამი წარმომადგენელი, ჯგუფში როლების განაწილების შესაბამისად.

პირველ ჯგუფს აძლევთ კონვერტს წყაროებით 2, 10, 11, 13, 14, 15, 17, 22 და ავალებთ, რომ მოამზადოს მოხსენება *სერგო ფარაჯანოვის შემოქმედების მრავალეროვნული ხასიათის შესახებ.*

მე-2 ჯგუფს აძლევთ კონვერტს წყაროებით 2, 12, 15, 16, 17, 31 და ავალებთ, რომ მოამზადოს მოხსენება თემაზე *„ფარაჯანოვის შემოქმედება მსოფლიო კინემატოგრაფის მოვლენაა".*

მე-3 ჯგუფს აძლევთ კონვერტს წყაროებით 2, 3, 9, 18-23, 24-27 და ავალებთ, რომ მოამზადოს მოხსენება *ფარაჯანოვის შემოქმედების მხატვრული ღირებულებისა და ესთეტიკის თავისებურებათა შესახებ.*

მე-4 ჯგუფს აძლევთ კონვერტს წყაროებით 2, 4, 6, 7, 8, 9, 16, 24, 25, 26 და ავალებთ, რომ მოამზადოს მოხსენება *ფარაჯანოვის შემოქმედების აუთენტურობის*[1] *შესახებ*.

მე-5 ჯგუფს აძლევთ კონვერტს წყაროებით 2, 5, 7, 8, 9, 18, 19, 20 და ავალებთ, რომ მოამზადოს მოხსენება იმის შესახებ, თუ *როგორ აისახება ხელოვნების „მარადიული თემები" ფარაჯანოვის შემოქმედებაში*.

მე-6 ჯგუფი მე-4 ბლოკის შესწავლის საფუძველზე ამზადებს მოხსენებას *რეჟისორისა და მხატვრის პიროვნების შესახებ*.

ნაბიჯი 2 როლური თამაში „კონფერენცია" *(30 წუთი)*

დაყავით მოსწავლეები „კონფერენციის მონაწილეებად" და "მომხსენებლებად". მიზანშეწონილია, რომ „მომხსენებლებს" წინ ედგათ მუყაოს ფირფიტები ჯგუფისთვის დავალებული მოხსენების თემის დასახელებით.

შესთავაზეთ 1-5 ჯგუფების წარმომადგენლებს 4-5 წუთს ისაუბრონ სერგო ფარაჯანოვის შემოქმედების შესახებ დავალებული თემის შესაბამისად. თვალყური ადევნეთ გამოსვლების გრაფიკისა და დროის რეგლამენტის დაცვას, რომ საერთო დროში ჩაეტიოთ.

სასურველია, რომ მოსწავლეებს შესაძლებლობა ჰქონდეთ გამოსვლის დროს დამსწრეთ აჩვენონ (სჯობს, რომ ეკრანზე) ვიზუალური წყაროები თავიანთი თეზისების საილუსტრაციოდ.

ხუთი ჯგუფის წარმომადგენლების გამოსვლის შემდეგ მიეცით მათ შესაძლებლობა კითხვები დაუსვან ერთმანეთს.

შემდეგ სიტყვა მიეცით მე-6 ჯგუფის წარმომადგენლებს.

აჩვენეთ მთელ კლასს წყაროები 33 — 34 და კითხვა 24.

[1] აუთენტურობა ხელოვნებაში ნიშნავს ხელოვნების ნიმუშების ნამდვილობას, ავტორისეული გააზრების ორიგინალობას.

ნაბიჯი 3 შემაჯამებელი განხილვა *(15 წუთი)*

შემაჯამებელი განხილვისათვის დაუსვით მოსწავლეებს კითხვა:

რის გამო გახდა სერგო ფარაჯანოვის შემოქმედებითი მემკვიდრეობა მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნაწილი?

მოაწყეთ მისი განხილვა მეთოდით „მიკროფონი“.

საშინაო დავალება

მოსწავლეებს შეგიძლიათ მისცეთ საშინაო დავალებად, დაწერონ წერილი-მიმართვა იუნესკოსადმი წინადადებით შეიტანოს სერგო ფარაჯანოვის შემოქმედებითი მემკვიდრეობა ამ ფონდის სიაში. შეფასების კრიტერიუმებად უნდა გამოიყენონ „კონფერენციის“ დროს მიღებული ცოდნა, აგრეთვე თვით იუნესკოს კრიტერიუმები, რომელთა შესახებ შეიძლება შეიტყოთ ამ ორგანიზაციის ოფიციალურ საიტზე – http://whc.unesco.org/en/criteria/.

იდენტობა მრავალკულტურული საზოგადოების პირობებში

▶ რა სახის იდენტობა შეიძლება ჰქონდეს ცალკეულ ადამიანს ან ადამიანთა ჯგუფს და როგორ ვლინდება ის ჩვენს ყოველდღიურ ურთიერთობაში?

▶ მოსწავლეთა ასაკი	15-18 წელი
▶ გაკვეთილისათვის საჭირო დრო	90 წუთი
▶ გაკვეთილის მიზანი	ასწავლოთ მოსწავლეებს მრავალკულტურულ საზოგადოებაში ინდენტობის გარჩევა, გამოვუმუშაოთ საკუთარი აზრი იმაზე, თუ როგორ შეუძლიათ საზოგადოებაში წარმატებული თანაარსებობა სხვადასხვა იდენტობის მქონე ადამიანებს.
▶ შემოთავაზება დამატებითი ინფორმაციის მისაღებად	**1.** Кон И. С. В поисках себя. Личность и ее самосознание. — М.: Политиздат, 1984. **2.** Гібернау М. Ідентичність націй. — К.: Темпора, 2012. **3.** Нагорна Л. Національна ідентичність в Україні. — К.: ІПЕНД, 2002. **4.** Соціокультурні ідентичності та практики. За ред. А.Ручки. — К.: ІС НАН України, 2002. **5.** Интервью с родственниками об их опыте различных идентичностей (что для них значат их идентичности).
გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი სავარაუდო შედეგები	
▶ ყველა მოსწავლე	შეიმეცნებს იდენტობის, მრავალკულტურობის ცნებებს; გაიგებს, რომ მათ მრავალი მნიშვნელობა აქვს.
▶ მოსწავლეთა უმრავლესობა	შეძლებს დაახასიათოს და გაარჩიოს ერთმანეთისაგან იდენტობის ცალკეული სახეები.
▶ ზოგიერთი მოსწავლე	ჩასწვდება მრავალკულტურულ საზოგადოებაში სხვადასხვა სახეობის იდენტობის მქონე ადამიანების თანაარსებობის პრობლემებსა და უპირატესობებს.
▶ მასწავლებლის მომზადება გაკვეთილისათვის	– მოსწავლეებისათვის პროექტორით ეკრანზე საჩვენებლად საჭირო რაოდენობით გაამრავლეთ ფოტოები და ციტატები. უზრუნველყავით ჯგუფური პრეზენტაციების ტექნიკური შესაძლებლობები. – მოაწყეთ ოთახი ისე, რომ შესაძლებელი იყოს ჯგუფური მუშაობა.

სამოტივაციო დავალება *(10 წუთი)*

ჰკითხეთ მოსწავლეებს:

თქვენთვის რომ ეკითხათ, ვინ ხართო, რას უპასუხებდით? დაწერეთ დაფაზე მოსწავლეთა ყველა პასუხი ამ კითხვაზე შემდეგი სქემის სახით:



იმსჯელეთ:

— *შეგვიძლია თუ არა ყოველივე ეს ჩვენს თავში გავაერთიანოთ?*

— *არის თუ არა ყოველივე ეს ერთნაირად მნიშვნელოვანი ჩვენთვის?*

ნაბიჯი 1 მოსწავლეებისათვის თემისა და საკვანძო საკითხის გაცნობა *(3 წუთი)*

მასწავლებლის შესაძლო შესავალი სიტყვა:

ყოველი ადამიანი ადრე თუ გვიან უფიქრდება იმას, თუ ვინ არის და რომელ სოციალურ ერთობას ეკუთვნის. საკუთარი თავის ძიება ყოველთვის რთული პროცესი იყო, მაგრამ კიდევ უფრო გართულდა თანამედროვე პირობებში, როცა ადამიანები სულ უფრო მობილური ხდებიან და გაცილებით მეტი შესაძლებლობა აქვთ კულტურათაშორისი ურთიერთობისათვის. ასეთ პირობებში ადამიანი აწყდება სხვადასხვა გამოწვევას, რომლებიც აიძულებს მას კვლავ დაუბრუნდეს საკუთარი იდენტობისა და სოციალურ ჯგუფთან მიკუთვნებულობის საკითხს. სხვადასხვა ვითარებაში ადამიანი ამ საკითხს სხვადასხვანაირად წვეტს. ამიტომ მთელი ცხოვრების მანძილზე ადამიანი შეიძლება რიგ-რიგობით ეკუთვნოდეს რამდენიმე, შესაძლოა, ბევრ ჯგუფს, რომელთაგან ზოგიერთი უფრო მნიშვნელოვანი (მოთხოვნადი) იქნება, ზოგიერთი კი — ნაკლებად. ის, თუ რომელ ჯგუფს მიეკუთვნება ადამიანი, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მის საქციელს, აყალიბებს სხვა ადამიანების აღქმის ხერხსა და მათთან ურთიერთობის მოდელს. იმისათვის, რომ პიროვნებას „სხვადასხვა“, “სხვა“ ადამიანებთან პოზიტიური დიალოგის უნარი შესწევდეს, უაღრესად საჭიროა, რომ იგი სოციალურად კომპეტენტური იყოს, შეეძლოს ხედავდეს და პატივს სცემდეს იმას, რაც, შესაძლოა, მნიშვნელოვანია ამ ადამიანებისათვის.

ნაბიჯი 2 მუშაობა ვიზუალურ წყაროებზე (ბლოკი 1) *(10 წუთი)*

— აჩვენეთ მოსწავლეებს ეკრანზე ფოტოები და დაურიგეთ ფოტოების ნომრები, რომელთა კომენტარიც უნდა გააკეთონ. ჰკითხეთ მოსწავლეებს: *როგორ ფიქრობთ, რას გვიპასუხებდნენ ამ ილუსტრაციებზე გამოსახული ადამიანები, მათთვის რომ იგივე კითხვა დაგვესვა, რომელიც დასაწყისში თქვენ დაგისვით?*

გაამახვილეთ მოსწავლეთა ყურადღება კითხვაზე — როგორ მიხვდნენ, თუ ვინ და რომელი პროფესიული, ეროვნული, ასაკობრივი ან სხვა სოციალური ჯგუფის წარმომადგენელია გამოსახული ფოტოზე. მიაქციეთ მოსწავლეთა ყურადღება იმას, რომ ადამიანები ერთდროულად შეიძლება იყვნენ რამდენიმე ჯგუფის წარმომადგენლები, რომელთაგან ერთი განმსაზღვრელი იქნება.

*მასწავლებლის საყურადღებოდ: წყარო 5-ზე გამოსახულია როკერები, ხოლო წყარო 6-ზე — სტიმპანკები.

როკერები — როგორც სუბკულტურა გაჩნდა XX საუკუნის ორმცდაათიანი წლების დამლევსა და სამოციანი წლების დამდეგს, როკ-ენ-როლის ეპოქაში, რომლის მუსიკისა და სტილის წარმომადგენლები გახდნენ ჩაკ ბერი, ადრეული ელვის პრესლი, ჯინ ვინსენტი და სხვები. უნდა ითქვას, რომ პირველ როკერებს აერთიანებდა მარტო მოტოციკლის ტარების მანერა და მხოლოდ შემდეგ გაჩნდა სტილის ცნება.

სტიმპანკები — სუბკულტურა, რომლის წარმომადგენლებიც სამეცნიერო ფანტასტიკის იმ მიმართულების მიმდევრები არიან, რომელიც ქმნის კაცობრიობის განვითარების ალტერნატიული ვარიანტის მოდელს. ამ ვარიანტის თანახმად, სრულყოფილად იყო ათვისებული ორთქლის მანქანის ტექნოლოგია და მექანიკა. როგორც წესი, სტიმპანკი ნიშნავს სტილიზებას ვიქტორიული ინგლისის ეპოქის (XIX საუკუნის მეორე ნახევარი) და ადრეული კაპიტალიზმის მსგავსად.

დამატებითი ინფორმაცია ამ სუბკულტურების შესახებ შეგიძლიათ მოიძიოთ ინტერნეტში:

1. Кто такие рокеры? — [ელექტრონული რესურსი]. — ხელმისაწვდომია მისამართზე:: http://proekt-obrazovanie.ru/s-miru-po-nitke/264-kto-takie-rokery.
2. Буславская В. Стимпанки: кто они и чем занимаются? — [ელექტრონული რესურსი]. — ხელმისაწვდომია მისამართზე: http://youth-time.eu/_articles_323.
3. Что такое стимпанк? — [Электронный ресурс]. — ხელმისაწვდომია მისამართზე:: http://steampunker.ru/page/steampunk_about/.

ნაბიჯი 3 მუშაობა ლექსიკონზე (ბლოკი 2) *(7 წუთი)*

შესთავაზეთ მოსწავლეებს, პირველი ბლოკის დავალებათა შესრულების შედეგად შეძენილ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ჩამოაყალიბონ იდენტობის ცნების საკუთარი განსაზღვრება. მათთან ერთად წაიკითხეთ მოცემული თემის გასაგებად აუცილებელი ძირითადი ცნებების ტექსტში მოყვანილი განსაზღვრებანი. დაემთხვა თუ არა მოსწავლეთა მიერ იდენტობის ცნების დამოუკიდებლად ჩამოყალიბებული განსაზღვრება ტექსტში მოყვანილს?

ამ დავალების შესასრულებლად სხოვეთ მოსწავლეებს დაიყონ წყვილებად და ერთმანეთთან იმსჯელონ იმაზე, თუ რა დაემთხვა და რა — არა იდენტობის მათ მიერ ჩამოყალიბებულ განსაზღვრებასა და მეცნიერულ განსაზღვრებაში.

შეგიძლიათ აგრეთვე მოსწავლეებთან ერთად განიხილოთ შემოთავაზებული განსაზღვრებების ყველაზე ძნელად გასაგები ადგილები, მაგალითად, "საკუთარი თავის გარკვეულ ჯგუფებთან და სოციალურ როლებთან გაიგივება" და სხვ.

ნაბიჯი 4 *(25 წუთი)*

დაყავით მოსწავლეები რვა ჯგუფად (იდენტობის შემოთავაზებულ სახეობათა რაოდენობის მიხედვით).ყოველ ჯგუფს დაურიგეთ თითო-თითო წყარო (წყაროებიდან 9-16) და შესაბამისი კითხვები (კითხვები 14 და 15). დარიგებული მასალების წაკითხვისას მოსწავლეებმა უნდა გამოყონ ამა თუ იმ სახის იდენტობის საკვანძო თვისებები და მახასიათებლები. შემდეგ ყოველმა ჯგუფმა უნდა შეადგინოს მოკლე საინფორმაციო ცნობა იმ სახის იდენტობის შესახებ, რომელზეც მუშაობდა.

ნაბიჯი 5 *(25 წუთი)*

მუშაობა შეიძლება წარიმართოს ორი სტრატეგიით, სწავლების ტექნიკური საშუალებებისდა მიხედვით.

სტრატეგია 1. ეკრანზე თანმიმდევრულად აჩვენებთ მოსწავლეებს წყარო 17-ში მოყვანილი ინტერვიუების ფრაგმენტებს და რომელიმე ჯგუფის წევრებს (თქვენი სურვილისამებრ) სთავაზობთ გამოთქვან თავიანთი მოსაზრება იმის თაობაზე, თუ რომელი სახის იდენტობის დახასიათებაა წარმოდგენილი ინტერვიუში. სხვა ჯგუფების წარმომადგენლებს შეუძლიათ შეავსონ ან შეასწორონ პასუხი.

სტრატეგია 2. ურიგებთ ჯგუფებს თითო-თითო ინტერვიუს და დავალება 17-ის ტექსტს. ყოველი ჯგუფი წარმოუდგენს კლასს თავის ინტერვიუს და ახასიათებს მას დავალების შესაბამისად.

ნაბიჯი 6 შემაჯამებელი განხილვა *(5 წუთი)*

ნაბიჯი 7 უკუკავშირი (დაუმთავრებელი წინადადებების მეთოდი) *(2 წუთი)*

მოსწავლეები ინდივიდუალურად წერენ პასუხებს.

- *ამ გაკვეთილზე შევიტყვე, რომ...*
- *ჩემთვის ყველაზე საინტერესო იყო ის, რომ...*
- *ჩემი ინდივიდუალური მომზადება გაკვეთილისთვის იმაში მდგომარეობდა, რომ...*
- *დავალებების შესრულების დროს გამიძნელდა...*
- *ყველაზე მთავარი დასკვნა, რომელიც გამოვიტანე მუშაობის დროს, ის არის, რომ...*
- *საკვანძო საკითხზე ჩემი პირადი პასუხი ასეთია: ...*

შეაფასეთ:

– მოსწავლის უნარი აღმოაჩინოს იმის ნიშნები, თუ რომელ ჯგუფს მიეკუთვნება ესა თუ ის დამიანი;

– უნარი მიიღოს ინფორმაცია და გადასცეს ის სხვა მოსწავლეებს;

– ტერმინების სწორი გამოყენების უნარი;

– ის, თუ რამდენად აითვისა მოსწავლემ სხვა მოსწავლეებისაგან მიღებული მასალა და შეძლო თუ არა მისი პრაქტიკული გამოყენება (დავალებებზე პასუხის გაცემის დროს);

– ჯგუფური მუშაობის შედეგებზე დაყრდნობით ჩამოყალიბებული პასუხი საკვანძო კითხვაზე.

ნაკვეთი II

კულტურა და პოლიტიკა



ნაკვეთის „კულტურა და პოლიტიკა“ საკვანძო კითხვები

- რა ცვლილებები განიცადა შობისა და ახალი წლის დღესასწაულებმა XIX-XX საუკუნეების განმავლობაში და რატომ?
- როგორ ასახავს ქუჩებისა და მოედნების სახელწოდება ხელისუფლების დამოკიდებულებას წარსულისა და აწმყოსადმი?
- რა გავლენას ახდენს ქალის სახეზე საზოგადეობრივი ცვლილებები?
- როგორ აისახება საზოგადოებაში მომხდარი ცვლილებები წარსულისა და ძეგლების მიმართ დამოკიდებულებაზე?
- რას და როგორ გვიამბობენ ძეგლები საზოგადოებაში მომხდარი ცვლილებების შესახებ?
- როგორ იყენებდნენ საბჭოთა კავშირში ხელოვნებას, პოეზიასა და მუსიკას „ხალხთა მეგობრობის “პროპაგანდისთვის?
- როგორი ურთიერთობები ჰქონდათ სხვადასხვა ეროვნების საბჭოთა ახალგაზრდებს?
- რას გვიამბობს წარსულის შესახებ 1 მაისის აღნიშვნის საბჭოური ტრადიციები?
- რა ქმნის ერთიან და მრავალფეროვან საზოგადოებას?
- რა არის ფასეულობა და რა გავლენას ახდენს იგი საზოგადოებაზე?

შობისა და ახალი წლის დღესასწაულების მძიმე ხვედრი XIX-XX საუკუნეებში

▶ რა ცვლილებები განიცადა შობისა და ახალი წლის დღესასწაულებმა XIX-XX საუკენეების განმავლობაში და რატომ?

▶ მოსწავლეთა ასაკი	14-17 წელი
▶ გაკვეთილისათვის საჭირო დრო	90 წუთი
▶ გაკვეთილის მიზანი	მოსწავლეებმა გაიაზრონ, თუ რა გავლენა მოახდინა სახელმწიფო პოლიტიკამ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარმა ცვლილებებმა შობისა და ახალი წლის დღესასწაულების ტრანსფორმაციაზე.
▶ შემოთავაზება დამატებითი ინფორმაციის მისაღებად	**1.** Душечкина Е. В. Русская елка: История, мифология, литература. — СПб. 2002. **2.** Алла Сальникова. История елочной игрушки. — М.: НЛО, 2011. **3.** Андрей Жвалевский, Евгения Пастернак. Правдивая история Деда Мороза. — М.: Время. 2009. Он-лайн версия — http://loveread.ws/read_book.php?id=7107&p=1. **4.** Коллекция старинных рождественских и новогодних открыток он-лайн. — ხელმისაწვდომია მისამართზე: http://www.kyda-komy.ru/novogod.html. **5.** Коллекция старинных рождественских и новогодних открыток он-лайн. — ხელმისაწვდომია მისამართზე: http://www.kyda-komy.ru/novogod.html. **6.** О советской пропаганде. [ელექტრონული რესურსი] http://www.liveinternet.ru/community/3299606/post301950278/. **7.** Откуда взялся Дед Мороз. — ხელმისაწვდომია მისამართზე: http://log-in.ru/articles/otkuda-vzyalsya-ded-moroz-i-ego-proiskhozhdenie/. **8.** [ელექტრონული რესურსი] http://www.history.com/topics/christmas/history-of-christmas-trees. **9.** Никаких компромиссов с Дедом Морозом. [ელექტრონული რესურსი] http://gazeta.zn.ua/history/nikakih-kompromissov-s-dedom-morozom-_.html.
გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი სავარაუდო შედეგები	
▶ ყველა მოსწავლე	შეიტყობს, როგორ იცვლებოდა შობისა და ახალი წლის დღესასწაულებისადმი დამოკიდებულება და მისი აღნიშვნის ტრადიცია რუსეთის იმპერიასა და სსრკ-ში XIX-XX საუკუნეების განმავლობაში.
▶ მოსწავლეთა უმრავლესობა	სადღესასწაულო ცალკეულ ელემენტებს — საშობაო და საახალწლო ნაძვის ხეს, სადღესასწაულო მორთულობას და რიტუალს, ამ რიტუალის მთავარ მოქმედ გმირ თოვლის ბაბუას — დაუკავშირებს საზოგადოებასა და პოლიტიკაში მიმდინარე პროცესებსა და ცვლილებებს.
▶ ზოგიერთი მოსწავლე	შეძლებს XIX-XX საუკუნეების განმავლობაში შობისა და ახალი წლის დღესასწაულების აღნიშვნის ტრანსფორმაციის მიზეზების ანალიზსა და მათ ახსნას.

▶ **მასწავლებლის მომზადება გაკვეთილისათვის**	აუცილებელია თითოეული ბლოკის კითხვების მინიმუმ 3-4 კომპლექტი (თითო კონვერტში — დაჭრილ ფურცლებზე ყოველი ბლოკის მასალა დანომრილი წყაროებით, როგორც მითითებულია ინსტრუქციაში). სასურველია ვიზუალური წყაროების ფერადი ამონაბეჭდები ან რამდენიმე ნოუთბუკი თითოეული ჯგუფისთვის ბლოკის ვიზუალური მასალის საჩვენებლად; მაგიდებზე ორმხრივი დაფები წარწერებით: ცალ მხარეს ჯგუფის ნომერი, მეორეზე— ექსპერტის თემა („დღესასწაული“, „ნაძვის ხე“, „სათამაშოები“, „თოვლის ბაბუა“).

საერთო შენიშვნები

მოდული დიდი მოცულობისაა და შეიცავს ვრცელ ინფორმაციას, რომელსაც მოსწავლეები საკვანძო კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა გაეცნონ.

მოდულის მასალა სპეციალურ ცოდნას არ მოითხოვს, თუმცა მოსწავლეები წყაროების ანალიზს უკეთ შეძლებენ, თუკი ეცოდინებათ საბჭოთა კავშირის ისტორია და ისეთი ცნებები, როგორიც არის: *„სახელმწიფო პროპაგანდა“, „ათეიზმი“, „დეფიციტი“.*

გარდა ამისა, ბლოკების 2-3 მასალის გამოყენება შესაძლებელია კულტურის სფეროში სახელმწიფო იდეოლოგიის მაგალითებად 1920-1930-იანი წლების საბჭოთა კავშირის ისტორიის შესწავლისას.

მასწავლებელს უნდა ესმოდეს, რომ მოდულის მასალა ეძღვნება შობისა და ახალი წლის აღნიშვნის სპეციფიკას XIX-XX საუკუნეების მაღალი წრის საზოგადოებაში და არა გლეხებში. საკმარისი დროის ქონის შემთხვევაში სოფლად საშობაო ტრადიციების შესწავლა შეიძლება ცალკე პროექტად იქცეს. ეს რეკომენდაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უკრაინელი და მოლოდოველი მასწავლებლებისთვის.

მოდულის მასალა შეგიძლიათ გამოიყენოთ სამოქალაქო განათლების ან კულტურასთან დაკავშირებულ გაკვეთილებზე, მოსწავლეებმა დღესასწაულის ტრანფორმაციის მაგალითზე უნდა შეადარონ ტრადიციული და ქალაქური კულტურა.

უნდა გაითვალისწინოთ, რომ მოდულის მასალა შეიცავს რუსეთისა და საბჭოთა კავშირის ტერიტორიის მხოლოდ ევროპული ნაწილის ტრადიციებს და არ აღწერს სსრკ-ს, განსაკუთრებით, ბალტიისპირეთის, დასავლეთ უკრაინისა და ბელორუსიის ხალხების განსხვავებულ წეს-ჩვეულებებს. ამ რეგიონებში უფრო მყარადაა შენარჩუნებული აკრძალული დღესასწაულის აღნიშვნის ტრადიციები: ვატიკანიდან საშობაო მესის რადიორეპორტაჟის საიდუმლოდ მოსმენა, ტაძრების მოლოცვა, ტრადიციული კერძების მომზადება და ა. შ. ამ ასპექტის შესწავლა შესაძლებელია ზეპირი ისტორიების გამოყენებით, ასევე, ფაკულტატური მეცადინეობისა და არჩევითი კურსისთვის ცალკე საგანმანათლებლო პროექტად.

იმის გათვალისწინებით, რომ მოდულის მასალა ვრცელია, სასწავლო დრო კი მხოლოდ 90 წუთი, მიზანშეწონილი იქნება, მეცადინეობის წარმართვა სამეტაპიანი ჯგუფური მეცადინეობის მეთოდით (მეთოდის „ჯიგ-სოს“ ვარიანტი[1]).

[1] იხ. ნაწილი „როგორ გავხადოთ მუშაობა აქტიური“.

ჯგუფებში მუშაობა

ეტაპი 1: „საშინაო ჯგუფები“ — ისტორიული პერიოდების მიხედვით, უნდა იყოს ოთხი ან რვა ჯგუფი მოდულის ოთხი შინაარსობრივი ბლოკის შესაბამისად. ჯგუფების მოწყობის მეთოდები აღწერილია მეთოდურ რეკომენდაციებში.[2]

ეტაპი 2: „საექსპერტო ჯგუფები“ — თემატიკის მიხედვით:

- დღესასწაულის ისტორია;
- დღესასწაულის სიმბოლოს — ნაძვის ხის ისტორია;
- საახალწლო სათამაშოების ისტორია;
- საახალწლო დღესასწაულის პერსონაჟის — თოვლის ბაბუის ისტორია.

მოსწავლეები უნდა განაწილდნენ ოთხ ან რვა ჯგუფში.

ეტაპი 3: „საშინაო ჯგუფებში“ დაბრუნება, მიღებული ინფორმაციის გაზიარება და საკვანძო კითხვაზე პასუხის გაცემა.

თუ მეცადინეობის დრო შეზღუდულია, მასწავლებელი „საშინაო“ ჯგუფებს ყოველი ისტორიული პერიოდის მასალას საშინაო დავალებად აძლევს. ამ შემთხვევაში მეცადინეობა ტარდება ნაბიჯები 1, 2, 4, 5-ის კომბინაციით, ნაბიჯ 3-ს მოსწავლეები საშინაო დავალებად იღებენ, „საექსპერტო“ ჯგუფები კი ნაბიჯი 2-ის ეტაპზე იქმნება.

მასწავლებელს შეუძლია, მოსწავლეებს შესთავაზოს მის მიერ შერჩეული ზოგიერთი წყაროს ან ბლოკის მასალის შესწავლა კითხვებისა და დავალებების მიხედვით, თუმცა მხედველობიდან არ დაკარგოს საკვანძო კითხვა.

ნაბიჯი 1 მეცადინეობის დასაწყისი *(5 წუთი)*

მოსწავლეებს ჰკითხეთ:

1. *რა არის დღესასწაული?*
2. *რატომ გვიყვარს დღესასწაულები?*
3. *რომელ დღესასწაულებს ჩამოთვლიდით? რა დღესასწაულებია ეს — ოჯახური, პირადი, კოლექტიური, ოფიციალური?*
4. *რატომ გვიყვარს ახალი წელი და შობა?*

ამ კითხვებზე მსჯელობისას ყურადრება გაამახვილეთ სიტყვა „დღესასწაულის“ წარმოშობაზე. მშობლიურ ენაზე ახსენით ცნება „დღესასწაული“. კითხვა 4-ზე პასუხის გაცემისას დააზუსტეთ, როგორ აღიქვამენ მოსწავლეები ახალ წელსა და შობას (წყარო 3).

ნაბიჯი 2 *(3–5 წუთი)*

მოსწავლეებს გააცანით მეცადინეობის თემა და მიზანი. ისტორიული ცნობის გამოყენებით ჩაატარეთ მინი-ლექცია მთელი კლასისთვის.

გააცანით საკვანძო კითხვა. სასურველია, ის ან დაფაზე, ან ქაღალდის დიდ ფურცელზე დაწეროთ, რომ მოსწავლეებს მთელი მეცადინეობის განმავლობაში თვალწინ ჰქონდეთ.

[2] იქვე.

ნაბიჯი 3 ახალი მასალის შესწავლა: ჯგუფებზე განაწილებული წყაროების მიხედვით
(30–35 წუთი)

მოსწავლეები გაანაწილეთ 4-8-კაციან 4 (ან 8) ჯგუფში. ჯგუფების რაოდენობა 4-ზე უნდა იყოფოდეს (ბლოკების რაოდენობის მიხედვით). თითო ჯგუფს თითო ბლოკის მასალა მიეცით.

ჯგუფებად განაწილებისას შესაძლებელია ფერადი დანომრილი ბარათების გამოყენება. „საშინაო“ ჯგუფები იქმნება ციფრების მიხედვით (ყველა „ერთიანი“, ყველა „ორიანი“ და ა. შ.), „საექსპერტო“ ჯგუფები კი — ფერების მიხედვით (წითელი, მწვანე. ლურჯი, ყვითელი და სხვ.).

მოსწავლეების ახალ ჯგუფებში გასანაწილებლად მოხერხებულია სანიშნე ბარათების გამოყენება: ცალ მხარეს მითითებული იქნება ჯგუფის ნომერი ან ისტორიული პერიოდი, მეორეზე კი — ფერი ან თემის დასახელება, რომელსაც განაზოგადებენ.

მაგალითად:



მოსწავლეებს აუხსენით, რომ ყოველი ბლოკის მასალა კითხვებისა და დავალებების საფუძველზე უნდა გააანალიზონ. შეახსენეთ, რომ ყოველი ჯგუფი განსხვავებულ ისტორიულ პერიოდზე იმსჯელებს და რომ ყოველ ჯგუფში არიან ცალკეული თემების ექსპერტები, ესენია: „დღესასწაული“, „ნაძვის ხე“, „სათამაშოები“, „თოვლის ბაბუა“.

მნიშვნელოვანია, მოსწავლეებმა იცოდნენ, რომ ბლოკის მასალის შესწავლის შემდეგ ისინი ახალ ჯგუფებში ექსპერტების როლში იქნებიან. მასწავლებელს თავად შეუძლია ჯგუფში ექსპერტის დანიშვნა ან მოსწავლეები დამოუკიდებლად ირჩევენ, რომელ თემაზე ვინ იქნება ექსპერტი. ეს მათ შესაძლებლობას მისცემს საჭირო მასალა უკეთ შეარჩიონ.

რადგან მოდულში ოთხი თემაა, ყოველ „საშინაო“ ჯგუფში მოსწავლეთა რაოდენობაც 4-ზე უნდა იყოფოდეს. „დღესასწულის“ თემის მასალის რაოდენობის გასათანაბრებლად შესაძლებელია 2 ექსპერტის მოწვევა. ამ შემთხვევაში „საშინაო“ ჯგუფში შეიძლება 5 მოსწავლე იყოს.

ბლოკის მასალაზე მუშაობისას ყოველ ჯგუფთან რიგრიგობით მიდით და წყაროების გაანალიზებაში დაეხმარეთ. მოსწავლეებს აუხსენით, რომ ცნება „ნაძვის ხე“ ორი მნიშვნელობით გამოიყენება: როგორც შობის დღესასწულის ატრიბუტი და როგორც სპეციალური ზეიმის დასახელება, როდესაც ნაძვის ხეს დგამენ სახლში ან საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას.

გაითვალისწინეთ, რომ ბლოკი 2-ის მასალა საკმაოდ რთულია, მით უმეტეს, თუ მოსწავლეებს ჯერ არ უსწავლიათ 1917-1930-იანი წლები.

ნაბიჯი 4 „საექსპერტო“ ჯგუფების შექმნა და თემის მასალის განზოგადება *(20 წუთი)*

მოსწავლეებს შესთავაზეთ, ახალ „საექსპერტო“ ჯგუფებში განაწილდნენ და ინფორმაცია ერთმანეთისგან ქრონოლოგიური თანმიმდევრობით მოისმინონ. ყოველი ჯგუფის მიზანია, თვალი გაადევნონ შობისა და ახალი წლის დღესასწაულებისადმი სახელმწიფოსა და საზოგადოების დამოკიდებულების ცვლილებას, ამ ცვლილების მიზეზების გარკვევა და მათი ახსნა დღესასწულის ატრიბუტის — ნაძვის ხის, დღესასწაულის აღნიშვნის, სადღესასწაულო მორთულობისა და თოვლის ბაბუის როლის მაგალითებზე.

რადგან სხვადასხვა წყაროს ინფორმაცია ერთმანეთს ეხმიანება, შესაძლოა, მოსწავლეებს გაუჭირდეთ იმის გარკვევა, რომელი ტექსტები და ფოტოები უნდა წაიღონ ახალ ჯგუფებში, ამიტომ მიზანშეწონილია, წყაროების შერჩევაში მათ მასწავლებელი დაეხმაროს.

წყაროები ჯგუფებისთვის

„ექსპერტების“ ჯგუფი 1-თვის, რომელიც იმსჯელებს დღესასწულის, მისი პოპულარობის, მასზე აკრძალვისა და ნების დართვის ცვლილებებს და ა. შ., განკუთვნილია წყაროები 2, 4, 5, 8, 19, 11, 12, 13, 14, 17, 19, 22, 29, 33, 44, 46.

ჯგუფი 2-თვის, რომელიც მსჯელობს ნაძვის ხისადმი, როგორც დღესასწაულის ატრიბუტისადმი, დამოკიდებულების ცვლილებებზე, განკუთვნილია წყაროები 1, 2, 5, 7, 8, 15, 16, 17, 18, 20, 21, 23, 24, 31, 37, 41, 42, 43, 44, 45.

ჯგუფი 3-თვის, რომელიც იმსჯელებს ნაძვის ხის სათამაშოებზე, განკუთვნილია წყაროები 3, 6, 7, 12, 18, 20, 21, 25, 27, 28, 34, 35, 36, 45.

ჯგუფი 4-თვის, რომლიც იმსჯელებს ახალი წლის პერსონაჟ თოვლის ბაბუაზე, განკუთვნილია წყაროები 9, 11, 16, 22, 23, 26, 30, 31, 39, 40, 42, 43, 47.

მოსწავლეებს სთხოვეთ, ახალ საექსპერტო ჯგუფში დღესასწაულის აღნიშვნის ერთერთი ელემენტის მაგალითზე იმსჯელონ საკავნძო კითხვაზე, საკუთარი პასუხისთვის არგუმენტები სხვადასხვა ისტორიული პერიოდიდან შეარჩიონ. მოსწავლეებს დაურიგეთ ქაღალდის დიდი ფურცლები, რომელზეც ისინი თანაკლასელებისთვის მოსათხრობად საკვანძო სიტყვებს ჩამოწერენ და ყველაზე მკაფიო ილუსტრაციებს განათავსებენ.

უმჯობესი იქნება, თუ ექსპერტები თავიანთ ნამუშევარს წარმოადგენენ კომენტარებიანი პრეზენტაციის სახით და წყაროების მასალას გამოიყენებენ.

ნაბიჯი 5 *(10 წუთი)*

მოსწავლეებს სთხოვეთ, „საშინაო“ ჯგუფებში დაბრუნდნენ და მიღებული ინფორმაცია ერთმანეთს გაუზიარონ. აუხსენით, რომ ახლა მათ ოთხივე პერიოდსა და დღესასწაულის ყველა ატრიბუტზე აქვთ სრული ინფორმაცია.

ნაბიჯი 6 მოსწავლებს შესთავაზეთ, გამომსვლელების მსჯელობა შეავსონ *(10–15 წუთი)*

თუ მათ სათანადო გამოცდილება აქვთ, პასუხები შეაფასონ 1-დან 4 ქულამდე შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: „სრულყოფილება“, „არგუმენტირებულობა“, თანმიმდევრულობა“.

ნაბიჯი 7 შემაჯამებელი მსჯელობა *(5 წუთი)*

რა ცვლილებები განიცადა შობისა და ახალი წლის დღესასწაულმა XIX–XX საუკუნეების განმავლობაში და რატომ?

თუ მოსწავლელებს არ აქვთ ისტორიული წყაროების ანალიზისა და ჯგუფური მუშაობის საკმარისი გამოცდილება, მასალის ჯგუფური მუშაობის ეტაპების 1 და 2-ის თანახმად (იხ. ზემოთ), შესწავლის შემდეგ მსჯელობის ჩატარება შესაძლებელია გამარტივებული მეთოდით:

— სთხოვეთ, მიუთითონ ყველაზე საინტერესო წყარო და ახსნან საკუთარი არჩევანი.

— ჰკითხეთ მოსწავლეებს, რა შეიტყვეს ახალი და უცნაური მეცადინეობისას.

— შესთავაზეთ, შეარჩიონ სამი წყარო, რომლებსაც ისტორიის სახელმძღვანელოში შეიტანდნენ. არჩევანი დაასაბუთონ.

თუ თემის შესასწავლად კიდევ გაქვთ დამატებითი დრო, მოსწავლეებს საშინაო დავალებად შესთავაზეთ, მოიფიქრონ კითხვები და მშობლებისგან ან ოჯახის უფროსი წევრებისგან აიღონ ინტერვიუ თემაზე: „ახალი წელი და შობა ჩვენი ოჯახის ცხოვრებაში“.

შესწავლილი მასალის განზოგადების ერთ-ერთი ვარიანტი შეიძლება იყოს მასალის მომზადება სასკოლო გაზეთისთვის, სასკოლო საიტისთვის, სასკოლო რადიოგადაცემისთვის, ასევე შეიძლება ყოველ პერიოდზე ან თემაზე მინი-გამოფენის მომზადება დამატებითი ინფორმაციის, პირველ რიგში, ვიზუალურის, გამოყენებით.

რეკომენდაციები მოდულის ცალკეული წყაროს ანლიზისთვის

წყარო 2. საშობაო ნაძვის ხე ანიჩკოვის სასახლეში, სურათის ავტორია ა. ჩერნიშოვი. მოსწავლეებს აუხსენით, რომ ანიჩკოვის სასახლე რუსეთის საიმპერატორო ოჯახის ერთ-ერთი სასახლის სახელწოდებაა. ყურადღება მიაქციეთ სურათის შექმნის თარიღს და რომ იგი შეიძლება მივიჩნიოთ სურათზე აღბეჭდილი დღესასწაულის აღნიშვნის ოფიციალურ დადასტურებად. სურათზე გამოსახულია ბევრი ნაძვის ხე, მაგიდა საჩუქრებით, სადღესასწაულოდ გამოწყობილი კარისკაცები..

წყარო 10. ცვლილებები დღესასწაულში საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში

თუ მოსწავლეებს არ უსწავლიათ 1917-1920-იანი წლების სამოქალაქო ომისა და საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლები, მაშინ მათვის უცნობი იქნება კოლჩაკისა და დენიკინის სახელები, არ ეცოდინებათ ისეთი სიტყვების მნიშვნელობა, როგორიც არის: „ანტანტა“, „კულაკი“, „ნეპმენი“. მასწავლებელმა ამ სიტყვების მნიშვნელობა მოკლედ უნდა ახსნას. მოსწავლეებს ასევე უნდა აუხსნათ და ყურადღება მიაქცევინოთ „ძველი დღესასწაულების“ „ახლით ჩანაცვლების“ იდეას, რომელიც, საბჭოთა იდეოლოგების აზრით, მოსახლეობას საბჭოთა იდეოლოგიის გათავისებაში უნდა დახმარებოდა.

წყარო 13. ნაწყვეტი წერილიდან ჟურნალში „ბავშვების მეგობარი“

ყურადღება მიაქციეთ, რომ ეს არის საბავშვო ჟურნალში გაგზავნილი მოზრდილი ადამიანის წერილი და რომ ამ დროს საბჭოთა კავშირის არც ერთი ბეჭდვითი გამოცემა ცენზურის გარეშე არ გამოდიოდა. ასე რომ, ეს კერძო მოსაზრება მთლიანად ოფიციალურ პოზიციას გამოხატავს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას არ დაბეჭდავდნენ. მუშაობისას ყურადღება გაამახვილეთ წყაროს ენაზე. **ბლოკი 2**-ის წყაროების ყველა მასალა პროპაგანდის მაგალითია და მათ ანალიზს მეტი დრო უნდა დაეთმოს. ეს შესაძლებელი

იქნება კითხვების 7-21 თანმიმდევრული ანალიზის საფუძველზე. **წყარო 16**-ის ანალიზისას, ყურადღება მიაქციეთ მინაწერებსა და მხატვრის მიერ გამოყენებულ გამომსახველობით საშუალებებს. მაგალითად, ნაძვის ხესთან თოვლის ბაბუას, რომელსაც ხელში ნაჯახი უჭირავს, თავზე შარავანდედი აქვს, რაც ქრისტიანიობაში ღმერთისა და წმინდანების კანონიკურ გამოსახულებებზე მიუთითებს. იმსჯელეთ, როგორ შეესაბამება ეს გამოსახულება ჟურნალის სახელწოდებას. **კითხვა 21**-ზე პასუხის გაცემისას ყურადღება მიაქციეთ, რომ წყარო 15-ზე მოწოდება ორნაწილიანია: არ იყიდოთ ნაძვის ხე და მისდიეთ ზამთრის სპორტს.

წყარო 19. წერილიდან გაზეთ „პრავდაში" სკკპ ცკ-ს პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი პავლე პოსტიშევი წერს: „მოვუწყოთ ბავშვებს საახალწლოდ კარგი ნაძვის ხე!" 1935 წლის 28 დეკემბერი.

წყაროს ანლიზისას, ყურადღება მიაქციეთ, რომ გაზეთი „პრავდა" სკკპ-ს ოფიციალური ბეჭდვითი გამოცემა იყო, ანუ საბჭოთა კავშირის მთელი ხელისუფლების. ამიტომ კონკრეტული პიროვნების ასეთი წინადადება სპონტანური და იმპროვიზირებული ვერ იქნებოდა. ამდენად, დღესასწაულის ახალი ვერსიით აღდგენა მოწოდებულია, როგორც წინადადება „ქვემოდან", როგორც პარტიის რიგითი წევრის ინიციატივა. მკვლევარი ე. დუშეჩკინა წერს, რომ დღეს ძნელი წარმოსადგენია ის გრძნობები (სიხარული, გაკვირვება, სიფრთხილე, დაბნეულობა), რომელსაც 1935 წლის დეკემბერში ეს წერილი მკითხველში გამოიწვევდა. ახალი წლის დადგომამდე რამდენიმე დღით ადრე ქვეყნის მთავარი გაზეთი, სკპ(ბ) ცკ-ს ორგანო, არა თუ ნებას რთავს, არამედ საბავშვო დაწესებულებებს *რეკომენდაციას აძლევს,* ნაძვის ხეები მოაწყონ. ეს კი იმდროინდელ ენაზე ნიშნავდა *ბრძანებას.* ამას ადასტურებს წერილის სტილისტიკა: სათაურსა და ბოლო ფრაზაში გამოყენებულია მოქმედების იძულების კონსტრუქცია: „მოდით" *(„მოდით მოვაწყოთ...")*, მეორდება რამდენიმე კონსტრუქცია, რაც გამოხატავს სავალდებულოობას, რეკომენდებული ქმედებების შესრულების აუცილებლობას: „საჭიროა ბოლო მოვუღოთ...", „უნდა მოვაწყოთ...", „ყველგან უნდა იყოს...", „უნდა დავეხმროთ მოწყობაში...". მოსწავლეებს უნდა შეახსენოთ, რომ გადაწყვეტილება მიღებულია 1935 წლის ბოლოს, როდესაც მოდერნიზაციის შედეგები ნათელი გახდა, დასრულდა კოლექტივიზაცია, გლეხობის მხრიდან ნებისმიერი წინააღმდეგობა გაანადგურეს, უკრაინას სასტიკმა, ხელისუფლების მიერ ინსპირირებულმა 1932-1933 წლების შიმშილმა გადაუარა, მასობრივად დააპატიმრეს ინტელიგენციის წარმომადგენლები, დასრულდა ამოძირკვის პოლიტიკა, ქვეყანას 1934 წლის ტერორის პირველმა ტალღამ გადაუარა.

წყარო 21. განათლების კომისარიატის ინსტრუქციებიდან საახალწლო ნაძვის ხის მორთვის შესახებ წყაროს ანალიზისას (ისევე როგორც წყაროების 24, 25, 26, 27, 28 ანალიზისას), საჭიროა ყურადღება გამახვილდეს საახალწლო მორთულობის სიმბოლიკის ცვლილებაზე და როგორ თავისთავად აქრობდა ეს სიმბოლიკა საშობაო დღესასწაულთან კავშირს, საახალწლო დღესასწაულს კი საერო დღესასწაულად აქცევდა, რაც ძალიან შორს იყო მისი თავდაპირველი მნიშვნელობისგან.

წყაროები 29, 30. მათი ანლიზისას, მოსწავლეების ყურადღება გაამახვილეთ ღია ბარათების სიმბოლიკაზე, რომელიც სწორედ მის საახალწლო ხასიათზე მიუთითებს — ნაძვის ხე, თოვლის ბაბუა, ზამთარი. უნდა აღინიშნოს, რომ წყარო 29-ზე ჭურვი არის „საჩუქარი" მტრისთვის, წყარო 30-ზე კი თოვლის ბაბუა გამოსახულია იარაღით ხელში.

ბლოკი 3-ის მასალის შესწავლისას, შესაძლებელია მოსწავლეებისა და მათი ოჯახური ტრადიციების გამოყენება. ამ შემთხვევაში უნდა შეინარჩუნოთ ბლოკის წყაროების მიწოდებისა და ანალიზის ლოგიკა.

წყარო 37-ის ანალიზისას, ყურადრება მიაქციეთ, რომ ეს ფოტო სამრეწველო დანიშნულების შენობაშია გადაღებული, ეს არის ელექტროსაამქრო და ამ ფოტოზე კურიოზულად არის შერწყმული რამდენიმე სიმბოლო: გათბობის მილები, სამუშაო მუზარადები, სასწრაფო გამოძახების ტელეფონი, კუთხეში ენგელსის პორტრეტი და მორთული ნაძვის ხე.

წყაროების 39-40 ანალიზისას აღნიშნეთ, რომ საბჭოთა კავშირში არ არსებობდა საბაზრო ეკონომიკა, ე.ი. საყოფაცხოვრებო ატელიეები სახელმწიფოს ეკუთვნოდა და თოვლის ბაბუების გამოძახების მომსახურებაც სახელმწიფო იყო. მოსწავლეებს აუხსენით, რომ თოვლის ბაბუებს არა მარტო სახლში, არამედ დაწესებულებებსა და საწარმოებშიც იწვევდნენ.

წყაროების 41-44 ანლიზისას, ყურადღება გაამახვილეთ იმაზე, რომ ყველა ეს ფოტო დადგმულია. მიუხედავად ამისა, ისინი წერილობით წყაროში აღწერილ მოვლენებს გადმოსცემს: ახალი წლის დღესასწაულების მნიშვნელოვნებას, დღესასწაულის „საბავშვო ხასიათს“, თოვლის ბაბუის სახლში მიწვევას. **წყაროზე 44** აღბეჭდილია სოფლის ფელდშერისა და მაღაზიის გამყიდველის ოჯახი ანუ სოფლის ინტელიგენცია, რომელსაც სოფლად ქალაქური ყოფის ელემენტი შეაქვს — საახალწლოდ მორთულ ნაძვის ხეს.

წყარო 45-ის ანალიზისას, რომელიც საახალწლო ორი ღია ბარათისგან და მილოცვის ტექტისგან შედგება, ყურადღება მიაქციეთ, რომ ტექსტი არის ღია, არ არის ჩადებული კონვერტში და მისი წაკითხვა ნებისმიერ უცხო ადამიანს შეუძლია. ასევე ყურადღება მიაქციეთ, რომ ისინი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რეგიონიდან არის გამოგზავნილი, რაც ღია ბარათებით მილოცვას კომუნიკაციის თავისებურ საშუალებად აქცევს. ასევე ყურდღება მიაქციეთ წყაროებს 45, 46, 47. თუ ღია ბარათი 45 არაიდეოლოგიზირებულია, ღია ბარათი 46 საბჭოთა ხელისუფლების სიმბოლიკას შეიცავს (წითელი დროშა, სპასკის კოშკი საათით, როგორც კრემლის სიმბოლო). ღია ბარათ 47-ში კი, რომლის მსგავსიც 1960-1980-იან წლებში საბჭოთა კავშირში უამრავი იყო, გამოყენებულია კოსმონავტიკის თემატიკა, კოსმოსის ათვისების ხაზგასმულად საბჭოური კონოტაციებით: რაკეტაზე გამოსახულია წითელი ვარსკვლავი და ალამი სახელმწიფო გერბის სიმბოლოებით — ნამგალითა და უროთი. ხაზი გაუსვით, რომ ეს ღია ბარათები ისტორიული წყაროებია, რადგან თავისი სიმბოლიკით კონკრეტულ თარიღებს უკავშირდება — მოსკოვის პეიზაჟის ფონზე ოსტანკინოს ტელეანძის გამოჩენით და კოსმოსის ათვისების დასაწყისით.

დროთა დიალოგი
ქუჩებისა და მოედნების სახელწოდებაში

▶ როგორ ასახავს ქუჩებისა და მოედნების სახელწოდება ხელისუფლების დამოკიდებულებას წარსულისა და აწმყოსადმი?

▶ მოსწავლეთა ასაკი	14-18 წელი
▶ გაკვეთილისათვის საჭირო დრო	45 წუთი
▶ გაკვეთილის მიზანი	– გააანალიზოთ, როგორ აისახება წარსულისა და აწმყოსადმი ხელისუფლების დამოკიდებულება ქუჩებისა და მოედნების სახელწოდებებზე; – გააანალიზოთ ქუჩებისა და მოედნების სახელწოდების ცვლილების მიზეზები; – აჩვენოთ სახელწოდების ცვლილებაზე ისტორიული და პოლიტიკური კატაკლიზმების გავლენა; – აჩვენოთ, რა შემთხვევებში არ მოქმედებს პოლიტიკური კონიუნქტურა ქუჩებისა და მოედნების სახელწოდების შეცვლაზე.
▶ შემოთავაზება დამატებითი ინფორმაციის მისაღებად	**1.** Изменение названий улиц Тифлиса — Тбилиси в XIX и XX веках. — [ელექტრონული რესურსი]. — ხელმისაწვდომია მისამართზე: http://mytbilisi.narod.ru/history/tiflis/streets_01.html. **2.** Тифлисъ и его окрестности. Иллюстрированный карманный путеводитель. — Тифлис, 1913. — ხელმისაწვდომია მისამართზე: http://meskhi.net/tiflis/. **3.** Тбилиси: улицы, проспекты, площади. Энциклопедия. — Тбилиси, 2011 (на груз.). **4.** Туристический путеводитель Luscinia. (раздел «Тбилиси. Город»). — [ელექტრონული რესურსი]. — ხელმისაწვდომია მისამართზე: http://luscinia.ru/georgia/tbilisi/. **5.** Как выглядел «Майдан Незалежності» и какой вид у него будет в будущем. — [ელექტრონული რესურსი]. — ხელმისაწვდომია მისამართზე: http://blog.vertaki.com.ua/kak-vyglyadel-majdan-nezalezhnosti/. **6.** Книжник Михаил. Ташкент, Сквер. — Письма о Ташкенте. Художественный исторический альманах. — ხელმისაწვდომია მისამართზე: http://mytashkent.uz/2007/06/10/tashkent-skver/.
გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი სავარაუდო შედეგები	
▶ ყველა მოსწავლე	შეისწავლის მოედნების სახელწოდებებისა და ძეგლების შეცვლის მიზეზებს.
▶ მოსწავლეთა უმრავლესობა	დაუკავშირებს ქუჩებისა და მოედნების სახელწოდებისა და ძეგლების შეცვლას პოლიტიკურ კონიუნქტურას.
▶ ზოგიერთი მოსწავლე	შეძლებს ქუჩებისა და მოედნების სახელწოდებისა და ძეგლების ანალიზის საფუძველზე ისტორიული ეპოქის შეფასებას.
▶ მასწავლებლის მომზადება გაკვეთილისათვის	დაფაზე ან ფლიპჩარტზე წინასწარ მომზადებული წყარო 2-ის ცხრილი (იხ. სამოტივაციო სავარჯიშო). ფლიპჩარტები, მარკერები.

გაკვეთილის დასაწყისი *(3 წუთი)*

მოდულზე მუშაობის დაწყებამდე მასწავლებელმა უნდა დასვას საკვანძო კითხვა (*როგორ ასახავს ქუჩებისა და მოედნების სახელწოდება ხელისუფლების დამოკიდებულებას წარსულისა და აწმყოსადმი?*) და სავარაუდო პასუხები დაფაზე დააფიქსიროს. ამის შემდეგ მასწავლებელს შეუძლია კლასს წინასწარ მომზადებული შესავალი სიტყვით მიმართოს თავისი ქალაქის (სოფელში — რაიონული ცენტრის) მთავარი მოედნისა და მიმდებარე ქუჩებისთვის სახელწოდების შეცვლის ისტორიის შესახებ, ესაუბროს სახელწოდების შეცვლასთან დაკავშირებულ მოვლენებზე.

სამოტივაციო სავარჯიშო (მეთოდი — „გონებრივი იერიში“) *(5 წუთი)*

ისტორიული ცნობა 1-სა და წყაროების 1-2 ანალიზი. მოსწავლეები ასრულებენ დავალება 1-ს. მასწავლებელს დაფაზე ან ფლიპჩარტზე გადმოაქვს წყარო 2 და ამატებს მესამე სვეტს, სადაც სწორი პასუხები შეაქვს, მოსწავლეების ყურადღებას კი მოედნის სახელწოდებებზე ამახვილებს. საჭიროების შემთხვევაში, უკარნახებს ქვემოთ მოცემულ ინფორმაციას სახელის გადარქმევის მიზეზების შესახებ.

გადარქმევის თარიღი	სახელწოდება	გადარქმევის მიზეზი
1869-მდე		„თხის ჭაობი“
1869	კრეშჩატიკის მოედანი	იმ ქუჩის სახელწოდების მიხედვით, რომელსაც მოედანი უშუალოდ ესაზღვრებოდა. *მოედნად მისი აღქმა დაიწყეს* 1830-იან წლებში, როდესაც გარშემო სახლები გაჩნდა, მანამდე კი მხოლოდ სავაჭრო გზების გზაჯვარედინი იყო.1830-იანი წლებიდან სახელი კრეშჩატიკი არაოფიციალური იყო. 1869 წლიდან კი — ოფიციალური (ყოველ შემთხვევაში, ეს არის ამ სახელწოდების პირველი მოხსენიება ოფიციალურ დოკუმენტებში).
1876	დუმის მოედანი	1876 წელს მოედანზე აშენდა ქალაქის დუმის (საკრებულოს) შენობა. 1913 წელს ქალაქის დუმის შენობის წინ დაიდგა სტოლიპინის ძეგლი.
1919	საბჭოების მოედანი	საბჭოთა ხელისუფლების დამყარება
1935	კალინინის მოედანი	მ. ი. კალინინის 60 წლისთავთან (1875-1946) დაკავშირებით 1935 წელს მოედანს მისი სახელი ეწოდა. კალინინი — საბჭოთა სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე, 1935 წელს სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე

1977	ოქტომბრის რევოლუციის მოედანი	ოქტომბრის რევოლუციის 60 წლისთავთან დაკავშირებით, იმავე დროს მოედანზე აღიმართა ოქტომბრის რევოლუციისადმი მიძღვნილი მონუმენტი ლენინის ძეგლით და შადრევნების ანსამბლი.
1991	დამოუკიდებლობის მოედანი	უკრაინის დამოუკიდებლობის გამოცხადება
2004		ნარინჯისფერი რევოლუციის ცენტრი; გაიმარჯვეს პროდასავლურმა ძალებმა, რომლებიც ევროინტეგრაციას უჭერდნენ მხარს.

დამატებითი ინფორმაცია:

2001 წელს მოედანს კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა: გაჩნდა მრავალი ახალი ძეგლი, ქანდაკება და შადრევანი. მოედნის ცენტრში დადგეს მაღალი თეთრი კოლონა, რომელსაც აგვირგვინებს გოგონას ფიგურა (ბერეგინია) ხელში ძახველის ტოტით — უკრაინის დამოუკიდებლობის სიმბოლო. 2013 წლის ნოემბერში უკრაინის მთავრობის გადაწყვეტილებამ შეეჩერებინა ევროკავშირში უკრაინის ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის პროცესი, ქვეყანაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური კრიზისი გაამწვავა. ამ გადაწყვეტილებამ მასობრივი საპროტესტო აქციები გამოიწვია კიევის ცენტრსა და უკრაინის სხვა ქალაქებში, ისევე, როგორც ეს მოხდა 2004 წელს ნარინჯისფერი რევოლუციის დროს — ამიერიდან სოციალურ ქსელებსა და მასმედიაში „ევრომაიდანის“ სახელი გაჩნდა.

ნაბიჯი 1 *(12 წუთი)*

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაეცნონ წყაროებს 3-5, რის შემდეგაც შესაბამის ცხრილს ავსებენ. ცხრილისა და ისტორიული ცნობების 2-5 გამოყენებით მოსწავლეები უპასუხებენ კითხვებს 2-5. ამისთვის მასწავლებელი დაფაზე ან ფლიპჩარტზე სამსვეტიან ცხრილს ხაზავს, სადაც სწორ პასუხებს იწერს.

მოსწავლეთა ყურადღება მიაქციეთ ისტორიულ წყარო 2-ს: ვინ იყვნენ ის ადამიანები, რომელთა სახელებსაც არქმევდნენ მთავარ მოედანსა და მიმდებარე ქუჩებს სხვადასხვა ეპოქაში, რით დაიმსახურეს მათ ხელისუფლების მადლიერება და რამდენად ემთხვეოდა სამშობლოს წინაშე მათი “დამსახურების“ შეფასება მათდამი ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულებას. როდის ემთხვეოდა ერთმანეთს ხელისუფლებისა და ხალხის მოსაზრება და როდის — არა?

სთხოვეთ მოსწავლეებს, ჩამოთვალონ ქუჩები, რომელთა სახელწოდებანი არ იცვლებოდა, და ახსნან დასახელების უცვლელად დატოვების მიზეზი.

სავარაუდო პასუხი კითხვა 3-ზე:

— ცარიზმის დროს გმირებად მიიჩნეოდნენ კავკასიის დამპყრობლები, საბჭოთა პერიოდში — ბოლშევიკები, რომლებმაც წვლილი შეიტანეს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაში, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ კი — ეროვნული გმირები.

სავარაუდო პასუხი კითხვა 4-ზე:

— ეს იყვნენ კულტურის ცნობილი მოღვაწეები, რომლებიც ყველა დროს ერთნაირად დაფასებულები იყვნენ. მათი შემოქმედება ეფუძნება საერთო-საკაცობრიო ფასეულობებს, რომლებიც არ იცვლება. ცვალებადია მხოლოდ პოლიტიკურ კონიუნქტურასთან დაკავშირებული ფასეულობანი.

სავარაუდო პასუხი კითხვა 5-ზე:

— ეპოქალური მოვლენები, ისეთი, როგორიც არის ისტორიული ეპოქის, სახელმწიფო წყობილების, იდეოლოგიის, მმართველობის სისტემის და სხვ. ცვლილება რევოლუციის, გადატრიალების, სამოქალაქო ომის და ა. შ. შედეგად. მოცემულ შემთხვევაში კი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვა ან აღდგენა, საბჭოთა ხელისუფლების დამყარება.

გაკვეთილს აგრძელებს მუშაობა კითხვებზე 6-7. დასვით დამატებითი კითხვა: არსებობს თუ არა ყველა ეპოქაში საერთო კანონზომიერებანი?

ნაბიჯი 2 *ბლოკი 2. ძეგლები ქუჩებსა და მოედნებზე (15 წუთი)*

მასწავლებელი წყაროები 8-10-ის და ისტორიული ცნობა 4-ის მაგალითზე მოსწავლეებთან ერთად განიხილავს, როგორ იცვლება ტაშკენტის ცენტრალური მოედნის სახელწოდება და ძეგლები ისტორიული ეპოქის ცვლილებასთან ერთად. ამ სამუშაოსთვის წინასწარ მოემზადეთ და წაიკითხეთ შესაბამისი მასალა ვიკიპედიაზე — ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე: <https://ru.wikipedia.org/wiki/%D1%EA%E2%E5%F0_%C0%EC%E8%F0%E0_%D2%E5%EC%F3%F0%E0> или статью Михаила Книжника «Ташкент, Сквер» <http://mytashkent.uz/2007/06/10/tashkent-skver/>.

მოსწავლეები წყვილებში მუშაობენ წყაროები 11-13-სა და ისტორიულ ცნობა 5-ზე, უპასუხებენ კითხვებს 8-9.

შესაძლებელია დამატებითი კითხვის დასმა: *რა აქვს საერთო და რა განასხვავებს ტაშკენტისა და თბილისის ცენტრალურ მოედნებზე ძეგლების ცვლას?* დაფაზე ან ფლიპ-ჩარტზე დახაზეთ ორი სვეტი: „საერთო“ და „განსხვავება“ და მოსწავლეთა პასუხები ჩამოწერეთ.

სავარაუდო პასუხები:

საერთო — *ცვლა უკავშირდება პოლიტიკური კონიუნქტურის ცვლილებას.*

განსხვავება — *ტაშკენტში უფრო ხშირად იცვლება; თბილისში დამოუკიდებლობის პერიოდში ძეგლი დაუდგეს წმინდანს, ტაშკენტში კი — ისტორიულ მოღვაწეს.*

განმაზოგადებელი კითხვა *(8 წუთი)*

გაკვეთილის ბოლოს ასწავლებელი სვამს განმაზოგადებელ *კითხვას:*

— რატომ შეიძლება ქუჩების სახელწოდება ისტორიულ წყაროდ იქცეს?

სავარაუდო პასუხები:

— სახელწოდებიდან ჩანს, რა ისტორიული მოვლენები მოქმედებს სხვადასხვა ქალაქის ქუჩებისა და მოედნების სახელწოდების ცვლაზე, რა პრიორიტეტები აქვს ხელისუფლებას, როგორი პოლიტიკური კონიუნქტურაა ქვეყანაში.

საშინაო დავალება *(2 წუთი)*

მომზადეთ ინფორმაცია კედლის გაზეთისთვის ან საინფორმაციო სტენდისთვის თქვენი ქალაქის ქუჩის/მთავარი მოედნის შესახებ.

შემდეგ გაკვეთილზე მოსწავლეები მომზადებულ მასალას წარმოადგენენ და განიხილავენ. მასწავლებელი ყველაზე საინტერესო ინფორმაციას შეარჩევს სპეციალური კედლის გაზეთისთვის ან სტენდისთვის „ჩვენი ქალაქის ქუჩებისა და მოედნების ისტორია“.

როგორ გადაიქცა „დედაკაცი“ „ამხანაგად“...
ქალის სახე პოსტრევოლუციურ პერიოდში

▶ რა გავლენას ახდენს ქალის სახეზე საზოგადეობრივი ცვლილებები?

▶ მოსწავლეთა ასაკი	14-18 წელი
▶ გაკვეთილისათვის საჭირო დრო	90 წუთი
▶ გაკვეთილის მიზანი	ტექსტებისა და მონუმენტური სკულპტურის მაგალითზე წარმოაჩინოთ სახელმწიფო პროპაგანდისა და სოციალური ცვლილებების გავლენა საზოგადოებაში ქალის სახესა და როლზე.
▶ შემოთავაზება დამატებითი ინფორმაციის მისაღებად	**1.** Монументальное искусство.სალექსიკონო სტატია სამხატვრო ენციკლოპედიაში. [ელექტრონული რესურსი]. — ხელმისაწვდომია მისამართზე: http://dic.academic.ru/contents.nsf/enc_pictures/ **2.** Советское монументально искусство. — ინტერნეტ-ჟურნალი CODE RED. — ხელმისაწვდომია მისამართზე: http://www.codered.ru/mag/art/public/862 **3.** Толстой В. П. У истоков советского монументального искусства, 1917–1923. — М.:Изобразительная культура, 1983. **4.** Тягунов Ф.Ф. Искусство при социализме и коммунизме. — [ელექტრონული რესურსი]. — ხელმისაწვდომია მისამართზე: Mexnap.info http://mexnap.info/articles.php?article_id=759. **5.** ქანდაკების შესახებ წიგნების ელექტრონული ბიბლიოთეკა — ხელმისაწვდომია მისამართზე: http://sculpture.artyx.ru/. **6.** Пушкарева Н. Л. Гендерная система советской России и судьбы россиянок. — ჟურნალის «НЛО», 2012, № 117. — ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე: http://magazines.russ.ru/nlo/2012/117/.
გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი სავარაუდო შედეგები	
▶ ყველა მოსწავლე	– ახსნას ცნება „მონუმენტური პროპაგანდა“ და მოიყვანოს საბჭოთა ეპოქის ძეგლებში პროპაგანდის მაგალითები; – შეარჩიოს გამოსახულებანი, რომლებიც ადასტურებს საზოგადოებრივი ცვლილებების გავლენას ქალის სახეზე.
▶ მოსწავლეთა უმრავლესობა	შეძლებს: – კითხვებისა და დავალებების საფუძველზე გააანალიზოს მოდულის წერილობითი და ვიზუალური წყაროები; – შეადაროს ოფიციალური დოკუმენტების ინფორმაცია მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოებებს და ქანდაკებების გამოსახულებებს; – სრულყოს მცირერიცხოვან ჯგუფებში მუშაობის უნარ-ჩვევები.
▶ ზოგიერთი მოსწავლე	– ძეგლებისა და ქალაქური ქანდაკებების მაგალითზე შეძლებს გამოიტანოს არგუმენტირებული დასკვნასაზოგადოებაში ქალის როლის ცვლილების მიზეზების შესახებ.
▶ მასწავლებლის მომზადება გაკვეთილისათვის	პირველი და მეორე ბლოკების წყაროების, აგრეთვე მესამე ბლოკის ხარისხიანი გამოსახულებების გამრავლება საჭირო რაოდენობით ან ამ გამოსახულებების ეკრანზე საჩვენებლად მომზადება.

სამოტივაციო სავარჯიშო *(5 წუთი)*

აჩვენეთ ეკრანზე ან დაურიგეთ მოსწავლეებს წყაროების 1 და 2 გამრავლებული გამოსახულებანი. მოსწავლეთა ყურადღება მიაქციეთ გერმანული ეკლესიის გვერდითი საკურთხევლის ხის ქანდაკებას და აუხსენით, რომ სკულპტურული ჯგუფის ავტორმა გამოაქანდაკა წმინდა მარიამი — დედობის სიმბოლო, ჩვილი იესო და წმინდა ანა — წმინდა მარიამის დედა და იესო ქრისტეს ბებია. აგრეთვე აუხსენით, რომ პასტორალი არის ლიტერატურის, ფერწერის, მუსიკისა და გამოყენებითი ხელოვნების ჟანრი, რომლისთვისაც დამახასიათებელია ბუნების წიაღში იდილიური ცხოვრების ასახვა.

საერთო განხილვისას თანმიმდევრულად გამოიყენეთ კითხვები 1 და 2. მოსწავლეთა მიერ კითხვაზე 1 პასუხის დროს დაწერეთ დაფაზე ან ქაღლდის დიდ ფურცელზე საკვანძო სიტყვები „დედობა“, „შვილიერება“, „ოჯახი“, „შეყვარებულობა“, „კეკლუცობა“ და ა.შ. კითხვა 2-ის განხილვის დროს მოსწავლეთა ყურადღება მიაქციეთ სიტყვებს „ქალის როლი“. თუ გაუჭირდათ, დაუსვით მოსწავლეებს მიმანიშნებელი კითხვები ქალის როლზე ოჯახში, სამსახურში, ქვეყნის მართვასა და კულტურაში.

აჩვენეთ ეკრანზე ან დაწერეთ დაფაზე გაკვეთილის თემა და საკვანძო კითხვა.

ნაბიჯი 1 მუშაობა ბლოკზე 1 „მონუმენტური პროპაგანდა“ *(15-20 წუთი)*

დაყავით მოსწავლეები წყვილებად და დაურიგეთ წყაროების 3, 4 5 ტექსტები. სთხოვეთ წაიკითხონ ტექსტები, გამოარკვიონ მათი ჟანრი (ოფიციალური დოკუმენტი, მოვლენების თვითმხილველის ან მონაწილის ნაამბობი, გაზეთის ინფორმაცია და ა.შ.) და უპასუხონ კითხვებს 3-7.

მიაქცევინეთ მოსწავლეებს ყურადღება, რა პერიოდით არის დათარიღებული გამონათქვამები. თუ მოსწავლეებს სკოლაში არ გაუვლიათ რუსეთის 1917 წლის ოქტომბრის რევოლუცია, სთხოვეთ პირველი ბლოკის გაცნობის წინ წაიკითხონ ისტორიული ცნობა ან მის შინაარსზე დაყრდნობით ჩაატარეთ მინი-ლექცია. ეს აუცილებელია, რათა მოსწავლეებს ესმოდეთ დოკუმენტების კონტექსტი და შეეძლოთ გააზრებულად უპასუხონ კითხვა 5-ს.

დარწმუნდით, რომ მოსწავლეებს ესმით ტექსტებში გამოყენებული ცნებების მნიშვნელობა, განსაკუთრებით ისეთი სიტყვებისა, როგორიცაა „ტრანსფორმაცია“, „გენდერული როლი“, „პროპაგანდა“ და „მონუმენტური პროპაგანდა“. საჭიროებისდაგვარად ურჩიეთ მოსწავლეებს იპოვონ სიტყვა „პროპაგანდა“ უცხო სიტყვათა ლექსიკონში. აუხსენით, რომ სიტყვა „მონუმენტური“ისეთი ძეგლებისა და შენობების აღსაწერად იხმარება, რომლებიც სიდიდით შთაბეჭდილებას ახდენენ, და სინონიმია სიტყვების „გრანდიოზული“, „დიდებული“, „დიადი“.

კითხვების საერთო განხილვისას წყვილები რიგ-რიგობით გადმოსცემენ საკუთარ ნააზრევს. შესაძლებელია მოსწავლეებსდაფაზე ან ქაღალდის ფურცელზე დააწერინოთ საკვანძო სიტყვები, რომლებსაც ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ.

დაუსვით მოწაფეებს კითხვები 8 და 9 და ერთად განიხილეთ პასუხები.

შეეცადეთ, რომ მოსწავლეები თავად ჩაწვდნენ ცნებას „მონუმენტური პროპაგანდა“.

ნაბიჯი 2 მუშაობა ბლოკზე 2 „დედაკაცი თუ ამხანაგი?“ *(20–25 წუთი)*

აუხსენით მოსწავლეებს, რომ ამ ბლოკში ისინი იმუშავებენ საზოგადოებაში ქალის როლის საკითხზე. შეახსენეთ, რომ სამოტივაციო სავარჯიშოს შესრულების დროს ნახსენები იყო დედობა, როგორც ქალის მთავარი როლი წინა ისტორიული ეპოქების განმავლობაში. შეახსენეთ ცნება „გენდერული როლი“.

დაურიგეთ მოსწავლეებს მეორე ბლოკის წყაროები და კითხვები 10-14, სთხოვეთ ინდივიდუალურად გააანალიზონ ტექსტები და ყურადღება მიაქციონ მათ ჟანრსა და კითხვა 14-ს.

დაავალეთ მოსწავლეებს წერილობით უპასუხონ კითხვა 15-ს საკვანძო სიტყვების დახმარებით. მუშაობის სავარაუდო შედეგი შეიძლება ასეთი იყოს:

- *ახალი პატრონი — საბჭოთა შრომითი რესპუბლიკა;*
- *ისტორიული მოვლენების აქტიური მონაწილეები და ლიდერები;*
- *ქალი — აქტივისტი, პასუხისმგებელი მუშაკი, „ამხანაგი“;*
- *წინააღმდეგობა პირად ცხოვრებასა და სამუშაოს შორის;*
- *„ახალი ქალი“ არ ფიქრობს პირად კეთილდღეობაზე;*
- *თუ საქმეს სჭირდება, შეუძლია დატოვოს შვილები, თვლის, რომ ოჯახი აბრკოლებს საერთო საქმეს;*
- *არ უნდა გრძნობების აღიარება, ცდილობს არ განსხვავდებოდეს კაცებისაგან.*

მოაწყეთ მუშაობის შედეგების ფრონტალური განხილვა. შეგიძლიათ აზრების დაგროვებისა და დამატების კვალდაკვალ დაწეროთ დაფაზე მოსწავლეთა მოსაზრებები.

განხილვის ბოლოს ჰკითხეთ მოსწავლეებს, როგორ ესმით ბლოკის სათაური, რომელიც აღებულია სტატიიდან 1920-1930 წლების საბჭოთა ქალის შესახებ. რამ შეუწყო ხელი იმას, რომ ქალი „ამხანაგი“ გახდა?

თუ დრო მოგრჩათ, ჰკითხეთ მოსწავლეებს, ვისი ამხანაგი გახდა ქალი — ქალის თუ მამაკაცის? რით იყო გამოწვეული „შრომით ფრონტზე“ ქალის გამოყენების საჭიროება და მისი სურვილი „ამხანაგი“ გამხდარიყო? დამახასიათებელია თუ არა ასეთი როლი მხოლოდ იმ პერიოდისათვის? სთხოვეთ მოიყვანონ მაგალითები.

ნაბიჯი 3 მუშაობა ბლოკზე 3 „დროის სახეები“ *(25–30 წუთი)*

დაყავით მოსწავლეები რამდენიმე ჯგუფად (4-5 კაცი თითო ჯგუფში).დაურიგეთ ჯგუფებს მესამე ბლოკის გამრავლებული გამოსახულებები და სთხოვეთ ითამაშონ „ლოტო“ — შეურჩიონ ფოტოების კომპლექტი პირველი და მეორე ბლოკების წყაროებს (ანუ შეარჩიონ ფოტოები, რომლებიც გამოდგება ბლოკების შინაარსის საილუსტრაციოდ) და დაასაბუთონ თავიანთი არჩევანი (დავალება 16-ის შესრულება).

ჯგუფებში განხილვის დროს სთხოვეთ მოსწავლეებს ახსნან, რომელი ქანდაკებების გამოსახულებები დარჩა გამოუყენებელი და რატომ არ გამოდგება ისინი პირველი და მეორე ბლოკების საილუსტრაციოდ. საჭიროების შემთხვევაში ხაზგასმით აღნიშნეთ, რომ „ქალური საწყისი“ დაკავშირებულია სწორედ იმ სოციალურ როლთან, რომელიც ნაჩვენებია წყაროებში 1 და 2.

თუ გაქვთ შესაძლებლობა საკმარისი რაოდენობით გაამრავლოთ მესამე ბლოკის გამოსახულებები, შესთავაზეთ ჯგუფებს კედელზე ან თავისუფალ მაგიდაზე შექმნან შერჩეული ფოტოებისაგან პატარა გამოფენა ან ფოტოალბომი და მოიფიქრონ მისი სახელწოდება (დავალება 18).

განიხილეთ მუშაობის შედეგები.

შეაფასეთ მოსწავლეთა მუშაობა იმის მიხედვით, თუ რამდენად არგუმენტირებული, ლოგიკური, სტრუქტურირებული იყო მათი პასუხები და რამდენად ზუსტად იყო შესრულებული დავალება.

ნაბიჯი 4 შედეგების შეჯამება *(10-15წუთი)*

წაიკითხეთ კითხვა19. „მიკროფონის“ მეთოდით სთხოვეთ მოწაფეებს უპასუხონ მას. შეადარეთ ეს კითხვა მოდულის თავში გამოტანილ საკვანძო კითხვას

საშინაო დავალება

მიეცით მოსწავლეებს საშინაო დავალება — იპოვონ ქალების ქანდაკებები ან ძეგლები, რომლებიც დადგმულია იმ დასახლებულ პუნქტებში, სადაც მოსწავლეები ცხოვრობენ, ან რომელთა შესახებაც მათ სმენიათ. სთხოვეთ მოსწავლეებს მოიძიონ ინფორმაცია ამ ძეგლების შექმნის დროის, მიზნის, გარემოებებისა და იმის შესახებ, თუ როგორ არის დაკავშირებული ეს ძეგლები და ქალაქური ქანდაკებები მათი შექმნის დროინდელ საზოგადოებრივ განწყობილებებთან.

სტალინის ხსოვნა და ძეგლები

▶ როგორ აისახება საზოგადოებაში მომხდარი ცვლილებები წარსულისა და ძეგლების მიმართ დამოკიდებულებაზე?

▶ მოსწავლეთა ასაკი	16-18 წელი
▶ გაკვეთილისათვის საჭირო დრო	90 წუთი
▶ გაკვეთილის მიზანი	საქართველოში სტალინისა და ლენინის ძეგლების ბედის შესწავლის მაგალითზე მოსწავლემ უნდა იმსჯელოს ისტორიული მეხსიერებისა და წარსულისადმი დამოკიდებულების შესახებ.
▶ შემოთავაზება დამატებითი ინფორმაციის მისაღებად	**1.** Записки скучного человека. Путешествия Жака Дюпакье по Советскому Союзу. 1964. Гори-Тбилиси. — http://humus.livejournal.com/3294341.html. **2.** Памятник Сталину в Гори вызывает спор — http://www.amerikiskhma.com/content/a-54-2009–12-01-voa13-93116549/524528.html. **3.** Война памятников по-грузински. — http://www.stena.ee/blog/vojna-pamyatnikov-po-gruzinski-80-zhitelej-za-pamyatniki-stalinu. **4.** Лаша Бакрадзе. У нас намного больше симпатий к Сталину, чем в России. — http://www.openspace.ru/article/744. **5.** Бека Чедия. Возрождение сталинизма в Грузии: политическая конъюнктура или воля нации? — http://eastbook.eu/ru/2013/08/topic-ru/politics-ru/vozrozhdenie-stalinizma-v-gruzii-politicheskaia-konjunktura-ili-volia-nacii/.
გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი სავარაუდო შედეგები	
▶ ყველა მოსწავლე	შეისწავლის ქ. გორში სტალინის ძეგლის ისტორიას; შეადარებს სხვადასხვა პერიოდის და ტიპის წყაროებს.
▶ მოსწავლეთა უმრავლესობა	შეძლებს საბჭოთა კავშირში XX-XXI საუკუნეებში სტალინის პიროვნებისადმი დამოკიდებულების ცვლილების მაგალითების მოყვანას და მიზეზების დასახელებას; საკუთარი მოსაზრების გამოთქმას სტალინის ძეგლის ბედზე.
▶ ზოგიერთი მოსწავლე	შეძლებს არგუმენტირებულად ახსნას საზოგადოებაში მომხდარი და სტალინის ძეგლისადმი დამოკიდებულებების ცვლილების ურთიერთკავშირი; ისტორიულ წყაროებს გაანალიზებს ობიექტურობის და ემოციური დამოკიდებულების თვალსაზრისით.
▶ მასწავლებლის მომზადება გაკვეთილისათვის	მოამზადეთ: ყველა ისტორიული წყაროს საჭირო რაოდენობის ასლი, ფერადი გამოსახულებების ჩათვლით; საკლასო ოთახი ჯგუფური მეცადინეობისთვის.

საერთო შენიშვნები

მოდული ეძღვნება საკმაოდ რთულ საკითხს — წარსულისადმი დამოკიდებულებას სტალინის ძეგლის ბედის მაგალითზე გორში. მოდული საქართველოსთან დაკავშირებულ მასალაზეა აგებული, მაგრამ პროექტის მონაწილე ყველა ქვეყანაში, როგორც პოსტ-საჭოთა სივრცის ნაწილში, სტალინის ძეგლისადმი დამოკიდებულება იმის მაჩვენებელია, რამდენად განთავისუფლდა ქვეყანა საბჭოთა კავშირის ტოტალიტარული მემკვიდრეობისგან. სტალინის, ლენინის და კომუნისტური რეჟიმის სხვა წარმომადგენლების ძეგლის დადგმის/აღების შესახებ ინფორმაცია ყველა ქვეყნის მასმედიაში მოიპოვება. ისტორიული მეხსიერებისა და სტალინის ძეგლის ბედის ურთიერთკავშირის თემის შესწავლის გაგრძელება შესაძლებელია ადგილობრივი მასალის გამოყენებით. მიზანშეწონილია, საკითხი — ძეგლებისადმი დამოკიდებულება წარსულსა და აწმყოში, გააერთიანოთ მოდულთან „მეტყველი დუმილი: ძეგლი კულტურათა გზაჯვარედინზე“, რომელიც პასუხს იძლევა მსგავს საკვანძო კითხვაზე: *„რას და როგორ გვიამბობს ძეგლები საზოგადოებაში მომხდარ ცვლილებებზე?“*

ნაბიჯი 1 მეცადინეობის დასაწყისი *(5 წუთი)*

მოსწავლეებს დაუსვით კითხვები:

- *რა არის ძეგლი?*
- *ვის და რის გამო უდგამენ ძეგლებს?*
- *რა შეიძლება ახდენდეს გავლენას ადამიანების დამოკიდებულებაზე ძეგლებისადმი?*

მოსწავლეებს გააცანით მეცადინეობის თემა და საკვანძო კითხვა.

ვარიანტი 1.

ნაბიჯი 2 ბლოკი 1-ის მასალის შესწავლა *(25 წუთი)*

ისტორიული ცნობის გამოყენებით ჩაატარეთ მინი-ლექცია, შემდეგ მოსწვლეებს დაავალეთ, ინდივიდუალურად გაეცნონ წყაროებს 1-5. იმსჯელეთ კითხვებზე 1-7. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ კითხვებს 3-5, რადგან ამ კითხვებზე პასუხი მოსწავლეებისგან მოითხოვს წყაროების ანალიზს (ემოციურად შეფერილი სიტყვები, სიტყვა-კლიშეები, მყარი პროპაგანდისტული მეტაფორები და ა. შ.). კითხვა 4-ის განხილვისას ხაზი გაუსვით, რომ უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში სტალინის რეჟიმის, პიროვნების კულტის, ტოტალური პროპაგანდის პირობებში ადამიანები საჯარო გამოსვლების ასეთ სტილს შეეჩვივნენ და შესაძლებელი იყო, საკმაოდ გულწრფელებიც ყოფილიყვნენ. გარდა ამისა, ასეთ გამოსვლებს, სათანადო განწყობის შესაქმნელად, მხოლოდ უშიშროების სამსახურის მიერ შემოწმებული ხალხი ესწრებოდა.

ნაბიჯი 3 ბლოკები 2, 3, 4-ის მასალის შესწავლა ჯგუფებში *(20 წუთი)*

მოსწავლეები გაანაწილეთ მცირე ჯგუფებში თქვენთვის ცნობილი ნებისმიერი მეთოდით. წყაროების თანაბრად გასანაწილებლად უნდა შექმნათ 4 ან 8 ჯგუფი. ყოველ ჯგუფს დაურიგეთ წყაროები და კითხვები.

ყველა მოსწავლეს საერთო დავალება მიეცით: შეისწავლონ სტალინის ძეგლისა და მისი პიროვნებისადმი დამოკიდებულება ყოველ ისტორიულ პერიოდში. პასუხები გადაიტანონ ქაღალდის დიდ ფურცელზე უკვე დახაზულ ცხრილში. ჯგუფური მუშაობის შედეგები წარმოადგინონ მოკლე პრეზენტაციების სახით.

ჯგუფი 1 — ბლოკი 2-ის მასალა (წყაროები 6-11)
ჯგუფი 2 — ბლოკი 3-ის მასალა (წყაროები 12-16)
ჯგუფი 3 — ბლოკი 4-ის მასალის ნაწილი (წყაროები 17-22)
ჯგუფი 4 — ბლოკი 4-ის მასალის ნაწილი (წყაროები 23-30)

ცხრილის ნიმუში

ისტორიული პერიოდი	**საკვანძო სიტყვები — სტალინის ძეგლისა და მისი პიროვნებისადმი დამოკიდებულების ინდიკატორი**
სტალინური პერიოდი (1950-იანი წლების დასაწყისი)	„ჩვენი მზე — დიადი სტალინი!“ „მაცოცხლებელი მზე“ „ძლიერი ენთუზიაზმი“ „ძვირფასი საჩუქარი“
დესტალინიზაციის პერიოდი 1956 წ.	
უძრაობისა და გარდაქმნის პერიოდი. 1970-1980-იანი წლები	
საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდი 2010 წლამდე	
საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდი 2010 წლის შემდეგ	

ისტორიული წყაროების ანალიზზე მუშაობისას დახმარება გაუწიეთ ყოველ ჯგუფს.

ნაბიჯი 4 შემაჯამებელი მსჯელობა *(30 წუთი)*

მოსწავლეების ყურადღება გაამახვილეთ იმაზე, რომ ყველა ჯგუფის მოსმენის შემდეგ ყოველმა მოსწავლემ უნდა დააფიქსიროს თავისი ადგილი მოსაზრებების სკალაზე.

ჯგუფებს შესაძლებლობა მიეცით, რომ მთელ კლასს გააცნონ თავიანთი პერიოდი და ამ წლებში სტალინისადმი დამოკიდებულება. შესთავაზეთ, წყაროებიდან მოიყვანონ მაგალითები და საერთო ცხრილი გამოიყენონ. სთხოვეთ ახსნან, რატომ გამოიყენეს სწორედ ეს საკვანძო სიტყვები ცხრილის შევსების დროს.

როდესაც ჯგუფები კლასს მთელ მასალას წარუდგენენ, შესთავაზეთ შემაჯამებელი კითხვა: *რა კავშირი არსებობს სტალინის ძეგლისა და მისი პიროვნებისადმი დამოკიდებულებასა და წარსულის მეხსიერებას შორის?*

მოსწავლებს შესთავაზეთ, „მოსაზრებების სკალაზე“ აირჩიონ ადგილი და საკუთარი პოზიცია დაასაბუთონ.

–100%	0	+100%
სტალინის ძეგლი ქ. გორში ადგილზე უნდა დარჩეს		სტალინის ძეგლის აღდგენა არ შეიძლება

ნაბიჯი 5 შემაჯამებელი მსჯელობა *(10 წუთი)*

მეცადინეობის შედეგები შეაჯამეთ დაუსრულებელი წინადადების მეთოდით:

- *დღეს მე შევიტყვე, რომ...*
- *დღევანდელი მეცადინეობის წყალობით გავიგე, რომ...*
- *მოდულის მასალის შესწავლის შემდეგ, შევძლებ თანატოლებს ავუხსნა...*

ვარიანტი 2.

შედარებით სუსტ კლასში, სადაც მოსწავლეები ჯგუფურ მუშაობასა და ისტორიული წყაროების ანალიზში საკმარისად გაწაფულები არ არიან, მოდულის შესწავლა შესაძლებელია თითოეული ბლოკის მასალის თანმიმდევრული შესწავლით მოცემული კითხვების მიხედვით, შემაჯამებელ კითხვაზე კი მთელ კლასში ფრონტალურად იმსჯელეთ.

მრავლისმეტყველი დუმილი: ძეგლი კულტურათა გზაჯვარედინზე

▶ რას და როგორ გვიამბობენ ძეგლები საზოგადოებაში მომხდარი ცვლილებების შესახებ?[1]

▶ მოსწავლეთა ასაკი	14-19 წელი
▶ გაკვეთილისათვის საჭირო დრო	90 წუთი
▶ გაკვეთილის მიზანი	ქალაქებში დადგმული ძეგლების მაგალითზე აჩვენოთ მოსწავლეებს საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებები, სხვადასხვა კულტურების, თაობებისა და სოციალური ჯგუფებისა დიალოგის შესაძლებლობანი და მათი ისტორიული მეხსიერების ვერსიები.
▶ შემოთავაზება დამატებითი ინფორმაციის მისაღებად	**1.** Визуальные источники [ელექტრონული რესურსი]. — ხელმისაწვდომია მისამართზე: http://historiana.eu/people/. **2.** Памятник в эпоху наследия // Чепайтене Р. Культурное наследие в глобальном мире. — Вильнюс: ЕГУ, 2010. — С. 40–53. **3.** Відлуння віків: український пам'яткоохоронний інтернетресурс [ელექტრონული რესურსი]. — ხელმისაწვდომია მისამართზე: http://pamjatky.org.ua. **4.** Города. Фотоальбомы [ელექტრონული რესურსი]. — ხელმისაწვდომია მისამართზე: http://kakady.at.ua/photo/goroda/6. **5.** Интересные памятники мира. [ელექტრონული რესურსი]. — ხელმისაწვდომია მისამართზე: http://www.liveinternet.ru/tags. **6.** Київ: Фотоальбом. / Вступ ст. В. Кузменка; Упоряд. А. Прибєга. — К.: Мистецтво, 2005. **7.** Старий Київ. Фотоальбом. — К.: Видавець Ашот Арутюнян, Видавничий дім «Перископ», 2005. **8.** Фото разных городов [ელექტრონული რესურსი]. — ხელმისაწვდომია მისამართზე: http://geografica.net.ua/photo/kraevidi_ukrajini/misto_kijiv/19-2-0-0-2. **9.** Соціологія міста: навчальний посібник / [Л. В. Малес, В. В. Середа, М. О. Соболевська, Ю. Г. Сорока та ін.]; за заг. ред. О. К. Міхеєвої. — Донецьк: ДонДУУ, 2010. — 464 с.
გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი სავარაუდო შედეგები	
▶ ყველა მოსწავლე	გაეცნობა ძეგლებისა და მათში ასახული ღირებულებებისადმი საზოგადოების დამოკიდებულების შეცვლის ძირითად ეტაპებსა და ვარიანტებს.
▶ მოსწავლეთა უმრავლესობა	შეიმეცნებს თანამედროვე პრობლემების სპეციფიკას, რომელიც წარსულში მონუმენტალიზაციის პრაქტიკასუკავშირდება.
▶ ზოგიერთი მოსწავლე	ჩამოაყალიბებს აწონ-დაწონილ მოსაზრებას ხსოვნის უკვდავმყოფელი შესაძლო პროექტების შესახებ.
▶ მასწავლებლის მომზადება გაკვეთილისათვის	წინასწარ მოამზადეთ ინვენტარი აუდიტორიაში ჯგუფური მუშაობისათვის. თუ აირჩევთ ჯგუფური მუშაობის ისეთ ფორმას, როგორიცაა „პოსტერი“, დაგჭირდებათ ყველა ჯგუფისათვის საკმარისი რაოდენობის ქაღალდის დიდი ფურცლები და მარკერები.

[1] სასურველია თემის შეთავაზება მეორე მსოფლიო ომისა და საბჭოთა პერიოდის ისტორიის შესწავლის შემდეგ.

სამოტივაციო სავარჯიშო *(12 წუთი)*

შესთავაზეთ მოსწავლეებს გაეცნონ წყარო 1-ს და უპასუხონ კითხვებს 1 და 2. მიმანიშნებელი კითხვებით დაეხმარეთ იმის დანახვაში, რომ ქანდაკების *„ასწლეულის ნაბიჯი“* კომპოზიციაში გამოყენებულია ორი იდეოლოგიისათვის (ნაციზმისა და კომუნიზმისათვის) დამახასიათებელი ჟესტები და სიმბოლოები — ნაცისტური („ჰაილ ჰიტლერ!“) და კომუნისტური სალამი („როტ ფრონტ!“). გარდა ამისა, თვითონ ფიგურა ნაწილობრივ სვასტიკას გვაგონებს. XX საუკუნეში გერმანიას, რომელიც იხლიჩებოდა ამ ორ იდეოლოგიას შორის, „თავგზა აებნა“ და, როგორც შედეგი, მართლაც ორად გაყოფილი აღმოჩნდა. ამ გაორების შედეგები დღემდე იგრძნობა.

წარმოთქვით შესავალი სიტყვა იმის შესახებ, რომ ძეგლები ყველაზე უკეთ გვაძლევს საშუალებას შევიტყოთ, თუ რა ცვლილებები ხდებოდა საზოგადოებაში, როგორი იყო მისი კულტურა, განწყობილება, სტერეოტიპები დროის ამა თუ იმ მონაკვეთში. ძეგლებისა და ქალაქური ქანდაკებისადმი ადამიანთა დამოკიდებულების შესწავლისას, ბევრი რამ შეიძლება შევიტყოთ იმ საზოგადოების შესახებ, რომელშიც ისინი ცხოვრობენ.

ამის შემდეგ გააცანით მოსწავლეებს გაკვეთილის თემა და საკვანძო კითხვა.

ნაბიჯი 1 *(20 წუთი)*

დაყავით მოსწავლეები ჯგუფებად ან წყვილებად. ყველა ჯგუფი ან წყვილი კაკვეთილის ამ და შემდგომ ეტაპებზე იმუშავებს პირველი ბლოკის ერთსა და იგივე წყაროებზე და კითხვებზე. შესთავაზეთ მოსწავლეებს თანმიმდევრულად უპასუხონ კითხვებს და ამგვარად დაახასიათონ ის ცვლილებები ძეგლების გარეგნობასა და შინაარსში, რომელთა დანახვასაც შესძლებენ. ურჩიეთ, რომ ამისათვის მოიხმარონ ქანდაკება „ასწლეულის ნაბიჯის“ შესწავლის გამოცდილება.

თავდაპირველად, მოსწავლეებმა უნდა უპასუხონ კითხვებს 1-3. მიაქციეთ მათი ყურადღება ქანდაკებების ზომასა და მათ ადგილმდებარეობას.

შემდეგ მოსწავლეები უპასუხებენ კითხვებს 8-12. თუ ჯერ არ აქვთ შესწავლილი მეორე მსოფლიო ომის ისტორია, გამოყავით დრო კომენტარისთვის. აუხსენით, რა არის ჰოლოკოსტი და რა რეპრესიებზეა ლაპარაკი.

კითხვებზე 13-16 მუშაობის დროს კვლავ მიაქციეთ მოსწავლეთა ყურადღება ქანდაკებების ზომასა და მათ ადგილმდებარეობას.

შემაჯამებელი კითხვის განხილვისას მოსწავლეებმა უნდა დაუკავშირონ ერთმანეთს საზოგადოების განვითარების ეტაპები და ცვლილებები ძეგლების სტილისტიკასა და იდეოლოგიაში.

ნაბიჯი 2 *(20 წუთი)*

მოსწავლეები თავ-თავიანთ ჯგუფებში ან წყვილებში რჩებიან. ახლა მათი ამოცანაა იხელმძღვანელონ კითხვებით და ვიზუალური წყაროებით და დაახასიათონ ძეგლზე საზოგადოების ზემოქმედების შესაძლო ხერხები — ნაწილობრივი ტრანსფორმაციით დაწყებული და სრული განადგურებით დამთავრებული (ძველ კვარცხლბეკზე ახალი ქანდაკების დადგმა, ძეგლში ახალი ელემენტების შეტანა, ძეგლის დანგრევა და ა.შ.).

ისევე, როგორც ნაბიჯი 2-ის დროს, მუშაობა ეტაპობრივად წარმართეთ.

ინფორმაცია მასწავლებლისთვის წყაროების 8 და 9 შესახებ:

სტალინის ძეგლი სპეციალურად მისთვის აგებულ კვარცხლბეკზე დადგეს 1950 წელს, 1962 წელს იგი მოხსნეს, ხოლო 1967 წელს ამ კვარცხლბეკზე აღმართეს ძეგლი „დედა სომხეთი“.

ინფორმაცია მასწავლებლისათვის წყაროების 12 და 13 შესახებ:

ძერჟინსკის ძეგლი კვარცხლბეკიდან გადმოაგდო 1991 წლის 22 აგვისტოს ე.წ. საგანგებო მდგომარეობის სახელმწიფო კომიტეტის (ГКПЧ) პუტჩის ჩაშლის შემდეგ მოედანზე შეკრებილმა ხალხმა.

ლენინის ძეგლი კვარცხლბეკიდან ჩამოაგდეს 2013 წლის 8 დეკემბერს მოქმედ ხელისუფალთა წინააღმდეგ ქუჩებში მასობრივი აქციების დროს.

ნაბიჯი 3 *(15 წუთი)*

შეგიძლიათ განაგრძოთ მუშაობა ჯგუფების გარეშე. იხელმძღვანელეთ კითხვებით და გადადით თქვენს დასახლებულ პუნქტში ძეგლების დაცვის პრობლემებზე. გაითვალისწინეთ, რომ არსებობს ორი ერთმანეთის საპირისპირო ტენდენცია: ქალაქის კონსერვაცია, სიძველის შენარჩუნება და ქალაქის მოდერნიზაცია, მისი თანამედროვე იერ-სახის შექმნა.

უფრო დეტალური ინფორმაცია ძეგლის შესახებ მოიძიეთ აქ: *[ელექტრონული რესურსი]. – ხელმისაწვდომია მისამართზე* ***http://www.prikol.ru/2011/01/08/yabloko-pamyatnik-5-foto/****.*

ნაბიჯი 4 შემაჯამებელი განხილვა *(20 წუთი)*

შემაჯამებელი განხილვის დროს სთხოვეთ მოსწავლეებს მიღებული ცოდნის საფუძველზე ჩამოაყალიბონ საზოგადოებაში მომხდარ ცვლილებებთან დაკავშირებით ძეგლების შეცვლის, ტრანსფორმაციის შესაძლო ვერსიები.

შეგიძლიათ შესთავაზოთ მოსწავლეებს ხორცი შეასხან ათვისებულ მასალას და შექმნან თანამედროვე ძეგლის დასაბუთებული პროექტი, რომელშიც მიუთითებენ, თუ რა კულტურული კოდები და ღირებულებები უნდა იყოს მასში ასახული. ეს შეიძლება იყოს როგორც გაკვეთილის ელემენტი, ისე საშინაო დავალება.

ნაბიჯი 5 მასწავლებლის დასკვნითი სიტყვა *(3 წუთი)*

მოსწავლეთა შეფასების დროს გაითვალისწინეთ:

ჯგუფური მუშაობის ხარისხი, არგუმენტირებული მსჯელობის, დისკუსიის გამართვის, სხვისი მოსაზრების მოსმენისა და კრიტიკულად გააზრების, წერილობითი და ვიზუალური წყაროების ანალიზის უნარები.

გამოსახულება, სიტყვა და ბგერა საბჭოთა კავშირის „ხალხთა მეგობრობის“ პროპაგანდაში

▶ როგორ იყენებდნენ საბჭოთა კავშირში ხელოვნებას, პოეზიასა და მუსიკას „ხალხთა მეგობრობის “პროპაგანდისთვის?

▶ მოსწავლეთა ასაკი	14-16 წელი
▶ გაკვეთილისათვის საჭირო დრო	90 წუთი
▶ გაკვეთილის მიზანი	ვიზუალური გამოსახულების, ლიტერატურული ნაწარმოებებისა და სიმღერების საფუძველზე წარმოაჩინოთ გამოსახულების, სიტყვისა და ბგერის, როგორც სახელმწიფო პროპაგანდის ინსტრუმენტების, როლი.
▶ შემოთავაზება დამატებითი ინფორმაციის მისაღებად	**1.** С. В. Лурье. «Дружба народов» в СССР: национальный проект или пример спонтанной межэтнической самоорганизации? Демоскоп weekly [ელექტრონული რესურსი] — http://demoscope.ru/weekly/2011/0475/analit02.php **2.** Мифология и идеология СССР. Сахаровский центр [ელექტრონული რესურსი] http://www.sakharov-center.ru/museum/expositions/mithology-ussr.html **3.** http://sovmusic.ru/ (советская музыка) **4.** http://gallerix.ru/storeroom/1973977528/ (плакаты) **5.** http://www.my-ussr.ru/, http://retropost.ru/postcards/2673.html (плакаты, открытки)
გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი სავარაუდო შედეგები	
▶ ყველა მოსწავლე	წყაროების განხილვის შედეგად გამოავლენსსსრკ-ში „ხალხთა მეგობრობის“ პროპაგანდის მეთოდებს.
▶ მოსწავლეთა უმრავლესობა	გაეცნობა ხელისუფლების მიერ სხვადასხვა ვიზუალური, ენობრივი და მუსიკალური სახეების გამოყენების მექანიზმს, როგორც რიგითი ადამიანების ცნობიერებაზე ზემოქმედების ინსტრუმენტებს.
▶ ზოგიერთი მოსწავლე	გაკვეთილის მასალისა და საშინაო დავალებად მიცემული მინი-პროექტების საფუძველზე შეაფასებს საბჭოთა კავშირში „ხალხთა მეგობრობის“ პროპაგანის ეფექტურობასა და შედეგიანობას.
▶ დავალება მოსწავლეებისთვის	ისწავლონ ტერმინების „პროპაგანდა“ და „იდეოლოგია“ მნიშვნელობა.
▶ მასწავლებლის მომზადება გაკვეთილისათვის	– მოამზადეთ: საკლასო ოთახში 6 მაგიდა ჯგუფური მუშაობისთვის. ყოველ მაგიდაზე დადგით თითო ფერის დაფა (6 ფერი — ჯგუფების რაოდენობის შესაბამისად). თუ შესაძლებლობა გაქვთ, მუშაობის დასაწყისში და დასასრულს (პრეზენტაციის დროს და შემაჯამებელი განხილვისას) მოსწავლეებს შესათავაზეთ დასხდნენ საერთო წრეში. – მოამზადეთ 6 ფერის ბარათები სამუშაო ჯგუფების შესაქმნელად, ბარათების რაოდენობა უნდა ემთხვეოდეს მეცადინეობის მონაწილეების რაოდენობას.

	ორი ფერის ბარათებზე (მაგ., წითელსა და მწვანეზე) დაწერეთ „ვიზუალური გამოსახულება“, კიდევ ორი ფერის ბარათებზე (ყვითელსა და ცისფერზე) დაწერეთ „ბგერა“, კიდევ ორი ფერის ბარათებზე — „სიტყვა“ (ამას გამოიყენებთ მეცადინეობის დასაწყისში). – ქაღალდის 6 დიდი ფურცელი და მარკერები წყაროების კითხვებზე პასუხების ჩამოსაწერად; – ჯგუფებში სამუშაოდ დასარიგებელი მასალა (ვიზუალური და დოკუმენტური წყაროები); – აპარატურა სიმღერების მოსასმენად.

მეცადინეობის დაწყებამდე უნდა დარწმუნდეთ, რომ მოსწავლეებს ესმით შემდეგი ტერმინების შინაარსი: *პროპაგანდა* და *იდეოლოგია*. მიზანშეწონილიაგაახსენოთ მოსწავლეებს, როგორ შეიქმნა საბჭოთა კავშირი, რამდენ რესპუბლიკას აერთიანებდა იგი.

გაკვეთილის დასაწყისი *(10 წუთი)*

მოსწავლეებს შესთავაზეთ, აირჩიონ თითო ფერის ბარათი. შემდეგ დაიკავონ ადგილი იმ მაგიდასთან, რომელზეც მათი არჩეული ფერის დაფა დგას. ასე ყალიბდება 6 სამუშაო ჯგუფი. მეცადინეობის დასაწყისში ორ-ორი ჯგუფი ერთსა და იმავე დავალებაზე იმსჯელებს, შემდეგ კი ყოველ ჯგუფს თავისი დავალება ექნება.

კითხვები და დავალებები:

- *დაფიქრდით და უპასუხეთ კითხვას: გრძნობის რომელი ორგანოებით აღვიქვამთ ინფორმაციას? (პასუხები: მხედველობა, სმენა, გრძნობის სხვა ორგანოები);*
- *რა საშუალებებით აღვიქვამთ ინფორმაციას? (სასურველი პასუხი: ვიზუალური გამოსახულებები, სიტყვის (ტექსტი) ან ბგერის მეშვეობით).*

მოსწავლეებს სთხოვეთ, ჯგუფებში იმსჯელონ ინფორმაციის აღქმის ერთ-ერთ საშუალებაზე (ისინი დაწერილია ბარათების მეორე მხარეს — „ვიზუალური გამოსახულება“, „ბგერა“, „სიტყვა“) და მოიფიქრონ 2-3 არგუმენტი, რატომ არის აღქმის სწორედ ეს საშუალება ეფექტიანი. მოსწავლეებს შესათავაზეთ, განიხილონ ყოველი ჯგუფის მოსაზრება და შეაფასონ მათი დამაჯერებლობა. აუხსენით, რომ ფსიქოლოგების დაკვირვებით, ინფორმაციის აღქმა შემდეგნაირად ხდება: 80% — მხედველობის მეშვეობით, 15% — სმენის მეშვეობით, 5% კი — გრძნობათა სხვა ორგანოების მეშვეობით.

მოსწავლეებს დაუსვით კითხვა: ვის და რა მიზნით შეუძლია ადამიანის მიერ ინფორმაციის აღქმის ამ საშუალებების გამოყენება?

ნაბიჯი 1 მასწავლებლის შესავალი სიტყვა *(3 წუთი)*

მუსიკა, ლიტერატურა და ხელოვნება კომუნიკაციის უძლიერესი საშუალებებია. მათი დახმარებით უკეთ გავიცნობთ სხვა კულტურებისა და ცივილიზაციების წარმომადგენლებს, სახეებისა და ემოციების ენაზე ერთმანეთს ვუზიარებთ ყველაზე ფასეულსა და ფარულს. მაგრამ სწორედ ეს შეიცავს მთავარს საფრთხეს — გამოსახულება, სიტყვა და ბგერა შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ადამიანებე ზემოქმედების საშუალებად, როგორც საზოგადოებრივ ცნობიერებაზე ზეგავლენის ინსტრუმენტები. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით საინტერესოა საბჭოთა კავშირში „ხალხთა მეგობრობის“ პროპაგანდის საბჭოური გამოცდილების შესაწავლა იმ როლის, შესაძლებლობისა და შედეგების გაგების თვალსაზრისით, რომელიც სახეებისა და ბგერების სამყაროში ხელისუფლების ჩარევას მოაქვს მთელი საზოგადოებისთვის.

ბლოკი 1. ცნება „ხალხთა მეგობრობა“ საბჭოთა პროპაგანდაში

ნაბიჯი 2 მუშაობა ისტორიულ ცნობაზე და წყაროებზე 1-3 *(10 წუთი)*

ისტორიული ცნობისა და წყაროების 1-3 წაკითხვის შემდეგ მოსწავლეები პასუხობენ კითხვებს 5 და 6. სთხოვეთ ერთ-ერთ ჯგუფს წარმოადგინოს პასუხები. დანარჩენ ჯგუფებს შეუძლიათ მათი შევსება. მოსწავლეების ყურადღება გაამახვილეთ იმაზე, რომ ამ ბლოკში გამოყენებულ სხვადასხვა ტექსტს აერთიანებს ოფიციალური ხასიათი. ეს ეხება არა მარტო საბჭოთა კავშირის კონსტურუციის ტექსტს, არამედ მეცნიერული კომუნიზმის ლექსიკონსაც, რომელმაც მკაცრი ცენზურა გაიარა, სტატიები კი სახელმწიფო მოღვაწეს ეკუთვნის, ამიტომ მათი ლექსიკაც შესაბამისია.

ბლოკი 2. „ხალხთა მეგობრობის“ პროპაგანდის საბჭოური გამოცდილება

ნაბიჯი 3 ჯგუფებში მუშაობა წყაროებზე 4-31 *(25 წუთი)*

ყოველი სამუშაო ჯგუფი იღებს წყაროების და კითხვების თავის ნაკრებს:

ჯგუფი 1. პლაკატები (წყაროები 4-7)

ჯგუფი 2. ღია ბარათები (წყაროები 8-11)

ჯგუფი 3. საფოსტო მარკები (წყაროები 12-15)

ჯგუფი 4.ეტიკეტები (წყაროები 16-21)

ჯგუფი 5.ნაწყვეტები საბჭოთა რესპუბლიკების ჰიმნებიდან (წყაროები 22-27)

ჯგუფი 6.ნაწყვეტები საბჭოთა სიმღერებიდან და ლექსებიდან (წყაროები 18-31)

მოსწავლეებს დაავალეთ, შეისწავლონ წყაროები შესაძლო პასუხებზე ჯგუფებში იმსჯელონ და პასუხები ქაღალდის დიდ ფურცლებზე ჩამოწერონ. სთხოვეთ შევსებული ფურცლები ერთ კედელზე მწკრივში გააკრან.

თუკი არსებობს ტექნიკური საშუალება, მიზანშეწონილია მთელმა კლასმა მოისმინოს ზოგიერთი საბჭოთა სიმღერა, მაგალითად,

„ჩემი მისამართია საბჭოთა კავშირი“ — ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე: https://www.youtube.com/watch?v=3CeBtpC4eds

„ჩემო სამშობლოვ!“ — ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე – https://www.youtube.com/watch?v=u74hVXHDGtk

ნაბიჯი 4 მუშაობის შედეგების პრეზენტაცია *(20 წუთი)*

მოსწავლეებმა მეცადინეობის ყველა მონაწილეს თავიანთი მუშაობის შედეგები უნდა წარმოუდგინონ ზეპირი სახით. პრეზენტაციის დროს შეუძლიათ გამოიყენონ ჩანაწერები ქაღალდის დიდ ფურცელზე.

ნაბიჯი 5 პრეზენტაციის საერთო შედეგებზე მსჯელობა *(8 წუთი)*

კითხვები საერთო მსჯელობისთვის:

- *განხილული მასალის საფუძველზე ჩამოთვალეთ, რა სახეები და სიმბოლოები გამოიყენებოდა საბჭოთა კავშირის ხალხთა შორის მეგობრობის პროპაგანდისთვის?*
- *რა სახეები, სიმბოლოები და ნიშნები მეორდება და რატომ?*
- *რა სიმბოლო აერთიანებდა საბჭოტა კავშირში მცხოვრებ ყველა ხალხს?*
- *როგორ ფიქრობთ, რა გავლენას ახდენდა ადამიანთა ცნობიერებაზე საყოფაცხოვრებო ნივთებზე გამოსახული პროპაგანდისტული ნახატები და წარწერები?*

გამოსვლების დასრულების შემდეგ მასწავლებელს შეუძლია მონაწილეებს დასკვნების გამოტანაში დაეხმაროს.

ნაბიჯი 6 შემაჯამებელი მსჯელობა *(10 წუთი)*

თქვენი აზრით, რატომ გამოიყენებოდა პროპაგანდის იარაღად ვიზუალური და ლიტერატურული სახეები, პოეტური რითმა და მუსიკა?

რაში გამოიხატებოდა მათი განსაკუთრებული გავლენა ადამიანთა ცნობიერებაზე?

რა როლს თამაშობდა „ხალხთა მეგობრობის“ საბჭოურ პროპაგანდაში მუსიკა, ხელოვნება და ლიტერატურა?

შეფასება (შესაძლებელია წერილობით) (4 წუთი)

თვითშეფასება დაუსრულებელი წინადადებების მეთოდით:
ამ მეცადინეობაზე მე გავიგე...
ჩემთვის ყველაზე საინტერესო იყო...
მეცადინეობისთვის ჩემი ინდივიდუალური მომზადება გულისხმობდა...
გაგიჭირდათ თუ არა დავალების შესრულება, თუ „დიახ“, რატომ...
მუშაობის პროცესში ყველაზე მნიშვნელოვანი დასკვნა იყო...
საკვანძო კითხვაზე პირადად ჩემი პასუხია...

საშინაო დავალება: *მინი-კვლევა ადამიანის ცნობიერებაზე გამოსახულებისა და სიტყვის ზემოქმედების შესახებ*

დავალება მოსწავლეთათვის: ჰკითხეთ თქვენი ოჯახის უფროსი თაობის წარმომადგენლებს და ნაცნობებს, რა სახეები ახსენდებათ, როდესაც ესმით სიტყვები „ხალხთა მეგობრობა“. ემთხვევა თუ არა მათი მოგონებები ამ მოდულის ვიზუალურ მასალაში წარმოდგენილ სახეებს?

ჰკითხეთ, რა ემოცია (დადებითი, უარყოფითი, ნეიტრალური) აქვთ უფროსი თაობის ადამიანებს, როდესაც ახსენდებათ, ესმით ან ხედავენ საბჭოთა წარსულის სახეებს. ჩაიწერეთ თქვენი რესპონდენტების მოგონებები.

ინტერნეტში მოიძიეთ, ნახეთ და მოისმინეთ ის სიმღერები, ფილმები, გამოსახულებები და ლექსები, რომლებსაც იხსენებდნენ თქვენი რესპონდენტები. ნახეთ და მოისმინეთ ეს მასალა.

გაკვეთილის მასალა შეადარეთ რესპონდენტების მოგონებებს და შეეცადეთ, გამოიტანოთ დასკვნა, თუ რა ზეგავლენას ახდენდა პროპაგანდისტული სახეები ადამიანების ცნობიერებაზე.

საბჭოთა ახალგაზრდობის კულტურათშორისი ურთიერთობები

▶ როგორი ურთიერთობები ჰქონდათ სხვადასხვა ეროვნების საბჭოთა ახალგაზრდებს?

▶ მოსწავლეთა ასაკი	16-17 წელი
▶ გაკვეთილისათვის საჭირო დრო	90 წუთი
▶ გაკვეთილის მიზანი	ახალგაზრდებს შორის სხვადასხვა ტიპის ურთიერთობის მაგალითზე მოსწავლეები გააანალიზებენ საბჭოთა სახელმწიფოს მიდგომას ეროვნებებსა და ხალხებს შორის ურთიერთობისადმი; იმსჯელებენ საბჭოთა კავშირში არსებული ინტერნაციონალიზმის არსის შესახებ.
▶ შემოთავაზება დამატებითი ინფორმაციის მისაღებად	**1.** Н. Козлова. Советские люди. Сцены из истории. М.: Европа, 2005. **2.** А. А. Федулин, В. Э. Багдасарян, И. Б. Орлов, Й. Й. Шнайдген. Советское зазеркалье. Иностранный туризм в СССР в 1930–1980-е годы. М., 2008. — ხელმისაწვდომია მისამართზე: www.hse.ru/pubs/share/direct/document/64309189 **3.** Галина Орлова. Овладеть пространством: физическая география в советской школе (1930–1960-е гг.)// «Вопросы истории естествознания и техники», 2004, №4. — ხელმისაწვდომია მისამართზე: http://www.urokiistorii.ru/history/soc/2010/15/istoriya-s-geografiei **4.** Томпсон П. Голос прошлого. Устная история. М., 2003. — ხელმისაწვდომია მისამართზე: http://www.opentextnn.ru/history/familisarchives/tompson/?id=1798 **5.** Смыкалин А.С. Перлюстрация корреспонденции и почтовая военная цензура в России и СССР. — [ელექტრონული რესურსი]. — ხელმისაწვდომია მისამართზე: http://isfic.info/perl/mails09.htm **6.** Живая история. «Стройотряды» (2010). Документальный фильм. Производство: 5 канал (СПб).— ხელმისაწვდომია მისამართზე: http://www.5-tv.ru/video/502023/ **7.** Лето студенческое — 1968 г. (1968). Документальный фильм. — ხელმისაწვდომია მისამართზე: https: //www.youtube.com/watch?v=N2q-mdxQWAI **8.** Любовь и голуби. Фестиваль-57. (2007). Документальный фильм. ООО «АСС-АРТ». — ხელმისაწვდომია მისამართზე: http://www.ex.ua/6023281 или https://www.youtube.com/watch?v=Jm9X0-mqDsc
გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი სავარაუდო შედეგები	
▶ ყველა მოსწავლე	გაეცნობა საბჭოთა კავშრშიახალგაზრდების ურთიერთობის სხვადასხვა ფორმას, გააცნობიერებს სახელმწიფოს განსხვავებულ დამოკიდებულებას ახალგაზრდების კონტაქტების მიმართ ქვეყნის შიგნით და გარეთ.
▶ მოსწავლეთა უმრავლესობა	იმსჯელებენ „ინტერნაციონალიზმის“, როგორც სახელმწიფოპოლიტიკისმეთოდისადამისიმიზნების შესახებ.
▶ ზოგიერთი მოსწავლე	შეძლებს ინტერნაციონალიზმის სფეროში საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკის შედეგების ანალიზს და მისი წინააღმდეგობრივი ხასიათის შეფასებას.
▶ მასწავლებლის მომზადება გაკვეთილისათვის	ჯგუფური მუშაობისთვის ინვენტარის (მერხები, სკამები, ფლიპჩარტები, მარკერები) მომზადება

ზოგადი შენიშვნა *(1 წუთი)*

თუ მასწავლებელი საჭიროდ ჩათვლის, შეუძლია გაკვეთილის დასაწყისში მოკლე შესავალი გააკეთოს:

ახალგაზრდობა არის ადამიანების თაობა, რომელიც მოწიფულობის ეტაპზე გადადის, ყალიბდება პიროვნება, ითვისებს ცოდნას, სოციალურ ფასეულობებსა და ნორმებს, რომლებიც საჭიროა საზოგადოების სრულფასოვან და სრულუფლებიან წევრად ჩამოსაყალიბებლად.

ახალგაზრდის პიროვნების ფორმირებაზე ზემოქმედებას ახდენს მრავალი ფაქტორი, რომელთაგან უმთავრესია: ოჯახი, სკოლა, თანატოლების წრე, მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები და, რა თქმა უნდა, სახელმწიფო პოლიტიკა. ახალგაზრდობას ყოველთვის მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა საბჭოთა საზოგადოების სოციალურ-დემოგრაფიულ სტრუქტურასა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერის (1970) მონაცემების თანახმად, საბჭოთა კავშირის მოსახლეობის 50,8% 30 წლამდე ასაკის ადამიანები არიან, მათგან 15-დან 29-წლამდე ასაკისანი — 19,9%. ახალგაზრდობას სახელმწიფო განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებდა თვალყურს.

ახლგაზრდობა ყოველი კონკრეტული ცივილიზაციის თუ სუბკულტურის პროდუქტი და ამავე დროს მისი მამოძრავებელი ძალა და ცვლილებების შემოქმედია. ახალგაზრდების ურთიერთობაში ყალიბდება , ახალი კულტურული ფასეულობანი და ურთიერთობის ახალი საშუალებანი, რომლებიც განსაზღვრავს, თუ როგორი იქნება საზოგადოების სახე მომდევნო ათწლეულებში.

გაკვეთილის მიზანია საბჭოთა სახელმწიფოს ახალგაზრდული პოლიტიკის შესწავლა ახალგაზრდების ეროვნებათშორისი და საერთაშორისო ურთიერთობის ჩამოყალიბების კონტექსტში; აგრეთვე ამ პოლიტიკის შედეგების შესწავლა თანამედროვე პოსტსაბჭოთა საზოგადოებაში.

ნაბიჯი 1 ჯგუფებში მუშაობა *(30 წუთი)*

მასწავლებელი ქმნის მოსწავლეთა 5 ჯგუფს, ყოველ მათგანს თავისი დავალება ექნება. გაითვალისწინეთ, რომ რუკა (წყარო 1) აუცილებელი საერთო წყაროა ყველა ჯგუფისთვის. მუშაობის დამთავრების შემდეგ მოსწავლეებმა უნდა წარმოადგინონ მისი შედეგები. მუშაობისას მასწავლებელი დამატებითი კითხვებით აკონტროლებს ჯგუფების მუშაობას. ამ კითხვების დასმა შესაძლებელია პრეზენტაციის დროსაც, თუკი მასწავლებელი ამას უფრო მიზანშეწონილად ჩათვლის.

მუშაობის დაწყებამდე გააცანით მოსწავლეებს დავალება (უმჯობესი იქნება, თუ ამობეჭდავთ ან ეკრანზე ანახებთ):

ყურადღებით წაიკითხეთ წყაროები, უპასუხეთ დასმულ კითხვებს. მათ საფუძველზე მოამზადეთ ქვემოთ მოცემულ დამატებით კითხვებზეპასუხების ზეპირი (5-წუთიანი) პრეზენტაცია, პასუხები თეზისებად ჩაიწერეთ ფლიპჩარტებზე (პრეზენტაციისას ფლიპჩარტები ძირითად კონსპექტად გამოიყენეთ). დამატებითი კითხვებია:

1. როგორ ხვდებოდნენ ადამიანები კონკრეტულ სიტუაციაში? (ნებით/იძულებით, დაგეგმილად/შემთხვევით, ვინ და როგორ ირჩევდა სუბიექტს ურთიერთობისთვის)

2. რა ვითარებაში ხდებოდა ურთიერთობა?

3. ვინ იხდიდა ხარჯებს და რაში გამოიხატებოდა ისინი?

4. რა მიზანი ჰქონდა ურთიერთობას (მონაწილეებისთვის/სახელმწიფოსთვის)?

5. რა ფორმები ჰქონდა და რამდენად თავისუფალი იყო ურთიერთობა?

6. რა დამოკიდებულება ჰქონდა სახელმწიფოს ამ ურთიერთობისადმი?

ჯგუფი 1 მუშაობს პირველი ბლოკის **ა** ნაწილის — „სამშენებლო რაზმები“ — წყაროებზე და უპასუხებს დასმულ კითხვებს.

რეკომენდაციები:

▶ მოსწავლეების ყურადღება გაამახვილეთ მანძილზე, რომლის გავლაც უხდებოდათ სტუდენტებს დანიშნულების ადგილამდე მისასვლელად და ტრანსპორტზე, რომლითაც მგზავრობდნენ. შესთავაზეთ მოსწავლეებს შეაფასონ ასეთი მგზავრობის ღირებულება ერთი კაცისთვის, შემდეგ კი წარმოიდგინონ, რა ჯდებოდა სამშენებლო რაზმების გადაადგილება მთელ ქვეყანაში.

▶ შესაძლებელია დამხმარე კითხვების დასმა, მაგალითად:

— რატომ არ იყენებდნენ მშენებლობაზე ადგილობრივ მოსახლეობას?

— როგორ ახსნით, რომ სამშენებლო რაზმი ყაზახეთიდან (წყარო 4) მუშაობდა რუსეთში, რაზმები უკრაინიდან და რუსეთიდან კი — ყაზახეთში?

▶ სავარაუდო პასუხი კითხვა 5-ზე:

— სამუშაო რაზმები იყო მუშათა აუზარმაზარი არმია, იაფი მუშახელი, რომელსაც ყველაზე მძიმე სამუშაოებზე იყენებდნენ, მაგრამ, გარდა ამისა, საბჭოთა სახელმწიფო ახალგარზრდებს უნერგავდნენ დიადი ქვყნისადმი მიკუთვნებულობის გრძნობას. ეს მიკუთვნებულობა მათ უნდა ეგრძნოთ როგორც ტერიტორიულად (ქვეყნის თვალუწვდენელი სივრცეები), ისე ფიზიკურად („ვაშენებთ საკუთარი ხელით“), ამ გზით სახელმწიფო ქმნიდა „საბჭოთა“ ადამიანს.

ჯგუფი 2 მუშაობს პირველი ბლოკის **ბ** ნაწილის — „საბჭოთა არმია“ — წყაროებზე და უპასუხებს დასმულ კითხვებს.

ჯგუფი 3 მუშაობს მეორე ბლოკის **გ** ნაწილის — „ფესტივალი და არაფორმალური ურთიერთობა უცხოელებთან“ — წყაროებზე და უპასუხებს დასმულ კითხვებს.

რეკომენდაციები:

▶ შესაძლებელია წყარო 14-თან დაკავშირებით დამატებითი კითხვების დასმა:

— რას გულისხმობს ავტორი, როდესაც ფესტივალს აღწერს, როგორც „მკაცრად რეგლამენტირებულ ღონისძიებას“?

— როგორ ფიქრობთ, რატომ ამბობს ხაზგასმით ალექსეი კოზლოვი, რომ ადამიანების ჩვეულებრივი ურთიერთობა იყო „არაორგანიზებული და კონტროლს დაუქვემდებარებელი“? შეესაბამება თუ არა ეს სახელმწიფო იდეოლოგიას? ბლოკის სხვა წყაროების ინფორმაციის გამოყენებით მოიფიქრეთ, რამდენად შეესაბამებოდა ყოველივე ეს სინამდვილეს.

— რატომ ცდილობდა ხელისუფლება, „გაეკონტროლებინა კონტაქტები“ და რატომ იყო საბჭოთა ადამიანისთვის ეს „ბუნებრივი“?

▶ შესაძლებელია წყარო 15-თან დაკავშირებით დამატებითი კითხვის დასმა:

— როგორ ფიქრობთ, რატომ უპარსავდნენ გოგონებს თავს და ხელისუფლების წარმომადგენლები რატომ ირჩევდნენ დასჯის ამ მეთოდს?

— რას გრძნობდნენ გოგონები ამის შემდეგ?

— რამდენი ხნის განმავლობაში „აგებდნენ პასუხს“ ისინი უცხოელებთან თავისუფალი ურთიერთობის გამო?

შესაძლებელია წყარო16-თან დაკავშირებით დამატებითი კითხვების დასმა:

— ვინ იყო ეს უცნობი ადამიანი?

— რატომ უყვებოდა ირინას მისივე ცხოვრების შესახებ?

— რატომ ჩამოართვა სიტყვა, რომ მათი შეხვედრის შესახებ არავისთვის მოეყოლა?

— რა შემთხვევებს გულისხმობდა ავტორი?

— რატომ გამოიძახეს ირინა უნივერსიტეტში სალამოს?

— ვინ და რატომ უზრუნველყო ცალკე კაბინეტით ადამიანი, რომელიც უნივერსიტეტის თანამშრომელი არ იყო?

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ კითხვა 15-ს. თუ მოსწავლეებს სიძნელეები შეექმნებათ, ყურადღება მიაქცევინეთ ურთიერთობის კონტროლის ხარისხზე, იმაზე, რომ ირინა სლეპეცს ურთიერთობ ჰქონდა ახალგაზრდებთან სოციალისტური ქვეყნიდან. შემდეგში, შედეგების პრეზენტაციის დროს, ეს ინფორმაცია უნდა დაუკავშირდეს ჯგუფი 5-ის პასუხს კითხვა19-ზე.

ჯგუფი 4 მუშაობს მეორე ბლოკის **დ** ნაწილის — „სტუდენტური ტურიზმი“ — წყაროებზე და უპასუხებს დასმულ კითხვებს.

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ კითხვა19-ს. ხაზი გაუსვით ურთიერთობის კონტროლის ხარისხს და იმას, რამდენად განსხვავებული პოზიციები აქვს სახელმწიფოს სოციალისტური ქვეყნებიდან ჩამოსულ ახალგაზრდებთან და კაპიტალისტური ქვეყნებიდან ჩამოსულ ახალგაზრდებთან ურთიერთობისადმი. შემდეგში, შედეგების პრეზენტაციის დროს, ეს ინფორმაცია უნდა და უკავშირდეს ჯგუფი 4-ის პასუხს კითხვაზე 15.

შეიძლება იმ ცვლილებების გაანალიზებაც, რომლებიც 1950-იანი წლების შემდეგ სახელმწიფოს პოზიციაში მოხდა.

ჯგუფი 5 მუშაობს მეორე ბლოკის **ე** ნაწილის — „მიმოწერა“ — წყაროებზე და უპასუხებს დასმულ კითხვებს.

რეკომენდაციები:

▶ წყარო 20-ზე მუშაობისას მოსწავლეების ყურადღება მიაქციეთ სიტყვას „ყველგან“. რას გულისხმობდა ის?

▶ წყარო 22-ზე მუშაობისას მოსწავლეებს უთხარით, რომ წერილი რუსულ ენაზე თითქმის უშეცდომოდაა დაწერილი. საეჭვოა, რომ 13 წლის გოგონამ ამდენად კარგად იცოდა რუსული. ვის შეეძლო დახმარებოდა მას და კონკრეტულად რაში: მხოლოდ შეცდომები შეუმოწმა თუ შინაარსიც გაასწორა?

არანაკლებ მნიშვნელოვანია წერილში განხილული თემებიც, მითუმეტეს, რომ წერს 13 წლის გოგონა. საჭიროების შემთხვევაში, მოკლე კომენტარი გააკეთეთ ჩინეთის რეჟიმზე 1960-იან წლებში.

▶ შესაძლებელია დამატებითი კითხვების დასმაც:

— როგორ ფიქრობთ, სად ნახულობდნენ ბავშვები მისამართებს მიმოწერისთვის?

— ჰქონდათ თუ არა მათ რეალური შესაძლებლობა ჰქონოდათ მიმოწერა ყველა ქვეყნის თანატოლებთან, ისე როგორც ამას სახელმწიფო პირდებოდა?

— რატომ არასდროს არ იღებდნენ წერილებს კაპიტალისტური ქვეყნებიდან?

— *რის შესახებ მისწერდით წერილში თქვენს მეგობარს, თუკი გეცოდინებოდათ, რომ თქვენს წერილებს შეამოწმებდნენ?*

ყურადღება მიაქციეთ წყაროების თარიღებს.

▶ თუკი დრო საკმარისია, შესაძლებელია დისკუსიის მოწყობა თემაზე:

— *აქვს თუ არა სახელმწიფოს უფლება ჩაერიოს პირად მიმოწერაში? თუ დიახ, მაშინ რით უნდა შემოიფარგლებოდეს ასეთი ჩარევა?*

ნაბიჯი 2 შედეგების პრეზენტაცია *(44 წუთი)*

ყოველი ჯგუფი წარმოადგენს მიღებულ შედეგებს. პრეზენტაციისთვის ჯგუფს გამოუყავით 5 წუთი, კითხვებთან და კომენტარებთან ერთად — 7 წუთი.

პრეზენტაციის წინ გააცანით მოსწავლეებს დავალება. მოცემულ კითხვაზე პასუხები უნდა გაიცეს ყველა პრეზენტაციის საფუძველზე:

რა კანონზომიერება შეინიშნება სახელმწიფოს პოზიციაში ახალგაზრდების კულტურათშორისი ურთიერთობის მიმართ? (რა აქვს საერთო და რით განსხვავდება მისი მიდგომა სხვადასხვა ტიპის კონტაქტებისა და ურთიერთკავშირისადმი?)

ნაბიჯი 3 პრეზენტაციის საფუძველზე გაცემული პასუხი კითხვაზე *(10 წუთი)*

რა კანონზომიერებანი შეინიშნება სახელმწიფოს პოზიციაში ახალგაზრდობის კულტურათშორისი ურთიერთობის თაობაზე? (რა აქვს საერთო და რით განსხვავდება მისი მიდგომა სხვადასხვა ტიპის კონტაქტებისა და ურთიერთდამოკიდებულებისადმი?)

სავარაუდო ზოგადი დასკვნა:

სახელმწიფო ხელს უწყობდა კულტურათშორის ურთიერთობას ქვეყნის შიგნით, მაგრამ მკაცრად აკონტროლებდა ან საერთოდ აღკვეთდა უცხოელებთან კონტაქტებს, თუმცა ოფიციალურად მათაც მხარს უჭერდა. სოციალისტური ბანაკიდან თანატოლებთან ურთიერთობა დასაშვები იყო, კატეგორიულად აღიკვეთებოდა კონტაქტები კაპიტალისტურ სამყაროსთან.

თუკი დრო საკმარისია, შესაძლებელია მოსაწავლეებთან ერთად განიხილოთ საკითხი:

— რით აიხსნება ის, რომ სოციალურ ქსელებში მრავლადაა საიტები და ჯგუფები, სადაც ადამიანები ერთმანეთს წერენ მრავალი წლის შემდეგ, აღადგენენ დაკარგულ კონტაქტებს და ინარჩუნებენ ურთიერთობას?

ნაბიჯი 4 შემაჯამებელი განხილვა *(5 წუთი)*

მოსწავლეებს შესთავაზეთ, პასუხი გასცენ **შემაჯამებელ კითხვას**.

შეიძლება თუ არა იმის მტკიცება, რომ სახელმწიფო მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობდა საბჭოთა ახალგაზრდებში ინტერნაციონალიზმის ჩამოყალიბებას? თქვენი აზრით, ეს ინტერნაციონალიზმი რეალური იყო თუ ფორმალური? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.

რეკომენდაციები:

ახალაზრდების ურთიერთობასთან დაკავშირებული სახელმწიფოებრივი მიზნების გააანალიზებისას მოსწავლეების ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ ეს მიზნები შეიძლებოდა სხვადასხვა ყოფილიყო — დეკლარირებული (ოფიციალურად გამოცხადებული) და რეალური.

1 მაისი: გუშინ და დღეს

▶ რას გვიამბობს წარსულის შესახებ 1 მაისის აღნიშვნის საბჭოური ტრადიციები?

▶ მოსწავლეთა ასაკი	14-17 წელი
▶ გაკვეთილისათვის საჭირო დრო	90 წუთი
▶ გაკვეთილის მიზანი	მოსწავლეებს გააცნოს 1 მაისის აღნიშვნის საბჭოური ტრადიცია, აჩვენოს სახელმწიფო პროპაგანდის გავლენა დღესასწაულის ჩატარების ტრადიციის ჩამოყალიბებაზე.
▶ შემოთავაზება დამატებითი ინფორმაციის მისაღებად	**1.** М.Н. Пряхин. Приоритеты общества и официальная пропаганда. — http://rudn.monplezir.ru/prioritety.htm. **2.** А.Д.Васильев. Игры в слова. Манипулятивные операции в текстах СМИ. — М.:2013. **3.** История и Культура. — [ელექტრონული რესურსი] документальных фильмов об истории стран, идей и вещей — http://www.istorio.net/prazdnik–1–maya–sem–dnej–istorii/. **4.** Отдел науки вспоминает историю праздника 1 мая… — http://www.gazeta.ru/science/2014/05/01_a_6014209.shtml. **5.** «Первомайские открытки. Мир, труд, май!» — электронный ресурс ЖЖ, http://radimich–ru.livejournal.com/51480.html?thread=18200. **6.** 1 мая. Плакаты со всего мира за последние 120 лет. http://www.istpravda.com.ua/artefacts/2013/05/2/122506/#19. **7.** Ярина Ясеневич.Первомай. Про парад 1 мая 1986 года (на укр. языке) http://www.istpravda.com.ua/columns/2013/05/1/122468/. **8.** Первомай в Киеве. Наша столица– «колыбельная революции». (на укр. языке) http://www.istpravda.com.ua/columns/2012/04/30/37384/. **9.** Синявский А.Д. Основы советской цивилизации. М.: 2001.
გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი სავარაუდო შედეგები	
▶ ყველა მოსწავლე	შეიტყობს XX საუკუნის მეორე ნახევარში სსრკ-ში 1 მაისის აღნიშვნის თავისებურებების შესახებ, შეძლებს ახსნას დღესასწაულის პოპულარობის მიზეზი საბჭოთა კავშირის მოსახლეობას შორის.
▶ მოსწავლეთა უმრავლესობა	შეძლებს 1 მაისის დღესასწაულისადმი დამოკიდებულების შედარებას წარსულსა და აწმყოში, ამ ცვლილების მაგალითების მოტანას; ისწავლის საბჭოთა საფოსტო ღია ბარათის, როგორც ისტორიული წყაროს, ანალიზს.
▶ ზოგიერთი მოსწავლე	შეძლებს სახელმწიფო პროპაგანდის მაგალითების ანალიზს, საბჭოთა საზოგადოებაზე მისი ზემოქმედების ახსნას, ამ პროპაგანდის მიერ დამკვიდებული საბჭოთა ფასეულობების მაგალითების დასახელებას; ისწავლის ოფიციალური დოკუმენტებისა და კერძო მოგონებების ენის სტილის გარჩევას.
▶ მასწავლებლის მომზადება გაკვეთილისათვის	საკმარისი ოდენობის დასარიგებელი მასალა, ამობეჭდილი ფერადი გამოსახულებები, ვიზუალური წყაროების ეკრანზე გამოტანის შესაძლებლობა, ჯგუფური მუშაობისთვის მომზადებული საკლასო ოთახი.

ზოგადი შენიშვნები

მოცემული მოდულის მასალები კარგ შესაძლებლობას იძლევა ზოგიერთი საბჭოთა ფასეულობისა და საბჭოთა საზოგადოების კულტურაზე სახელმწიფო პროპაგანდის გავლენის ასახსნელად. მოდულის მასალების შესწავლა უფრო ადვილი იქნება მოსწავლეებთან, რომლებმაც იციან საბჭოთა სახელმწიფოს შექმნის ისტორია და ესმით ისეთი ცნებები, როგორებიცაა: „კომუნიზმი“, „ბოლშევიკები“, „მუშებისა და გლეხების დიქტატურა“. თუმცა შემოთავაზებული კითხვებისა და დავალებების საფუძველზე წყაროების თანმიმდევრული და ყურადღებიანი შესწავლით უმცროსი ასაკის მოსწავლეებთანაც შესაძლებელია მოდულის მიზნების მიღწევა.

მოდული ეძღვნება 1 მაისს, რომელიც შავი ზღვის რეგიონის უმეტეს ქვეყანაში დასვენების დღედ დარჩა. მასალები გაერთიანებულია ოთხ ბლოკში, რომლებიც ამ დღესასწაულის სხვადასხვა მხარეს გვიჩვენებს. ბლოკი 1-ის წყაროები საბჭოთა კავშირში 1 მაისის ოფიციალური პროპაგანდისტული შემადგენლისა და საბჭოთა საზოგადოების ფასეულობების გაგების საშუალებას იძლევა. ამ ბლოკის მასალებზე დაყრდნობით, მასწავლებელს შეუძლია, მოსწავლეებს გამოუმუშაოს ოფიციალური დოკუმენტების ანალიზის, ფაქტების, შეფასებებისა და მოსაზრებების გარჩევის უნარი.

ბლოკი 2-ის მასალები შესაძლებლობას იძლევა, გავიგოთ მიზეზები, თუ რატომ იყო ეს დღესასწაული პოპულარული უფროსი თაობის წარმომადგენლებს შორის, რატომ იქცა სახელმწიფო დღესასწაული პირად და ოჯახურ ზეიმად, მოვძებნოთ, რა აქვს საერთო პროექტის მონაწილე პოსტსაბჭოთა ქვეყნების ისტორიულ მეხსიერებას.

მოკლე ბლოკი 3 საშუალებას გვაძლევს, საფოსტო ღია ბარათი ისტორიულ წყაროდ გამოვიყენოთ და ოფიციალური პროპაგანდის ესთეტიკური მხარე ვუჩვენოთ. საფოსტო თემატური ღია ბარათების სახე და სიმბოლოები გვეხმარება, უფრო ღრმად გავიგოთ სხვადასხვა საშუალებით მოქმედი ოფიციალური პროპაგანდის ზემოქმედების მექანიზმი. ამ ბლოკის მასალები უკავშირდება როგორც ბლოკი 1-ის დედააზრს, ასევე ბლოკი 2-ის მასალებში ნაჩვენებ წარმოდგენებსა და ფორმებს.

საკვანძო კითხვაზე პასუხის გასაცემად შიძლება საკმარისი იყოს ბლოკების 1-3 მასალების გაცნობა, მაგრამ ბლოკი 4-ის მასალები გვძლევს 1 მაისისადმი თანამედროვე დამოკიდებულებას, გვიჩვენებს, როგორ შეიცვალა დღესასწაულის აღქმა, განსაკუთრებით თაობათა ცვლის შედეგად.

ნაბიჯი 1 გაკვეთილის დასაწყისი *(5-7 წუთი)*

დასვით კითხვები

- *რა არის დღესასწაული?*
- *რის გამო უყვართ ადამიანებს დღესასწაულები? რა აქცევს დღესასწაულს განსაკუთრებულ მოვლენად?*
- *როგორი დღესასწულები არსებობს? რით განსხვავდება სახელმწიფო დღესასწაულები პირადისგან, ოჯახურისგან*

რამდენიმე პასუხის მოსმენის შემდეგ შეატყობინეთ, რომ მეცადინეობის თემა იქნება განსაკუთრებული დღის აღნიშვნა, რომელიც ძალიან უყვარდათ მათ მშობლებს, ბებიებსა და ბაბუებს.

ეკრანზე აჩვენეთ ანდა წყვილებში სამუშაოდ დაურიგეთ ფერადი ფოტოსურათები (წყარო1). სურათის სახელწოდებას ნუ ეტყვით, დასვით შეკითხვა 1. ამ საკითხებზე მსჯელობა შეიძლება მიმდინარეობდეს „გონებრივი იერიშის“ მეთოდით, ამიტომ პასუხის ყველა შესაძლებელი ვარიანტი შეაგროვეთ. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეთ საკითხს, რა გრძნობებს აღძრავს ეს გამოსახულება. თუ მოსწავლეებს გაუჭირდებათ წითელი ფერის მნიშვნელობის ან „დემონსტრაციის“ შინაარსის განსაზღვრა, მიაწოდეთ

ინფორმაცია ისტორიული ცნობიდან 1. უთხარით ფოტოსურათის სახელწოდება: „საპირველმაისო დემონსტრაცია წითელ მოედანზე მოსკოვში, 1984 წელი“.

გააცანით მოდულის თემა და საკვანძო კითხვა. მიზანშეწონილია, ეს ინფორმაცია ან დაფაზე დაწეროთ, ან ქაღალდის დიდ ფურცელზე.

ნაბიჯი 2 *(20–25 წუთი)*

ისტორიული ცნობის საფუძველზე ჩაატარეთ მინი-ლექცია. ყურადღება გაამახვილეთ იმაზე, რომ თქვენ მიერ მიწოდებული ინფორმაცია მოდულის მასალის შესასწავლად არის აუცილებელი. შესთავაზეთ, გაეცნონ წყარო 2-ის ინფორმაციას. ყურადღება მიაქციეთ ცნების „მოწინავე სტატია“ მნიშვნელობას სქოლიოში. მოსწავლეებს აუხსენით, რომ წყარო 2-ის ტექსტი არის ჟურნალის გვერდის ფრაგმენტი. გააანალიზეთ ტექსტი. მოსწავლეებს სთხოვეთ, ხაზი გაუსვან იმ სიტყვებსა და სიტყვათშეთანხმებებს, რომლებიც ემოციურად დატვირთულია ან შეფასებით მსჯელობას შეიცავს. მოისმინეთ პასუხები კითხვაზე 3.

ნაბიჯი 3 *(10–15 წუთი)*

მოსწავლეები დაყავით წყვილებად და მცირე ჯგუფებად, სამუშაოდ შესთავაზეთ კითხვა 4, წყარო3 და საინფორმაციო ცნობა 2. სთხოვეთ, შეადგინონ იმ ღირებულებების ჩამონათვალი, რომლებსაც შეიცავს საპირველმაისო მოწოდებები. თუკი გაუჭირდებათ, მოსწავლეებს წყვილებში და ჯგუფებში დაეხმარეთ ისეთი ცნებების განსაზღვრაში, როგორებიცაა: „მშვიდობა“, „საბჭოთა სახელმწიფო“, „კომუნისტური მორალი“ და ა. შ. ყურადღება მიაქციეთ პრიორიტეტებს და ქალის როლის განსაზღვრას — ჯერ პატრიოტი, მშრომელი და მხოლოდ ამის შემდეგ — დედა. მოსწავლეების ყურადღება მიაქციეთ მოწოდებებს, რომლებიც შრომასა და მის ეფექტიანობას ეძღვნება და ასეთი გამოთქმების შესაძლო მიზეზებს. დარწმუნდით, რომ მოსწავლეებს ესმით შემდეგი გამოთქმები: „ლენინის დიადი საქმე“, „კომუნიზმის გამარჯვება“. შერჩევით მოისმინეთ მოსწავლეების პასუხი.

გააანალიზეთ წყაროები 4-8 კითხვების 5-9-ის მიხედვით. კითხვებზე პასუხის მოსმენა შეიძლება თანმიმდევრობით, დამატებითი გამონათქვამების მეთოდის მიხედვით.

დაუბრუნდით გაკვეთილის დასაწყისის კითხვებს. მოსწავლეებს ჰკითხეთ, როგორი ხასიათის დღესასწაულია აღწერილი 1-ლი ბლოკის მასალებში. ჩაატარეთ საერთო დისკუსია მე-10 კითხვის მიხედვით.

ნაბიჯი 4 *(20–25 წუთი)*

ბლოკი 2-ის მასალა, უმჯობესია, მცირე ჯგუფებში შეისწავლონ, შემდგომი ფრონტალური მსჯელობით. ყოველ ჯგუფს შესთავაზეთ ორ-ორი მოგონება წყაროებიდან 9-14. მაგალითად: 9 და 10, 10 და 11, 11 და 12, 12 და 13, 13 და 14, 14 და 10 და ა. შ. ყოველი ჯგუფი ამზადებს პასუხს კითხვებზე 10-14. თუ დრო დაგრჩათ, თან მოსწავლეებიც იცნობენ მუშაობის მეთოდს, შესაძლოა სამუშაო „ვენის დიაგრამის“ მეთოდით შეასრულოთ (იხ. აღწერა შესაბამის ნაწილში).

ჯგუფების წარმომადგენლებს სთხოვეთ, მოკლედ ჩამოაყალიბონ პასუხები. ჯგუფების მიერ შეთავაზებული საკვანძო სიტყვებისა და სიტყვათშეთანხმებების სია განაზოგადეთ. შეადარეთ დავალება 14-ის შესრულება. ზოგადი მსჯელობის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ კითხვებს 12-13, რომლებიც ადმიანების განწყობასა და ზეიმის აღნიშვნის ტრადიციას ეხება.

კითხვაზე 15 პასუხით მოკლედ შეაჯამეთ განხილვა.

ნაბიჯი 5 *(10–15 წუთი)*

მე-5 ბლოკზე მუშაობა, ვიზუალური წყაროების — ამ შემთხვევაში, საბჭოთა საფოსტო ღია ბარათებზე — ანალიზის უნარის გამოსამუშავებლად, გარკვეული ტრენინგია. წყაროებზე 16-17 მუშაობის დაწყებამდე, მოკლედ ჩამოაყალიბეთ ინსტრუქცია. ამისთვის დამხმარე ლიტერატურის შესაბამისი ნაწილიდან გამოიყენეთ რეკომენდაციები პლაკატისა და მხატვრული ნაწარმოების ანალიზისთვის. მოსწავლეებს შეახსენეთ, რომ საბჭოთა საფოსტო ღია ბარათები ისევე, როგორც საფოსტო მარკები, ოფიციალურ ინფორმაციას შეიცავს, ამიტომ მხატვრებს ოფიციალურად მიღებული სიმბოლოებითა და სახეებით უნდა ესარგებლათ.

საერთო სიმბოლოებისა და სახეების სავარაუდო ჩამონათვალი შეიძლება ასეთი იყოს: *ბავშვები, გაზაფხულის ყვავილები და ხეები, ნამგალი და ურო, როგორც მუშებისა და გლეხების კავშირის სიმბოლო, კრემლი, როგორ საბჭოთა ხელისუფლების სიმბოლო, დედამიწა,[1] წითელი დროშები, მშვიდობის სიმბოლო მტრედები.*

უმეტესი დრო კითხვების 18-19 განხილვას დაუთმეთ. ამ კითხვებზე პასუხი მიგითითებთ, რამდენად ესმით მოსწავლეებს დღესასწაულის კერძო, იდეოლოგიური და პროპაგანდისტული მხარეები. დამატებითი სასწავლო დროის არსებობის შემთხვევაში, შეიძლება მოსწავლეებს სთხოვოთ, ოჯახურ არქივში მოიძიონ საპირველმაისო ღია ბარათები, ერთმანეთს შეადარონ მათ მიერ ამ ისტორიული წყაროების აღქმა მოდულის შესწავლამდე და შემდეგ.

ნაბიჯი 6 *(10–15 წუთი)*

ბლოკი 4-ის მასალაზე მუშაობამ უნდა აჩვენოს არა იმდენად თავად დღესასწაულის ტრანსფორმაცია, რამდენადაც მისი აღქმის ცვლილება პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების, ასაკის ცვლილების შესაბამისად.

ბლოკის მასალის შესწავლის ორგანიზება შეიძლება ფრონტალური საუბრის დროს კითხვების 20-24 შესაბამისად; შესაძლოა მოსწავლეებს მისცეთ დავალება, დამოუკიდებლად შეისწავლონ წყაროები და წყვილებში უპასუხონ კითხვებს 20-23. ამის შემდეგ კითხვა 24 ფრონტალური საუბრისას მთელმა კლასმა უნდა განიხილოს.

ნაბიჯი 7 შემაჯამებელი განხილვა *(5 წუთი)*

საკვანძო კითხვაზე პასუხები მოისმინეთ შერჩევით და შეაჯამეთ მეცადინეობის შედეგები.

ასევე შეიძლება „დაუმთავრებელი წინადადების“ მეთოდის გამოყენება: „ჩემთვის ამ მეცადინეობისას ყველაზე საინტერესო/მოულოდნელი იყო...“, „ამ მეცადინეობაზე მე გავიგე, რომ ...“

[1] შესაძლებელია იმის შეხსენებაც, რომ დედამიწის გამოსახულება სსრკ-ს გერბის ნაწილი და კომუნისტური იდეოლოგიის ინტერნაციონალური ხასიათის სიმბოლოა.

ერთიანობა და მრავალფეროვნება

▶ რა ქმნის ერთიან და მრავალფეროვან საზოგადოებას?

▶ მოსწავლეთა ასაკი	13-16 წელი
▶ გაკვეთილისათვის საჭირო დრო	145 წუთი
▶ გაკვეთილის მიზანი	მოსწავლეებს გააცნოს ცნება „ერი“, კულტურული იდენტობის როლი გლობალიზაციის პერიოდის საზოგადოებაში; განსხვავება ეთნიკურ და სამოქალაქო იდენტიფიკაციას შორის.
▶ შემოთავაზება დამატებითი ინფორმაციის მისაღებად	**1.** Нантой О., Иову А., Боцан И. и др. Интеграция этнических групп и консолидация гражданской нации в республике. — Молдова, Кишинёв, 2012. **2.** Попов М., Акулова А. Межкультурный диалог как фактор развития общеевропейского гуманитарного пространства. — ხელმისაწვდომია მისამართზე: www.popov-akulova,mej.dialog.ru. **3.** Раду Карп, Марианна Некулае. Многоязычие и межкультурный диалог. — Бухарест, 2007. **4.** Константин Кукош. Воспитание. Культурные и межкультурные аспекты. — Яссы, Издание Полиром, 2000.
გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი სავარაუდო შედეგები	
▶ ყველა მოსწავლე	გაიგებს ცნებების „ერი“, „პოლიკულტურული საზოგადოება“, „კულტურული თვითმყოფადობა“ მნიშვნელობას; შეძლებს სამოქალაქო იდენტობის საფუძვლების განსაზღვრას.
▶ მოსწავლეთა უმრავლესობა	შეძლებს თანამედროვე საზოგადოების მრავალფეროვნების და ამ მრავალფეროვნებისადმი სახელმწიფოს დამოკიდებულების მაგალითების მოყვანას პროექტის მონაწილე ქვეყნების ცხოვრებიდან.
▶ ზოგიერთი მოსწავლე	შეძლებს განასხვაოს ცნებები „ერი“ და „ეთნოსი“, „კულტურული თვითმყოფადობა“ და „კულტურული მრავალფეროვნება“; ახნას ურთიერთდამოკიდებულება გლობალიზაციასა და კულტურული მრავალფეროვნებისკენ სწრაფვას შორის.
▶ მასწავლებლის მომზადება გაკვეთილისათვის	ყველა წყაროს ასლები საჭირო რაოდენობით, საკლასო ოთახი ჯგუფური მუშაობისთვის.

ზოგადი შენიშვნები

მოდულის მასალების გამოყენება შესაძლებელია დამატებით მასალად შემდეგი ცნებების შესასწავლად: *იდენტობა, მოქალაქეობა, ერი*. XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებში ეროვნული იდენტიფიკაციის პროცესმა დღის წესრიგში დააყენა ეთნიკურისა და ეროვნულის ერთმანეთისგან გამიჯვნა. საბჭოთა იდეოლოგიის საფუძველს ქმნიდა ინტერნაციონალიზმი, რომელსაც საერთოკლასობრივი ეთნიკური და კულტურული იდენტობა უნდა განედევნა. ამიტომ სსრკ-ს დაშლის შემდეგ ეთნიკური და ეროვნული გრძნობები უკიდურესად გამძაფრდა. ყველა პოსტსაბჭოთა ყვეყნის წინაშე დადგა ამოცანა, შეექმნათ პოლიტიკურად კონსოლიდირებული საზოგადოება, რომელიც გაერთიანებული იქნებოდა პოლიტიკური სამოქალაქო ერის იდეით და, ამავე დროს, ეთნიკურ და კულტურულ მრავალფეროვნებას შეინარჩუნებდა. მოდული მასალა მოსწავლეებს დაეხმარება, გაიაზრონ კულტურული მრავალფეროვნების დადებითი მხარეები და სახელმწიფოს მხრიდან მისი მხარდაჭერის მნიშვნელობა. მიზანშეწონილია, ეს თემა გაერთიანდეს შემდეგი მოდულების მასალასთან: „იდენტობა თანამედროვე მრავალკულტურულ საზოგადოებაში“ და „საკვანძო ფასეულობები და ცვლილებები საზოგადოებაში“.

ნაბიჯი 1 მეცადინეობის დასაწყისი *(5 წუთი)*

1. მოსწავლეებს შესთავაზეთ, დაფაზე ან ქაღალდის დიდ ფურცელზე ჩამოწერილი სხვადასხვა სოციალური როლი, მაგალითად:
   მოსწავლე, მამაკაცი, მოლდოველი ქალი, უკრაინელი, სტუდენტი, მოქალაქე, როკ-მუსიკის მოყვარული, სპორტული კლუბის წევრი, ქალაქის (სოფლის) მცხოვრები, ხალხური ცეკვების მოყვარული, რუსულენოვანი, მორწმუნე, ქალი, საწარმოს ხელმძღვანელი, მოსამსახურე//მუშა და ა. შ.
   შესთავაზეთ მათ, მოძებნონ ის როლები, რომლებიც დანარჩენს აერთიანებს.

ნაბიჯი 2 ცნებებზე მუშაობა *(10 წუთი)*

2. მოსწავლეებს შესთავაზეთ, იმსჯელონ წყაროებზე 1-3 და უპასუხონ კითხვებს 1-3. ყურადღება მიაქციეთ ადამიანების სიმრავლეს წყარო 1-ზე, ასევე იმას, რომ ყოველ კითხვაში არის სიტყვა „ერთიანობა“. კითხვა 3-ზე პასუხისას სთხოვეთ, ჩამოთვალონ ტანსაცმლის ასეთივე ატებრიბუტები ან აქსესუარები (ალმები მანქანაზე, ჩანთები, სუვენირები და სხვ.) მკვეთრად პატრიოტული სიმბოლიკით.
3. მოსწავლეებს სთხოვეთ, წყვილებში გაეცნონ საინფორმაციო ცნობის განსაზღვრებებს დავალებები 4-5-ის მიხედვით. შერჩევით დაუსვით კითხვები. თუ მოსწავლეებს გაუჭირდებათ ცნებები „ეთნოსის“ და „ერის“ გარჩევა, ყურადღება მიაქცევინეთ, რომ, ბერძნულსა და ლათინურში თავდაპირველი საერთო მნიშვნელობის მიუხედავად, თანამდეროვე გაგებით, ერი არის პოლიტიკური ერთობა, რომელიც ერთ სახელმწიფოში აერთიანებს სხვადასხვა წარმოშობის, ენის, კულტურის, რელიგიური რწმენის მქონე ადამიანებს.
   იმსჯელეთ კითხვებზე 6, 7, 8.

ნაბიჯი 3 *(15 წუთი)*

4. მოსწავლეებს შესთავაზეთ წყაროებზე 9-12 მუშაობა კითხვები 9-11-ის გათვალისწინებით. სთხოვეთ, წყვილებში მოიფიქრონ შემდეგი ცნებების განსაზღვრებები: „თვითმყოფადობა“, „ხალხის ერთიანობა“, „ეროვნული უმცირესობები“, „კონსოლიდაცია“. ცნებებზე მსჯელობისას შესაძლებელია „ლოტოს“ მეთოდის გამოყენება: მოსწავლეები კონვერტიდან იღებენ ფურცლებს, ყოველ მათგანზე თითო სიტყვაა დაწერილი.

კითხვა 12-ზე მსჯელობისას ყურადღება გაამახვილეთ იმაზე, რომ კულტურული მრავალფეროვნება ეხება არა მარტო ეთნიკურ კულტურას, რომელიც ფოლკლორში ვლინდება და თანამედროვე გლობალიზებულ სამყაროში „ითქვიფება“. მოსწავლეებს შეახსენეთ მიგრაციის როლი თანამედროვე მსოფლიოში, კომუნიკაციის საშუალებების — ცხოვრების სტილისა და კულტურული პრიორიტეტების

გავრცელების საქმეში. მოიყვანეთ სხვადასხვა ახალგაზრდული სუბკულტურის, ასაკობრივი, სპორტული, მუსიკალური ჯგუფების მაგალითები, რომლების წარმომადგენლები შეიძლება იყვნენ როგორც ერთი სახელმწიფოს, ისე სხვადასხვას მოქალაქეები. უფრო მომზადებულ კლასთან იმსჯელეთ კითხვა 13-ზე , ნაკლებად მომზადებულთან კი ეს კითხვა შეგიძლიათ ბოლოსთვის მოიტოვოთ და კითხვა 17-თან გააერთიანოთ.

ნაბიჯი 4 *(15 წუთი)*

5. კითხვები 14-18 შედარებით რთულია და მოითხოვს წერილობითი წყაროების ანალიზის ჩვევას და XX საუკუნის ისტორიის კონსტექსტის ცოდნას. მოსწავლებს შესთავაზეთ წყაროები 14-16. მოსწავლეების ყურადღება გაამახვილეთ განმარტებებზე, რომლებიც მოცემულია წყაროების სქოლიოებში.

ერთ-ერთ ვარიანტად შეგიძლიათ მცირე ჯგუფების შექმნა და კითხვებზე 14-18 ჯგუფებში მსჯელობა. ჯგუფების წარმომადგენლებს სთხოვეთ, დაფაზე ან ქაღალდის დიდ ფურცელზე დაამთავრონ წინადადებები (დავალება 17). პასუხების ვარიანტები მთელ კლასთან ერთად განიხილეთ.

შემაჯამებელი მსჯელობა *(5 წუთი)*

„მიკროფორნის მეთოდის“[1] გამოყენებით იმსჯელეთ საკვანძო კითხვაზე.

თუ დრო დაგრჩათ, დაუმათავრებელი წინადადებების მეთოდის გამოყენებით მეცადინეობის რეფლექსია ჩაატარეთ:

- *დღეს ჩემთვის ყველაზე საინტერესო აღმოჩნდა...*
- *დღეს ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო იმის გაგება, რომ...*
- *დღეს მე შევიტყვე...*

[1] იხ. „როგორ გავხადოთ გაკვეთილი აქტიური“

ძირითადი ფასეულობანი და ცვლილებები საზოგადოებაში

▶ რა არის ფასეულობა და რა გავლენას ახდენს იგი საზოგადოებაზე?

▶ მოსწავლეთა ასაკი	14-18 წელი
▶ გაკვეთილისათვის საჭირო დრო	90 წუთი
▶ გაკვეთილის მიზანი	მოსწავლეებს გააგებინოს ევროპული ფასეულობების არსი და როლი თანამედროვე საზოგადოებაში.
▶ შემოთავაზება დამატებითი ინფორმაციის მისაღებად	**1.** Официальный сайт Совета Европы: http://www.coe.int/ru/ **2.** Договор о Европейском Союзе. 07.02.1992 г., Статья 2, 3, 6. — ხელმისაწვდომია მისამართზე на русском языке: http://zakon4.rada.gov.ua/laws/show/994_029, на английском языке: http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=URISERV:l33500 **3.** Атлас европейских ценностей, учительские стратегии — [ელექტრონული რესურსი] (на англ. языке) http://www.atlasofeuropeanvalues.eu/ **4.** Статья об европейских ценностях [ელექტრონული რესურსი] https://ru.wikipedia.org/ **5.** Handbook on values for life in a democracy. Edited by Robert Stradling and Cristopher Rowe. — Council of Europe Publishing: 2009.
გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი სავარაუდო შედეგები	
▶ ყველა მოსწავლე	შეძლებს ევროპული ფასეულობების ჩამოთვლას და მათი არსის ახსნას.
▶ მოსწავლეთა უმრავლესობა	შეძლებს ცნება „ფასეულობების“ არსის ახსნას და მათი მაგალითების მოყვანას; განასხვავებს სხვადასხვა თაობის ფასეულობებს.
▶ ზოგიერთი მოსწავლე	არგუმენტირებულად ახსნის მოლდოვისა და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების ევროინტეგრაციისკენ სწრაფვის მიზეზებს და მიზნებს; კრიტიკულად გააანალიზებს წყაროებს.
▶ მასწავლებლის მომზადება გაკვეთილისათვის	ფლიპჩარტი, რომელზეც 30 ფასეულობაა ჩამოთვლილი; წერილობითი და ვიზუალური წყაროების ამონაბეჭდი; საკლასო ოთახის მომზადება ინტერაქტიული მეცადინეობისთვის.

ზოგადი შენიშვნები

წარმოდგენილ მოდულში ახსნილია ძირითადი ცნებები — დემოკრატია, სამართლის უზენაესობა, კომპრომისი, ადამიანის უფლებები და მათი მეშვეობით აღწერილია თანამედროვე საზოგადოება. თუ თემა მოსწავლეებისთვის უცნობი აღმოჩნდა, რამდენიმე მოსწავლეს მიეცით საშინაო დავალება: მოამზადოს სალექსიკონო განმარტებები,

რომლებსაც გაკვეთილზე პრიორიტეტული ფასეულობების არჩევის სავარჯიშოს შედეგების შეჯამებისას გამოიყენებთ.

ბლოკების 2 და 3-ის წყაროთა უმრავლესობა ეხება მოლდოვას, მაგრამ მსგავსი შინაარსის წყაროების მოძიება შესაძლებელია პროექტის მონაწილე სხვა ქვეყნებთან მიმართებაშიც.

ნაბიჯი 1 *(30 წუთი)*

მოსწავლეები მითითებების შესაბამისად ასრულებენ პრიორიტეტული ფასეულობების შესარჩევ სავარჯიშოს. ყურადღება გაამახვილეთ იმაზე, რომ მოცემული სავარჯიშოს მიზანი არის არა ზუსტი პასუხის მიღება, არამედ მოსწავლეების მიერ ფასეულობების არსის და ადამიანის ცხოვრებაში მათი მნიშვნელობის გაგება.

- ყოველმა მოსწავლემ ინდივიდუალურად შეარჩიოს 10 ყველზე მნიშვნელოვანი ფასეულობა და ჩამოწეროს. სია შეაჯაროს ჯერ წყვილებში, შემდეგ კი — ოთხეულებში. შესთავაზეთ, სია ხუთ ცნებამდე შეამცირონ. საბოლოო ჩამონათვალი ყველამ ერთად განიხილოს.
- განხილვისას ყურადღება გაამახვილეთ იმაზე, ეს ფასეულობები მნიშვნელოვანია პიროვნებისთვის, საზოგადოებისთვის თუ სახელმწიფოსთვის.
- წყვილებსა და ჯგუფებში მუშაობისას აუხსენით სხვადასხვა ცნების მნიშვნელობა და მათი ურთიერთჩანაცვლების შესაძლებლობა: სამართლის უზენაესობა — დემოკრატია; თანასწორობა — დემოკრატია და სამართლის უზენაესობა; თავისუფლება — გადაადგილების, სიტყვის, არჩევანის თავისუფლებები; ძლიერი სახელმწიფო.

მოსწავლეებს აუხსენით, რომ *კანონი* და *წესრიგი* ტოტალიტარულ, დიქტატორულ სახელმწიფოებშიც არსებობდა, *კომპრომისი* კი *თანამშრომლობის* საფუძველია.

- წინასწარი და შემაჯამებელი მსჯელობისას მოსწავლეებს სთხოვეთ, დაასაბუთონ მათი არჩევანი და მკაფიოდ განსაზღვრონ არჩეული ცნებების არსი. ჰკითხეთ, სიას კიდევ ხომ არ დაამატებდნენ რომელიმე ცნებას და რატომ?
- მოსწავლეებს ჰკითხეთ, რომელი ცნების რომლით შეცვლა იყო უფრო რთული და რატომ?
- მოიყვანეთ მაგალითები ადამიანის ცხოვრებაში ჩამოთვლილი ფასეულობების მნიშვნელობის შესახებ.
- რამდენიმე მოსწავლეს ჰკითხეთ, რას ნიშნავს ცნება „ფასეულობა“. შემოთავაზებულ განმარტებებს ნუ განიხილავთ.
- დიდ ფურცელზე ჩამოწერილი ფასეულობების ჩამონათვალი, რომელიც განხილვის შედეგად მიიღეთ, გადადეთ შემაჯამებელ მსჯელობამდე.

გააცანით თემა და მეცადინეობის საკვანძო კითხვა. სასურველია, საკვანძო კითხვა დაფაზე ან ქაღალდის დიდ ფურცელზე დაწეროთ.

ნაბიჯი 2 *(15 წუთი)*

მოსწავლეები მუშაობენ წყაროების 1-4 კითხვებზე 3-4. წყაროები 1-4 თეორიული ხასიათისაა, ამიტომ მათი ანალიზისას მოსწავლეებს დაეხმარეთ; სთხოვეთ, ტექსტში გახაზონ საკვანძო სიტყვები.

დავალება 4-ის შესრულებისას მოსწავლეები მუშაობენ წყვილებში. შესთავაზეთ, ჩაიწერონ ცნება „ფასეულობების“ ის განმარტებები, რომლის ჩამოყალიბებაც ამ ეტაპზე შეძლეს. აუხსენით, რომ მეცადინეობის პროცესში ამ განსაზღვრებების გაფართოება და თანაკლასელებთან განხილვა მოუწევთ.

ნაბიჯი 3 *(15 წუთი)*

დავალებები 5-7 განიხილეთ დამატებითი წინადადებების მეთოდით. ყურადღება მიაქციეთ, რომ წყაროები 6-7 ჩაწერილია აღწერილი მოვლენებიდან რამდენიმე ათწლეულის შემდეგ, ამიტომ შესაძლოა მათზე უფრო გვიანი შთაბეჭდილებები და შეფასებები აისახა. იმ მოსწავლეებს, რომლებიც ტექსტების ანალიზის მეთოდს საკმარისად ვერ ფლობენ, შეახსენეთ, რომ წყაროებში 5-6 შეინიშნება საბჭოთა პროპაგანდის გავლენა: „ვიყოთ პირველები“, „უმაღლესი პატრიოტიზმი“. წყარო 5-ში არის სიტყვათა შეთანხმება „უმაღლესი ფასეულობა“. მოსწავლეებს ჰკითხეთ, როგორ ესმით ეს გამოთქმა და ემთხვევა თუ არა ამ წყაროში მოცემული ფასეულობის გაგება ბლოკი 1-ის წყაროების გაგებას.

სთხოვეთ, დავალება 8 წყვილებში წერილობით შეასრულონ. მოკლედ განიხილეთ ადრე გაკეთებული განსაზღვრებები და დამატებები, რომლებიც ბლოკი 2-ის შესწავლის შედეგად მიიღეთ.

ნაბიჯი 4 *(12 წუთი)*

ისტორიული ცნობის საფუძველზე მოსწავლეებს ჩაუტარეთ მინი-ლექცია. დაფაზე ან დიდ ფურცელზე დაწერეთ ციტატა ევროპის კავშირის ხელშეკრულებიდან: „კავშირი ეფუძნება ადამიანის ღირსების პატივისცემის, თავისუფლების, დემოკრატიის, თანასწორობის, სამართლებრივი სახელმწიფოსა და ადამიანის უფლებების, მათ შორის, უმცირესობების წარმომადგენლების დაცვის ფასეულობებს“.

მოსწავლეები მცირე ჯგუფებში მუშაობენ კითხვებზე 9, 10, 11. თითოეული ჯგუფი პასუხობს თავის კითხვას (ჯგუფი 1 + პასუხი კითხვა 9-ზე, ჯგუფი 2 — პასუხი კითხვა 10-ზე, ჯგუფი 3 — პასუხი კითხვა 11-ზე). თუ ჯგუფების რაოდენობა მეტია, შემდეგი ჯგუფები შეავსებენ პირველი სამის პასუხებს.

ნაბიჯი 5 *(10 წუთი)*

მოსწავლეებს შესთავაზეთ, გაეცნონ წყაროების 13-16 კითხვებს 12-15 და ინდივიდუალურად ან წყვილებში უპასუხონ. მოსწავლეებს ყურადღება მიაქცევინეთ პაზლის იდეაზე, როგორც ჰერიკის დემოკრატიის ქანდაკების იდეის შემავსებელ ელემენტზე. უთხარით, რომ ეს ქანდაკება სასამართლოს შენობის წინ დგას და, ავტორის თვალსაზრისით, სამართლიანობის იდეას ასახავს. კითხვა 15-ის განხილვაში მთელი კლასი მონაწილეობს.

ნაბიჯი 6 შემაჯამებელი განხილვა *(7 წუთი)*

დაუბრუნდით მეცადინეობის დასაწყისში შედგენილ ხუთი ფასეულობის ჩამონათვალს.

მოსწავლებს ჰკითხეთ, შეეცვალათ თუ არა თანამედროვე საზოგადოების ფასეულობების არსის გაგება და ახლა რას შეცვლიდნენ ამ სიაში.

დაუბრუნდით საკვანძო კითხვას.

მეცადინეობის შედეგი შეაჯამეთ დაუმთავრებელი წინადადების მეთოდით: „დღეს ჩემთვის ყველაზე საინტერესო იყო...“ „დღეს მე გავიგე, რომ...“

საშინაო დავალებად

საშინაო დავალებად შეიძლება შესთავაზოთ, მოამზადონ ამა თუ იმ ფასეულობისადმი მიძღვნილი პლაკატების (პოსტერების) გამოფენა. მაგალითად: მართლმსაჯულება, დემოკრატია, სოლიდარობა, მეგობრობა, კანონი, ეროვნული კულტურა, მშვიდობა, ოჯახი და სხვ.

ნაკვეთი III

ოჯახი და ყოველდღიური ცხოვრება

ნაკვეთის „ოჯახი და ყოველდღიური ცხოვრება“ საკვანძო კითხვები

- რა ცვლილებები მოხდა სამხრეთ კავკასიის ხალხთა ყოფა-ცხოვრებაში XIX-XX საუკუნეებში?
- რა გავლენა მოახდინა ბაქოს ნავთობმა ქალაქის ცხოვრებაზე?
- რა სიახლე გაჩნდა აზერბაიჯანში ქალისადმი დამოკიდებულებაში XX საუკუნის დამდეგს?
- როგორ აისახება წარსულის საყოფაცხოვრებო ელემენტებში სხვადასხვა ხალხის კულტურა?
- ვინ არიან ლიპოვანები, რამდენად ინარჩუნებენ ისინი თავიანთ კულტურას და რატომ?
- როგორ და რატომ იცვლებოდა შერეული ქორწინება XX-XXI საუკუნეებში?
- რამდენად უწყობს ხელს საზღვრისპირა ვაჭრობა ვითარების სტაბილიზაციას რეგიონში?
- რა გავლენას ახდენს თანამედროვე შრომითი მიგრაცია მოლდოვურ საზოგადოებაზე?
- რა გავლენას ახდენს შრომითი მიგრაცია ოჯახზე?
- რა შესაძლებლობებს ქმნის თანამედროვე ქალაქი კულტურათა დიალოგისთვის?

ტრადიციული ყოფა-ცხოვრების სიახლეები

▶ რა ცვლილებები მოხდა სამხრეთ კავკასიის ხალხთა ყოფა-ცხოვრებაში XIX - XX საუკუნეებში?

▶ მოსწავლეთა ასაკი	14-18 წელი
▶ გაკვეთილისათვის საჭირო დრო	45 წუთი
▶ გაკვეთილის მიზანი	XIX საუკუნის დამლევსა და XX საუკუნის დამდეგს სამხრეთი კავკასიის ხალხთა მაგალითზე ვაჩვენოთ მოსწავლეებს კულტურული ურთიერთმოქმედებისა და ურთიერთგაცვლის როლი ყოფა-ცხოვრების შეცვლაში.
▶ შემოთავაზება დამატებითი ინფორმაციის მისაღებად	**1.** Чернова-Дёке Т.Н. Немецкие поселения на периферии Российской империи. Кавказ: взгляд сквозь столетие (1818–1917) (к 190-летию основания немецких колоний). — ხელმისაწვდომია მისამართზე: http://www.rusdeutsch.ru/biblio/files/211_biblio.pdf **2.** Гейдарова Э.А.. Иноязычная лексика в русском островном говоре Азербайджана. Вестник Томского государственного университета. 2013. № 371. С.23-26. — ხელმისაწვდომია მისამართზე: http://cyberleninka.ru/article/n/inoyazychnaya-leksika-v-russkom-ostrovnom-govore-azerbaydzhana **3.** Долженко И.В. Хозяйственный и общественный быт русских крестьян Восточной Армении (конец XIX — начало XX вв.) — ხელმისაწვდომია მისამართზე: http://xn----7sbbsxcgldktifcc9o.xn--p1ai/sites/default/files/upload/glava1.pdf **4.** Багиров Ф.Э. Переселенческая политика царизма в Азербайджане (1830–1914 гг.)./Ф.Э.Багиров — М: Маросейка, 2009. — 704 с. **5.** Клибанов А.И. История религиозного сектантства в России (60-е годы XIX в. — 1917 г.)./А.И. Клибанов — М: Наука, 1965. — 348 с. **6.** Анчабадзе Ю.Д. Старый Тбилиси. Город и горожане в XIX веке/ Ю.Д.Анчабадзе Н.Г.Волкова. М. Наука. 1990.– 273 с. — ხელმისაწვდომია მისამართზე: http://booksee.org/book/723970
გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი სავარაუდო შედეგები	
▶ ყველა მოსწავლე	გაეცნობა XIX-XX საუკუნეებში სამხრეთი კავკასიის ხალხთა ყოფა-ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებს.
▶ მოსწავლეთა უმრავლესობა	შეძლებს გააანალიზოს კულტურული ურთიერთმოქმედების როლი ყოფა-ცხოვრების შეცვლაში.
▶ ზოგიერთი მოსწავლე	შეძლებს გააანალიზოს კულტურაში მომხდარი ცვლილებების გავლენა ყოფა-ცხოვრების შემდგომ ტრანსფორმაციაზე.
▶ მასწავლებლის მომზადება გაკვეთილისათვის	ჯგუფებში მუშაობისათვის მოამზადეთ ფლიპჩარტები ან ქაღალდის დიდი ფურცლები და ფლომასტერები.

საერთო შენიშვნები

მოდულზე მუშაობისას შესაძლებელია ორი ვარიანტი. შეგიძლიათ იმუშაოთ მოსწავლეებთან ინდივიდუალურად ან დაყოთ ისინი წყვილ-წყვილად და თანმიმდევრულად მიყვეთ ბლოკებს. მეორე ვარიანტია ჯგუფური მუშაობა, ასეთ შემთხვევაში ყოველ ჯგუფს თითო მოდული ექნება. თუ კლასი დიდია, მიზანშეწონილია, რომ თითო მოდულზე ორმა ჯგუფმა იმუშაოს და მასწავლებელმა ან კენჭისყრამ განსაღვროს, რომელი მათგანი წარმოადგენს მუშაობის შედეგებს და რომელი შეიტანს დამატებებს ან დასვამს კითხვებს.

ნაბიჯი 1 *(20 წუთი)*

დაყავით კლასი ჯგუფებად. ყოველ ჯგუფს დაურიგეთ თავისი ბლოკის მასალები, ფლიპჩარტი და ფლომასტერები.

აუხსენით მოსწავლეებს, რომ მუშაობის დროს ყოველი ჯგუფი თავისი ბლოკის წყაროების კითხვებისა და მასალების გამოყენებით ამზადებს პასუხს მოდულის საკვანძო კითხვაზე. ფლიპჩარტზე ჯგუფები აყალიბებენ ცვლილებების სიას თემების მიხედვით:

ბლოკი 1 — ცვლილებები სამხრეთი კავკასიის ხალხთა ტანსაცმელსა და საყოფაცხოვრებო კულტურაში;

ბლოკი 2 — ცვლილებები სამხრეთი კავკასიის ხალხთა საკვებ რაციონსა და მენიუში;

ბლოკი 3 — როგორ შეიცვალა_სამხრეთი კავკასიის ხალხთა სახლის ტიპები და საყოფაცხოვრებო საგნები;

ბლოკი 4 — XX საუკუნის დამლევისა და XX საუკუნის დამდეგის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და რეგიონის ხალხთა საყოფაცხოვრებო კულტურა.

ყოველ ჯგუფს გამოუყავით 3-4 წუთი მუშაობის შედეგების წარდგენისათვის და 1-2 წუთი — კითხვებისა და დამატებებისათვის.

ნაბიჯი 2 *(25 წუთი)*

ჯგუფები წარმოადგენენ თავიანთი მუშაობის შედეგებს და აყალიბებენ საერთო პასუხს მოდულის შემაჯამებელ კითხვაზე. მიაქციეთ ყურადღება დროის რეგლამენტის დაცვას, რომ დარჩეს დრო მასწავლებლის მიმანიშნებელი კითხვებისა და კომენტარებისათვის.

კომენტარები მასწავლებლისათვის

ბლოკი 1.

წყარო 1-ზე მუშაობის დროს მიაქციეთ მოსწავლეთა ყურადღება იმას, რომ ფოტოზე სამი კატეგორიის ადამიანებია: ევროპულად ჩაცმულები, ტრადიციულად ჩაცმულები და ისეთები, რომელთა ტანსაცმელშიც არის როგორც ტრადიციული, ასევე ევროპული ელემენტები.

კითხვა 2-ზე პასუხის გაცემის დროს მიაქციეთ მოსწავლეთა ყურადღება იმას, რომ ტანსაცმლის შეცვლას მოჰყვა არა მარტო რუსული ენის შესწავლა (რაც თავისთავად სხვა კულტურის სერიოზულ ზიარებას ნიშნავს), არამედ ქალებისთვის განათლების მიცემაც (წყაროები 3-4), რამაც ძალიან დააჩქარა ევროპული კულტურის შეღწევის პროცესი.

კითხვა 3-ზე მუშაობის დროს შეგიძლიათ ჰკითხოთ მოსწავლეებს, როგორ განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან ძველი და ახალი თბილისის უბნების იერ-სახე (რეგულარული დაგეგმარება, სახლების ევროპული ტიპის არქიტექტურა).

ბლოკი 2.

მიაქციეთ მოსწავლეთა ყურადღება იმას, რომ ახალი სასოფლო-სამეურნეო კულტურების გაჩენა ნიშნავდა ახალი სურსათის და, შესაბამისად, მენიუში ახალი კერძების გაჩენას.

ბლოკი 3.

წყარო 16-ზე აღბეჭდილი ორივე სახლი ახალმოსახლეთა აშენებულია. მიაქციეთ მოსწავლეთა ყურადღება სოფელში სასტუმროს გაჩენის ფაქტს და შენობაზე ფირმა „ზინგერის“ საკერავი მანქანების რეკლამას.

ბლოკი 4.

მიაქციეთ მოსწავლეთა ყურადღება იმას, რომ სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების ზრდამ გამოიწვია ცხოვრების დონის ამაღლება და მოსახლეობის მობილურობის ზრდა (წყარო 17).

წყარო 18-ში, ტელეფონისა და ტელეგრაფის გაჩენის გარდა, აღსანიშნავია ისიც, რომ გაჩნდა საშუალო განათლება ქალებისთვის და, მათ შორის, ქირით მომუშავე ქალებისთვის. შეგიძლიათ დაუკავშიროთ ეს ქალთა შემდგომი ემანსიპაციის თემას და პრობლემებს, რომლებიც განხილულია მოდულში „აზერბაიჯანელი ქალი ოჯახსა და საზოგადოებაში XX საუკუნის დამდეგს (ჟურნალ „მოლა ნასრედინის“ პუბლიკაციების მიხედვით)“.

ბაქოს ნავთობი და კულტურა

▶ რა გავლენა მოახდინა ბაქოს ნავთობმა ქალაქის ცხოვრებაზე?

▶ მოსწავლეთა ასაკი	14-18 წელი
▶ გაკვეთილისათვის საჭირო დრო	45 / 90 წუთი
▶ გაკვეთილის მიზანი	აჩვენოთ მოსწავლეებს, რომ სწრაფი ეკონომიკური ზრდა ხელს უწყობს მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას და უზრუნველყოფს კულტურის განვითარების მატერიალურ ბაზას.
▶ შემოთავაზება დამატებითი ინფორმაციის მისაღებად	**1.** Алиева Ругия. Памяти Г.З. Тагиева, Каспий, 2008. **2.** Исмаилов М. А. Промышленность Баку в начале XX века. — Баку, 1976 **3.** Йорг Баберовски. Цивилизаторская миссия и национализм в Закавказье: 1828–1914 гг. // Новая имперская история постсоветского пространства / Под ред. И. Герасимова. — Казань: New Imperial History, 2004. — С. 322 **4.** Гаджиев Адиль-Гирей Сагадуллаевич. Миллионер Тагиев Гаджи Зейналабдин общественно-политические взгляды. — Махачкала, 2000 год.
გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი სავარაუდო შედეგები	
▶ ყველა მოსწავლე	– შეიტყობს ბაქოს განვითარებასა და ბაქოელების ცხოვრებაზე ნავთობის მოპოვების გავლენის შესახებ და შეაფასებს სხვადასხვა ეროვნების მეცენატთა წვლილს თანამედროვე აზერბაიჯანის კულტურის განვითარებაში; – გააანალიზებს ბაქოს ნავთობსარეწების განვითარების გავლენას არა მარტო თანამედროვე აზერბაიჯანის, არამედ რუსეთის იმპერიის რეგიონების ცხოვრებაზეც.
▶ მოსწავლეთა უმრავლესობა	– შეიმეცნებს ბაქოს მოსახლეობის შემადგენლობაში, იერ-სახესა და ყოფა-ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებების მიზეზებს; – გააანალიზებს სწრაფი ეკონომიკური ზრდის კავშირს კულტურის განვითარებასთან.
▶ ზოგიერთი მოსწავლე	გააანალიზებისას შეძლებს გაავლოს პარალელი ეკონომიკის თანამედროვე განვითარებასა და კულტურის განვითარებას შორის.
▶ მასწავლებლის მომზადება გაკვეთილისათვის	ჯგუფებში სამუშაოდ მოამზადეთ ფლიპჩარტები (6 ცალი) ან ქაღალდის დიდი ფურცლები და ფლომასტერები. ფლიპჩარტზე სამოტივაციო სავარჯიშოს შედეგების დაფიქსირების შემთხვევაში მოამზადეთ ფლიპჩარტის კიდევ ერთი ფურცელი. A ვარიანტის შემთხვევაში მოსწავლეებს ეძლევათ საშინაო დავალება.

სამოტივაციო სავარჯიშო *(5 წუთი)*

სთხოვეთ მოსწავლეებს უპასუხონ კითხვას, თუ რა კავშირი შეიძლება არსებობდეს ნავთობსა და ყოველდღიურ კულტურას შორის. პასუხები დააფიქსირეთ დაფაზე ან ფლიპჩარტზე და შეინახეთ, რათა შეადაროთ პასუხებს იმავე კითხვაზე გაკვეთილის ბოლოს.

საერთო შენიშვნები

სასურველია იმუშაოთ ჯგუფებში. ყოველ ჯგუფს მიეცით თითო ბლოკი. თუ კლასი დიდია, მიზანშეწონილია, რომ ყოველ მოდულთან ორ-ორი ჯგუფი მუშაობდეს. ამ შემთხვევაში მასწავლებელი ან კენჭისყრა განსაზღვრავს, ორიდან რომელი ჯგუფი წარმოგიდგენთ შედეგებს და რომელი შემოიტანს დამატებებს ან შენიშვნებს.

ნაბიჯი 1 *(10/25 წუთი)*

კლასში მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით დაყავით ისინი ჯგუფებად. ყოველ ჯგუფს მიეცით თავისი ბლოკის მასალები (სულ 3 ბლოკია), 2 ფლიპჩარტი და ფლომასტერები.

აუხსენით ამოცანა — ჯგუფში მუშაობის პროცესში თავიანთი ბლოკის მასალებისა და წყაროების კითხვების გამოყენებით უნდა შეადგინონ ბაქოში ნავთობსარეწების განვითარების დადებითი (ერთ ფურცელზე) და უარყოფითი (მეორე ფურცელზე, თუ ასეთებს იპოვიან) შედეგების სია:

ბლოკი 1 — ბაქოს მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობაში მომხდარი ცვლილებების დინამიკა, მიზეზები და შედეგები;

ბლოკი 2 — ქალაქის იერ-სახესა და ბაქოს მოსახლეობის სხვადასხვა ფენებში მომხდარი ცვლილებების მიზეზები და შედეგები;

ბლოკი 3 — ცვლილებები ბაქოს კულტურულ ცხოვრებაში და მეცენატი ნავთობმრეწველების წვლილი კულტურის განვითარებაში.

ყოველ ჯგუფს მიეცით 1-2 წუთი მუშაობის შედეგების წარმოსადგენად და 1-2 წუთი კითხვებისა და დამატებებისათვის.

გაკვეთილის **ვარიანტი A** 45 წუთზეა გათვლილი.

ამ შემთხვევაში დროის დაზოგვის მიზნით *წინასწარ* დაყავით მოსწავლეები სამ ჯგუფად და მიეცით *საშინაო დავალება* — რვეულში ჩაწერონ ბაქოში ნავთობსარეწების განვითარების დადებითი და უარყოფითი შედეგების სია. გაკვეთილზე მოსწავლეები განიხილავენ საშინაო დავალების შედეგებს და ამზადებენ ფლიპჩარტებს მათ წარმოსადგენად.

გაკვეთილის **ვარიანტი B** 90 წუთზეა გათვლილი.

მოსწავლეები კლასში კითხულობენ და განიხილავენ ბლოკების მასალებს და ამზადებენ ფლიპჩარტებს მუშაობის შედეგების წარმოსადგენად.

შეგიძლიათ შესაბამის ჯგუფებს დაუსვათ დამატებითი კითხვები:

რას ხმარდებოდა ბაქოს ნავთობისაგან მიღებული მოგება?

თქვენი აზრით, რა მიზეზები უბიძგებდა მეცენატ ნავთობრეწველებს ქველმოქმედებისაკენ?

რატომ განიხილავდნენ ნავთობმრეწველები მუშების საყოფაცხოვრებო პირობებს და მათი გაუმჯობესების გზებს? და ა.შ.

ნაბიჯი 2 *(25 წუთი)*

ჯგუფები წარმოადგენენ თავიანთი მუშაობის შედეგებს, ყურადღება მიაქციეთ დროის რეგლამენტის დაცვას, რომ დაგრჩეთ დრო თქვენი მიმანიშნებელი კითხვებისა და კომენტარებისათვის. დამატებებისა და შენიშვნების გათვალისწინებით მოსწავლეებს შეაქვთ კორექტივები ფლიპჩარტებზე.

B ვარიანტის შემთხვევაში შეგიძლიათ გამოყოთ მეტი დრო შედეგების წარმოდგენისა და შეკითხვებისათვის.

შედეგების წარმოდგენის შემდეგ დაამაგრეთ ფლიპჩარტები დაფაზე ან კედელზე (უარყოფითები — უარყოფითებთან, დადებითები — დადებითებთან), რის შედეგადაც შეიქმნება საერთო ტაბულა „ბაქოში ნავთობსარეწების განვითარების დადებითი და უარყოფითი შედეგები“.

ნაბიჯი 3 *(5–10 წუთი)*

მოაწყეთ დისკუსია. სადისკუსიო კითხვა:

ბაქოს ნავთობი ოლიგარქების გამდიდრების წყაროა თუ საზოგადოების დახმარების საშუალება?

ნაბიჯი 4 *(5–7 წუთი)*

სადისკუსიო კითხვაზე პასუხის გაცემის შემდეგ გახსენით სამოტივაციო სავარჯიშოს შესრულების პროცესში შექმნილი ფლიპჩარტი ნავთობისა და კულტურის კავშირის შესახებ და დააფიქსირეთ დაფაზე პასუხები კითხვაზე:

ახლა როგორ უპასუხებდით ამ კითხვას?

ვარიანტი A — ეს კითხვა შეგიძლიათ მისცეთ მოწაფეებს საშინაო დავალების სახით და განიხილოთ პასუხები შემდეგ გაკვეთილზე (5-7 წუთი შემდეგ გაკვეთილზე).

ვარიანტი B — დისკუსიას აწყობთ იმავე გაკვეთილზე.

ნაბიჯი 5 *(15 წუთი)*

იმსჯელეთ იმაზე, თუ რა გავლენას ახდენს საზოგადოების განვითარებაზე ეკონომიკური განვითარება და, კერძოდ, ბუნებრივი სიმდიდრის გამოყენება ჩვენს დროში. შეგიძლიათ დასვათ კითხვა:

თქვენ რომ მილიონერები იყოთ, რას გააკეთებდით თქვენი ხალხის კულტურის განვითარებისათვის?

კომენტარები მასწავლებლისთვის

ბლოკი 1.

წყარო 1-ზე მუშაობის პროცესში მიაქცეთ მოსწავლეთა ყურადღება ბაქოს მოსახლეობის რაოდენობის ყველაზე სწრაფი ზრდის წლებს. მიზეზების ასახსნელად მიუთითეთ წყარო 2-ზე, რაც დაეხმარება მათ კითხვა 3-ზე პასუხის გაცემაში.

ნავთობის ბუმის მიზეზების ასახსნელად გამოიყენეთ ბლოკ 1-ის ისტორიული ცნობა და წყარო 2. შეახსენეთ მოსწავლეებს, რომ ეს იყო პერიოდი, როცა სამრეწველო რევოლუციამ რუსეთის იმპერიის გარდა ამიერკავკასიაც მოიცვა. შიდა წვის ძრავის გამოგონების შემდეგ მთელ მსოფლიოში მკვეთრად გაიზარდა მოთხოვნილება ნავთობზე. აღნიშნეთ, რომ XX საუკუნის დამდეგს ბაქოს რეგიონზე მსოფლიოში ნავთობის მოპოვების დაახლოებით ნახევარი მოდიოდა.

წყარო 3-ზე მუშაობის პროცესში მიმანიშნებელი კითხვებით მიაქციეთ მოსწავლეთა ყურადღება იმას, რომ სექტორში „სხვები“ შეიცვალა ხალხების შემადგენლობა და მათი თანაფარდობა ადგილობრივ მოსახლეობასთან.

კითხვა 4-ზე პასუხის გაცემის დროს აღნიშნეთ, რომ მოსახლეობა გაიზარდა მიგრანტების ხარჯზე — „სხვები“ ახლა 9%-ის ნაცვლად 67%-ზე მეტს შეადგენს. დაეხმარეთ მოსწავლეებს, რომ იპოვონ მეორე დიაგრამაზე პირველი დიაგრამის თურქულ- და ირანულენოვანი მოსახლეობა — ყაზანის თათრები, სპარსელები და სამხრეთკავკასიელი თათრები. *ჰკითხეთ, არის თუ არა ყველა ხალხი, რომელიც მეორე დიაგრამაზეა აღნიშნული, ბაქოს მკვიდრი.*

კითხვა 7-ზე პასუხის გაცემისას მიაქციეთ მოსწავლეთა ყურადღება იმას, რომ ბაქოს ძველ რაიონებში ცხოვრობდა ადგილობრივი მოსახლეობა, ჩრდილოეთი და ინდუსტრიულ ცენტრი მიგრაციის პირველი ტალღის შედეგია, ხოლო მეორე ტალღამ და უცხოური კაპიტალის შემოღწევამ შექმნა რაიონები, სადაც შერეული მოსახლეობაა.

სავარაუდო პასუხები:

ნავთობის ბუმის დადებითი მხარეები — მოსახლეობის რაოდენობის ზრდა, მისი მრავალეროვნული ხასიათი; უცხოური კაპიტალის შემოღწევა; ნავთობმრეწველობისა და მთლიანად ეკონომიკის განვითარება.

ნავთობის ბუმის უარყოფითი მხარეები — ბაქოს ნავთობი ძირითადად უცხოელების ხელში აღმოჩნდა.

ბლოკი 2.

კითხვა 8-ზე მუშაობის დროს შეგიძლიათ ჰკითხოთ მოსწავლეებს, რით განსხვავდება ქალაქის გეგმაზე (წყარო 6) ძველი და ახალი ბაქოს უბნები (რეგულარული დაგეგმარება, სწორი ქუჩები).

მიაქციეთ მოსწავლეთა ყურადღება იმას, რომ ახალი ევროპული ყაიდის სახლების, ყოფა-ცხოვრების თანამედროვე პირობებისა და სტილის, ტრანსპორტის და სხვ. გაჩენამ ხელი შეუწყო ბაქოს ევროპეიზაციას, რომ ბაქოს ნავთობით მიღებულ მოგებას ნავთობრეწველები მარტო ჯიბეში კი არ იდებდნენ, არამედ ახმარდნენ ხალხის კეთილდღეობასაც: ქალაქთმშენებლობის, ეკონომიკის , კულტურის, განათლების განვთარებას; მუშების ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებას (წყარო 11) და ა.შ.

წყაროებზე: 6, 10, 12 და13 (კითხვა 14) მუშაობისას მოსწავლეთა ყურადღება მიაქციეთ დასავლური ცივილიზაციის შემდეგ ელემენტებს: ახალი უბნების დაგეგმარება, სწორი ქუჩები (წყარო 6), ევროპული ყაიდის საცხოვრებელი სახლები და ოფისები (წყარო 7), სკოლები, საავადმყოფოები, ბიბლიოთეკები, ქანდაკებებით დამშვენებული პარკები და ბაღები (წყროები 9,10), ახალი ტრანსპორტი — რკინიგზა, კონკა, ომნიბუსი, ავტომობილი (წყაროები 8, 12, კითხვა 12), ახალი ცხოვრების წესი — მეჯლისები, სეირნობა, კონცერტები, ფეიერვერკები, საშობაო ნაძვის ხე და ა.შ. შეახსენეთ მოსწავლეებს, რომ ბაქოში არ იყო ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები პარკებსა და ბაღებში მწვანე ნარგავების გასაშენებლად (ბლოკ 2-ის ისტორიული ცნობა) და საამისოდ საჭირო იყო განსაკუთრებული ძალისხმევა და სახსრები, რასაც არ ინანებდნენ მდიდარი ნავთობმრეწველები.

წყარო 13-ზე მუშაობისას მიაქციეთ მოსწავლეთა ყურადღება ევროპულად ჩაცმულ ადამიანებს, მრავალფეროვან, როგორც ჩანს იმპორტულ სამრეწველო საქონელს დახლებზე. შეგიძლიათ დაუსვათ მოსწავლეებს დამატებით კითხვები: *ვინ არიან ეს ადამიანები, რით განსხვავდება ეს მაღაზია აღმოსავლური ბაზრისა ან მაღაზიისაგან? როგორ საქონელს ხედავთ დახლზე?*

სავარაუდო პასუხები:

ნავთობის ბუმის დადებითი მხარეები: ქალაქთმშენებლობის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის განვითარება, ყოფა-ცხოვრების ევროპეიზაცია.

ნავთობის ბუმის უარყოფითი მხარეები: მუშების ყოფა-ცხოვრებისა და მუშაობის მძიმე პირობები, ეკოლოგიური პრობლემები (წყარო 11).

ბლოკი 3.

კითხვა 13-ზე მუშაობისას მიაქციეთ მოსწავლეთა ყურადღება „ძმები ნობელების ამხანაგობის“ ზოგიერთი უცხოელი მოსამსახურის აქტიურ საქველმოქმედო საქმიანობას, იმას, რომ ამხანაგობამ დააარსა სკოლა შავ ქალაქში, რომ ამ სკოლის მზრუნველმა, ერთერთი მოსამსახურის ცოლმა დიდი წვლილი შეიტანა ბაქოს კულტურულ ცხოვრებაში: შექმნა მოყვარულთა სახალხო გუნდი, ეწეოდა საგანმანათლებლო მუშაობას მუშებში (ის, რომ სახალხო კითხვაზე არ დაიშვებოდნენ „ათ წლამდე ბავშვები და ქალები ჩვილი შვილებით“ მოწმობს რეალური შედეგის მიღწევის სურვილს), მოაწყო პირველი უფასო სახალხო სპექტაკლი, რომელშიც როლებს ასრულებდნენ წარმოებების მუშა-მოსამსახურენი, ანუ ცდილობდა ეზიარებინა ისინი კულტურისათვის.

წყაროებზე 13-19 მუშაობისას მიაქციეთ მოსწავლეთა ყურადღება მეცენატი ნავთობმრეწველების მიზნებს და მათი საქველმოქმედო საქმიანობის მასშტაბს. ბაქოს ნავთობის სიკეთე გავრცელდა რუსეთის იმპერიის სხვადასხვა ქალაქებსა და რეგიონებში, იგი დღესაც იგრძნობა მსოფლიოში ნობელის პრემიების სახით (წყარო 20).

სავარაუდო პასუხები:

ნავთობის ბუმის დადებითი მხარეები: მუსიკალური და თეატრალური ცხოვრების, განათლების, მათ შორის ქალთა განათლების განვითარება, თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არსებული მატერიალური კულტურის ძეგლების დაცვა და ა.შ.

ნავთობის ბუმის უარყოფითი მხარეები: არ არის!

შეგიძლიათ აგრეთვე დაუსვათ მოსწავლეებს დამატებითი კითხვები:

რას ხმარდებოდა ბაქოს ნავთობისაგან მიღებული მოგება?

რა გავლენა მოახდინა ბაქოში ნავთობსარეწების განვითარებამ საყოფაცხოვრებო კულტურის განვითარებაზე?

თქვენი აზრით, უწინარეს ყოვლისა რა აინტერესებდათ მეცენატ ნავთობმრეწველებს — ის, რომ ფინანსური დახმარება გაეწიათ თავიანთი ხალხის კულტურის განვითარებისათვის და შეექმნათ კომფორტული პირობები ყველა ერის წარმომადგენლებისათვის, თუ საკუთრი გამდიდრება?

როგორ ფიქრობთ, რა მიზეზები უბიძგებდა მილიონერ ნავთობმრეწველებს საქველმოქმედო საქმიანობისაკენ?

აზერბაიჯანელი ქალი ოჯახსა და საზოგადოებაში XX საუკუნის დამდეგს

(ჟურნალ „მოლა ნასრედინის“ პუბლიკაციების მიხედვით)

▶ რა სიახლე გაჩნდა აზერბაიჯანში ქალისადმი დამოკიდებულებაში XX საუკუნის დამდეგს?

▶ მოსწავლეთა ასაკი	14-16 წელი
▶ გაკვეთილისათვის საჭირო დრო	45/90 წუთი
▶ გაკვეთილის მიზანი	ვიზუალური წყაროების მეშვეობით, აჩვენოთ მოსწავლეებს, როგორი იყო აზერბაიჯანელი ქალის მდგომარეობა XX საუკუნის დამდეგს და როგორ და რატომ იცვლებოდა მისი მდგომარეობა.
▶ შემოთავაზება დამატებითი ინფორმაციის მისაღებად	**1.** Алиева Л. Семейно-бытовое положение азербайджанских женщин в начале XX века. — ხელმისაწვდომია მისამართზე: http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0period--00–1----0–10-0---0---0direct–10---4-------0–1l-–11-ka-50---20-help---00-3–1-00-0-0–11–1-0utfZz-8–10&a=d&c=period&cl=CL4.12&d=HASH6e53a25e417748bfc5d246.3.1#HASH6e53a25e417748bfc5d246.3.1 **2.** Казымова Ф. Р. Журнал «Молла Насреддин» и восточная печать // Филологические науки в России и за рубежом: материалы международной научной конференции (г. Санкт-Петербург, февраль 2012 г.). — СПб.: Реноме, 2012. — С. 21–24. **3.** ელექტრონული რესურსი: Джалил Мамедкулизаде. — ხელმისაწვდომია მისამართზე: http://www.azerigallery.com/literatura/dzhalil-mamedkulizade.html
გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი სავარაუდო შედეგები	
▶ ყველა მოსწავლე	შეიტყობს, როგორი იყო აზერბაიჯანელი ქალის მდგომარეობა XX საუკუნის დამდეგს.
▶ მოსწავლეთა უმრავლესობა	გააანალიზებს XX საუკუნის დამდეგს აზერბაიჯანელი ქალის მდგომარეობაში მომხდარ ცვლილებებს.
▶ ზოგიერთი მოსწავლე	შეძლებს წარმოაჩინოს აზერბაიჯანელი ქალის მდგომარეობის შეცვლის მიზეზები და შეადაროს მისი იმდროინდელი მდგომარეობა დღევანდელს.
▶ მასწავლებლის მომზადება გაკვეთილისათვის	შეისწავლეთ ალიევას სტატია (იხ. მასალები დამატებითი ინფორმაციის მისაღებად), რათა ფლობდეთ ისტორიულ მასალას. საჭირო რაოდენობით გაამრავლეთ მოდულის წყაროები (კარიკატურები შეგიძლიათ აჩვენოთ მოსწავლეებს ეკრანზე და გაამრავლოთ მხოლოდ წერილობითი წყაროები).

საერთო შენიშვნები

მოდულის შესასწავლად საჭირო დრო შეიძლება შეიცვალოს იმისდა მიხედვით, თუ რამდენად მომზადებული არიან მოსწავლეები ისეთ რთულ წყაროსთან მუშაობისთვის, როგორიცაა კარიკატურა. წარმოგიდგენთ დროის დაგეგმვის ორ ვარიანტს.

გაკვეთილზე მოსწავლეებმა შეიძლება იმუშაონ როგორც ინდივიდუალურად, ასევე წყვილ-წყვილად (მასწავლებლის ნება-სურვილისამებრ).

ნაბიჯი 1 *(5/2 წუთი)*

მუშაობის დაწყებამდე განიხილეთ მოსწავლეებთან ერთად, რა არის კარიკატურა. აუცილებლად აღნიშნეთ, რომ ჟანრის სპეციფიკის გამო კარიკატურისტი გაზვიადებულად ასახავს ტიპიურ თვისებებსა და მოვლენებს და ამიტომ არის, რომ კარიკატურას ისტორიულ წყაროდ იყენებენ.

წყარო 1-ზე მუშაობისას თქვენი ამოცანაა, რომ მოსწავლეებმა გაიგონ, რა პრობლემაა წამოჭრილი კარიკატურაში — მუსლიმი ქალის მდგომარეობა, რომელსაც არ ჰქონდა სრულფასოვანი ადამიანის უფლებები და ამ საკითხისადმი ლიბერალური იდეოლოგიის დამოკიდებულება.

ნაბიჯი 2 მუშაობა წყაროებზე 2-4 და ისტორიულ ცნობაზე *(15/8-10 წუთი)*

მასწავლებლის ამოცანაა, რომ ყველა მოსწავლემ გაიგოს ჟურნალის „მოლა ნასრედინი“ გამოცემის მიზეზები და ის, თუ რა მიზანს ისახავდნენ მისი შემქმნელები. საჭიროების შემთხვევაში კომენტარი გაუკეთეთ საზოგადოების მოდერნიზაციის, ევროპულ სამყაროსთან კონტაქტის გაფართოებისა და აღმოსავლური საზოგადოების განათლებულ ნაწილში ლიბერალურ ღირებულებათა გავრცელების საკითხს.

სავარაუდო პასუხი კითხვაზე 3:

— არსებული ჩამორჩენილი წეს-ჩვეულებების კრიტიკა;

— ბრძოლა განათლების, მეცნიერებისა და პროგრესისთვის აღმოსავლურ საზოგადოებაში;

— კავკასიის სხვადასხვა ხალხის პროგრესის ხელშეწყობის მცდელობა.

ბლოკებზე 2-4 მუშაობის დროს მიზანშეწონილია, რომ მოსწავლეები პასუხის დროს თანდათან ავსებდნენ ცხრილს თავიანთ რვეულებში ან დაფაზე. ცხრილის მესამე სვეტის შევსება სჯობს კლასში, თუ მასწავლებელი ამას შესაძლებლად მიიჩნევს, რეგიონსა და მოსწავლეთა ოჯახებში არსებული მდგომარეობისა და კლასის მომზადების გათვალისწინებით. სვეტი „თანამედროვე ქალის უფლებები“ მოსწავლეებმა უნდა შეავსონ მას შემდეგ, რაც შეადარებენ ჩანაწერებს პირველ ორ სვეტში (იგივე პოზიციის მიხედვით).

მუსლიმი ქალის უფლებები	ცვლილებები, რომლებიც ხდებოდა მუსლიმი ქალის მდგომარეობაში XX საუკუნის დამდეგს	თანამედროვე ქალის უფლებები

ნაბიჯი 3 მუშაობა მე-2 ბლოკზე *(20/10 წუთი)*

წყარო 5-ზე მუშაობის დროს მიაქციეთ მოსწავლეთა ყურადღებ იმას, რომ მუსლიმი დები *საკუთარ* სახლს საპყრობილეს ადარებენ და პატიმრის ცხოვრება უფრო მიმზიდველად მიაჩნიათ, ხოლო წყაროებში 6-7 მოსახლეობის უფრო შეძლებული და განათლებული ნაწილის ევროპული ტიპის სახლებია ნაჩვენები, აქ უკვე არის ფანჯრები, მაგრამ ქალებს მაინც ეკრძალებათ გარეთ გახედვა.

აუხსენით მოსწავლეებს, რომ XX საუკუნის დამდეგს ღალატის ცნება სულ სხვა იყო, ვიდრე დღეს. მუსლიმური ტრადიციის მიხედვით, სხვა მამაკაცისთვის შეხედვაც კი ქმრის ღალატად ითვლებოდა.

სავარაუდო პასუხები მე-2 ბლოკზე მუშაობის დროს:

- ქალს აკრძალული აქვს გარე სამყაროსთან ურთიერთობა და სახლშია ჩაკეტილი;
- ქალს არ აქვს მეუღლის არჩევის უფლება და შეიძლება გაათხოვონ მისი ნების საწინააღმდეგოდ;
- ქალის მდგომარეობა რელიგიური წესებით არის განსაზღვრული;
- ქალი მთლიანად და სავსებით ემორჩილება მშობლებს ან ქმარს, რომელსაც შეუძლია არაფრად აგდებდეს მას;
- ქალი სახლ-კარს უვლის;
- ქალი ქმრისთვის უფასო მუშახელია, რომელიც მის ყოფა-ცხოვრებას უზრუნველყოფს;
- ქალის ცხოვრება სახლ—კარით და შვილებითაა შემოფარგლული;
- ქალს არა აქვს საკუთარი შემოსავლის წყარო (იგი არ მუშაობს), რაც მას ქმარზე უფრო დამოკიდებულს ხდის;
- მამრობითი სქესის შვილებს ოჯახში უფრო მაღალი მდგომარეობა უკავიათ, ვიდრე ქალს; .
- ქალმა არ იცის წერა-კითხვა

ნაბიჯი 4 მუშაობა ბლოკზე 3 *(20/10 წუთი)*

მოსწავლეები წყვილებში ან ინდივიდუალურად მუშაობენ კითხვებზე 12-15 კითხვა 16-ზე პასუხის გასაცემად (სასურველია საკვანძო პოზიციები რვეულებში ჩაწერონ).

სავარაუდო პასუხები კითხვა 16- ზე:

- საზოგადოების შეძლებული ფენების ოჯახებში ქალი მონაწილეობს სტუმრების მიღებაში მაშინაც კი, როცა სტუმარი არამუსლიმი მამაკაცია;
- ქალს შეუძლია ევროპული ტანსაცმლის ტარება, როცა მას მუსლიმი საზოგადოებრიობა ვერ ხედავს;
- შეძლებული მუსლიმის ცოლი დადის საზღვარგარეთ, სადაც ევროპელი ქალის ყაიდაზე ცხოვრობს;
- შეუძლია ქმრის გვერდი-გვერდ იაროს და არა მის უკან (აქ შეიძლება პირველ სვეტში ჩაიწეროს, რომ მას ამის უფლება არა აქვს);
- ზოგიერთი ქალი ქმართან ერთად სტუმრად დადის სამხრეთ კავკასიაშიც (წყარო 13), ანუ ქმრის კონტროლით შეუძლია გარეთ გასვლა;
- შეიცვალა მამაკაცის დამოკიდებულება ქალისადმი.

წყარო14-ზე მუშაობის დროს მოსწავლეები უნდა მივიდნენ დასკვნამდე, რომ განათლებული მუსლიმი მამაკაცები უკვე იმდენად ითვისებენ ცხოვრების ევროპულ სტანდარტებს, რომ მზად არიან ცოლად შეირთონ არამუსლიმი ქალები და შეურიგდნენ ქალის მდგომარეობის ევროპულ სტანდარტებს. მეორე მხრივ, როცა მუსლიმ ოჯახში „ევროპული“ უფლებებისა და მენტალიტეტის მქონე ქალი შედიოდა, ამას არ შეიძლებოდა არ

შეეწყო ხელი ქალის როლისა და მდგომარეობის თაობაზე ტრადიციული შეხედულებების რღვევისათვის და არ გამხდარიყო სამაგალითო მუსლიმი ქალებისათვის. ეს კი, მიმდინარე ინდუსტრიალიზაციასთან და მოდერნიზაცასთან ერთად, საზოგადოებაში მუსლიმი ქალის მდგომარეობის შემდგომ ტრანსფორმაციასაც ნიშნავდა.

ნაბიჯი 5 მუშაობა ბლოკზე 4 *(10/5 წუთი)*

მიაქციეთ მოსწავლეთა ყურადღება იმას, რომ ჟურნალის „მოლა ნასრედინი“ ავტორებისთვის კულტურის სიმბოლოა დასავლური ცივილიზაციის მიღწევები და, მათ შორის, ქალის ემანსიპაციაც.

სავარაუდო პასუხები ტაბულის მეორე სვეტის შევსებისას:

- გამოჩნდენ წერა-კითხვის მცოდნე ქალები (რაკი გაზეთებს ყიდულობენ, ესე იგი კითხვა იციან);
- ქალებს განათლებას აძლევენ (წყარო 16).

კითხვა 24-ზე მუშაობისას მიაქციეთ მოსწავლეთა ყურადღება იმას, რომ წერა-კითხვის ცოდნას და განათლებას უცილობლად მოჰყვებოდა ქალების მიერ ევროპული ცივილიზაციის მიღწევებისა და ღირებულებების შეცნობა, სკოლაში სიარული კი ოჯახური კარჩაკეტილობიდან გამოსვლას ნიშნავდა. გარდა ამისა, განათლებული ქალი სულ სხვაგვარად აღიქვამს თავის მდგომარეობას ოჯახსა და საზოგადოებაში, მეტი საშუალება აქვს საკუთარი უფლებების დასაცავად.

ნაბიჯი 6 *(20/8 წუთი)*

მუშაობა შემაჯამებელ კითხვაზე:

როგორი იყო ქალის მდგომარეობა აღმოსავლურ საზოგადოებაში XX საუკუნის დამდეგს და რა ცვლილებები ხდებოდა მასში?

თუ გაკვეთილზე დრო დაგრჩათ და კლასის მდგომარეობა ამის საშუალებას იძლევა, შეიძლება შესთავაზოთ მოსწავლეებს შეადარონ აზერბაიჯანელი ქალის მდგომარეობა XX საუკუნის დამდეგს თანამედროვე ქალის მდგომარეობას.

კულტურათა მრავალფეროვნება მშობლიური მხარის ისტორიაში

▶ როგორ აისახება წარსულის საყოფაცხოვრებო ელემენტებში სხვადასხვა ხალხის კულტურა?

▶ მოსწავლეთა ასაკი	13-16 წელი
▶ გაკვეთილისათვის საჭირო დრო	45 წუთი
▶ ჩაკვეთილის მიზანი	სამხარეო მუზეუმში დაცული წყაროების მაგალითზე აჩვენოთ მოსწავლეებს მშობლიური მხარის ეთნოგრაფიისა და კულტურის შესწავლის საგანი და ჩამოუყალიბოთ ისტორიის შესწავლისას სამუზეუმო ექსპონატების გამოყენების უნარ-ჩვევები.
▶ შემოთავაზება დამატებითი ინფორმაციის მისაღებად	**1.** Коворул молдовеняск. — Кишинэу, 1985. **2.** Шарануца С. Н. Молдавский народный орнамент. — Кишинев, «Тимпул»,1984. **3.** Молдавский национальный костюм — Кишинев «Тимпул»,1985. **4.** [ელექტრონული რესურსი]: «Мы — молдаване» http://www.moldovenii.md/ru **5.** Постолаки Е.А., Молдавское народное ткачество XIX — начало XX вв. — Кишинёв, 1987 **6.** Материалы Российского этнографического музея. — ხელმისაწვდომია მისამართზე: http://www.ethnomuseum.ru/moldavskoe-tkachestvo-i-kovrodelie **7.** Материалы местного краеведческого музея.
გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი სავარაუდო შედეგები	
▶ ყველა მოსწავლე	გაეცნობა ტრადიციული მოლდავური საყოფაცხოვრებო კულტურის თავისებურებებს და იმას, თუ როგორ არის ეს თავისებურებები წარმოდგენილი მოლდოვას რესპუბლიკის სოფ. ბოროგანის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში.
▶ მოსწავლეთა უმრავლესობა	შეძლებს მოლდავური ეროვნული ტანსაცმლის, სახლისა და საყოფაცხოვრებო ნივთების ზოგიერთი თავისებურების ჩამოთვლას; მშობლიური მხარის კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებაში მუზეუმის როლის განსაზღვრას.
▶ ზოგიერთი მოსწავლე	– შეძლებს დაასახელოს ისტორიული წყაროები, რომლებშიც მოთხრობილია მშობლიური მხარის ისტორიისა და ტრადიციული ეროვნული კულტურის შესახებ; – მშობლიური ისტორიისა და კულტურის მაგალითზე შეძლებს ახსნას, თუ როგორ იჩენს თავს მეზობელი ხალხების კულტურის ურთიერთგავლენა
▶ მასწავლებლის მომზადება გაკვეთილისათვის	წაიყვანეთ მოსწავლეები ადგილობრივ სამხარეო ან ეთნოგრაფიულ მუზეუმში თქვენს მიერ წინასწარ განსაზღვრული ექსპონატებისა და მათ შესახებ ინფორმაციის გაცნობის მიზნით. შემდეგ შეეკითხეთ მოსწავლეებს: – დაასახელეთ, რა განყოფილებებია მუზეუმში? – სოფლის ისტორიის რა პერიოდებია წარმოდგენილი მეტწილად/ნაკლებად? რატომ? – რა ექსპონატებია წარმოდგენილი მუზეუმში?

საერთო შენიშვნები

ეს მოდული გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება ადგილობრივი სამხარეო მუზეუმის რესურსების გამოყენება ეროვნული ტანსაცმლის, ხალიჩების ქსოვის, სახლის ინტერიერისა და საყოფაცხოვრებო ნივთების მაგალითზე ტრადიციული ეროვნული კულტურის და მისი თავისებურებების, აგრეთვე კულტურათა დიალოგის შესასწავლად. სოფელ ბოროგანის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა სამხარეო მუზეუმი, საინტერესო შემეცნებითი რესურსია მშობლიური კულტურისა და ადგილობრივი ისტორიის შესახებ ცოდნის გასაღრმავებლად. სამუზეუმო ექსპონატებისა და გამოფენების დათვალიერება სამხარეთმცოდნეო საძიებო მუშაობის, მშობლიური მხარის მატერიალური და სოციალური კულტურის ისტორიული წყაროების განსაზღვრისა და კლასიფიკაციის უნარ-ჩვევათა განვითარების მნიშვნელოვანი ელემენტია. შემოთავაზებული ალგორითმის მეშვეობით შეიძლება მშობლიური მხარის კულტურისა და ისტორიის შესწავლა ნებისმიერი სამხარეო და ეთნოგრაფიული მუზეუმის ექსპონატების გამოყენებით.

იმისათვის, რომ უპასუხონ მოდულის საკვანძო კითხვას — როგორ აისახება წარსულის საყოფაცხოვრებო ელემენტებში სხვადასხვა ხალხის კულტურა, უნდა მიაწოდოთ მოსწავლეებს ინფორმაცია მშობლიური მხარის ეთნიკური შემადგენლობის შესახებ, წაიყვანოთ ისინი მუზეუმში თქვენს მიერ წინასწარ განსაზღვრული ექსპონატების დასათვალიერებლად. ასეთი გაკვეთილის მნიშვნელოვანი ელემენტი შეიძლება გახდეს წინასწარი მინი-გამოკვლევა ადგილობრივი ხალხური ტანსაცმლის, საფეიქრო (ხალიჩები, ნაქარგები) ტრადიციების, ტრადიციული სახლის მოწყობილობის ელემენტების, საყოფაცხოვრებო ნივთებისა და ტრიადიციული შრომის იარაღის შესახებ.

ნაბიჯი 1 გაკვეთილის დასაწყისი *(5–10 წუთი)*

დაუსვით მოწავლეებს კითხვები 1 და 2.

სთხოვეთ მოსწავლეებს მაქსიმალურად მოიხსენიონ თავიანთ პასუხებში ეთნოგრაფიული, სამხარეო მუზეუმები, ხალხური არქიტექტურისა და ყოფა—ცხოვრების, ხალხური რეწვის, ხალხური ტანსაცმლის, ხალხური ნაქარგების მუზეუმები, კულტურის გამოჩენილ მოღვაწეთა ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი მუზეუმები და ა.შ. საერთო საუბრის დროს მიაქციეთ მოსწავლეთა ყურადღება, რომ მუზეუმები ერთმანეთისაგან განსხვავდება იმით, თუ წარსულის რა ასპექტებია იქ შემონახული და ნაჩვენები და რომ მუზეუმებში ინახება მატერიალური კულტურის საგნები, რომლებიც უშუალოდ ან არაუშუალოდ მოგვითხრობს საზოგადოებრივი ცხოვრების მთელი სპექტრის შესახებ.

მშობლიური მხარის ისტორიის რაობაზე მსჯელობისას მიაქციეთ მოსწავლეთა ყურადღება იმას, რომ მხარეთმცოდნეობა ისტორიული მეცნიერების ცალკე დარგია, რომელიც მოგვითხრობს მცირე გეოგრაფილ სივრცესთან — ქალაქთან, სოფელთან, ადმინისტრაციულ ან ისტორიულ-გეოგრაფიულ რაიონთან დაკავშირებული ცალკეული ადამიანებისა და მოვლენების შესახებ. გარდა ამისა, მიაქციეთ მათი ყურადღება იმასაც, რომ მშობლიური მხარის ისტორიის შესწავლისას გამოიყენება ყველა სახის ისტორიული წყაროები, მათ შორის ზეპირსიტყვიერი, მატერიალური, წერილობითი და სხვ.

ნაბიჯი 2 მოდულის მასალების შესწავლა *(25 წუთი)*

მოდულის მასალების შესწავლა შეიძლება ორი მეთოდით: ბლოკის მასალების თანმიმდევრული, კასკადური შესწავლა წყაროების თაობაზე შემოთავაზებული კითხვების თანახმად ან ბლოკის მასალების ჯგუფური შესწავლა.

თუ ჯგუფური მუშაობის მეთოდს აირჩევთ, შექმენით სამი ჯგუფი და შესთავაზეთ პარალელურად შეისწავლონ პირველი, მეორე და მესამე ბლოკების მასალები ყოველი ბლოკის წყაროების თაობაზე დასმული კითხვების თანახმად.

ჯგუფი 1 — მოლდავური ეროვნული ტანსაცმელი;

ჯგუფი 2 — მოლდავური მეხალიჩეობა;

ჯგუფი 3 — მოლდავური ტრადიციული სახლი და საყოფაცხოვრებო ნივთები.

მიაქციეთ მოსწავლეთა ყურადღება საინფორმაციო ცნობების შინაარსს. გაითვალისწინეთ, რომ საინფორმაციო ცნობები 1 და 2 ეხება მთელ მოდულს, ხოლო 3 და 4 — ცალკეულ ბლოკებს. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ მუშაობას ადგილობრივ მცხოვრებთა მონათხრობთან, წარსულში ხალხური ყოფა-ცხოვრების ისეთი ასპექტების შესახებ ინტერვიუების ნაწყვეტებთან, რომლებმაც შეინარჩუნა მნიშვნელობა თანამედროვე ეროვნული კულტურისთვის. მოდულის მასალების შესწავლისას განსაკუთრებული ადგილი დაუთმეთ ვიზუალურ წყაროებს — ადგილობრივი მუზეუმის ექსპონატთა ფოტოებს, რომლებიც არა მარტო ტექსტობრივი წყაროების ილუსტრაციაა, არამედ თავისთავადაც იძლევა წარმოდგენას სამხრეთ მოლდოვასა და სოფელ ბოროგანის ხალხური კულტურის ამა თუ იმ ასპექტზე.

სთხოვეთ მოსწავლეებს, რომ ბლოკის წყაროების შესწავლის შემდეგ შეავსონ დაფაზე ან ქაღალდის დიდ ფურცელზე დახაზული საერთო ტაბულა:

მოლდავური ეროვნული კულტურის სპეციფიკური ელემენტები	**სხვა ხალხების კულტურიდან ნასესხები ელემენტები**

ნაბიჯი 3 შედეგების შეჯამება *(13–15 წუთი)*

სთხოვეთ ჯგუფების წარმომადგენლებს წაიკითხონ ტაბულის თავ-თავიანთი ნაწილი და დაასაბუთონ საკუთარი აზრი ბლოკის წყაროებზე დაყრდნობით. სთხოვეთ დაადგინონ, რა მნიშვნელობა აქვს მოცემული მხარის მცხოვრებთა ეთნიკურ მრავალფეროვნებას კულტურული ურთიერთგავლენისათვის.

კლასთან ერთად განიხილეთ საკვანძო კითხვა:

როგორ აისახება სხვადასხვა ხალხის კულტურა აწარსულის საყოფაცხოვრებო ელემენტებში?

ლიპოვანები წარსულსა და მომავალს შორის

ვინ არიან ლიპოვანები, რამდენად ინარჩუნებენ ისინი თავიანთ კულტურას და რატომ?

მოსწავლეთა ასაკი	15–16 лет
გაკვეთილისათვის საჭირო დრო	90 минут
გაკვეთილის მიზანი	აჩვენოს ლიპოვანების სტაროვერული კულტურის თავისებურებები და შეაფასოს მისი როლი თანამედროვე საზოგადოების მრავალფეროვნების შენარჩუნებაში.
შემოთავაზება დამატებითი ინფორმაციის მისაღებად	**1.** Смилянская Е. Б., Денисов Н. Г. Старообрядчество Бессарабии: книжность и певческая культура. — М.: Индрик, 2007. **2.** Душакова Н. Традиционное старообрядческое жилище Прутo-днестровского междуречья и левобережного Поднестровья (XIX — начало XXI в.). — Кишинев, 2012. **3.** Душакова Н. Старообрядцы Бессарабии XIX–XX вв: особенности культурных традиций, Материалы международной научной конференции «Пруто-Днестровский регион. — Санкт-Петербург, 2010. — С. 93-99.
გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი სავარაუდო შედეგები	
ყველა მოსწავლე	შეძლებს, გადმოსცეს ლიპოვანების ტრადიციული კულტურის შესახებ.
მოსწავლეთა უმრავლესობა	განსაზღვრავს ლიპოვანების ტრადიციული კულტურის შენარჩუნების ხელშემწყობ ფაქტორებს.
ზოგიერთი მოსწავლე	ახსნის რელიგიური ტრადიციის როლს ლიპოვანების კულტურის შენარჩუნებაში; განსაზღვრავს ლიპოვანების ცხოვრების წესის ტრანსფორმაციის მიზეზებს თანამედროვე ეტაპზე; არგუმენტირებულად უპასუხებს მოდულის საკვანძო კითხვას.
მასწავლებლის მომზადება გაკვეთილისათვის	საკმარისი რაოდენობის ამობეჭდილი მასალა ჯგუფური მუშაობისთვის, ქაღალდის დიდი ფურცლები და მარკერები ვენის დიაგრამის შესავსებად; საკლასო ოთახი ჯგუფური მუშაობისთვის, ვიზუალური წყაროების ჩვენების შესაძლებლობა.

ზოგადი შენიშვნები

მოდული ეძღვნება სტაროვერების (ლიპოვანების მაგალითზე) რელიგიური ჯგუფის კულტურული ტრადიციების შენარჩუნების საკითხს. მასალა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის საშუალებას იძლევა, როგორიცაა: კულტურული და რელიგიური მრავალფეროვნების მნიშვნელობა, ტრანსფორმაციის პროცესში ტრადიციული კულტურის გადარჩენასა და საზოგადოების გახსნილობას შორის ბალანსის შენარჩუნებას. მასწავლებელი წინასწარ უნდა გაეცნოს მასალას სტაროვერების, როგორც რელიგიური და კულტურული მოვლენის, თავისებურებების შესახებ, რათა მოსწავლეების მიერ დასმულ დამატებით კითხვებზე პასუხის გაცემა შეძლოს. მნიშვნელოვანია, გაითვალისწინოს, რაოდენ ფაქიზია კულტურული ფასეულობების ჭრილში რელიგიურ-კონფესიური პრობლემატიკის განხილვა.

ნაბიჯი 1 გაკვეთილის დასაწყისი *(15 წუთი)*

მოსწავლეებს შესთავაზეთ, კითხვები 1-5-ის დახმარებით შეისწავლონ ვ. ი. სურიკოვის ნახატი „თავადის ქალი მოროზოვა“. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ კითხვა 5-ს. მოსწავლეებს შესთავაზეთ, წაიკითხონ ისტორიული ცნობა ან ეს ინფორმაცია მინილექციის სახით მიაწოდეთ. ხაზი გაუსვით, რომ სტაროვერები არ არიან ერთადერთი რელიგიური უმცირესობა, რომელიც ღია დევნასა და დისკრიმინაციას განიცდიდა, კერძოდ, ეს ხდებოდა ევროპაში რეფორმაციისა და კონტრრეფორმაციის პერიოდში რელიგიური ომების დროს. როგორც წესი, რელიგიური ერთობის წარმომადგენლები, რომლებსაც ოფიციალური საერო და სასულიერო ხელისუფლება დევნიდა, ემიგრაციის გზას ირჩევდნენ და სამშობლოდან შორს სახლდებოდნენ. მოსწავლეებს გააცანით თემა და საკვანძო კითხვა.

ნაბიჯი 2 ბლოკების 1, 2, 3 მასალაზე მუშაობა *(20 წუთი)*

შექმენით მცირე ჯგუფები (სამი ან ექვსი — ბლოკების 1, 2, 3, პროპორციულად). შესთავაზეთ, ჯგუფებში კითხვების მიხედვით იმსჯელონ ინფორმაციაზე. მოსწავლეები გააფრთხილეთ, რომ მუშაობის შედეგები კლასს უნდა წარუდგინონ, რათა მათ ვენის დიაგრამა[1] შეავსონ. საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეებს დაეხმარეთ, წყაროები ჯგუფებში გააანალიზონ და დასმულ კითხვებს უპასუხონ.

ნაბიჯი 3 ვენის დიაგრამაზე მუშაობა *(25 წუთი)*

ტრადიციები და ინოვაციები ლიპოვანების კულტურაში

[1] იხ. მეთოდის აღწერა ნაწილში „როგორ გავხადოთ გაკვეთილი აქტიური“.

ყოველი ჯგუფი კლასს მსჯელობის შედეგებს წარუდგენს, საკუთარი ჯგუფის დასკვნებს სხვებისას ადარებს.

ნაბიჯი 4 ბლოკი 4-ის მასალაზე მუშაობა *(20 წუთი)*

შესთავაზეთ, ყველა ჯგუფი გაეცნოს წყაროებს 14-17 და რიგრიგობით უპასუხოს კითხვებს 21-24, დიაგრამაში შედარების სივრცე ახალი დებულებებით შეავსოს.

კლასთან ერთად განიხილეთ კითხვა 25. მოსწავლეები წაახალისეთ, გამოიყენონ ცნება „ტრანსფორმაცია“. განიხილეთ ბლოკის სახელწოდება. მოსწავლეებს შესთავაზეთ, ალტერნატიული სათაურები წამოაყენონ.

ნაბიჯი 5 შემაჯამებელი განხილვა *(10 წუთი)*

დაუბრუნდით საკვანძო კითხვას. წინადადებების დამთავრების მეთოდით იმსჯელეთ თემაზე.

მეცადინეობის შედეგები შეაჯამეთ საკითხებით:

- *დღეს ჩემთვის ყველაზე საინტერესო იყო...*
- *მინდა მეტი ვიცოდე...*
- *იმაზე დავფიქრდი, რომ...*

შერეული ქორწინება XX-XXI საუკუნეებში

როგორ და რატომ იცვლებოდა შერეული ქორწინება XX-XXI საუკუნეებში?

მოსწავლეთა ასაკი	15-18 წელი
გაკვეთილისათვის საჭირო დრო	90 წუთი
გაკვეთილის მიზანი	აჩვენოთ მოსწავლეებს შერეული ქორწინების შესაძლებლობის და დამაბრკოლებელი გარემოებების ცვლილებების დინამიკა დროთა განმავლობაში.
შემოთავაზება დამატებითი ინფორმაციის მისაღებად	**1.** Сергей Гавров. Историческое изменение институтов семьи и брака. Семья как социокультурный феномен. [ელექტრონული რესურსი]: http://bibliotekar.ru/gavrov-2/index.htm. **2.** Зидер Р. Социальная история семьи в Центральной и Западной Европе (конец XVIII–XX вв.).М.: Гуманитарный издательский центр ВЛАДОС, 1997. — 301 с. **3.** О.Васянович. Міжетнічні проблеми при виборі подружньої пари в сучасній Україні. Форум націй. Газета конгресу національних громад України. Вересень-жовтень 2011. (укр.) [ელექტრონული რესურსი]: http://www.forumn.kiev.ua/2011–112–113-09–10/112–16.html. **4.** Структура сім'ї. [ელექტრონული რესურსი]: http://about-ukraine.com/index.php?text=63. **5.** Ю.М. Галустян. Гендерна взаємодія в сучасному поліетнічному суспільстві. (укр.) [ელექტრონული რესურსი]: http://www.politik.org.ua/vid/magcontent.php3?m=8&n=23&c=256.
გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი სავარაუდო შედეგები	
ყველა მოსწავლე	შეძლებს ახსნას შერეული (კულტურათშორისი) ქორწინების ცნება, მოიყვანოს ოჯახის შექმნაზე სახელმწიფო პოლიტიკისა და კულტურული სტერეოტიპების გავლენის მაგალითები.
მოსწავლეთა უმრავლესობა	შეძლებს განსაზღვროს და ახსნას წარსულში მეუღლის არჩევანის კრიტერიუმები, დაასახელოს კულტურათშორისი ქორწინების ხელშემშლელი მიზეზები.
ზოგიერთი მოსწავლე	შეძლებს გააანალიზოს კულტურათშორისი ურთიერთობისა და სახელმწიფო პოლიტიკის როლი მეუღლის არჩევანსა და ოჯახის შექმნაში
მასწავლებლის მომზადება გაკვეთილისათვის	გაკვეთილის დასაწყისისათვის მოამზადეთ წყაროები 1, 2, 3, და ტექნიკური მოწყობილობა წყაროების 1 და 2 ეკრანზე საჩვენებლად; გაამრავლეთ წყაროები 4-6 წყვილ-წყვილად მუშაობისათვის და წყაროები 7-12 ოთხ ჯგუფში სამუშაოდ (თითო-თითო ყოველი ჯგუფისათვის)

ნაბიჯი 1 გაკვეთილის დასაწყისი *(20 წუთი)*

აჩვენეთ მოსწავლეებს წყაროები 1 და 2 ეკრანზე (ან მათი ფერადი ასლები) და შესთავაზეთ უპასუხონ კითხვა 1-ს. წყაროების 1 და 2 შედარებისას მიაქციეთ მოსწავლეთა ყურადღება სურათების ატმოსფეროსა და ფონს, აგრეთვე მათი შექმნის თარიღს (საინტერესოა, რომ მეორე სურათი ასი წლის შემდეგ არის შექმნილი). გაამახვილეთ მათი ყურადღება იმაზე, რომ პირველ სურათზე გამოსხულია ჯვრისწერა ეკლესიაში, მეორეზე კი ახალგაზრდა დამოუკიდებელი ქალ-ვაჟის საერო ქორწილი. მიაქციეთ მოსწავლეთა ყურადღება სურათების სახელწოდებებს და სთხოვეთ ახსნან, როგორ ესმით მათი მნიშვნელობა, განსაკუთრებით სახელწოდება „უთანასწორო ქორწინება“. აქ ხომ „უთანასწორო“ შეიძლება ნიშნავდეს არა მარტო დიდ განსხვავებას მეფე-პატარძლის ასაკს შორის, არამედ სხვადასხვა წოდებას და კულტურათშორის სხვაობასაც.

გააცანით მოსწავლეებს გაკვეთილის თემა და საკვანძო კითხვა.

დასვით კითხვა 2. თუ მოსწავლეებს გაუძნელდათ იმის გაგება, თუ რა არის „ტრადიციული და თანამედროვე ოჯახი“, გააცანით მათ ტრადიციული (პატრიარქალური) ოჯახის ზოგიერთი ნიშანი: *უმცროსების უსიტყვო მორჩილება უფროსებისადმი, ქალის ეკონომიკური დამოკიდებულება მამაკაცზე, ერთ სახლში რამდენიმე თაობის თანაცხოვრება, ოჯახში მოვალეობათა მკაცრი განაწილება* და *ა.შ.* რაც შეეხება თანამედროვე (დემოკრატიულ) ოჯახს, მისთვის დამახასიათებელია: *ქალის ეკონომიკური დამოუკიდებლობა, პარტნიორული და არა დაქვემდებარებული ურთიერთდამოკიდებულება, საერთო პრობლემების ერთობლივი გადაჭრა და მოვალეობათა განაწილება (შვილების ჩათვლით), თანაბარი პასუხისმგებლობა ყოფა-ცხოვრების ორგანიზაციისა და შვილების აღზრდისათვის, პატივისცემა ოჯახის წევრთა პირადი ცხოვრებისადმი* და *ა.შ.*

ხაზი გაუსვით „შერეული ანუ კულტურათშორისი ქორწინების“ ძირითად ნიშნებს: *ეროვნებათშორისი, რასებსშორისი, კონფესიათშორისი, კულტურათშორისი იმ გაგებით, რომ ერთმანეთს ხვდებიან ქალაქისა და სოფლის, პროვინციული და დედაქალაქური, ტრადიციული და თანამედროვე კულტურები.*

ნაბიჯი 2 *(15 წუთი)*

აჩვენეთ მოსწავლეებს ეკრანზე ან დაბეჭდილი წყარო 3 და იმსჯელეთ კითხვა 3-ზე. მიაქციეთ ყურადღება იმ გამონათქვამებს, რომლებიც მოწმობს, რომ მოსწავლეებს ესმით, თუ როგორ გამოვლინდა მოდერნიზაცია XX საუკუნეში: მიგრაცია, ტრადიციების ზეწოლის შემცირება, მეტი ეკონომიკური დამოუკიდებლობა, შეხვედრები სხვა ეთნიკურ და სოციალურ ჯგუფებთან და ა.შ. უთხარით მოსწავლეებს, რომ რეალურ ცხოვრებაში მეუღლის შერჩევისას ერთი კულტურისადმი მიკუთვნებულობა ყოველთვის არ იყო განმსაზღვრელი ფაქტორი, და საზოგადოებრივი ცხოვრების პირობების შეცვლამ ქორწინებაში პრიორიტეტების შეცვლა მოიტანა.

ნაბიჯი 3 მუშაობა პირველ ბლოკზე *(25 წუთი)*

დაყავით მოსწავლეები წყვილებად. დაურიგეთ წყაროები 4-6 და სთხოვეთ გაანალიზონ კითხვები 4-9 თანახმად. საერთო განხილვის დროს სთხოვეთ უპასუხონ კითხვას 10. აღქმის გასაადვილებლად შესაძლებელია დაფაზე ან ქაღალდის დიდ ფურცელზე დახაზოთ ტაბულა და ჩაწეროთ მასში მოსწავლეთა პასუხები ორ სვეტად:

ა) შერეული ქორწინების ხელშემწყობი გარემოებები	ბ) შერეული ქორწინების ხელშემშლელი გარემოებები

ნაბიჯი 4 მუშაობა მეორე ბლოკზე *(25 წუთი)*

დაყავით მოსწავლეები ოთხ ჯგუფად. ყოველი ჯგუფის წევრები კითხულობენ წყარო 7-ს და უპასუხებენ კითხვა 11-ს. განხილვის შემდეგ ყოველ ჯგუფს მიეცით თითო-თითო ოჯახის ისტორია (წყაროები 8-11). მოაწყეთ საერთო განხილვა კითხვების 12-14 მიხედვით.

თუ ტექნიკური საშუალება გექნათ, აჩვენეთ მოსწავლეებს სატელევიზიო სიუჟეტი „ურთიერთობა ბარიერების გარეშე“ *(ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე: http://vikka.ck.ua/ua/news.php?bl=1&pid=6&view=5783)*, თუ არა, დაურიგეთ ჯგუფებს წყარო 12 და მოაწყეთ განხილვა კითხვა 15-ის მიხედვით. მიაქციეთ მოსწავლეთა ყურადღება, თუ რით განსხვავდება ურთიერთობა ამ ოჯახში წინა წყაროებში აღწერილისაგან.

მაგალითად, წყაროებში 8-11 აღწერილ ოჯახებში ერთობლივი ყოფა-ცხოვრება და ოჯახური ურთიერთობა ემყარება (პოსტ)საბჭოური კულტურისადმი მიკუთვნებულობას. მეუღლეების ეროვნულ-კულტურულ განსხვავებას ან ერთ-ერთი მეუღლე ეგუება, ან არსებითი მნიშვნელობა არც ერთი მათგანისთვის არა აქვს. ივანასა და არჩილის ოჯახში უფრო აშკარად ჩანს ორივე მეუღლის ეროვნული კულტურის შესანარჩუნებლად საერთო გადაწყვეტილებათა ძიება. მიაქციეთ ყურადღება, რომ მეუღლეები ერთმანეთს შეხვდნენ საზღვარგარეთ, სადაც ინგლისურ ენაზე ურთიერთობდნენ და მათი განსახვავება ნაკლებად არსებითი იყო, ვიდრე უთრთიერთგაგების შესაძლებლობები, რომლებიც მათ აერთიანებდა. მიაქციეთ ყურადღება მეუღლეებისა და მათი შვილების საურთიერთო ენას ოჯახის შექმნისა და უკრაინაში ჩასვლის შემდეგ.

ყველა ოჯახის ისტორიას აერთიანებს კომპრომისის ძიება ურთიერთობის ტრადიციების დაცვისა და განსხვავებულობის პატივისცემის საკითხებში.

ნაბიჯი 5 შემაჯამებელი განხილვა *(20 წუთი)*

მოაწყეთ შემაჯამებელი განხილვა კითხვების 16-17 მიხედვით ოთხივე ჯგუფში. სთხოვეთ მათ წარმოუდგინონ კლასს თავიანთი პასუხები გამონათქვამების შევსების მეთოდით.

დაუბრუნდით გაკვეთილის დასაწყისს. დასვით საკვანძო კითხვა და ფრონტალური საუბრის პროცესში ჩაატარეთ განმაზოგადებელი განხილვა.

შესაძლო საშინაო დავალება

შესთავაზეთ მოსწავლეებს ჩაატარონ მინი-გამოკვლევა თავიანთი მშობლების, ბებიებისა და ბაბუების და, შესაძლებლობისდაგვარად, კიდევ უფრო უფროსი თაობების ოჯახების შესახებ (ოჯახში მონაყოლის საფუძველზე). ამისათვის შესთავაზეთ უპასუხონ შემდეგ კითხვებს:

- *როგორ, სად და რა გარემოებებში გაიცნეს მომავალი მეუღლეები?*
- *რამ გადააწყვეტინათ ოჯახის შექმნა?*
- *რატომ აირჩიეს სწორედ ეს ადამიანი მეუღლედ?*
- *არსებობდა თუ არა მომავალ მეუღლეებს შორის რაიმე კულტურული განსხვავება (ეთნიკური, რელიგიური, კონფესიური, სოციალურ წარმოშობასა და სტატუსში და სხვ.)?*
- *არსებობდა თუ არა მათი ქორწინების დამაბრკოლებელი ან ხელშემწყობი გარემოებები, რომლებიც შეიქმნა მშობლების, ახლობლების, მეგობრებისა თუ სხვების მხრიდან?*

თუ გექნათ საშუალება გააგრძელოთ თემის შესწავლა გაკვეთილის ფარგლებს გარეთ, შესთავაზეთ მოსწავლეებს შექმნან ოჯახური ისტორიების ალბომი ფოტოების ან სხვა ვიზუალური წყაროების გამოყენებით ოჯახის, როგორც სოციალურ-კულტურული მოვლენის შემდგომი შესწავლის მიზნით.

საზღვრისპირა ვაჭრობა და ეროვნებათშორისი კონტაქტები

▶ რამდენად უწყობს ხელს საზღვრისპირა ვაჭრობა ვითარების სტაბილიზაციას რეგიონში?

▶ მოსწავლეთა ასაკი	14-17 წელი
▶ გაკვეთილისათვის საჭირო დრო	90 წუთი
▶ გაკვეთილის მიზანი	აჩვენოს საზღვრისპირა ვაჭრობის როლი ეროვნებათშორისი კონფლიქტების მოგვარებისა და განვითარების საქმეში. ასწავლოს ისტორიული და სოციალური პროცესების დადებითი და უარყოფითი მხარეების განსაზღვრა.
▶ შემოთავაზება დამატებითი ინფორმაციის მისაღებად	**1.** Булгадарян Н. Садахло. Зеркало и модель Южного Кавказа. — [ელექტრონული რესურსი]. — ხელმისაწვდომია მისამართზე: http://hcav.am/attachments/5d061 sadakhlo[1].pdf. **2.** Гусейнова С. Азербайджанцы и Армяне в Грузии: пространство совместного проживания. — Положительные примеры из истории сосуществования народов стран Южного Кавказа. Статьи ученых — историков и экспертов из Азербайджана, Армении и Грузии (Ереван, Армения). —Ереван, Антарес. 2009. — С. 156. — [ელექტრონული რესურსი] — ხელმისაწვდომია მისამართზე: http://rus.acgrc.am/ positive examples of coexistence_russian.pdf **3.** Погосян Анна. Садахло как нейтральная зона армяно-азербайджанских контактов: использование торговли в качестве средства для трансформации конфликта. — [ელექტრონული რესურსი] «Кавказский выпуск». — ხელმისაწვდომია მისამართზე: http://caucasusedition.net/ru/blog/садахло-как-нейтральная-зона-армяно-а/ **4.** Эргнетский рынок — самоубийство экономики Грузии?! [ელექტრონული რესურსი] Иверия, 14ноября 2014 года. — ხელმისაწვდომია მისამართზე: http://iveria.biz/615--.html **5.** Томас де Ваал. Черный сад. Веб-сайт BBC. — [ელექტრონული რესურსი] — ხელმისაწვდომია მისამართზე: http://news.bbc.co.uk/hi/russian/in_depth/newsid_4685000/4685199.stm **6.** А. Цуциев. Атлас этнополитической истории Кавказа (1774–2004). — М., 2006.
გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი სავარაუდო შედეგები	
▶ ყველა მოსწავლე	სამხრეთ კავკასიის მაგალითზე გაეცნობა ეროვნებათშორისი კონტაქტების გამოცდილებას საზღვრისპირა ვაჭრობის დროს.
▶ მოსწავლეთა უმრავლესობა	დაინახავს, რომ ზოგჯერ კონფლიქტური სიტუაცია შეიძლება წარმატებულად მოგვარდეს სახალხო დიპლომატიის, ყოფით დონეზე.
▶ ზოგიერთი მოსწავლე	საზღვრისპირა ვაჭრობის მაგალითზე გააცნობიერებს სოციალური მოვლენების წინააღმდეგობრივ ხასიათს; შეიძენს პრობლემის სხვადასხვა პოზიციიდან გაანალიზების უნარს.
▶ მასწავლებლის მომზადება გაკვეთილისათვის	წყაროები და მოდულის მასალა თითოეული ჯგუფისთვის მოამზადეთ. გაითვალისწინეთ, რომ წყაროები 1-11 და ისტორიული ცნობა მთელ კლასს სჭირდება.

გაკვეთილის დასაწყისი *(10 წუთი)*

მოსწავლეებს შესთავაზეთ, ისტორიული ცნობის, რუკის (წყარო 1) და წყარო 2-ის საფუძველზე უპასუხონ კითხვა 1-ს. სთხოვეთ მათ, ისტორიულ წყაროში მოხსენიებული გეოგრაფიული სახელები რუკაზე მოძებნონ, რომ ბაზრობის ადგილმდებარეობა უკეთ წარმოიდგინონ.

ნაბიჯი 1 „მტრის ხატი“ და მისი დაძლევა პირადი ურთიერთობების მეშვეობით *(15 წუთი)*

კითხვებზე 2-3 მუშაობს მთელი კლასი. შესაძლებელია, მოსაწვლეებს შესთავაზოთ ეს კითხვები ჯერ წყვილებში განიხილონ, შემდეგ კი მთელი კლასის წინაშე ხმამაღლა წარმოადგინონ პასუხი.

მოსწავლეების ყურადღება მიაპყარით იმას, რომ „სხვა“, რომელიც ეთნოსს საფრთხეს უქმნის, პირადი კონტაქტების დამყარების შემდეგ მეგობრად იქცევა.

ნაბიჯი 2 ჯგუფებში მუშაობა *(20 წუთი)*

დაარიგეთ წყაროები ჯგუფებში სამუშაოდ. ყურადღება მიაქციეთ, რომ მოსწავლეებს ზოგიერთი წყარო უკვე აქვთ, რადგან ისინი წინა ეტაპზე უკვე გამოიყენეს. ყოველ ჯგუფს მუშაობის შედეგების პრეზენტაციაზე 3 წუთი მიეცით, კიდევ 2 წუთი — მეგობრების კითხვებზე საპასუხოდ და მათ შესავსებად.

ჯგუფი 1 — წყაროები 7, 9, 12-15, კითხვები 4-6.
ჯგუფი 2 — წყაროები 7, 9, 12-15, კითხვები 4-6.
ჯგუფი 3 — წყაროები 9, 10, 12, 13,15, 17-19, კითხვები 7 და 8.
ჯგუფი 4 — წყაროები 14, 15, 20-22, კითხვები 9 და 10.

ყოველი ჯგუფი თავის დავალებაზე მუშაობს. ძირითად თეზისებს მოკლედ იწერენ დიდ ფურცელზე, რომელსაც შემდეგ ზეპირი პრეზენტაციისას წარმოადგენენ.

მასწავლებელი ჯგუფების მუშაობას აკონტროლებს: მათთან მიდის და მიმანიშნებელ კითხვებს უსვამს.

ჯგუფი 1 წყაროებისა და დასმული კითხვების შესწავლის საფუძველზე ჩამოწერს დადებით შედეგებს („პლუსებს“), რომელიც საზღვრისპირა ვაჭრობას მოაქვს რეგიონის მოსახლეობისთვის.

ჯგუფი 2 წყაროებისა და დასმული კითხვების შესწავლის საფუძველზე ჩამოწერს უარყოფით შედეგებს („მინუსებს“), რომელიც საზღვრისპირა ვაჭრობას მოაქვს რეგიონის მოსახლეობისთვის.

ჯგუფი 3 წყაროებისა და დასმული კითხვების შესწავლის საფუძველზე ჩამოწერს მიზეზებს, რომელთა გამოც ხელისუფლებამ ბაზრობა დახურა. ყურადღება გაამახვილეთ იმაზე, რომ ასეთ ბაზრობებზე ძალიან ძნელია გადასახადებისა და სააქციზო მოსაკრებლების კონტროლი. ამის შედეგად კი სახელმწიფო ხაზინა კარგავს შემოსავლებს, რომელიც სხვადასხვა სახელმწიფოებრივ პროგრამებს ხმარდება, მათ შორის, სოციალურს. გარდა ამისა, უცხოური პროდუქციის შემოდინება სერიოზულ კონკურენციას უქმნის ადგილობრივ საქონელს, შედეგად კი ქვეყანაში საწარმოები იხურება.

ჯგუფი 4 წყაროებისა და დასმული კითხვების შესწავლის საფუძველზე ჩამოწერს მიზეზებს, რის გამოც ხელისუფლებას შეიძლება მაინც აწყობდეს საზღვრისპირა ბაზრობა. მოსწავლეებს სთხოვეთ, წარმოიდგინონ, როგორ შეუძლია საზღვრისპირა ვაჭრობიდან მიღებულ ფულს ეროვნული ეკონომიკის სტიმულირება.

ზოგიერთი სავარაუდო პასუხი ჯგუფი 4-ისთვის:

— მოსახლეობის მიერ ნაშოვნი ფული წაახალისებს სამომხმარებლო მოთხოვნას, ეს კი, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს სხვადასხვა დარგის განვითარებას.

— ბაზრობის ინფრასტრუქტურა წარმოქმნის ახალ სამუშაო ადგილებს და ახალ ბიზნესს (გახსნილი კაფეები, სასტუმროები, სატვირთო და სამგზავრო გადაზიდვები, საბანკო გადარიცხვები, ლოჯისტიკა).

— ბაზრობაზე მოთხოვნა ხელს უწყობს რეგიონში წარმოების განვითარებას, რომელიც ბაზრობას ამარაგებს საქონლით, განსაკუთრებით, სასოფლო სამეურნეო საქონლით.

— იაფი საქონელი მოსახლეობას ეკონომიის საშუალებას აძლევს, დაზოგილი ფულით ის ახალ საქონელს ყიდულობს და ამით ხელს უწყობს წარმოებას.

— ბიზნესის სექტორის ზრდა ნიშნავს გადასახადების გადამხდელთა რაოდენობის ზრდას, ხაზინაში კი გადასახადების რაოდენობა მატულობს.

ნაბიჯი 3 ჯგუფებში მუშაობის პრეზენტაცია და მისი განხილვა *(25 წუთი)*

ჯგუფები დაფაზე გამოფენენ თეზისებიან ფურცლებს და წარმოადგენენ მუშაობის შედეგებს. სხვა ჯგუფების წარმომადგენლებს შეუძლიათ კითხვების დასმა და/ან თაზისების შევსება.

ნაბიჯი 4 შემაჯამებელი განხილვა (მეთოდი „მოსაზრებების სკალა“[1]) *(25 წუთი)*[1]

მოსწავლეებს შესთავაზეთ, ჯგუფებში განიხილონ (5 წუთი) და დასაბუთებული პასუხი გასცენ კითხვას:

რამდენად ეხმარება საზღვრისპირა ვაჭრობა რეგიონში მდგომარეობის სტაბილიზაციას?

დაფაზე გაავლეთ ხაზი და მოსწავლეებს შესთავაზეთ, წარმოსახვით სკალაზე აღნიშნონ სიტუაციის სტაბილიზებაზე საზღვრისპირა ვაჭრობის გავლენის ხარისხი. სკალაზე წერტილი „0“ აღნიშნავს გავლენის არარსებობას, ნულიდან „–100“-მდე იქნება უარყოფითი გავლენა, ნულიდან „+100“-მდე — დადებითი გავლენა ვითარებაზე რეგიონში.[2] მოსწავლეებს სთხოვეთ, დაასაბუთონ, რატომ სვამენ წერტილს სწორედ იმ ადგილას.



[1] იხ. ნაწილი „როგორ გავხადოთ გაკვეთილი აქტიური“.

[2] გახსოვდეთ, რომ შემდეგი მოსაზრებაც არსებობს: საზღვრისპირა ვაჭრობა ხელს უწყობს ვითარების დესტაბილიზაციას.

თანამედროვე შრომითი მიგრაცია და მისი გავლენა საზოგადოებაზე

▶ რა გავლენას ახდენს თანამედროვე შრომითი მიგრაცია მოლდოვურ საზოგადოებაზე?

▶ მოსწავლეთა ასაკი	14-18 წელი
▶ გაკვეთილისათვის საჭირო დრო	90 წუთი
▶ გაკვეთილის მიზანი	– მიგრაციის მიზეზების გაანალიზება; – იმის წარმოჩენა, რომ შრომითი მიგრაცია გავლენას ახდენს დემოგრაფიაზე, ოჯახზე, კეთილდღეობასა და მენტალიტეტზე; – რეციპიენტი ქვეყნებისა და დონორი ქვეყნების პოლიტიკაში მიგრაციის ადგილის წარმოჩენა
▶ შემოთავაზება დამატებითი ინფორმაციის მისაღებად	**1.** Миграция. [ელექტრონული რესურსი] «Economics». — ხელმისაწვდომია მისამართზე: http://dictionary-economics.ru/word/%D0%9C%D0%B8%D0%B3%D1%80%D0%B0%D1%86%D0%B8%D1%8F **2.** Миграция в Молдове: причины и последствия. Обследование рабочей силы, национального статистического агентства. — Кишинев, 2011. **3.** Трудовая миграция. Национальное бюро статистики. — Кишинев, 2012. **4.** Мошняга Валерий. Социально-политическое влияние трудовой миграции в Молдове. Научно-исследовательский отчет 2012.
გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი სავარაუდო შედეგები	
▶ ყველა მოსწავლე	შეიმეცნებს შრომითი მიგრაციის მიზეზებს და გაიაზრებს მის შედეგებს ოჯახისა და ადამიანთა ურთიერთობისათვის.
▶ მოსწავლეთა უმრავლესობა	– გაანალიზებს, რა გავლენას ახდენს მიგრაცია მიგრანტებისა და სამშობლოში დარჩენილთა მენტალიტეტზე; – შეაფასებს მიგრაციის დადებით და უარყოფით შედეგებს
▶ ზოგიერთი მოსწავლე	გააანალიზებს მიგრანტების მიმართ რეციპიენტი ქვეყნებისა და დონორი ქვეყნების პოლიტიკის მიზნებსა და მეთოდებს.
▶ მასწავლებლის მომზადება გაკვეთილისათვის	მოამზადეთ ინვენტარი 5 ჯგუფში სამუშაოდ, აგრეთვე ფლიპჩარტები და მარკერები (თუ ჯგუფური მუშაობის ვარიანტს აირჩევთ).

გაკვეთილი 1. შრომითი მიგრაცია: მიზეზები, სახელმწიფოების პოლიტიკა და დემოგრაფიული შედეგები

სამოტივაციო სავარჯიშო (მეთოდი — გონებრივი იერიში) *(3 წუთი)*

სთხოვეთ მოსწავლეებს გააანალიზონ წყაროები 1-2. პასუხის ყველა ვარიანტი ჩაწერეთ დაფაზე, განაზოგადეთ და დააფიქსირეთ წინააღმდეგობები. შესთავაზეთ მოსწავლეებს გაიხსენონ ყველაფერი, რაც მათში იწვევს ***მიგრაციის*** ასოციაციას. მუშაობის პროცესში ყალიბდება მიგრაციის ცნება.

მიგრაცია — ადამიანთა გადაადგილება ერთი რეგიონიდან მეორეში საცხოვრებელი ადგილის შეცვლის მიზნით.

ნაბიჯი 1 *(12 წუთი)*

დაუსვით მოსწავლეებს კითხვა:
რა არის შრომითი მიგრაცია?
გონებრივი იერიშის პროცესში ყალიბდება ცნება:
შრომითი მიგრაცია, ანუ მუშახელის მიგრაცია ეს არის შრომისუნარიანი მოსახლეობის მიგრაცია შრომითი მოწყობის მიზნით.

შემდეგ შესთავაზეთ მოსწავლეებს შეისწავლონ ისტორიული ცნობა1, ჯერ დაფიქრდნენ, რა იზიდავს ადამიანებს სხვა ქვეყანაში, რა აიძულებს წავიდნენ სამშობლოდან და ისე უპასუხონ კითხვა 3-ს. პასუხები ფიქსირდება დაფაზე (სქემაზე შეიძლება მეტი მიზეზებიც აღინიშნოს). შეგიძლიათ მოსწავლეთა მიერ მიზეზების ჩამოთვლის შემდეგ სქემაში სხვადასხვა ფერის მარკერით აღნიშნოთ მიგრაციის ის მიზეზები, რომლებიც უცხო ქვეყანაში წასვლას მიმზიდველს ხდის, და წასვლის მაიძულებელი მიზეზები ან ბლოკ-სქემის ნაცვლად ჩაწეროთ ეს მიზეზები ორ სვეტად.



სავარუდო პასუხები:

- მძიმე ეკონომიკური ვითარება ქვეყანაში;
- სამუშაოს შოვნის პრობლემები;
- პროფესიული თვითრეალიზაციის სურვილი;
- ცხოვრების უფრო მაღალი დონე სხვა ქვეყნებში

ნაბიჯი 2 *(10 წუთი)*

დაყავით მოსწავლეები წყვილებად, რომლებიც დაამუშავებენ წყაროებს 3-6 და უპასუხებენ კითხვებს 4-6. აირჩიეთ ერთი ან ორი მოსწავლე ტაბულის შევსების შედეგების წარმოსადგენად, დანარჩენებს შეაქვთ დამატებები ან შესწორებები.

საზღვარგარეთ სამუშაოს საძებნელად წამსვლელთა იმედები	სიძნელეები და პრობლემები, რომლებსაც აწყდებიან საზღვარგარეთ სამუშაოს საძებნელად წასულნი

ნაბიჯი 3 *(10 წუთი)*

წყვილებში კითხვაზე 7 მუშაობისას შესთავაზეთ ერთ წყვილს გაანალიზოს რუსეთის ხელისუფალთა პოზიცია, მეორეს — ევროკავშირის ქვეყნებისა, მესამეს — მოლდოვისა. პასუხი კითხვაზე მიზეზების შესახებ სჯობს უფრო ძლიერ მოსწავლეებს მიანდოთ.

გარდა ამისა, შეგიძლიათ დაუსვათ მოსწავლეებს დამატებითი კითხვები: *რატომ არ აწესებს რუსეთი სავიზო რეჟიმს არალეგალური მიგრანტების ესოდენ დიდი რაოდენობის მიუხედავად? რატომ აძლევს რუმინეთი პასპორტებს მოლდოვას მოქალაქეებს? ეწინააღმდეგება თუ არა ერთმანეთს შრომითი მიგრანტებისა და სახელმწიფოების მოთხოვნილებები?*

ნაბიჯი 4 *(15-20 წუთი)*

მუშაობა სტატისტიკაზე (კითხვები 8—9). წყარო 18-ზე მუშაობისას გაახსენეთ მოსწავლეებს პასუხი კითხვაზე მიგრაციის შედეგების შესახებ. ძლიერ კლასში შეიძლება განიხილოთ მიგრაციის მოკლევადიანი და გრძელვადიანი შედეგების თანაფარდობა.

შემდეგ დაავალეთ მოსწავლეებს პასუხი გასცენ კითხვებს 10-12 და წარმოადგინონ შედეგები.

წყარო 12-ზე მუშაობისას მიაქციეთ მოსწავლეთა ყურადღება სოფლის მოსახლეობის კლებას და სოციალური ობლობის სტატისტიკას.

შეგიძლიათ დასვათ შემაჯამებელი კითხვა:

რა პრობლემები უჩნდებათ შინ დარჩენილებს?

შეგიძლიათ დაამატოთ მესამე გრაფა ნაბიჯში 2 მოცემულ ტაბულას და დაიწყოთ მისი შევსება, ხოლო უკანასკნელი დამატებები შეიტანოთ ნაბიჯების 5-6-ის შემდეგ.

გაკვეთილი 2. მიგრაციის გავლენა ადამიანთა კეთილდღეობაზე, ყოფა-ცხოვრებაზე, კულტურულ ტრადიციებსა და აზროვნებაზე

ზოგადი შენიშვნები ნაბიჯებისადმი 5 და 6

მესამე და მეოთხე ბლოკებზე *მუშაობის წარმართვის ორი ვარიანტია შესაძლებელი.*

ვარიანტი 1. მოსწავლეები აგრძელებენ წყვილ-წყვილად მუშაობას, თანმიმდევრულად შეიმეცნებენ მასალას ისევე, როგორც სწავლობდნენ პირველ და მეორე ბლოკებს და შედეგებს ყოველი ბლოკის შესწავლის შემდეგ წარმოადგენენ. ეს ვარიანტი დაგეგმილზე 10 წუთით მეტ დროს მოითხოვს.

ვარიანტი 2. მოსწავლეები წყვილ-წყვილად მუშაობენ, მაგრამ წყვილები ორ ჯგუფად იყოფა და სხვადასხვა დავალებებს არსრულებს. წყვილების ერთი ჯგუფი (უფრო ძლიერი მოსწავლეები) მუშაობს მეოთხე ბლოკზე, მეორე კი — მასამე ბლოკზე.მუშაობის დამთავრების შემდეგ რომელიმე წყვილი ყოველი ჯგუფიდან წარმოადგენს შედეგებს. შეგიძლიათ დაყოთ კლასი 4-5 კაცისაგან შემდგარ ლუწი რაოდენობის ჯგუფებად, რომელთაგან ჯგუფები 1, 3 და ა.შ. იმუშავებენ მესამე ბლოკზე, ხოლო 2, 4 და ა.შ. — მეოთხეზე. ამასთან მოსწავლეები ფლიპჩარტებზე აფიქსირებენ თეზისებს, რომლებსაც გამოიყენებენ შედეგების პრეზენტაციის დროს.

ნაბიჯი 5 *(15 წუთი)*

თუ გაკვეთილი მოლდოვურ სკოლაში არ მიმდინარეობს, კითხვაზე 13 მუშაობისას შეიძლება შესთავაზოთ მოსწავლეებს შეადარონ მოლდოვასა და მოსწავლეთა მშობლიური ქვეყნის მიგრაციული პროცესების ზოგიერთი ასპექტი.

წყარო 18-ზე მუშაობისას გაახსენეთ მოსწავლეებს მე-4 ნაბიჯის დროს კითხვებზე 8 და 9 მუშაობის შედეგები.

მიაქციეთ მოსწავლეთა ყურადღება იმას, თუ როგორ ცდილობს მთავრობა ქვეყნის შიგნით კაპიტალის უკმარისობის პირობებში მიგრანტების სახსრების დახმარებით სტიმული მისცეს ეკონომიკის განვითარებას, გადაიყვანოს ფულადი ნაკადები სახალხო მოხმარების საქონლის შეძენიდან საწარმოო ინვესტიციებზე. შეგიძლიათ დაუსვათ მოსწავლეებს კითხვა: *ვისი წარმოება აძლევს მეტ სტიმულს ფულად ნაკადებს, ეროვნული თუ უცხოური?*?

ნაბიჯი 6 *(15 წუთი)*

მეოთხე ბლოკზე მუშაობის დროს მიაქციეთ მოსწავლეთა ყურადღება მიგრაციის შედეგების ზემოქმედებას მოქალაქეთა ემოციურ მდგომარეობაზე. ძლიერ კლასში შეგიძლიათ იმსჯელოთ არა მარტო კულტურული ღირებულებების გაცვლაზე, არამედ იმაზეც, თუ როგორ იცვლება ეს ღირებულებები და როგორც სამუშაოდ წასულების, ასევე შინ დარჩენილების მენტალიტეტი. თუ დრო დაგრჩათ და კლასის მომზადების დონე მაღალია, შეგიძლიათ განიხილოთ იდენტურობის შეცვლის საკითხებიც. ამასთან დაკავშირებით უაღრესად მნიშვნელოვანი კითხვა 17: *რატომ ამბობენ ხალხში, მიგრანტებს „ორი სახლი“ აქვთო?*

მიაქციეთ მოსწავლეთა ყურადღება იმას, რომ მიგრაცია, ერთის მხრივ, ქმნის კულტურათშორისი ურთიერთობის ერთგვარ პრობლემებს და, მეორე მხრივ, ხელს უწყობს სტერეოტიპების რღვევას და ახალ ღირებულებათა შექმნას, რომელთა საფუძველზეც ოჯახებისა და ყოფა-ცხოვრების რეორგანიზაცია ხდება.

შემაჯამებელი განხილვა *(10 წუთი)*

1. როგორ იცვლება საზოგადოების მენტალიტეტი და ღირებულებები მიგრაციის შედეგად?

2. მიგრაციის შედეგებიდან რომელს შეაფასებდით დადებითად და რომელს — უარყოფითად?

პირველი საკითხის განხილვისას ნუ გამოიყენებთ მარტო მეოთხე ბლოკს, გაიხსენეთ მეორე და მესამე ბლოკების მასალებიც.

მეორე საკითხის განხილვისას შეგიძლიათ გონებრივი იერიშის რეჟიმში ყველა ბლოკთან მუშაობის შედეგების წარმოდგენის საფუძველზე შეავსოთ ტაბულა **„მიგრაციის შედეგები“.**

მიგრაციის დადებითი შედეგები		მიგრაციის უარყოფითი შედეგები	
მოქალაქეებისთვის	ქვეყნისთვის	მოქალაქეებისთვის	ქვეყნისთვის

თუ დრო არ გყოფინით, შეგიძლიათ ტაბულის შევსება შესთავაზოთ მოსწავლეებს საშინაო დავალების სახით (შეგიძლიათ მისცეთ ეს დავალება ჯგუფებს). ამ შემთხვევაში შემდეგ გაკვეთილზე ჯგუფები წარმოადგენენ და განიხილავენ შედეგებს.

სუსტ კლასში შეგიძლიათ შემოიფარგლოთ მხოლოდ მეორე კითხვით.

თუ დრო მოგრჩათ, მოაწყვეთ დისკუსია საშინაო დავალების სახით შეთავაზებულ კითხვა 2-ის თაობაზე.

საშინაო დავალება

შეგიძლიათ შესთავაზოთ მოსწავლეებს შეავსონ ტაბულა (იხ. შემაჯამებელი განხილვა), დაწერონ მინი-ესეი ან მოამზადონ ზეპირი პასუხი შემდეგ კითხვებზე:

ა) რა სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებს ასახავს თანამედროვე შრომითი მიგრაცია?

ბ) რა ფასად უჯდებათ ფინანსური კეთილდღეობა ოჯახებს საზოგადოებაში, სადაც არსებობს მნიშვნელოვანი შრომითი მიგრაცია საზღვარგარეთ?

შეფასება

თუ მუშაობა ჯგუფური იყო, შეაფასეთ იგი შემდეგი კრიტერიუმებით:

— წყაროების, მათი ინფორმაციის ნამდვილობისა და რელევანტურობის გაანალიზების უნარი;

— საკუთარი პოზიციისა და დასკვნების არგუმენტაციის დონე;

— სხვების მოსმენისა და მათი პოზიციის კრიტიკულად შეფასების, კონტრარგუმენტების წარდგენის უნარი;

— შედეგების პრეზენტაციის ხარისხი;

— ჯგუფის ყველა წევრის მონაწილეობა და აქტიურობა.

ინდივიდუალური და წყვილებში მუშაობის შედეგები ფასდება იგივე კრიტერიუმებით, უკანასკნელის გამოკლებით.

შრომითი მიგრაცია და ოჯახი

▶ რა გავლენას ახდენს შრომითი მიგრაცია ოჯახზე?

▶ მოსწავლეთა ასაკი	14-17 წელი
▶ გაკვეთილისათვის საჭირო დრო	90 წუთი
▶ გაკვეთილის მიზანი	გაიაზრებს შრომითი მიგრაციის ზეგავლენას გენდერული როლების და ოჯახშიურთიერთდამოკიდებულების ცვლილებაზე; დაუკავშირებს შრომით მიგრაციას, როგორც მაკროეკონომიკურ მოვლენას, ოჯახში მიკროეკონომიკურ და მიკროსოციალურ ცვლილებებს.
▶ შემოთავაზება დამატებითი ინფორმაციის მისაღებად	**1.** What is human migration? http://www.nationalgeographic.com/xpeditions/lessons/09/g68/migrationguidestudent.pdf **2.** С.Манукян. Влияние трудовой миграции из Армении в Россию на экономику и социально-политическую ситуацию в Армении-http://www.soyuzinfo.am/rus/analitics/detail.php?ELEMENT_ID=1101 **3.** «Оценка миграционной ситуации Армении (посредством выборочного исследования)». Научн. рук. — Р. Еганян. — Ереван 2013: http://files4.webydo.com/45/452723/UploadedFiles/7926b382-53f6-4128-8dbb-cacc8e6a8ff9.pdf **4.** The Consequences of Male Seasonal Migration for Women Left Behind: The Case of Rural Armenia, Arusyak Sevoyan, http://repository.asu.edu/attachments/56768/content/Sevoyan_asu_0010E_10596.pdf **5.** Migration and development. Armenia country study.2009. http://repository.asu.edu/attachments/56768/content/Sevoyan_asu_0010E_10596.pdf **6.** Габриелян М. Р. Армянская семья переходного периода (этнографическое исследование) / М. Р. Габиелян. — Е.: Сурб-Сер, 2005. — 160 с.
გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი სავარაუდო შედეგები	
▶ ყველა მოსწავლე	გაიაზრებს შრომითი მიგრაციის ზეგავლენას ოჯახზე სომხეთის მაგალითზე; დახვეწს წყვილებში მუშაობის ჩვევებს, გაიუმჯობესებს სხვადასხვა ტიპის წყაროზემუშაობის ჩვევას.
▶ მოსწავლეთა უმრავლესობა	შეძლებსერთმანეთს დაუკავშიროსმიგრაციის სხვადასხვა სახე და მათიზეგავლენაკონკრეტულ ადამიანსა და ოჯახზე; შეძლებს შრომითი მიგრაციის მიზეზებისა და საზოგადოებაზე მისი შედეგების ახსნას; დახვეწს ისტორიული წყაროების კლასიფიკაციის ჩვევას.
▶ ზოგიერთი მოსწავლე	შეძლებსკრიტიკულად გააანალიზოსსხვადასხვა ტიპისა და სახეობის წყაროები,ერთმანეთს შეადაროსსტატისტიკურიმონაცემებიდა პირველადი წყაროები — შრომითი მიგრანტების ოჯახის წევრების ინტერვიუებიდანმიღებული ინფორმაცია; შეძლებს სომხურ საზოგადოებაში გენდერული როლების ცვლილების მიზეზებისა და შედეგების ახსნას.

ზოგადი შენიშვნები

წარმოდგენილი მოდული ეძღვნება თანამედროვე სომხეთში შრომით მიგრაციას და მის ზეგავლენასმიკროდონეზე (ოჯახი, ოჯახის წევრებსა და სხვადასხვა თაობის წარმომადგენლებს შორის ურთიერთდამოკიდებულება, ტრადიციული გენდერული როლების ცვლილება).

მოდულის მასალაეყრდნობა სხვადასხვა ტიპის წყაროებს: ფოტოები საოჯახო ალბომიდან, ინტერვიუები მიგრანტების ოჯახის წევრებთან, თვითმხილველთამოსაზრებები, ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები, საგაზეთო ინფორმაციები. ყოველივე ეს საშუალებას მისცემს მოსწავლეებსგამოიმუშაონ ამ ტიპის წყაროებზე მუშაობის ჩვევა, მიხვდნენ, თუ რაოდენმნიშვნლოვანია სხვადასხვა ტიპის წყაროების ინფორმაციის გამოყენება.

ნაბიჯი 1 გაკვეთილის დასაწყისი *(5 წუთი)*

მოსწავლეებს აჩვენეთ ფოტო 1პროექტორით, ან მისი გამრავლებული ფერადი ასლი. დაუსვით კითხვები1-2.მოსწავლეების ყურადღება მიაქციეთ ფოტოს მინაწერს. ჰკითხეთ, რამდენად დამახასიათებელია ასეთი ფოტომათი გარემოსთვის.

გააცანით მოდულის თემა და მისი შესწავლის მიზანი. დაფაზე ან დიდ ფურცელზე დაწერეთ საკვანძო კითხვა.

ნაბიჯი 2 *(15 წუთი)*

მოსწავლეებს გააგებინეთ, რომ მათი ამოცანაა შეისწავლონ მოდულის მასალა,უპასუხონ წყაროებთან დაკავშირებით დასმულ კითხვებს, მასალის შესწავლის პროცესში უნდა შეავსონ ცხრილი.

ცხრილი 1 დახაზეთ დაფაზე ან ქაღალდის დიდ ფურცელზე:

შრომითი მიგრაციის დადებითი შედეგები	**შრომითი მიგრაციის უარყოფითი შედეგები**

დაყავით მოსწავლეები წყვილებად, სთხოვეთ, თავად გადაწყვიტონ, ვინ შეავსებს ცხრილის მარცხენა მხარეს და ვინ — მარჯვენას. შესთავაზეთ, გაეცნონპირველი ბლოკისმასალას „რატომ მიდიან ადამიანები სახლიდან“ და უპასუხონ კითხვებს 3-4. საჭიროების შემთხვევაში, სთხოვეთ, რვეულებში ჩაიწერონ კითხვა 3-ის პასუხი. კითხვა 4-ზე პასუხისას ყურადღება გაამახვილეთ წყაროების ტიპზე: ინტერვიუ, ოფიციალური მოსაზრება, საგაზეთო შეტყობინება — ჟურნალისტის შეხედულება.

ნაბიჯი 3 მუშაობა ბლოკი 2-ის მასალებზე *(25 წუთი)*

ანალიზის ამ ეტაპზე მოსწავლეებმა ცხრილი უნდა შეავსონ საკვანძო სიტყვებით ან სიტყვათშეთანხმებებით (სათითაოდ მიდიან და წერენ, თან ყურადღებით აკვირდებიან, ხომ არ არის უკვე მსგავსი ჩანაწერი, რომ ინფორმაცია აღარ გაიმეორონ).

მოსწავლეებს შესთავაზეთ წყვილებში გაეცნონ წყაროებს 5-9 დაერთად უპასუხონ კითხვებს 5-7. მუშაობის პროცესში მიდით ხოლმე მოსწავლეებთან და საჭიროების შემთხვევაში დაეხმარეთ კითხვების მეშვეობით წყაროების გაანალიზებაში. მაგალითად,

ყურადღება მიაქცევინეთ, რომ ფოტო 5-ზე სადღესასწაულო სუფრა მამაკაცების გარეშე არატრადიციულია და გამოწვეულია მამაკაცების არყოფნით. ასევე არაა დამახასიათებელი ფოტო9 — სუფრა მხოლოდ მამაკაცების მონაწილეობით, რადგან ქალები სახლში, სომხეთში დარჩნენ. ფოტო8-ზე კი ავაჰი იმას აკეთებს, რასაც სახლში ძალიან იშვიათად გააკეთებდა — თავის ტანსაცმელს უვლის. დაეხმარეთ მოსწავლეებს წყარო 6-ის —„სომეხი ქალების მოსაზრებები“ — წაკითხვის დროს.

წყაროებზე 10-13 და კითხვებზე8, 9, 10, 11, 12მუშაობისას მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა სწორად ჩამოაყალიბონ ის პრობლემები, რომლებსაც აწყდებიან როგორც საშოვარზე წასული, ისე სახლში დარჩენილი ოჯახის წევრები. ყურადღება გაამახვილეთ წყარო 13-ის სტატისტიკაზე. მოსწავლეებს აუხსენით, რომ მონაცემების ჯამი 100%-ს არ უნდა შეადგენდეს, რადგან ეს მონაცემებიაჩვენებს წასულების პროცენტს სხვადასხვა რაოდენობისმოსახლეობასთან შეფარდებით.იმ ოჯახების რაოდენობა, რომლებსაც მიგრანტები ჰყავს მთლიანად სომხეთში (დიაგრამის წითელი სვეტი), არის ქვეყნის სხვადასხვა რეგიონიდან წასულების რაოდენობის (დიაგრამის ყვითელი სვეტები) საშუალო არითმეტიკული. ბავშვებს დაეხმარეთ იმის გაგებაში, რომ დიდი რიცხვი სოფლად და მთლიანად პროვინციაში დაკავშირებულია უმუშევრობის უფრო მაღალ დონესთან, ვიდრე დედაქალაქში. წყაროების ანალიზის უნარების გასავითარებლად ასევე მნიშვნელოვანია კითხვა 12-ზე პასუხი. წყარო 16 აშკარად ადასტურებს წყარო 6-ს და ავსებს წყაროებს 5,7,10-ს.

მოსწავლეებთან ერთად განიხილეთ ბლოკის მასალა, მოისმინეთ მათივარიანტები ბლოკის სათაურის შესარჩევად. წაახალისეთ ის გამოთქმები, რომლებიც მიგრაციის ორივე მხარის გაგებას შეიცავს — წასულებისაც და დარჩენილებისაც: „მიგრაცია მათთვის, ვინც სახლშია, და მათთვის, ვინც წასულია“, „ვის ვინ ენატრება“, „ძნელია, იყო...“ და ა. შ.

ნაბიჯი 4 *(10 წუთი)*

სხოვეთ მოსწავლეებს დაასრულონ ცხრილი1-ის შევსება და ხმაამოუღებლივ გაეცნონ მის საბოლოო შინაარსს. შემაჯამებელი განხილვისთვის შესთავაზეთ მონაწილეობა მიიღონ კამათში „შრომითი მიგრაცია: სარგებელი და დანაკარგები“ცხრილიდან აღებული არგუმენტების გამოყენებით. კამათი წარმართეთ მეთოდით „აირჩიე პოზიცია“.

ნაბიჯი 5 *(15 წუთი)*

მიგრაციის ცნებისა და საკუთარი პოზიციის არგუმენტირებისთვის წყაროს შერჩევის ჩვევის გასამყარებლად მოსწავლეებს შესათავაზეთ სავარჯიშოს ვარიანტი „ლოტო“. დავალება1-დან წინასწარ ამობეჭდეთ მიგრაციის მახასიათებლები, ქაღალდის ფურცლები ისე დაჭერით, რომ ყოველი განმარტება ცალკე ბარათზე მოხვდეს. თითო განმარტების რამდენიმე ასლი გააკეთეთ და კონვერტში ჩააწყვეთ ან მაგიდაზე ტექსტით ქვემოთ გაშალეთ ისე, რომ ტექსტი არ ჩანდეს. მოსწავლეებს სთხოვეთ, თითო ბარათი აირჩიონ, წაიკითხონ შეთავაზებული განმარტება და დაასახელონ წყარო, რომელიც, მათი აზრით, ყველაზე სრულად ასახავს მიგრაციის, როგორც მოვლენის, იმ ნიშნებს, რომლებიც მოცემულია მის დახასიათებაში.

5-10 მოსწავლის შერჩევითი გამოკითხვის შემდეგ დაუბრუნდით საკვანძო კითხვას. გამონათქვამების შეჯამების მეთოდით ჩამოაყალიბეთ კოლექტიური პასუხი საკვანძო კითხვაზე.

ნაბიჯი 6 *(5 წუთი)*

შააჯამეთ მეცადინეობის შედეგები. მოსწავლეებს ჰკითხეთ, რა გაიგეს და რა ისწავლეს. შეადარეთ წინასწარ დაგეგმილ გაკვეთილის სავარაუდო შედეგებს.

შეაფასეთ მოსწავლეთა საქმიანობა გაკვეთილზე.

დანართი 1

1) სომხეთიდან მიგრანტების 93,5 პროცენტს მამაკაცები შეადგენენ და მხოლოდ 6,5 პროცენტს — ქალები. მიგრაცია ყველაზე მეტად გავრცელებულია საზოგადოების ეკონომიკურად აქტიურ ნაწილში: 21-დან 55 წლამდე ასაკის მოსახლებაში. შრომითი მიგრანტების დაახლოებით 47%-ს აქვს საშუალო ან არასრული საშუალო განათლება, 33%-ს — პროფესიული და დაახლოებით 20%-ს — უმაღლესი განათლება.
2) სხვადასხვა კვლევამ აჩვენა, რომ მიგრანტების 93 პროცენტმა სამუშაოდ რუსეთი და ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ქვეყნები აირჩია. ეს აიხსნება ენის ცოდნით, უვიზო რეჟიმითა და მგზავრობის შედარებით დაბალი საფასურით. დანარჩენ მიგრანტებს შორის სამუშაოდ ყველაზე პოპულარული ადგილებია ევროკავშირის ქვეყნები და შეერთებული შტატები.
3) მიგრაციის სახეობას, რომელიც გულისხმობს ადამიანის ტერიტორიულ გადაადგილებას და გამოწვეულია დასაქმებისა და სამუშაოს პოვნის მიზნით, შრომითი მიგრაცია ეწოდება. შრომითი მიგრაციის მიზეზი შეიძლება გახდეს ახალი სამუშაო ადგილის პოვნის, ჩვეული სამუშაოსათვის მეტი ანაზღაურების მიღების, ან ოჯახის კეთილდღეობის გაუმჯობესების სურვილი. არჩევენ შიდა მიგრაციას — ერთი ქვეყნის ფარგლებში, და გარე მიგრაციას — სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთით. დროებითი ხასიათი აქვს მიგრაციას კონტრაქტის საფუძველზე, რომლის ვადაც შეზღუდულია; ასევე სეზონურ მიგრაციას და მოსაზღვრე ტერიტორიების მუშახელის მიგრაციას.
4) შრომითი მიგრაცია ადამიანების ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლაა იძულებითი ან მიმზიდველი ფაქტორების ზეგავლენით.
5) სომხეთიდან შრომით მიგრაციას სეზონური ხასიათი აქვს, რადგან მიგრანტთა უმრავლესობა საშოვარზე გაზაფხულის ბოლოს მიემგზავრება. მათგან უმეტესობა (78%) ოქტომბერ-დეკემბერში, ახალ წლამდე, ბრუნდება, ბევრი კი საზღვარგარეთ 5-10 თვეს რჩება.

თანამედროვე ქალაქი — კულტურათა გზაჯვარედინი და სივრცე კულტურათა დიალოგისთვის

▶ რა შესაძლებლობებს ქმნის თანამედროვე ქალაქი კულტურათა დიალოგისთვის

▶ მოსწავლეთა ასაკი	15-18 წელი
▶ გაკვეთილისათვის საჭირო დრო	90 წუთი
▶ გაკვეთილის მიზანი	– შეისწავლოს ქალაქი კულტურათა დიალოგის კონტექსტში; – დააინტერესოს ქალაქის კულტურული სივრცით.
▶ შემოთავაზება დამატებითი ინფორმაციის მისაღებად	**1.** Инвестирование в культурное разнообразие и диалог между культурами. — Всемирный доклад ЮНЕСКО, 2009. — С. 61. [Электронная версия] http://unesdoc.unesco.org/images/0018/001852/185202r.pdf **2.** Межуев В. М. Диалог как способ межкультурного общения в современном мире. Журнал «Вопросы Философии». [ელექტრონული რესურსი] http://vphil.ru. — ხელმისაწვდომია მისამართზე: http://vphil.ru/index.php?option=com_content&task=view&id=387&Itemid=52 **3.** Трубина Е. Город в теории. Опыты осмысления пространства. — М.:НЛО. 2011. — С.356-357 **4.** Афанасьева Л. Пространство взаимопонимания и возможностей. [ელექტრონული რესურსი] — http://mbox.org.ua/. — ხელმისაწვდომია მისამართზე: http://mbox.org.ua/2015/03/space_and_understanding/ **5.** Понкалина О. В. Социальная экология городского пространства. [ელექტრონული რესურსი] — http://www.comk.ru/project/open_map/HTML. — ხელმისაწვდომია მისამართზე: http://www.comk.ru/project/open_map/HTML/ponukalina_doc.htm
გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი სავარაუდო შედეგები	
▶ ყველა მოსწავლე	შეძლებს ერევნის კულტურული მრავალფეროვნების მაგალითების მოყვანას; ჩამოთვლის, რა შესაძლებლობებს იძლევა ქალაქური გარემო კულტურათა დიალოგისთვის.
▶ მოსწავლეთა უმრავლესობა	შეძლებს, დაასახელოს ქალაქური გარემოს კუტურული თავისებურებები, რომელიც ხელს უწყობს კულტურათა დიალოგს; წყაროებში მოძებნოს მოსაზრებები ქალაქის მრავალფეროვნების მიზეზების შესახებ.
▶ ზოგიერთი მოსწავლე	შეძლებს, ჩამოაყალიბოს ქალაქის, როგორც კულტურათა დიალოგისთვის კომფორტული გარემოს, ცნება; დამოუკიდებლად მოიყვანოს ქალაქური ცხოვრების მაგალითები, რომლებიც ქალაქის, როგორც კულტრათა გზაჯვარედინის ცნებას ადასტურებს.
▶ მასწავლებლის მომზადება გაკვეთილისათვის	– მოამზადეთ დასარიგებელი მასალა (წყაროები) ჯგუფური მუშაობისთვის. – საკლასო ოთახი ისე მოაწყვეთ, რომ შესაძლებელი იყოს თავისუფლად გადაადგილება. – ნაბიჯი 3-ისთვის საჭიროა ფერადი ფანქრები და მარკერები.

მეცადინეობის დაწყებამდე დარწმუნდით, რომ ყველა მოსწავლეს ესმის შემდეგი ტერმინები: *კულტურა, გლობალიზაცია, კონსენსუსი, პლურალიზმი, ტოლერანტობა, სოციალური ჯგუფები, კოსმოპოლიტიზმი, მრავალეთნიკურობა.* წინასწარ შესაძლებელია მოსწავლეებს საშინაო დავალებად დაავალოთ სალექსიკონო მასალის მომზადება და გამოიყენოთ მათი ეს ცოდნა გაკვეთილის იმ ეტაპზე, სადაც დაგჭირდებათ. თუ შესაძლებელია, მიზანშეწონილია, ამ მასალის წინა გაკვეთილზე გამეორება.

ნაბიჯი 1 გაკვეთილის დასაწყისი *(10 წუთი)*

მასწავლებელი აცნობს მეცადინეობის თემას და საკვანძო კითხვას.

მთელ კლასს კითხვებს 1-4 უსვამს წყაროების 1-6 შინაარსზე. მუშაობის პროცესში მოსწავლეები მიდიან დასკვნამდე, რომ მსოფლიოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი ქალაქებში ცხოვრობს (განვითარებულ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი უფრო მაღალია) და მოსახლეობის წილი განუხრელად იზრდება. გარდა ამისა, ქალაქებს აქვს შემდეგი ფუნქციები: თანამედროვე წარმოების, ვაჭრობის, დასვენების, კომუნიკაციის, ხელისუფლების, მმართველობის და ა. შ. სწორედ ამიტომ მეცნიერები დიდ ყურადღებას უთმობენ ქალაქში მიმდინარე პროცესებს.

მთავარია, მოსწავლეებმა გაარკვიონ, რომ კულტურათა დიალოგის დროს აუცილებელია მასში მონაწილე მხარეების მიერ ურთიერთპატივისცემა, ურთიერთმოსმენა და ურთიერთაღიარება, უნდა იყვნენ გახსნილები და არ უნდა ეშინოდეთ საკუთარი ფესვების დაკარგვის, რადგან კულტურათა დიალოგის მიზანი ურთიერთგამდიდრებაა. კულტურათა შორის ურთიერთობა კონსენსუსსა და პლურალიზმს უნდა ემყარებოდეს. ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების შეგნება დიალოგის მოთხოვნილებას ბადებს.

ნაბიჯი 2 ჯგუფებში მუშაობა წყაროებზე 7-10 *(15 წუთი)*

ჯგუფებში სამუშაოდ მოსწავლეები წყაროების 7-10 დასარიგებელ მასალას იღებენ. კითხულობენ მათ და პასუხობენ კითხვებს 5-6. მოსწავლეებს შესთავაზეთ, მოკლედ ჩაიწერონ მომავალი პასუხების თეზისები. მუშაობა მთავრდება წყაროებისა და კითხვების საერთო განხილვით. მოსწავლეებს შესთავაზეთ, მკაფიოდ ჩამოაყალიბონ ცნების მნიშვნელობა: „ქალაქი, როგორ კულტურათა დიალოგისთვის კომფორტული გარემო“. სასურველია, „გონებრივი იერიშის“ მეთოდით გამოვლენილი ქალაქის ძირითადი მახასიათებლები დაფაზე ჩამოწეროთ.

ნაბიჯი 3 მუშაობა წყარო 11-ზე *(10 წუთი)*

წყვილებს დაურიგეთ წყარო 11. მოსწავლეებს სთხოვეთ, ფანქრით ან მარკერებით შემოხაზონ ღონისძიებები ქალაქ ერევნის დღის პროგრამაში

ა) საერთაშორისო დონის

ბ) ეროვნებათშორისი

გ) ეროვნული

მოსწავლეებმა უნდა უპასუხონ კითხვა 8-ს (რამდენად ეხმარება ასეთი ღონისძიებები კულტურათა დიალოგს?)

ნაბიჯი 4 მუშაობა წყაროებზე 12-28 (მეთოდი „თოვლის გუნდა“[1] 2-4-6-8 — ყველა ერთად) *(40 წუთი)*

მოსწავლეებს წყვილებში სამუშაოდ დაურიგეთ წყაროები შემდეგნაირად:
კომპლექტი 1 — წყაროები 12-17
კომპლექტი 2 — წყაროები 24-25
კომპლექტი 3 — წყაროები 26-27

დანარჩენი თითო წყარო მიეცით თითო ჯგუფს (მოსწავლეებს, რომლებსაც სწავლა უჭირთ, შეიძლება მოკლე წყაროები მისცეთ).

შესთავაზეთ, წაიკითხონ ტექსტები და უპასუხონ შემდეგ კითხვებს:

- რას ეხება ეს წყარო? რომელ ღონისძიებას, ობიექტს ან ვითარებას აღწერს იგი?
- ადგილობრივია თუ საერთაშორისო?
- რას აძლევს ეს ღონისძიება, ობიექტი ან ვითარება ქალაქელებს?
- რითაა იგი ფასეული კულტურათა დიალოგისთვის?

მონაწილეები წყაროებზე ჯერ წყვილებში მუშაობენ (დაახლოებით 10 წუთის განმავლობაში), შემდეგ ოთხეულებში ერთიანდებიან, შემდეგ რვაკაციან და უფრო მრავალრიცხოვან ჯგუფებში. ყოველ ჯერზე მოკლედ აცნობენ ჯგუფის წევრებს თავიანთი ტექსტის შინაარსს. მუშაობის დასრულებისას მასწავლებელი მონაწილეებს სთავაზობს, ხმამაღლა ჩამოთვალონ კულტურული დიალოგის ყველა მაგალითი და ჩამოწერონ ფურცელზე.

ნაბიჯი 5 შემაჯამებელი განხილვა *(15 წუთი)*

1. განვიხილოთ თქვენ მიერ ჩამოთვლილი კულტურათა დიალოგის მაგალითები ქალაქის სივრცეში. კიდევ რომელი დაწესებულებები, ადგილები და ღონისძიებები არ გვიხსენებია, რომლებიც შეიძლება იქცეს ასპარეზად კულტურათა დიალოგისთვის?
   (სავარაუდო პასუხებია: *მუზეუმი, ბიბლიოთეკა, არქიტექტურული ნაგებობები*). შეიძლება მოსწავლეებს შესთავაზოთ, მოიძიონ ასეთი მაგალითები და მათზე ცნობები მოამზადონ.
2. ზემოთ განხილული კულტურათა დიალოგის მაგალითები რა გზით შეუწყობს ხელს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის მიერ პოზიტიური გამოცდილების დაგროვებას?
3. რა უპირატესობებს ანიჭებს ქალაქის მცხოვრებლებს სხვადასხვა ხალხის ერთად ცხოვრება?
   (სავარაუდო პასუხები: *მეტს იგებენ ერთმანეთზე, კულტურაზე, კულტურის კეთილისმყოფელი გავლენა, სტერეოტიპების მსხვრევა, გამოცდილების გაზიარება, ტურისტების მოზიდვა*).
4. რა უნდა გაკეთდეს, რომ კულტურათა დიალოგისთვის ქალაქი იქცეს მშვიდ, კომფორტულ გარემოდ?

[1] იხ. ნაწილი „როგორ გავხადოთ გაკვეთილი აქტიური“.

როგორ ვიმუშაოთ სხვადასხვა სახის ისტორიულ წყაროებზე

როგორ ვიმუშაოთ ნარატიულ წყაროებზე

ნარატიული წყაროები ისტორიული მასალის ყველაზე გავრცელებული და ყველაზე ხშირად გამოყენებული სახეობაა. ისტორიული ნარატიული წყაროების მრავალგვარი კლასიფიკაცია არსებობს. მოსწავლეებისთვის განკუთვნილ მასალაში ისინი პირობითად სხვადასხვა რუბრიკას (ჟანრს) მიეკუთვნება:

ასეთი ტექსტების ისტორიულ წყაროებად გამოსაყენებლად და მათგან წარსულის შესახებ უფრო სრულყოფილი ინფორმაციის მისაღებად საჭირო თანმიმდევრობით გაეცეს პასუხი შემდეგ კითხვებს:

1. რა სახის დოკუმენტია?
   - დღიურის ჩანაწერები;
   - წერილი — პირადი თუ ოფიციალური;
   - მოგონებები;
   - საჯარო მიმართვა ან მოწოდება;
   - პოლიტიკური დოკუმენტი (ანგარიში, ოქმი, დეკლარაცია, მთავრობის დადგენილება და სხვ.);
   - დიპლომატიური განცხადება, აქტი, ნოტა;
   - ისტორიული კვლევის ფრაგმენტი.
2. ვინ არის დოკუმენტის ავტორი (კერძო თუ ოფიციალური პირი, ანონიმი)?
3. ავტორის პოლიტიკური, ეროვნული, ეთნიკური, სამსახურებრივი კუთვნილება; როგორ მოქმედებს ეს მოვლენებისადმი მის დამოკიდებულებაზე?
4. შეიცავს თუ არა დოკუმენტი ინფორმაციას, რომელიც ამტკიცებს, რომ ის ეყრდნობა პირად გამოცდილებას ან ავტორი ხსენებულ მოვლენებში მონაწილეობდა?
5. იყო თუ არა ავტორი თვითმხილველი ან მოვლენების მონაწილე?
6. შეიცავს თუ არა დოკუმენტი ფაქტებს, რომლებიც მისი დაწერის მიზეზებისა და მიზნის შესახებ დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა? ვის მისამართზეა იგი მიწერილი?
7. როდის დაიწერა წყარო? ეს წყარო მოვლენების თანადროულია თუ დაიწერა რამდენიმე დღის, კვირის, თვის თუ წლების შემდეგაც კი?
8. ავტორი უბრალოდ მოვლენის შესახებ გვატყობინებს, ინფორმაციას გვაწვდის და აღწერს იმას, რაც მოხდა თუ დოკუმენტი შეიცავს მოსაზრებებს, შეფასებებს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს?
9. ცდილობს თუ არა ავტორი მოვლენების ობიექტურად და თანმიმდევრულად აღწერას?
10. შეიცავს თუ არა დოკუმენტი მტკიცებულებებსა და ფრაზებს, რომლებიც გამოხატავს ავტორის სიმპათიასა და ანტიპათიას გარკვეული ადამიანებისადმი, ცრურწმენებსა თუ სხვა შეხედულებებს?
11. შეიცავს თუ არა დოკუმენტი ფაქტებს, რომელთა გამოც შესაძლებელია, იგი ინფორმაციის სანდო წყაროდ ჩაითვალოს?

როგორ ვიმუშაოთ ფოტოზე

ფოტო არის მნიშვნელოვანი ისტორიული წყარო, რომელსაც შეუძლია, ბევრი რამ გვიამბოს საზოგადოების ცხოვრებაზე XIX საუკუნის შუა წლებიდან მოყოლებული. ფოტოები წარსულის შესახებ იმდენივეს მოგვითხრობს, რამდენსაც სხვა ისტორიული წყაროები. ისინი არა იმდენად ნარატივის ილუსტარციას ახდენენ, არამედ ინფორმაციის მნიშვნელოვან, დამოუკიდებელ ისტორიულ წყაროდაც გველინებიან. ფოტოგრაფია, როგორ არც ერთი სხვა ვიზუალური წყარო, ქმნის ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის შთაბეჭდილებას, ამიტომ საჭიროა მისი გულასმით შესაწავლა.

ფოტოგრაფიის, როგორც ისტორიული წყაროს, ანალიზისთვის უნდა გამოვიყენოთ შემდეგი ალგორითმი:

ნაბიჯი 1 აღწერა

- რას ვხედავთ ფოტოზე?
- რა ობიექტები და ნივთებია აღბეჭდილი ფოტოზე? რომელი მათგანის ჩვენება უნდოდა ავტორს განსაკუთრებული გამომსახველობით? რატომ?
- თუ ფოტოზე არიან ადამიანები, რას აკეთებენ, რას საქმიანობენ? შესაძლებელია თუ არა, დავადგინოთ მათი ასაკი, სოციალური სტატუსი, პროფესია, ეროვნება, ფოტოზე აღბეჭდილ სხვა ადამიანებთან მათი ურთიერთდამოკიდებულება?
- შეიცავს თუ არა ფოტო რაიმე ტექსტურ ინფორმაციას (პლაკატები, რეკლამა, მინაწერი)?

ნაბიჯი 2 ინტერპრეტაცია

- აქვს თუ არა მინაწერი ფოტოს? როგორ შეესაბამება იგი ფოტოს შინაარსს?
- თუ ფოტოს გადაღების ზუსტი თარიღი უცნობია, მისი შექმნის დრო შეიძლება დაადგინოთ ტანსაცმლის დეტალების, საგნების გარეგნობის ან გარემოს მიხედვით.
- განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოთ იმას, სპეციალურად პოზირებდნენ თუ არა ფოტოზე აღბეჭდილი ადამიანები. იმაზეც კი ღირს დაფიქრება, ადვილი იყო თუ არა ამ ფოტოს შექმნა; რატომ აღმოჩნდა კამერიანი ადამიანი ზუსტად ამ მომენტში ამ ადგილას. რატომ შეარჩია ავტორმა ფოტოსთვის ზუსტად ასეთი რაკურსი?
- თუ ფოტო დადგმულია, მაშინ რა მიზნით და ვისთვის გააკეთეს ეს?
- რა მაქსიმალური ინფორმაციის მიღება შეიძლება ფოტოს დათვალიერებით? რა კითხვებზე ვერ გაძლევთ პასუხს ფოტო? რა ინფორმაცია გაკლიათ?
- როგორ შეესაბამება ფოტო ინფორმაციის სხვა წყაროებს (ტექსტებს, სტატისტიკას, კარიკატურებს და ა. შ)?
- რას მოგვითხრობს ფოტო გარკვეულ ისტორიულ მოვლენაზე, პროცესზე?

ემპათიის მეთოდით „გაცოცხლებული ფოტოგრაფია“

- შეხედეთ ფოტოს (სურათს);
- აღბეჭდილ ადამიანებს შორის ამოარჩიეთ ერთი. მის ადგილას ფოტოზე წარმოიდგინეთ თქვენი თავი, ირგვლივ „ამ ადამიანის თვალით“ მიმოიხედეთ;
- დაფიქრდით ამ ადამიანზე, ვინ არის, რა ჰქვია, რას საქმიანობს, რა მდგომარეობა უკავია და ა. შ. მოირგეთ მისი როლი და შემდეგში ილაპარაკეთ პირველ პირში;

- რა არის ირგვლივ, რას ხედავთ, გესმით, ფიქრობთ და გრძნობთ მოცემულ სიტუაციაში?
- რას მოიმოქმედებთ შემდეგ მომენტში, მომავალში?
- შემდგომი მუშაობის ვარიანტი: რა შეიტყვეთ იმ ადამიანების კულტურისა და ტრადიციების შესახებ, რომლებიც გარს გახვევიან? რისი მოყოლა შეგიძლიათ „გარშემო მყოფებისთვის“ თქვენი ხალხის კულტურისა და ტრადიციების შესახებ?

როგორ ვიმუშაოთ კარიკატურებზე

ვიზუალურ წყაროებს შორის კარიკატურას განსაკუთრებული ადგილი უკავია, რადგან არა მარტო საინტერესო, არამედ არაერთმნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს. კარიკატურის ისტორიული ღირებულება ისაა, რომ შესაძლებლობას იძლევა, წარმოდგენა შევიქმნათ ადამიანების აზრებსა და განყობებზე კონკრეტულ დროს. კარიკატურა პრობლემის არსს ლაკონურად გადმოსცემს და განაზოგადებს, მაგრამ ისტორიულ წყაროდ კარიკატურის გამოყენებისას საჭიროა განმარტება და დამატებითი ინფორმაცია.

გაკვეთილის პროცესში კარიკატურის გამოყენებისას უნდა გაითვალისწინოთ, კარიკატურისტი, პირველ რიგში, ვარაუდობს სრულ ინფორმირებულობას იმ ადამიანებისა და მოვლენების შესახებ, რომლებიც გამოსახულია კარიკატურაზე; მეორეც, შეგნებულად არაობიექტურია და ისტორიულ მოღვაწეებსა და მოვლენებზე მხოლოდ ერთ თვალსაზრისს გამოხატავს. კარიკატურის შემქმნელი მხატვარი სპეციალური მხატვრული საშუალებებით — მნახველისთვის ადვილად გამოსაცნობი სიმბოლოებისა და გარკვეული სტერეოტიპების გამოყენებით — ქმნის დადებით ან უარყოფით შთაბეჭდილებას. ამგვარად, კარიკატურის, როგორც ისტორიული წყაროს, ანალიზი უნდა წარიმართოს გარკვეული ალგორითმის მიხედვით.

ნაბიჯი 1 აღწერა

- დაადგინეთ, რა არის გამოსახული. რომელია მთავარი გამოსახულება და რომელი — ფონი?
- დაადგინეთ, ვინ არის ან ვინ არიან კარიკატურის პერსონაჟები? რისი მეშვეობით შეიძლება მათი ცნობა? თუ ეს რეალური ადამიანები არიან, დაასახელეთ მათი მდგომარეობა, რომელიც კარიკატურის შექმნის მომენტში ეკავათ.
- დაადგინეთ კარიკატურის შექმნის თარიღი. გაარკვიეთ, რომელ მოვლენას ან ამბავს ეძღვნება კარიკატურა.
- აღწერეთ, როგორ არიან გამოსახული პერსონაჟები და ობიექტები, რომელი მხატვრული ხერხების გამოყენებით (ფერი, ზომა, სახეები).

ნაბიჯი 2 ინტერპრეტაცია

- დაადგინეთ მხატვრის მიერ გამოყენებული სიმბოლოები და ახსენით მათი გამოყენების მიზანი.
- დაადგინეთ შესაძლებელი ადრესატი (ადამიანების ჯგუფი), რომლისთვისაც შეიქმნა კარიკატურა.
- დაადგინეთ ავტორის დადებითი თუ უარყოფითი დამოკიდებულება პერსონაჟისადმი, ასეთი დამოკიდებულების შესაძლო მიზეზები.

- დაადგინეთ, როგორ აფასებს და რა ინტერპრეტაციას აძლევს კარიკატურა პერსონაჟებს, მოვლენებსა და ამბებს.
- დაადგინეთ, რა იდეებისა და პოლიტიკური შეხედულებების მომხრეა თავად კარიკატურის ავტორი და როგორ მჟღავნდება ეს გამოსახულებაში.
- ივარაუდეთ კარიკატურის შექმნის და საჯაროდ გავრცელების მიზანი.
- კარიკატურაში წარმოდგენილი ადამიანები, მოვლენები დ ამბები შეადარეთ არსებულ ცოდნას და განსაზღვრეთ, როგორ შეესაბამება ეს ინფორმაციები ერთმანეთს.
- დაადგინეთ, რა ინფორმაციას იძლევა მოცემული ისტორიული წყარო საზოგადოებაზე ან მოვლენებსა და პროცესებზე, როგორ შეესაბამება ეს ინფორმაცია სხვა ისტიორიულ წყაროებს და არსებულ ცოდნას. გაარკვიეთ, რას გაძლევთ ახალს მოცემული გამოსახულება წარსულის გაგებისთვის.

როგორ ვიმუშაოთ პლაკატზე

ისტორიული წყაროების განსაკუთრებული სახეობაა პალაკატი. იგი არსებობს სარეკლამო, სააგიტაციო და პოლიტიკური. პლაკატის, როგორც ჟანრის, მთავარი თავისებურება ისაა, რომ არ მარტო ინფორმაციას გადმოსცემს, არამედ გარკვეული ქმედებებისკენ მოუწოდებს. ამიტომ პლაკატები, როგორც წესი, არის მკვეთღი ფერებით შესრულებული, საინტერესო, შეიცავს ადვილად საცნობ პერსონაჟებს, ობიექტებსა და სიმბოლოებს. მაგრამ პლაკატები, ისევე როგორც კარიკატურები, აშკარად ტენდენციურ გამოსახულებებს შეიცავს, რაც პოლიტიკურ პროპაგანდაში ხშირად გამოიყენება. ისინი მოწოდებულნი არიან, ზემოქმედება იქონიონ არა მხოლოდ ცნობიერებაზე, არამედ მნახველების ქვეცნობიერზეც. პლაკატზე მუშაობისას აუცილებელია დაკვირვება როგორც გამოსახულებაზე, ისე მის ინტერპრეტაციაზე შემდეგი ალგორითმის გამოყენებით:

1. დაასახელეთ და დაათარიღეთ მოვლენა, რომელსაც პლაკატი ეძღვნება..
2. გააანალიზეთ გამოსახული პერსონაჟები და პლაკატის სიმბოლიკა, შეეცადეთ უპასუხოთ შემდეგ კითხვებს:
   - რომელი ფიგურა, ობიექტია გამოსახული წინა პლანზე და რომელი უკანაზე?
   - რომელი ფიგურები და ობიექტებია მსხვილად წარმოდგენილი და რომელი — პირიქით? რატომ?
   - რა ფერებია გამოყენებული და რატომ გააკეთა ავტორმა ასეთი არჩევანი?
   - რა სიმბოლოები და სახეებია გამოყენებული და რატომ?
3. გააანალიზეთ პლაკატის ტექსტური ინფორმაცია, შეადარეთ მინაწერი და გამოსახულების შინაარსი.
4. დაადგინეთ გზავნილი, რომელსაც შეიცავს მოცემული პლაკატი.
5. დაადგინეთ, ვისი პოლიტიკური შეკვეთითა და რომელი აუდიტორიისთვის შეიქმნა იგი.
6. დაადგინეთ, რა ინფორმაციას შეიცავს მოცემული ისტორიული წყარო საზოგადოების ან კონკრეტული მოვლენის, პროცესის შესახებ; როგორ შეესაბამება ეს ინფორმაცია სხვა ისტორიულ წყაროებს და არსებულ ცოდნას. გაარკვიეთ, რას გაძლევთ ახალს მოცემული პლაკატი წარსულის გასაგებად.

როგორ ვიმუშაოთ სტატისტიკაზე

ციფრების შემცველ მასალებს ეწოდება სტატისტიკა. სტატისტიკა ძალინა ღირებული წყაროა, რომელსაც შეუძლია, ინფორმაცია მოგვცეს ამა თუ იმ მოვლენისა და პროცესის პერიოდულობასა და ხანგრძლივობაზე, ასევე შეიცავს გარკვეულ რაოდენობრივ მახასიათებლებს; ყურადღებას ამახვილებს ტემპზე, განვითარების ციკლურობაზე და ა. შ. სტატისტიკის მეშვეობით შეიძლება სოციალურ ცხოვრებაში ერთდროულად მიმდინარე უამრავი მოვლენის დანახვა, შესაძლებელია თვალი გავადევნოთ ცვლილების დინამიკას ეკონომიკის მდგომარეობაში, სოციალურ სტრუქტურაში, ცხოვრების დონეში, პოლიტიკური ცხოვრების პრიორიტეტებში და ა.შ. სტატისტიკა შესაძლებლობას იძლევა, დავადგინოთ საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითადი ტენდენციები ერთ რომელიმე ქვეყანაში მოცემულ დროს და ეს მონაცემები სხვა პერიოდების ან სხვა ქვეყნების ანალოგიურ პროცესებს შევადაროთ.

თუმცა უნდა გახსოვდეთ, რომ სტატისტიკურმა მონაცემებმა, ისევე როგორც ნებისმიერმა სხვა წყარომ, შეიძლება მოგცეთ არასრული, ცალმხრივი და გაყალბებული ინფორმაციაც კი. ამიტომ სტატისტიკის ციფრები უნდა განიხილოთ სხვა ისტორიულ წყაროებთან ერთად და ყურადღება მიაქციოთ მონაცემების სანდოობას. ასევე მნიშვნელოვანია, გაითვალისწინოთ, ვინ, როდის და სად შეაგროვა და წარმოადგინა ეს ინფორმაცია, რა მიზანი ჰქონდა ციფრული მონაცემების შეგროვებას და რომელი წყაროები იქნა ამისთვის გამოყენებული. სტატისტიკურ მონაცემებს შეიძლება შეიცავდეს ტექსტი ან მოცემული იყოს სპეციალურად შექმნილი გრაფიკული ინფორმაციის სახით, როგორც, მაგალითად, წრიული და სვეტებიანი დიაგრამები, გრაფიკები, ცხრილები.

წრიული დიაგრამა აჩვენებს გასაანალიზებელი მოვლენის სტრუქტურას. დიაგრამის ნაწილების შეფარდებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დასკვნების გაკეთება მთლიანად მოვლენაზე.

გრაფიკები და სვეტებიანი დიაგრამა ასახავს პროცესს, ცვლილებებსა და დინამიკას, შესაძლებლობას გვაძლევს, დავინახოთ ტენდენცია.

ცხრილების მეშვეობით შესაძლებელია პარამეტრების ერთმანეთთან შედარება. შედარების შედეგების ანალიზი დასკვნებისა და განზოგადების შესაძლებლობას იძლევა. ცხრილებზე მუშაობისას მნიშვნელოვანია, ყურადღება მიაქციოთ იმას, რა პარამეტრებით ხდება მონაცემების შედარება ცხრილში; რატომაა შერჩეული სწორედ ეს მონაცემები და რას ასახავენ ისინი; შეიძლება თუ არა ამ განსხვავებების მიზეზის დადგენა და რას მოწმობენ ისინი.

როგორ ვიმუშაოთ რეკლამაზე

რეკლამას ყოველდღე ვაწყდებით. უნდა გვახსოვდეს, რომ რეკლამა გამოიყენება მყიდველის, მომხმარებლის, მნახველის ყურადღების მიქცევის საშუალებად და საქონლის, სანახაობის, მომსახურების პოპულარიზაციისთვის. რეკლამიდან ბევრი რამის შეტყობა შეიძლება საზოგადოების ცხოვრებისა და იმ დროის შესახებ, როდესაც ის შეიქმნა, წარმოების დარგებზე, მოდაზე, ადამიანის გემოვნებაზე და ადამიანებს შორის ურთიერთობებზეც კი. რეკლამის ანალიზისას საჭიროა პასუხი გაეცეს შემდეგ კითხვებს:

1. რა საქონელსა და მომსახურებას სთავაზობს რეკლამა?

2. ვინ აწარმოებს საქონელს და სთავაზობს მომსახურებას? სად მდებარეობს ეს საწარმო?

3. რომელ დროს ეკუთვნის ეს რეკლამა? რის საფუძველზე შეიძლება ამის დადგენა?

4. მოსახლეობის რომელ კატეგორიას ეკუთვნიან შეთავაზებული საქონლისა და მომსახურების პოტენციური მომხმარებლები? რაგორ დავადგინოთ ეს?

5. რა წარმოდგენებს აყალიბებს და რა სტერეოტიპებზეა აგებული მოცემული რეკლამა?

6. რა ინფორმაციის მიღება შეიძლება რეკლამიდან? რაშია მისი „ისტორიულობა“? რეკლამის რომელი ელემენტები (მხატვრული, საინფორმაციო) იძლევა ასეთი დასკვნების შესაძლებლობას? რამდენად ემთხვევა ასეთი დასკვნები სხვა წყაროების ინფორმაციას?

როგორ ვიმუშაოთ მხატვრულ ნაწარმოებზე

წარსულის შესწავლისას ბატალური სცენების გამოსახულებები, ჟანრული მხატვრობა, პორტრეტები და მრავალი სხვა სურათი ფასეული ისტორიული წყაროებია. მხატვრული ნაწარმოების, როგორ ისტორული წყაროს, ანალიზი უმეტესად ემთხვევა პლაკატის ანალიზის ალგორითმს. თუმცა ნახატი ყოველთვის არ არის სუფთა პროპაგანდისტული გამოსახულება, არამედ არის მხატვრის ესთეტიკური პასუხი ამა თუ იმ პრობლემაზე, რომელიც საზოგადოებას აღელვებს. მხატვრული ნაწარმოების ანალიზისას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ფერის სიმბოლიკას, ტილოზე ფიგურებისა და ობიექტების განლაგებას, გამოსახულების დამაჯერებლობისთვის ისტორიული დეტალების გამოყენებას.

როგორ გავხადოთ სწავლება აქტიური

(კლასში დამხმარე მასალაზე მუშაობის ზოგადი მეთოდური რეკომენდაციები)

მეთოდი „მიკროფონი“

მეთოდი „მიკროფონი“ მოსწავლეებს საშუალებას მისცემს, ილაპარაკონ სწრაფად, რიგრიგობით, კითხვებზე პასუხის გაცემისას გამოთქვან საკუთარი აზრი ან პოზიცია. მოცემული მეთოდი კარგია მეცადინეობის დასაწყებად, როცა საჭიროა მონაწილეთა წარდგენა, მათი მოლოდინების შეგროვება, იმის გაეკვეთა, რამდენად ესმის აუდიტირიას მეცადინეობის თემა. მაგალითად, მეცადინეობის დასაწყისში მასწავლებელმა მონაწილეებს შეიძლება შესათავაზოს, ერთი წინადადებით ჩამოაყალიბონ: „რა არის კულტურის განათლება?“ აღნიშნული მეთოდი გაკვეთილის დასასრულს მუშობის შედეგების „შეგროვების“ საშუალებას იძლევა. მაგალითად, ყოველი მოსწავლე გაკვეთილის პროცესში თავის მონაწილეობას შეაჯამებს თითო წინადადებით: „ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო...“

მუშაობის თანმიმდევრობა:

- მასწავლებელი მოსწავლეებს მიმართავს: „წარმოიდგინეთ, რომ მიკროფონი გიჭირავთ და მოკლედ უნდა ჩამოაყალიბოთ საკუთარი მოსაზრება, რა არის კულტურის განათლება“.
- მასწავლებელს შეუძლია საუბარი ან თავად დაიწყოს, ან ნებისმიერ მსურველს შესთავაზოს.
- საუბარობს მხოლოდ ის, ვისაც ხელში „წარმოსახვითი მიკროფონი“ უჭირავს. გამოთქმულ მოსაზრებებს არც კომენტარებს ურთავენ და არც შეაფასებენ.
- გაკვეთილი მთავრდება, როდესაც ყველა მოსწავლე თავის მოსაზრებას „მიკროფონთან“ გამოთქვამს.
- შეგროვებული მოსაზრებები მასწავლებელს საშუალებას აძლევს, სასწავლო მიზნების მისაღწევად გაკვეთილი ოპტიმალურად დაგეგმოს.

მეთოდი „გონებრივი იერიში“

ეს არის ეფექტური მეთოდი შემოქმედებითი აქტივობისა და ბევრი იდეის სწრაფად მოფიქრების წასახალისებლად. იგი მოსწავლეებს ეხმარება, განავითარონ წარმოსახვა და შემოქმედებითობა, გულახდილად გამოთქვან მოსაზრებები, მოიძიონ კონკრეტული პრობლემის გადაწყვეტის ვარიანტები. ამ მეთოდის გამოყენება მიზანშეწონილია კონკრეტული პრობლემების გადასაჭრელად ან რომელიმე კითხვაზე პასუხის ძიებისას.

მუშობის თანმიმდევრობა:

- მოსწავლეებს გააცანით პრობლემა, რომელიც უნდა გადაჭრან.
- მონაწილეებს შესთავაზეთ, გამოთქვან თავიანთი იდეები.
- ყველა იდეა, რიგითობის მიხედვით ჩამოწერეთ დაფაზე ან ქაღალდის ფურცელზე, შეეცადეთ, შეაგროვოთ რაც შეიძლება მეტი იდეა.
- ნუ შეეცდებით შემოთავაზებული იდეების შესწორებას. ისინი შეიძლება იყოს ნებისმიერი, ფანტასტიკურიც კი.

- მოსწავლეები წაახალისეთ ახლ-ახალი იდეებისკენ და თქვენი იდეებიც დაუმატეთ.
- არ დაუშვათ რომელიმე იდეის დაცინვა, კრიტიკა, მასხრად აგდება. სხვების მოსაზრებებს ნუ განიხილავთ და ნუ გააკრიტიკებთ.
- ასე გააგრძელეთ, სანამ მოსწავლეებს იდეები არ გამოელევათ.
- ბოლოს განიხილეთ და შეაფასეთ გამოთქმული იდეები.
- მას შემდეგ, რაც იდეებს შეაგროვებთ, დააჯგუფეთ ისინი, გააანალიზეთ და შეავსეთ მთელი კლასის მონაწილეობით.
- შეარჩიეთ ის იდეები, რომლებიც, კლასის აზრით, დასმული პრობლემის გადაჭრაში დაეხმარებათ.

მეთოდი „დაუმთავრებელი წინადადებები“

ამ მეთოდს ხშირად „მიკროფონის“ მეთოდთან ერთად იყენებენ. მეთოდი მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს, საკუთარი იდეების ჩამოყალიბებაზე უფრო საფუძვლიანად იმუშაონ და სხვების გამოთქმულ იდეებს შეადარონ. ამ მეთოდით მუშაობა მონაწილეებს ეხმარება, გადალახონ სტერეოტიპები, თავისუფლად გამოთქვან მოსაზრებები შეთავაზებული თემის შესახებ, დახვეწონ უნარი, ილაპარაკონ მოკლედ და მხოლოდ არსებითზე. აღნიშნული მეთოდი გამოიყენება მეცადინეობის დასასრულს შემაჯამებელი აზრებისა და იდეების შესაგროვებლად.

მუშობის თანმიმდევრობა:

- მასწავლებელი განსაზღვრავს თემას, რომლის შესახებაც მოსწავლეები რიგრიგობით გამოთქვამენ მოსაზრებებს; ან მასწავლებელი წარმოსახვითი მიკროფონის გამოყენებით წარმოთქვამს დაუმთავრებელ წინადადებას, რომლის დაბოლოებასაც მოსწავლეებს სთავაზობს.
- განხილვის ყოველმა მონაწილემ თავისი გამოსვლა შეთავაზებული ფორმულით უნდა დაიწყოს. მონაწილეები მუშაობენ ღია წინადადებებით, მაგალითად: „დღევანდელ მეცადინეობაზე ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩენა იყო...“ ან „ამ ინფორმაციის საფუძველზე შეგვიძლია, დავასკვნათ...“ ან „ეს გადაწყვეტილება მიღებულია იმიტომ, რომ...“ და ა. შ.

მეთოდი „პრესი“ (PRES — Position, Reason, Example, Solution — პოზიცია, დასაბუთება, მაგალითი, დასკვნა)

„პრეს“-ის მეთოდს იმ შემთხვევებში იყენებენ, როდესაც განსახილველ პრობლემასთან დაკავშირებით საჭიროა პოზიციის ჩამოყალიბება, დასაბუთება და მკაფიოდ და მოკლედ გამოთქმა.

„პრეს“-ის მეთოდს შემდეგი სტრუქტურა და ეტაპები აქვს:

1. პოზიცია — *მიმაჩნია, რომ...*

(გამოთქვით თქვენი მოსაზრება, ახსენით, რას გულისხმობთ)

2. დასაბუთება — *... რადგან...*

(თქვენი პოზიცია არგუმენტებით გაამყარეთ)

3. მაგალითი — *... მაგალითად, ...*

(ჩამოთვალეთ თქვენი მტკიცებულებების მხარდამჭერი ფაქტები, რომლებიც თქვენს, პოზიციას გაამყარებს)

4. დასკვნა — *ამდენად, მიმაჩნია, რომ...*

(თქვენი მოსაზრებები განაზოგადეთ, გამოიტანეთ დასკვნები, შეაჯამეთ)

მაგალითად: *„**მე მიმაჩნია, რომ** ხალხის კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება ძალიან მნიშვნელოვანია, **რადგან** მოზარდი თაობის კულტურულ აღზრდას უწყობს ხელს. **მაგალითად,** ახალგაზრდები საკუთარი ხალხის კულტურული მიღწევების შესახებ სწორედ იმის წყალობით შეიტყობენ, რომ კულტურის ძეგლები შენარჩეუნებული იქნება. **ამდენად, მიმაჩნია, რომ** კულტურული მემკვიდრეობის დაცვა კულტურის განათლების განუყოფელი ნაწილია“.*

მეთოდი „მოსაზრებების სკალა“

„მოსაზრებების სკალის“ მეთოდი „აირჩიე პოზიციის“ მეთოდის ერთ-ერთი სახეობაა. მოსაზრებების შკალა მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს, სკუთარი პოზიცია და არგუმენტები უფრო მოქნილად წარმოადგინონ ინდივიდუალურად ან გარკვეულ ჯგუფში მუშაობისას. ეს არის პირადი არჩევანისა და პოზიციის დაფიქსირების ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი.

მუშობის თანმიმდევრობა:

- ჩამოაყალიბეთ კითხვა ან პრობლემა, რომლის შესახებაც მონაწილეები საკუთარ პოზიციას გამოთქვამენ. მაგალითად: „სახელმწიფო უნდა ეხმარებოდეს კულტურის სფეროს“.
- მონაწილეებს შესათავაზეთ, დაფიქრდნენ ამ მოსაზრებაზე და გადაწყვიტონ, ეთანხმებიან თუ არა მას და რატომ.
- საკლასო ოთახის ნებისმიერ თავისუფალ ადგილას (მაგალითად, დაფასთან) იატაკზე გაავლეთ ხაზი[1] — „მოსაზრებების სკალა“. მონაწილეებს საკუთარი პოზიციის განსაზღვრაში დაეხმარება სკალის თავში, შუაში და ბოლოში განთავსებული პლაკატები წარწერები: „ვეთანხმები100%-ით“, „ვეთანხმები 50%-ით, „არ ვეთანხმები — 0%“. მონაწილეებს შეუძლიათ, თავად აირჩიონ, რამდენად ეთანმებიან მოცემულ დებულებას: 85%-ით, 79%-ით, 45%-ით, 5%-ით და ა. შ.
- მონაწილეებს შესთავაზეთ, „მოსაზრებების შკალაზე“ დაიკავონ ადგილი და განიხილონ გვერდით მდგომ „მეზობელებთან“ რატომ არიან ისინი აქ?
- მონაწილეებს შესთავაზეთ, განმარტონ თავიანთი პოზიცია და ახსნან საკუთარი არჩევანი. მონაწილეებს ჰკითხეთ: „რატომ ხართ აქ?“ მოისმინეთ სხვადასხვა პოზიციის წარმომადგენლების დასაბუთებები.
- მას შემდეგ, რაც ყველა დასაბუთებას მოისმენთ, მონაწილეებს შესთავაზეთ შეიცვალონ პოზიცია; თან ახსნან, რა არგუმენტებმა შეაცვლევინა მათ პოზიცია.
- შეაჯამეთ შედეგები. მოსწავლეებს შეთავაზეთ, დასკვნები ჩამოაყალიბონ.

მეთოდი „იდეების წრე“

ეს მეთოდი ეფექტიანია საკამათო საკითხების გადაწყვეტისას და სასარგებლოა იდეების ჩამონათვალის შედგენისას. მეთოდი შესაძლებლობას იძლევა, კამათში ყველა მონაწილე ჩაერთოს. ეს მეთოდი კარგია საკითხის საერთო განხილვისას ან როდესაც მომხსენებლები მცირე ჯგუფების წარმომადგენლები არიან.

მეთოდის მიზანია საკითხის განხილვაში ყველა მონაწილის ჩაბმა. იგი საშუალებას იძლევა, თავი დააღწიოთ სიტუაციას, როდესაც ერთი ჯგუფი გამოდის და საკითხის ირგვლივ ინფორმაციას წარმოადგენს, დანარჩენი ჯგუფები კი, გამოთქმის შესაძლებლობას კარგავენ.

[1] ხაზი შეიძლება დაფაზეც ჩამოხაზოთ, მოსწავლეებს კი სთხოვოთ, მასზე საკუთარი არგუმენტირებული პოზიცია შესაბამის ადგილას დააფიქსირონ. პოზიციას ადგილი მიუჩინონ და, შესაბამისად, დაასაბუთონ.

მუშობის თანმიმდევრობა:

- მოსწავლეები იყოფიან რამდენიმე ჯგუფად — 3-4 კაცი.
- მასწავლებელი აცნობს სადისკუსიო თემას და სთავაზობს, ის თითოეულ ჯგუფში განიხილონ, შემდეგ შეადგინონ განხილვის პროცესში გაჩენილი იდეების ჩამონათვალი, *(მაგალითად: რა დადებითი და უარყოფითი შედეგები მოჰყვება ქვეყანაში მიგრანტების მოზღვავებას?* მსჯელობისას მონაწილეები ქმნიან ორ სიას — მიგრაციის „დადებითი“ და „უარყოფითი“ შედეგები).
- განხილვის დასრულების შემდეგ ყოველი ჯგუფი წარმოადგენს საკითხის მხოლოდ ერთ დადებით და ერთ უარყოფით ასპექტს.
- ჯგუფები მოსაზრებებს რიგრიგობით (წრეზე) მანამ გამოთქვამენ, სანამ პასუხებს არ ამოწურავენ. ამასთანავე, მონაწილეები თვალყურს ადევნებენ, რომ უკვე გამოთქმული იდეები აღარ გამეორდეს.
- მასწავლებელი გამოთქმულ იდეებს დაფაზე ან ქაღალდის ფურცელზე იწერს.
- შესაძლებელია შეგროვებული იდეების განხილვა, მნიშვნელოვნების მიხედვით დაწყობა, გადაწყვეტის ვარიანტების შეთავაზება და ა. შ.

მეთოდი „აირჩიე პოზიცია“

ეს მეთოდი საკამათო საკითხის განხილვისას ან მასზე დისკუსიისას დაგეხმარებათ. მეთოდი საშუალებას იძლევა, ყოველმა მონაწილემ თავისი აზრი გამოთქვას, თემის ირგვლივ განსხვავებული მოსაზრებები გამოითქვას, მონაწილემ საკუთარი პოზიცია დაასაბუთოს ან შეიცვალოს იგი, თუკი მოწინააღმდეგე მხარის არგუმენტები მისთვის დამაჯერებელი იქნება. გამოიყენეთ ორი საპირისპირო მოსაზრება, რომლებსაც ერთმნიშვნელოვანი (ზუსტი) პასუხი არ გააჩნიათ.

მიმდინარეობა

ოთახში ერთმანეთის საპირისპირო კედლებზე პლაკატები განათავსეთ. ერთ მათგანზე დაწერეთ *„ვეთანხმები“*, მეორეზე — *„არ ვეთანხმები“*, მესამეზე — *„დარწმუნებული არ ვარ“*. შესაძლებელია სხვა ვარიანტიც: პლაკატებზე დაწეროთ საპირისპირო პოზიციების გამომხატველი მოსაზრებები კონკრეტულ პრობლემასთან დაკავშირებით, მაგალითად: *„ძველი არქიტექტურა უნდა შევინარჩუნოთ“* და *„ძველი არქიტექტურა უნდა შეიცვალოს ახლით, მყარითა და კომფორტულით“...*

მუშაობის თანმიმდევრობა:

- მონაწილეებს გააცანით განსახილველი თემა ან პრობლემა, რომლის მიმართ კონკრეტული პოზიცია უნდა აირჩიოთ.
- მონაწილეებს შესთავაზეთ, დაიკავონ პოზიციები. ყოველ პლაკატთან წარმოიქმნება ჯგუფი, რომლებსაც შეთავაზებულ საკითხთან დაკავშირებით გარკვეული პოზიცია ჩამოუყალიბდათ.
- „თანამოაზრეთა“ წარმოქმნილ ჯგუფში მონაწილეები მსჯელობენ პოზიციაზე და მის გასამყარებლად არგუმენტებს აყალიბებენ. ჯგუფებს საკუთარი პოზიციების დასასაბუთებლად რამდენიმე წუთი ეძლევათ. თითოეული ჯგუფი ირჩევს სპიკერს, რომელიც ჯგუფის პოზიციას ყველა მონაწილეს გააცნობს. აზრის გამოთქმა ჯგუფის დანარჩენ წევრებსაც შეუძლიათ.
- ჯგუფები საკუთარი პოზიციების პრეზენტაციას აწყობენ.
- სხვადასხვა შეხედულების მოსმენის შემდეგ ჰკითხეთ, ხომ არ შეიცვალა ვინმემ შეხედულება და ხომ არ სურს სხვა პლაკატთან გადასვლა. თუკი ასეთი მოსწავლეები არიან, მათ უნდა სთხოვოთ, გადაწყვეტილება დაასაბუთონ.

▶ მოაწყვეთ საერთო მსჯელობა. მონაწილეებს სთხოვეთ, საკუთარი და საწინააღმდეგო მხარის ყველაზე დამაჯერებელი არგუმენტები ჩამოთვალონ.

▶ სავარჯიშოს ჩატარების დროს საჭიროა შემდეგი წესების დაცვა:

— უნდა ილაპარაკონ რიგრიგობით და ერთმანეთს არ გააწყვეტინონ. ლაპარაკობს მხოლოდ ერთი ადამიანი.

— არ ეკამათონ ერთმანეთს.

— წამოაყენონ ახალი იდეები და არ გაიმეორონ უკვე ნათქვამი.

— მონაწილეებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ, ერთი პლაკატიდან მეორესთან გადავიდნენ (პოზიცია შეიცვალონ). ისინი მზად უნდა იყვნენ, პოზიციის ცვლილების მიზეზები ახსნან.

მეთოდი „ინტერაქტიული დისკუსია“

სინამდვილეში ინტერაქტიული დისკუსია არის უკვე ნაცნობი რამდენიმე მეთოდის თანმიმდევრული გაერთიანება. ეს მეთოდები სხვადასხვა ეტაპზე გამოიყენება, რათა მონაწილეებმა პრობლემა ყოველმხრივ განიხილონ და მსჯელობაში ყველა ჩაერთოს, მომზადების დონის, მონაცემების, ხასიათის და ა. შ.

მუშაობის თანმიმდევრობა:

დისკუსია იწყება სადისკუსიო პრობლემის შერჩევით.

ყურადღება! პრობლემა და მისი დეტალები კარგად უნდა იცოდეს ყველა მონაწილემ. თუკი მასწავლებელი შეარჩევს სპეციფიკურ თემას, რომელიც მონაწილეებისთვის კარგად ცნობილი არ არის, მან უნდა მიაწოდოს მოკლე, მკაფიო ინფორმაცია ამ საკითხის ირგვლივ: აჩვენოს ფილმი, მოასმენინოს შეტყობინება. მასწავლებელს შეუძლია, მონაწილეებს მისცეს წინმსწრები დავალება: განხილვამდე მოცემულ საკითხთან დაკავშირებით რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მოიპოვონ სხვადასხვა წყაროდან. დისკუსიის დაწყებამდე მასწავლებელი უნდა დარწმუნდეს, რომ მონაწილეები ინფორმაცია გაიგეს.

თემა ისე უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რომ საწინააღმდეგო ვერსიებს (წინააღმდეგობებს) შეიცავდეს, რათა მონაწილეების კამათი გამოიწვიოს. მაგალითად, ასეთი თემა: ***„პრობლემური ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის შესანარჩუნებლად სახსრები არ გააჩნიათ, ამიტომ მისი შენარჩუნება საჭირო არ არის“.***

თემის შერჩევის შემდეგ შეიძლება დისკუსიის დაწყება, რომელიც თანმიმდევრული ნაბიჯებისგან შედგება.

ნაბიჯი 1 „მუშაობა წყვილებში“

მონაწილეები დაყავით წყვილებად და მიეცით დავალება:

— საკითხზე 2-3 წუთის განმავლობაში იმსჯელეთ წყვილებში.

— ჩაიწერეთ მოცემული მტკიცების (თემის) 2 ***მხარდამჭერი*** არგუმენტი და 2 ***უარმყოფელი*** არგუმენტი (ეს ხელს უწყობს, პრობლემისადმი განსხვავებულ მიდგომებზე დაფიქრდნენ).

ნაბიჯი 2 „აირჩიე პოზიცია“

ამისთვის ოთახის სხვადასხვა კუთხეში დაამაგრეთ წარწრები: „ვეთანხმები“, „არ ვეთანხმები“ და „დარწმუნებული არ ვარ“. მონაწილეებს სთხოვეთ, დაიკავონ პოზოცია საკუთარი შეხედულების მიხედვით. ამგვარად, შეიძლება 2-3 ჯგუფი ჩამოყალიბდეს.

დავალება ჯგუფებისთვის:

- თქვენს პოზიციაზე 3-4— წუთის განმავლობაში იმსჯელეთ თანამოაზრეთა ჯგუფში.
- ჩამოწერეთ თქვენი პოზიციის მხარდამჭერი 3 არგუმენტი.
- აირჩიეთ სპიკერი და თქვენი არგუმენტები კლასს წარუდგინეთ.
- მოისმინეთ ყველა ჯგუფის პრეზენტაცია.
- შეგიძლიათ კითხვების დასმა (თითო ჯგუფს — 1 კითხვა).
- განიხილეთ, ვისი არგუმენტები უფრო დამაჯერებელი იყო.
- ვის უნდა პოზიციის შეცვლა და სხვა ჯგუფში გადასვლა? რატომ?

ნაბიჯი 3 „როლური თამაში“

გაანაწილეთ მონაწილეები 4 ახალ ჯგუფში (ნებისმიერი ფორმით). მოამზადეთ ქაღალდის 4 ფანტი, თითოეულს დააწერეთ როლი. დასახელებული თემისთვის როლები შეიძლება იყოს შემდეგი:

1) მეცნიერები, კულტურის მოღვაწეები
2) რიგითი მოქალაქეები
3) იუნესკოს წარმომადგენლები
4) მთავრობის წარმომადგენლები (კულტურის სამინისტროს)

ყოველი ჯგუფის თითო წარმომადგენელს ამოაღებინეთ ერთი ფანტი — შეარჩიოს როლი. შეგიძლიათ უკარნახოთ, მიანიშნოთ, აღუწეროთ კიდეც, როგორი შეიძლება იყოს ეს როლები. ერთი ჯგუფის შიგნით როლები შეიძლება იყოს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი.

***დავალება ჯგუფებისთვის** (5-10 წუთი):*

- თავი წარმოიდგინეთ შერჩეულ როლში.
- მოამზადეთ თქვენი როლის მოკლე პრეზენტაცია. რა დამოკიდებულება აქვს თქვენს პერსონაჟს განსახილველი პრობლემისადმი (თემისადმი)?
- ითამაშეთ თქვენი როლი. ამისთვის ჯგუფიდან შეარჩეიეთ ერთი ან რამდენიმე მონაწილე, რომლებთან ერთადაც როლს კლასის წინაშე წარმოადგენთ.
- მოისმინეთ ყველა ჯგუფის პრეზენტაცია.
- ვისი წარმოდგენა იყო ყველაზე დამაჯერებელი?
- ვინ შეიცვალა დამოკიდებულება განსახილველი პრობლემისადმი? რატომ?

ნაბიჯი 4 „გადაწყვეტის ძიება...“

სთხოვეთ მონაწილეებს, დაბრუნდნენ ჯგუფებში, რომლებშიც იცავდნენ თავიანთ პოზიციებს: „ვეთანხმები“, „არ ვეთანხმები“ და „დარწმუნებული არ ვარ“.

დავალება ჯგუფებისთვის:

- გაგრძელეთ როლების თამაში (ახლა,ყოველ ჯგუფში წარმოდგენილია ყველა როლი), იმსჯელეთ ამ წინააღმდეგობრივი პრობლემის გადაჭრის გზებზე. განხილვა ისე წარმართეთ, რომ დაიცვათ ფასეულობები და ინტერესები, მიაღწიოთ თანხმობას — კონსენსუსს. ყოველმა ჯგუფმა პრობლემის გადაწყვეტის ერთი ვარიანტი მაინც უნდა წამოაყენოს.

- თქვენი საერთო გადაწყვეტილება კლასის წინაშე წარმოადგინეთ.
- იმსჯელეთ, ვისი წინადადებები იყო საინტერესო, რაციონალური და პერსპექტიული.

დისკუსიის დასასრულს შეიძლება მოკლედ განიხილოთ სავარჯიშოს პროცედურის თაობაზე.

ჰკითხეთ:

— რისთვის ჩავატარეთ ასეთი განხილვა?

— რა გაიგეთ ახალი? რა უნარები მიიღეთ დისკუსიის განმავლობაში და როგორ შეიძლება ამ უნარების ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენება?

— რომელი ფასეულობები და ინტერესები შეეჯახა ერთმანეთს ამ პრობლემისას?

— რას გრძნობდით დისკუსიისას?

— კმაყოფილი ხართ თუ უკმაყოფილო დისკუსიის შედეგებით? რატომ?

— შესაძლებელი იქნება თუ არა განხილული პრობლემის რეალურად გადაწყვეტა? რატომ დიახ/არა?

მეთოდი „აჟურული ქლიბი“ (მოზაიკა, „ჯიგ-სო//კო“)

ეს მეთოდი მონაწილეებს შესაძლებლობას აძლევს, ერთად იმუშაონ და შედარებით მცირე დროში საკმაოდ ბევრი ინფორმაცია შეისწავლონ. როდესაც მონაწილეები მონაცვლეობით სხვადასხვა ჯგუფში მუშაობენ, ერთმანეთს სწავლაში ეხმარებიან, ერთმანეთს ასწავლიან.

მუშაობის თანმიმდევრობა:

- მასწავლებელი აცხადებს გაკვეთილის თემას. თემა რამდენიმე ნაწილისგან შედგება, რომელთა შესწავლა აუცილებელია (მაგალითად, მე-4 — მე-5 ქვესაკითხები).
- მონაწილეები ნაწილდებიან იმდენ ჯგუფში, რამდენიც ქვესაკითხია. ვუწოდოთ ამ ჯგუფებს „საშინაო“ — 1, 2, 3, 4, 5.
- ყურადღება: მონაწილეების ჯგუფებში განაწილებაში დაგეხმარებათ ნომრები სხვადასხვა აღნიშვნებით ქაღალდის პატარა ბარათებზე, რომლებიც უნდა ***დაჭრათ და დაურიგოთ*** ყველა მონაწილეს. მაგალითად, 25 მონაწილე „საშინაო ჯგუფებში“ ნაწილდება ***ნომრების მიხედვით,*** „საექსპერტო ჯგუფებში“ კი — ბარათებზე დაწერილი ***ასოების მიხედვით*** (ასოების შეცვლა შეიძლება კვადრატებით, სამკუთხედებით, წრეებით, ვარსკვლავებით). ყოველ ჯერზე წარმოიქმნება 5-კაციანი 5 ჯგუფი.

1ა	1ბ	1გ	1დ	1ე
2ა	2ბ	2გ	2დ	2ე
3ა	3ბ	3გ	3დ	3ე
4ა	4ბ	4გ	4დ	4ე
5ა	5ბ	5გ	5დ	5ე

- მონაწილეები ჯერ მუშობენ თავიანთ ***„საშინაო“*** ჯგუფებში, აანალიზებენ და ერთ-ერთი ქვესაკითხის ინფორმაციას იმდენად ითვისებენ, რომ „საშინაო“ ჯგუფის თითოეულმა მონაწილემ შეძლოს მისი მკაფიოდ და გასაგებად ჩამოყალიბება და სხვა მონაწილეებისთვის სწავლება. სასურველია, ჯგუფში შეირჩეს ტაიმ-კიპერი (ვინც დროს ითვლის) და მონაწილე, რომელიც კითხვების მეშვეობით ამოწმებს, რომ მასალის

შინაარსი ყველას ესმის. მიზანშეწონილია, „საშინაო“ ჯგუფების მონაწილეებმა ჩაიწერონ განხილვისას წამოყენებული ძირითადი იდეები. (15 წუთი)

▶ შემდეგ მასწავლებელი მონაწილეებს სთავაზობს, ბარათზე მიწერილი ასოების შესაბამისად ***„საექსპერტო“*** ჯგუფებში გაერთიანდნენ. ამგვარად, ყოველ „საექსპერტო“ ჯგუფში ყოველი „საშინაო“ ჯგუფის თითო მონაწილე მოხვდება. ეს მონაწილეები იმ საკითხების „ექსპერტები“ არიან, რომლებზეც „საშინაო“ ჯგუფებში მუშაობდნენ.

▶ ყოველი „ექსპერტი“ ჯგუფის დანარჩენი მონაწილეების წინაშე მოკლედ აყალიბებს თავისი ქვესაკითხის დედააზრს, იძლევა განმარტებებს და მათ კითხვებზე პასუხობს. „საექსპერტო“ ჯგუფის მონაწილეები ინფორმაციას ყველა „საშინაო“ ჯგუფის მონაწილეებისგან იღებენ. ამგვარადა, ახლა ყოველმა მონაწილემ შესასწავლი თემის ყველა ქვესაკითხი იცის. (15 წუთი)

▶ გაკვეთილის ბოლო ნაწილში მონაწილეები კვლავ უბრუნდებიან თავიანთ „საშინაო“ ჯგუფებს, რათა ერთმანეთს გააცნონ ის ახალი ინფორმაცია, რომელიც „საექსპერტო“ ჯგუფებში მიიღეს. ახლა მათი ამოცანა იქნება კვლავ ინფორმაციის გაცვლა, განზოგადება და დასკვნების გამოტანა. (10 წუთი)

▶ მეცადინეობის ბოლოს იმართება მოკლე საერთო მსჯელობა და ჯამდება მეცადინეობის შედეგები. (5 წუთი)

მეთოდი „თოვლის გუნდა“ („ორი — ოთხი — რვა“)

მეთოდი გამოიყენება, როდესაც აუცილებელია, რომ მონაწილეებმა რომელიმე საკითხი განიხილონ ჯერ წყვილებში, შემდეგ ოთხეულებში, შემდეგ რვაკაციან ჯგუფებში და ა. შ. მეთოდის უპირატესობა ის არის, რომ იგი ასწავლის მოლაპარაკებების წარმართვას, არჩევანის გაკეთებას და კონსენსუსის (თანხმობის) მიღწევას.

მუშაობის თანმიმდევრობა:

▶ წაიკითხეთ ტექსტი.

▶ ტექსტის წაკითხვამდე მონაწილეებს მსჯელობისა და დისკუსიისთვის სთავაზობენ კითხვებს.

▶ მონაწილეები ტექსტს წყვილებში კითხულობენ, პასუხობენ კითხვებს და შეთანხმებულ გადაწყვეტილებას იღებენ. გააფრთხილეთ ისინი, რომ პასუხის ან გადაწყვეტილების მიღებაში წყვილებმა აუცილებლად უნდა მიაღწიონ თანხმობას (კონსენსუსს).

▶ წყვილები ოთხეულებად გააერთიანეთ და შეთავაზეთ, მათ მიერვე მიღებული გადაწყვეტილებები განიხილონ. ოთხეულების მონაწილეებმა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით საერთო გადაწყვეტილება უნდა მიიღონ.

▶ ოთხეულები უფრო დიდ ჯგუფებში გააერთიანეთ და დრო მიეცით, რომ საკითხი განიხილონ, პოზიციები შეაჯერონ და საერთო გადაწყვეტილება მიიღონ.

მინი-კვლევა

მისი მიზანია გადაწყვეტილების მიღების პროცესზე ზემოქმედებისა და მასში აქტიური მონაწილეობის პრაქტიკული შესწავლა.

შევარჩიოთ კვლევის თემა, მაგალითად: ***„კულტურულ-ისტორიული ძეგლის მდგომარეობა“.***

ნაბიჯი 1 შეაფასეთ კულტურულ-ისტორიული ძეგლის მდგომარეობა შემდეგი სქემით:

- კულტურულ-ისტორიული ძეგლის მდგომარეობა წარსულში და აწმყოში;
- მისი ისტორიული და მხატვრული ღირებულება;
- ამ ძეგლში მულტიკულტურალიზმის ნიშნები წარსულსა და აწმყოში.
- ფაქტორები, რომლებმაც ამ ნაგებობის ნგრევა გამოიწვია და მისი დანიშნულების ცვლილებაზე იქნონია გავლენა.

ნაბიჯი 2 ჯგუფებში გააანალიზეთ რაიონი, ქუჩა, რომელზეც ცხოვრობთ, და დაადგინეთ, რომელი კულტურულ-ისტორიული ობიექტებია მასზე განლაგებული.

- შეადგინეთ ამ კულტურული და ისტორიული ობიექტების ჩამონათვალი.
- ამოარჩიეთ კვლევის ობიექტი და განსაზღვრეთ მისი მდგომარეობა.
- შეადგინეთ მისი დაცვისთვის/შენარჩუნებისთვის საჭირო ქმედებების ალგორითმი.

ნაბიჯი 3 ჯგუფებში შეადგინეთ კითხვარი. თქვენ მიერ შერჩეული ძეგლის მდგომარეობასთან და მის შესაძლებელ დაცვასთან დაკავშირებით ჩაატარეთ საზოგადოების წარმომადგენლების გამოკითხვა — ახალგაზრდების, საშუალო ასაკის ადამიანების, პენსიონერების და ა. შ.

ნაბიჯი 4 შერჩეული ობიექტის შესახებ მოამზადეთ პრეზენტაცია და გამოფინეთ კლასში, სკოლაში, თქვენი დასახლებული პუნქტის საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას — მოედანზე, მუზეუმში, ადგილობრივ საკრებულოში და ა. შ.

ნაბიჯი 5 ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვის საკითხებზე მოაწყვეთ შეხვედრა სპეციალისტებთან. მოამზადეთ გეგმა-პროექტი და ძეგლის რეკონსტრუქციის აუცილებლობის დასაბუთება. მასში გაითვალისწინეთ ძეგლის შესაძლებელი ფუნქციური და სიმბოლური გამოყენება, რაც ადგილობრივი საზოგადოებრიობისთვის მნიშვნელოვანია.

ნაბიჯი 6 ადგილობრივი თვითმმართველობის/ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებს მიმართეთ წერილით, რომლითაც ძეგლის მდგომარეობის შესახებ შეატყობინებთ და ჩამოაყალიბებთ ამ ძეგლის შენარჩუნების თქვენეულ ხედვას.

ნაბიჯი 7 ადგილობრივ გაზეთში დაწერეთ წერილი ამ თემაზე.

მეთოდი „ვენნის დიაგრამა“

ეს მეთოდი შესაძლებლობას იძლევა, ანალიზი და სინთეზი ჩატარდეს ორი ან მეტი ასპექტის განხილვისას, რომელთაც საერთო და განსხვავებული ნიშნები აქვთ. დიაგრამა იგება ორი და მეტი ურთიერთგადამკვეთი წრეებით. დიაგრამის გადამკვეთი ნაწილები მოიცავს შესადარებელი ცნებებისა და მოვლენების საერთო ნიშნებს, არაგადამკვეთი ნაწილები კი მოიცავს განსხვავებული ნიშნების ჩამონათვალს.

მუშაობის თანმიმდევრობა:

- მონაწილეები მუშაობენ წყვილებში ან მცირე ჯგუფებში.
- თითოეული ჯგუფი იღებს დავალებას, შეადგინოს ერთი ობიექტის მახასიათებლების, ცნებებისა და მოვლენების ჩამონათვალი.
- ყველა ჯგუფი ერთად მუშაობს. ყოველი ჯგუფი მახასიათებლების თავის ჩამონათვალს წამოადგენს. მოსწავლეები განსაზღვრავენ, რა აქვთ საერთო შესადარებელ ობიექტებს ან მოვლენებს.
- მონაწილეები ავსებენ დიაგრამის ნაწილებს.

მაგალითად: კულტურის აღზრდისას „ვენის დიაგრამის“ მეთოდი შესაძლებლობას იძლევა, ერთმანეთს შეცადაროთ სხვადასხვა ხალხის კულტურების მსგავსებები და განსხვავებები.

მეთოდი „წერითი დისკუსია“ (ვარიანტი 1)

ამ მეთოდის გამოყენება შეიძლება ისეთი პრობლემის ანალიზისას, რომელიც რამდენიმე მონათესავე საკითხს შეიცავს. ასეთი საკითხების გაშლა ხდება რამდენიმე ჯგუფის მოსაზრებების შეკრების შედეგად.

მუშაობის თანმიმდევრობა:

- ჩამოაყალიბეთ პრობლემა, მაგალითად *„განათლება სუსტად ფინანსდება“.*
- ჩამოაყალიბეთ და დიდ ფურცლებზე ჩამოწერეთ რამდენიმე კითხვა, მაგალითად:

1. რატომ არ გამოყოფს სახელმიფო ორგანოები საკმარის სახსრებს?
2. რატომ არ გამოყოფენ კერძო პირები სახსრებს განათლებაზე?
3. როგორ უნდა დააინტერესო სპონსორები განათლებით?
4. სახსრების მოძიების პროცესი წარმატებული იქნება, თუკი...

- ფურცლები დაამაგრეთ საკლასო ოთახის სხვადასხვა კუთხეში.
- მონაწილეების ყველა ჯგუფს ფერადი მარკერები დაურიგეთ, თითო ჯგუფს — თითო ფერის.
- მონაწილეები ჯგუფებად მიდიან კითხვებიან ფურცლებთან, მსჯელობენ და თავიანთ პასუხებს ჩამოწერენ. ამის შემდეგ გადადიან მომდევნო ფურცელთან.

- თუ ჯგუფი ეთანხმება წინა მოსაზრებებს, ასეთ ჩანაწერებთან პლუსებს წერს, შემდეგ კი თავის მოსაზრებებს მიუწერს.
- სამუშაო წყდება, როდესაც თითოეული ჯგუფი ყველა ფურცელთან იმუშავებს.
- ყოველი ჯგუფი მსჯელობს, ამუშავებს და წარადგენს იმ ფურცლებზე ჩამოწერილ ინფორმაციას, რომელთანაც უკანასკნელად იმყოფებოდა.
- ამგვარად, კლასში წარმოადგენენ მთელი პრობლემის ანალიზს და მისი გადაწყვეტის გზებს.

მეთოდი „წერითი დისკუსია“ (ვარიანტი 2) „მდუმარე დისკუსია“

მეცადინეობის დასაწყისში მასწავლებელი გამოფენს სამ ფურცელს. ყოველ მათგანზე მკაფიოდაა ჩამოყალიბებული განსახილველი პრობლემისადმი დამოკიდებულება. შემდეგ მასწავლებელი მონაწილეებს აცნობს დისკუსიის თემას, პოზიციებსა და განხილვის წარმართვის მექანიზმს. მათ შესაძლებლობას აძლევს, კითხვების მეშვეობით დააზუსტონ დისკუსიის ორგანიზებისა და წარმართვის საკითხები.

მეცადინეობის თემის განხილვა ასე მიმდინარეობს:

- მოსწავლეები სამივე ფურცელთან ცალცალკე უნდა მივიდნენ, მათ შინაარსს გაეცნონ და გაიაზრონ იგი.
- მონაწილე, რომელიც მზადაა, ერთ-ერთ ფურცელზე დააფიქსიროს მხარდაჭერის თუ უარყოფის თეზისი ან არგუმენტი, იღებს ფლომასტერს, წერს საკუთარ სახელს, ორწერტილს და თავის თეზისს ან არგუმენტს; შემდეგ გადადის მომდევნო ფურცელთან, რათა გამოხატოს თავისი მოსაზრება და იქ ჩამოწეროს თეზისები.
- დისკუსიის პროცესში მონაწილეები უკვე ჩაწერილ თეზისებსა და არგუმენტებს ეცნობიან. მათ ასევე შეუძლიათ, უკვე დაწერილი მოსაზრებებისადმი თავიანთი დამოკიდებულება წერილობით გამოხატონ: მონაწილე წერს თავის სახელს, შემდეგ ისრით მიუთითებს ადრე ჩაწერილი თეზისის ავტორს. ასეთი ჩანაწერი ჩამოთვლილ თეზისებსა და არგუმენტებს შორის კავშირს ყველა მოსწავლეს დაანახვებს, საშუალებას მისცემს, არ გასცდეს ლოგიკისა და სადისკუსიო თემის ფარგლებს.
- მდუმარე დისკუსია გრძელდება 30 წუთის განმავლობაში.
- დისკუსიის დასრულების შემდეგ მასწავლებელი, მოსწავლეებთან ერთად, შედეგებს შეაჯამებს.

ყურადღება:

- ყველა მოსწავლემ ფურცელზე მკაფიოდ ჩამოყალიბებულ აზრი უნდა დაწეროს.
- მოსწავლეები ერთმანეთთან არ საუბრობენ. განხილვის პროცესი მიმდინარეობს წერითი ფორმით.

მეთოდი „წრეზე დატრიალებული ქაღალდის ფურცელი“

ეს მეთოდი გამოიყენება პრობლების გადაჭრის შესახებ მაქსილალურად ბევრი ინფორმაციისა და იდეის შესაგროვებლად. ეს არის „წერითი დისკუსიის“ მეთოდის ერთ-ერთი ვარიანტი. მათ შორის განსხვავება ის არის, რომ მონაწილეები ერთი ფურცლიდან მეორესთან კი არ გადადიან, არამედ ერთმანეთს ფურცლებს უცვლიან.

პროექტის „საერთო ისტორია. კულტურათა დიალოგი“ მონაწილეები

ვაგიფ აბასოვი (ავტორი) — ქ. ბაქოს №87 საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი. მონაწილეობდა პროექტის სემინარებსა და ტრენინგებში, ასევე სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციასა და ტრენინგში.

არზუ აბასოვა (მოგვაწოდა მასალები) — ქ. ბაქოს დ. ჯახანგიროვის სახელობის №4 სკოლის ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებელი.



ქარიმ აბიდი (ეროვნული კოორდინატორი) — ქ. ბაქოს №31 სკოლის დირექტორი. რამდენიმე კვლევითი პროექტის მონაწილე, აზერბაიჯანის ისტორიის მასწავლებლების საზოგადოებრივი გაერთიანების თავმჯდომარე. მუშაობდა ისტორიის მასწავლებლად როგორც საშუალო და უმაღლეს სკოლებში, ასევე, მოზრდილების განათლების სფეროში.

გულნარა აბიდი (ავტორი) — აზერბაიჯანის ისტორიის მასწავლებლების საზოგადოებრივი გაერთიანების მმართველობის წევრი და თავმჯდომარის მოადგილე; სწავლების მეთოდიკის მასწავლებელი ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტში; ისტორიის მასწავლებელი №16 სკოლასა და ტექნიკურ-ჰუმანიტარულ ლიცეუმში; სტატიების ავტორი.



ფუად აგაევი (ეროვნული რედაქტორი, ავტორი, თანაავტორი) — აზერბაიჯანის ისტორიის ეროვნული მუზეუმის თანამშრომელი; ამჟამად „აზერბაიჯანის ისტორიის ექსპოზიციის“ განყოფილების უმცროსი მეცნიერ-მუშაკი. მუშაობს რელიგიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის, ეთნიკური და სამხედრო ისტორიის საკითხებზე.

აიდინ ასლანოვი (ავტორი) — ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი; პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ბაქოს ინსტიტუტის სოციალურ მეცნიერებათა კათედრის გამგე; აზერბაიჯანის ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელოს ავტორი; 45-ზე მეტი სამეცნიერო სტატიისა და ისტორიის სწავლების მეთოდიკის 10 დამხმარე სახელმძღვანელოს ავტორი.

კარენ ბაირამიანი (ავტორი) — სომხეთის კულტურის სამინისტროს ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვის სააგენტოს განყოფილების გამგე; 2001-2014 წლებში ქ. ერევნის რამდენიმე სკოლის ისტორიის მასწავლებელი; სომხეთის რესპუბლიკის ეროვნული აკადემიის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ისტიტუტის ასპირანტი.



ვერა ბალანი (ავტორი) — ქ. იალოვენის (მოლდოვა) თეორიული ლიცეუმის „პეტრე სტაფანუცა“ დირექტორი, ისტორიისა და სამოქალაქო სამართლის მასწავლებელი; დაწყებითი და საგიმნაზიო განათლების მოდერნიზებული პროგრამის განხორციელების მეთოდური სახელმძღვანელოს და ისტორიაში სამუშაო რვეულების თანაავტორი; მოლდოვას ახალგაზრდა ისტორიკოსების ასოციაციის (ANTIM) წევრი.

ელისაბედ ბუცხრიკიძე (ავტორი) — ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის მიმართულების დოქტორანტი; ისტორიისა და საზოგადოებრივ დისციპლინათა მასწავლებელი თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში; საქართველოს ისტორიის მასწავლებლების ასოციაციის (GAHE) აქტიური წევრი.



მხითარ გაბრიელიანი (ეროვნული კოორდინატორი, ავტორი) — ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი; 9 მონოგრაფიისა და 50-ზე მეტი სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი სოციალურ-კულტურული ტარნსფორმაციის, სამხრეთ კავკასიაში კონფლიქტების, ანთროპოლოგიის, იდენტობისა და ნაციონალიზმის პრობლემებზე.

ნატალია გოლოსოვა (ავტორი) — ლვოვის №38 სკოლის ისტორიის მასწავლებელი, პედაგოგების, ადმინისტრატორების, სტუდენტებისა და მოსწავლეებისთვის საერთოუკრაინული და საერთაშორისო სემინარების ტრენერი; საშუალო სკოლის სამოქალაქო აღზრდის დამხმარე სახელმძღვანელოების თანაავტორი.

აისელ გოჯაევა (პროექტის მენეჯერი) — EUROCLIO-ს თანამშრომელი, პასუხს აგებდა პროექტის „საერთო ისტორია. კულტურათა დიალოგი“ მართვაზე; პროფესიულად მონაწილეობს EUROCLIO-ს საერთაშორისო ტრენინგებისა და ეროვნებათშორისი პროექტების ორგანიზებაში.



ლუდმილა გურსკაია (ავტორი) — ისტორიისა და სამოქალაქო აღზრდის უმაღლესი კატეგორიის მასწავლებელი ქ. გლოდენის (მოლდოვა) ლ. ტოლსტოის სახელობის თეორიულ ლიცეუმში; 10 წელზე მეტია აქტიურად თანამშრომლობს ANTIM-თან; არის ნაშრომების ავტორი ისტორიისა და სამოქალაქო აღზრდის სწავლებაში ინტერქტიური ტექნოლოგიის დანერგვის სფეროში; მოლდოვას რესპუბლიკის „წლის მასწავლებლის“ პირველი კონკურსის ლაურეატი.

პოლინა ვერბიცკაია (ეროვნული კოორდინატორი, ავტორი) — პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, „ლვოვის პოლიტექნიკის“ ეროვნული უნივერსიტეტის ისტორიის კათედრის პროფესორი, ისტორიისა და საზოგადოებრივ დისციპლინათა მასწავლებლების საერთოუკრაინული ასოციაციის „ნოვა დობა“ აღმასრულებელი დირექტორი, EUROCLIO-ს ელჩი, 100-ზე მეტი სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი.

ვერა ვრაბიე (ავტორი) — ისტორიის, კულტურის ისტორიისა და სამოქალაქო აღზრდის მასწავლებელი; მოლდოვას ახალგაზრდა ისტორიკოსთა ასოციაციის (ANTIM) წევრი; ისტორიაში, სამოქალაქო აღზრდასა და ამ საგნების სწავლების მეთოდიკაში პუბლიკაციების ავტორი და თანაავტორი.

ანჟელა ზიამა (ავტორი) – ისტორიისა და სამოქალაქო აღზრდის მასწავლებელი ქ. სოროკის (მოლდოვა) „კ. სტერეს“ თეორიულ ლიცეუმში; მოლდოვას ახალგაზრდა ისტორიკოსთა ასოციაციის (ANTIM) წევრი; არის სტატიების ვტორი, რომლებშიც მხარს უჭერს ისტორიის სწავლების თანამედროვე ინტერაქტიულ მეთოდებს.

სამირა ისკენდეროვა (ავტორი) — ისტორიის მასწავლებელი ქ. ბაქოს №102 სკოლაში; ქ. ბაქოს ბინაგადინის რაიონის შტატგარეშე მეთოდისტი; 2012 წელს II ადგილი დაიკავა კონკურსზე „საუკეთესო ღია გაკვეთილი“; 2013 წელს დაჯილდოვდა საპატიო სიგელით ჰეიდარ ალიევის მემკვიდრეობის შესწავლისთვის.

ლელა კაკაშვილი (ავტორი) — ისტორიის, სამოქალაქო აღზრდისა და ხელოვნების მასწავლებელი ქ. გორის №8 სკოლაში; ისტორიის მასწავლელების ასოციაციის შიდა ქართლის რეგიონის თავმჯდომარე; აქტიურად იყენებს და პროპაგანდას უწევს სწავლების ინტერაქტიურ მეთოდებს.

ვარვარა კიპერი (ავტორი) — ისტორიისა და სამოქალაქო აღზრდის მასწავლებელი ქ. ორეხის (მოლდოვა) „ო. გიბუს“ თეორიულ ლიცეუმში; მონაწილეობს ადგილობრივი ისტორიის, კულტურის ფასეულობითი საფუძვლების, სამოქალაქო საზოგადოებისა და ისტორიის შემსწავლელ პროექტებში.

ოლგა კოვალევსკაია (ავტორი) — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის უკრაინის ისტორიის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-მუშაკი; 170-ზე მეტი სამეცნიერო-პოპულარული, სასწავლო-მეთოდური და პუბლიცისტური ნაშრომის ავტორი; ძირითადი სამეცნიერო ინტერესები უკავშირდება უკრაინის ისტორიას, ისტორიოგრაფიასა და სპეციალურ ისტორიულ დისციპლინებს; აქვს პედაგოგიური მუშაობის 20-წლიანი გამოცდილება.

ალექსანდრა კოზოროგი (ნაციონალური რედაქტორი, ავტორი, თანაავტორი) — ისტორიისა და საზოგადოებრივი დისციპლინების უმაღლესი კატეგორიის მასწავლებელი, მეთოდისტი, ტრენერი; ისტორიისა და საზოგადოებრივ დისციპლინათა საერთოუკრაინული ასოციაცია „ნოვა დობას“ წევრი. სასწავლო-მეთოდური მასალის თანაავტორი ისტორიისა და სამოქალაქო აღზრდის სფეროში.

ირინა კოსტიუკი (რედაქტორი, გამომშვები რედაქტორი) — დიპლომის შემდეგომი პედაგოგიური განათლების ლვოვის საოლქო ინსტიტუტის თანამშრომელი, მასწავლებელი; რამდენიმე სახელმძღვანელოს თანაავტორი და რედაქტორი; ისტორიაში ეროვნული სტანდარტისა და სასწავლო პროგრამების თანაავტორი; მრავალი სტატიის ავტორი ისტორიის სწავლების მეთოდიკაში; საერთაშორისო პროექტების ტრენერი და კოორდინატორი.

იულია კუშნერიოვა (მთავარი რედაქტორი) — ისტორიის მასწავლებელი ქ. მოსკოვის №1567 გიმნაზიაში; რეგიონთაშორისი საზოგადოებრივი ასოციაცია „ისტორიის მასწავლებლების გაერთიანების“ მმართველობის თავმჯდომარე; სასწავლო დამხმარე მასალების, სასკოლო ციფრული საგანმანათლებლო რესურსისა და პუბლიკაციების ავტორი ისტორიის სწავლების პრობლემებზე; მთელი რიგი საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტების ექსპერტი, ავტორი და ტრენერი.

ძინტრა ლიეპინია (რედაქტორი) — ისტორიისა და პოლიტოლოგიის მასწავლებელი, ისტორიის მასწავლებლების ლატვიის ასოციაციის წევრი; ავტორი ისტორიის სწავლების საკითხზე პუბლიკაციისა და რამდენიმე სახელმძღვანელოსი მასწავლებლისთვის; პროექტების კოორდინატორი ისტორიის სწავლებაში თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების დანერგვაში; ადგილობრივი კოორდინატორი; EUROCLIO-ს პროექტების ექსპერტი და რედაქტორი.

ბესიკ ლორთქიფანიძე (ეროვნული რედაქტორი, ავტორი) — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ისტორიის მასწავლებელთა საქართველოს ასოციაციის (GAHE) თანადამაარსებელი; 50-ზე მეტი პუბლიკაციის, მათ შორის — ისტორიაში სამეცნიერო ნაშრომების, ეროვნული სასწავლო პროგრამის, სახელმძღვანელოებისა და მეთოდური დამხმარე საელმძღვანელოების ავტორი და თანაავტორი.

თემურ ლუკინი (ეროვნული კოორდინატორი) — მოლდოვას სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების, პოლიტიკური და ადმინისტრაციული დისციპლინების ფაკულტეტის სტუდენტი; საერთაშორისო სკოლებისა და კონფერენციების მონაწილე; ძირითადი სამეცნიერო ინტერესები: საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია.

ლუდმილა მალესი (ავტორი) — სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, მასწავლებელი. 100-მდე პუბლიკაციის ავტორი, მათ შორის, მეთოდურის გენდერის, პოლიკულტურისა და ოჯახის პრობლემატიკაზე, დემოგრაფიასა და იდენტობაზე; მიჰყავს კურსი „სწავლება უმაღლეს სასწავლებელში“, სტუდენტებს აცნობს სწავლების ინტერაქტიულ მეთოდებს.

მიქაელ მალხასიანი (ავტორი) — ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის სომხეთის ისტორიის კათედრის ასპირანტი; ესუ-ს სამეცნიერო სტუდენტური საზოგადოების თავმჯდომარე. ასწავლის გიმნაზია „კანტში“; 5 მონოგრაფიისა და 40-მდე სამეცნიერო სტატიის ავტორი.

ნიკოლ მარგარიანი (ეროვნული რედაქტორი, ავტორი) — ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი; 2 მონოგრაფიისა და 50-ზე მეტი სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი ონომასტიკის პრობლემებზე; მუშაობს კულტურის თეორიისა და გამოყენებითი ასპექტების პრობლემებზე, კულტუროლოგიაში; ესუ-ში მიჰყავს საერთო და სპეციალური კურსები; მონაწილეობდა საერთაშორისო კონფერენციებში.

ნატალია მარკუსი (ავტორი) — ისტორიის მასწავლებელი ქ. კოზოვას (უკრაინა) №1 სკოლაში; ისტორიისა და საზოგადოებრივ დისციპლინათა საერთოუკრაინული ასოციაციის „ნოვა დობას“ წევრი; მონაწილეობდა სასწავლო მასალების დამუშავების პროექტებში; სხვადასხვა სატრენინგო პროგრამისა და სემინარის მონაწილე.

ლუბა მელიკი (ავტორი) — ისტორიისა და სამოქალაქო აღზრდის მასწავლებელი;
სტატიების ავტორი და თანაავტორი ისტორიისა და სამოქალქო აღზრდის სწავლების მეთოდიკაში; I დიდაქტიკური ხარისხის მფლობელი.



ელენე მეძმარიაშვილი (რედაქტორი) — თბილისის საელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი; მრავალი პუბლიკაციის, მათ შორის, წიგნების, ისტორიის სახელმძღვანელოების, სტატიების ისტორიის დიდაქტიკის, ქალთა საკითხებისა და იმიგრაციის პრობლემებზე ავტორი; საერთაშორისო კონფერენციებისა და პროექტების მონაწილე; არაერთი მონოგრაფიის, სამეცნიერო კრებულისა და ჟურნალის რედაქტორი.

მადონა მიქელაძე (ავტორი) — პედაგოგიკის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, განათლების ფაკულტეტის დეკანი; ისტორიის მასწავლებლების საქართველოს ასოციაციის (GAHE) აჭარის ფილიალის ხელმძღვანელი; საერთაშორისო სემინარებისა და კონფერენციების მონაწილე, ტრენერი; სამეცნიერო პუბლიკაციების ავტორი და სასწავლო დამხმარე სახელმძღვანელოს თანაავტორი.

ოქსანა მიხეევა (ავტორი, მთარგმნელი) — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საშუალო და უმაღლესი სკოლის მასწავლებელი, 100-ზე მეტი სამეცნიერო და მეთოდური პუბლიკაციის ავტორი ისტორიის, ქალაქის სოციოლოგიის, დევიანტური ქცევის, სწავლების აქტიური მეთოდების სფეროში.

სერჟიუ მესტიაცე (ეროვნული რედაქტორი) — „იონ კრიანგეს“ სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ისტორიისა და გეოგრაფიის ფაკულტეტის დეკანი; მოლდოვას ახალგაზრდა ისტორიკოსთა ასოციაციის (ANTIM) პრეზიდენტი; 6 წიგნისა და 200-ზე მეტი სამეცნიერო სტატიის ავტორი ისტორიის, არქეოლოგიის, კულტურული მემკვიდრეობისა და სასკოლო სახელმძღვანელოების ანალიზში.

ნუგზარ მოლაშვილი (ავტორი) — ისტორიის მასწავლებელი თბილისის №42 სკოლაში; მუშაობდა ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკად; თბილისის ისტორიის მასწავლებლების კავშირის თავმჯდომარე; მთელი რიგი სამეცნიერო, მეთოდური და პოპულარული ნაშრომების ავტორი.

ანჟელა მუშენკო (ავტორი) — ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებელი ქ. სოროკის (მოლდოვა) „იონ კრიანგეს“ ლიცეუმში; მოლდოვას ახალგაზრდა ისტორიკოსთა ასოციაციის (ANTIM) წევრი; ძირითადი სამეცნიერო ინტერესები: ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები მოლდოვაში.



როდიკა ნასტასი (ავტორი) — ისტორიისა და სამოქალაქო აღზრდის მასწავლებელი მ. კოციუბას სახელობის ლიცეუმში; ი. კრიანგეს სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის დოქტორანტი; მოლდოვას ახალგაზრდა ისტორიკოსთა ასოციაციის (ANTIM) წევრი; სამეცნიერო სტატიების ავტორი, საერთაშორისო პროექტების, სემინარებისა და ტრენინგების მონაწილე.

ეკატერინე ოდაჟიუ (ავტორი) — ისტორიისა და სამოქალაქო აღზრდის მასწავლებელი; სოფელ ბოროგანის (მოლდოვა) ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმის დამაარსებელი და დირექტორი; ორგანიზაციასთან VIVERE (შვეიცარია) თანამშრომლობით პროექტების კოორდინატორი კულტურისა და აღზრდის სფეროში.

აიკაზ ოჰანესიანი (ეროვნული კოორდინატორი, ავტორი) — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის კათედრის პროფესორი; მესროპ მაშტოცის სახელობის ძველი ხელნაწერების ინსტიტუტის მატენადარანის დირექტორის მრჩეველი; 5 მონოგრაფიისა და 70-ზე მეტი სამეცნიერო სტატიის ავტორი.

ლილია ოჰანესიანი (ავტორი) — ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფრანგული ფილოლოგიის კათედრის ასპირანტი; 2007-2013 წლებში ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის არმენოლოგიური კვლევების ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკი.

გრანტ ოჰანიანი (ავტორი) — მესროპ მაშტოცის სახელობის ძველი ხელნაწერების ინსტიტუტის მატენადარანის ასპირანტი.

ოლგა პედან-სლეპუხინა (ეროვნული კოორდინატორი, ავტორი და თანაავტორი) — მასწავლებელ-მეთოდისტი, ლვოვის №65 სკოლის მასწავლებელი; ისტორიისა და საზოგადოებრივ დისციპლინათა საერთოუკრაინული ასოციაციის „ნოვა დობა“ წევრი; სასწავლო-მეთოდური დამხმარე მასალების ავტორი და თანაავტორი; ეროვნული და საერთაშორისო სემინარებისა და სატრენინგო პროგრამების ტრენერი და მონაწილე.

ნარმინ რავჯაბოვა (ავტორი) — მასწავლებელი; სტატიებისა და 3 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი; ისტორიული და სამოქალაქო განათლების თემაზე პროექტის, სემინარების, კონფერენციებისა და სამუშაო შეხვედრების მონაწილე.

რაუფ რეჯაბოვი (ეროვნული კოორდინატორი) — აღმოსავლეთმცოდნე და პოლიტოლოგი; «3rd View»-ს (გონებრივი ცენტრი) მთავარი რედაქტორი; 600-მდე ნაშრომის ავტორი გლობალური, რეგიონული, ენერგო-სატრანსპორტო და ინფორმაციული უსაფრთხოების, კონფლიქტების, სამოქალაქო საზოგადოებისა და სამოქალაქო აღზრდის სფეროებში, ასევე 5 წიგნის თანაავტორი სამხრეთ კავკასიის ისტორიაში.

ვერა სააკიანი (ავტორი) — მესროპ მაშტოცის სახელობის ძველი ხელნაწერების ინსტიტუტის „მატენადარანის“ მეცნიერ-მუშაკი და ასპირანტი.

ლუჩია სავა (ავტორი) — ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, ქ. კიშინიოვის „იონ კრიანგეს“ სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის მსოფლიო ისტორიის კათედრის დოცენტი. 35-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი თანამედროვე ეროვნული და მსოფლიო ისტორიის საკითხებზე.

სტივენ სტიგერსი (პროექტის მენეჯერი) — EUROCLIO-ს პროგრამების დირექტორი; პასუხისმგებელია პროექტის „საერთო ისტორია. კულტურათა დიალოგი“ ზოგად ხელმძღვანელობაზე; პროექტ Historiana-ს ორგანიზატორი და კოორდინატორი; 15 წლის განმავლობაში მონაწილეობს საგანმანათლებლო პროექტების ორგანიზებაში, ძირითადად, ევროპის ქვეყნებში.

ლალი ფირცხალავა (მოგვაწოდა მასალები) — საქართველოს უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის პროფესორი; ისტორიაში 60-ზე მეტი სამეცნიერო სტატიისა და სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორი; ისტორიის მასწავლებლთა საქართველოს ასოციაციის (GAHE) ჟურნალ „ისტორიკოსის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი.

მანანა შეყილაძე (რუკების შემდგენელი) — ქ. თბილისის ევროპული სკოლის მასწავლებელი; ისტორიის მასწავლებელთა საქართველოს ასოციაციის (GAHE) ვიცე-პრეზიდენტი; ისტორიის სახელმძღვანელოებში რუკების შემდგენელი, მეთოდისტი და ტრენერი

პაველ ჩერბუშკა (ეროვნული რედაქტორი, ავტორი და მთარგმნელი) — პედაგოგიური მეცნიერების დოქტორი, მოლდოვას მეცნიერებათა აკადემიის ლიცეუმის მასწავლებელი და დირექტორის მოადგილე; ისტორიასა და სამოქალაქო აღზრდაში ეროვნული პროგრამის ავტორი; 40-ზე მეტი სახელმძღვანელოსა და 100-ზე მეტი სტატიის ავტორი; მასწავლებლებისა და სკოლის ხელმძღვანელების გადამზადების ეროვნული ტრენერი.

ნოდარ შოშიაშვილი (ავტორი) — რამდენიმე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მონაწილე; ამჟამად მუშაობს დისერტაციაზე; სამეცნიერო მუშაობის პარალელურად ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას.

რუზანა ცატურიანი (ავტორი) — სომხეთის რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკი; 2 მონოგრაფიისა და 10-ზე მეტი სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი თანამედროვე კავკასიურ საზოგადოებებში საკვების, ანთროპოლოგიისა და გენდერულ პრობლემებზე; მუშაობს ნაციონალიზმისა და იდენტობის საკითხებზე; მონაწილეობდა მრავალ საერთაშორისო კონფერენციაში.

ტატიანა ციგანუ (ავტრი) — ისტორიის მასწავლებელი და დირექტორის მოადგილე ა. ი. კუზას სახელობის თეორიულ ლიცეუმში; განათლების საკითხებზე რამდენიმე სტატიის ავტორი; განათლების სფეროში სხვადასხვა მუნიციპალური კომისიის წევრი; ამჟამად მუშაობს ინფორმაციის სტრუქტურირების მეთოდებზე ისტორიის სწავლების გაუმჯობესების მიზნით.

ნანა ციხისთავი (ეროვნული კოორდინატორი) — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი; ისტორიის მასწავლებელთა საქართველოს ასოციაციის (GAHE) პრეზიდენტი; საქართველოს უნივერსიტეტებში მუშაობს 1990 წლიდან; ისტორიული განათლების სფეროში საერთაშორისო პროექტების მონაწილე, ისტორიულ და სამოქალაქო განათლებაზე მრავალი საერთაშორისო კონფერენციის ტრენერი და მონაწილე.

არტაკ ხაჩატრიანი (ავტორი) — ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპი-რანტურის კურსდამთავრებული; მუშაობს სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე კონფლიქტების პრობლემატიკაზე; სამეცნიერო პუბლიკაციების ავტორი; მონაწილეობდა რესპუბლიკურ კონფერენციებში, სემინარებსა და მრგვალ მაგიდაში სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე სამოქალაქო ინიციატივის ფარგლებში.

ამირან ჯამაგიძე (ნაციონალური კოორდინატორი, ავტორი, თანაავტორი) — ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებელი თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში; ისტორიის მასწავლებელთა საქართველოს ასოციაციის (GAHE) ერთ-ერთი დამაარსებელი; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი; რეგიონალური და საერთაშორისო პროექტების მონაწილე, EUROCLIO-ს ტრენერი.

ოთარ ჯანელიძე (ავტორი) — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; საქართველოს ისტორიკოსთა ეროვნული კონგრესის წევრი; ისტორიის მასწავლებლთა საქართველოს ასოციაციის (GAHE) აქტიური წევრი; ისტორიაში მრავალი სამეცნიერო ნაშრომის, საუნივერსიტეტო და სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორი.

ნაზმინ ჯაფაროვა (ავტორი, მთარგმნელი) — ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი; 2004-2015 წლებში იყო ნიზამი განჯელის სახელობის აზერბაიჯანული ლიტერატურის ეროვნული მუზეუმის თანამშრომელი. ამ მუზეუმის პრეზიდიუმის ცენტრალური აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების წამყვანი სპეციალისტი (მთარგმნელი); 45-ზე მეტი სამეცნიერო სტატიისა და თეზისის ავტორი.

მთავარი რედაქტორი იულია კუშნეროვა

გამომშვები რედაქტორი ირინა კოსტიუკი

მხატვრული გაფორმება, დიზაინი ოლგა ბარისენკო

ქართული გამოცემის დაკაბადონება ნანა ესართია

კორექტურა ბესიკ ლორთქიფანიძე, ელენე მეძმარიაშვილი, ნანა ციხისთავი

გამოცემა უფასოა

კულტურათა გზაჯვარედინი. შავი ზღვის რეგიონის ქვეყნები და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცვლილებები XIX-XX საუკუნეებში.
მასწავლებლის წიგნი/ ავტორთა ჯგუფი / EUROCLIO /. – 168 გვ.
ფორმატი 60X84/8. გარნიტურა Times New Roman. პირობ. ნაბეჭ. თაბახი. 21,86.

გამოცემა ვრცელდება უფასოდ

დამხმარე სახელმძღვანელო.
384 გვ., ილუსტრაციები,
რუკები

მასწავლებლის წიგნი.
168 გვ.

http://euroclio.eu/crossroad-of-cultures